ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის
კათედრის სტუდენტთა I ეროვნული სამეცნიერო
კონფერენციის

მასალები

2024-I

თბილისი – 2024

კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სტუდენტთა I ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან სარედაქციო კოლეგიის მიერ შერჩეული ნაშრომები.

მთავარი რედაქტორი: თეიმურაზ პაპასქირი

ნომრის რედაქტორი: მიხეილ ქართველიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლეილა (ია) ხუბაშვილი

ზაალ გოგენია

კახაბერ ყალიჩავა

ირაკლი ალიმბარაშვილი

პავლიკა ჯაგუნავა

ირაკლი ნოდია

გიორგი არქანია

© ავტორები

ISBN 978-9941-8-6671-5 (PDF)

შინაარსი

ნინი ჩარკვიანი, ეკატერინე ლობჟანიძე

საფრანგეთის რელიგიური ომები და მათი გამომწვევი მიზეზები 5

ტატა ოქროჯანაშვილი, ანა ელკანოვი

ლუი XIV-ის აბსოლუტიზმის პოლიტიკას შეწირული ნანტის ედიქტი 14

ნინო ლილუაშვილი, თეკლა ბაბლიშვილი

ავსტრია-პრუსიის ურთიერთობები 7-წლიანი ომის პერიოდში 24

ანანო ნეფარიძე

ქალების როლი საფრანგეთის დიდ რევოლუციაში 30

სერგი ადამია

ნაპოლეონ ბონაპარტი და 1803 წლის 19 თებერვლის მედიაციის აქტი 42

ლუკა გორგოძე

გერმანია ვენის კონგრესის შემდგომ და რესტავრაციის დროებითი გამარჯვება ... 49

მარიამ ხამიცაშვილი

საწყისების გამოაშკარავება: სემინოლების მეორე ომის დაწყების მიზეზები 56

გიორგი გოგიშვილი, ერეკლე გოგიშვილი

ნიკო ნიკოლაძის როლი ქართული მანგანუმის მრეწველობის განვითარებაში 66

რატი ხოტივრიშვილი

ოტო ფონ ბისმარკის რაიხსკანცლერობიდან გადადგომის გარემოებანი 75

გიორგი კასრაძე, გიორგი ლიპარტელიანი

ოტო ფონ ბისმარკის სტრატეგიული წარუმატებლობა 85

ზიზი ხვედელიძე

ქალთა პოლიტიკური უფლებების საკითხისათვის საქართველოს
პირველ რესპუბლიკაში და ახლა 91

ლუკა ყურუა

1911-12 წლის სინხაის რევოლუცია – ჩინეთის მარცხი თუ წარმატება? 98

ლუკა დანელია

აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოების აზრი საქართველოს შესახებ (1926 წ.) 105

კონსტანტინე მეგრელიშვილი

კარლ დიონიცის „აპოლიტიკური კაბინეტი“ 115

მიხეილ ლეჟავა

ვერნერ ფონ ბრაუნი – მესამე რაიხიდან აშშ-ს მთვარის პროგრამის ხელმძღვანელობამდე 134

თამარ სამარგულიანი

„პრაღის გაზაფხული – სოციალიზმი ადამიანური სახით“ 144

ელგუჯა მაზმიშვილი, მარიამ ივანიაძე

ბოსნიის კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში: გენოციდი და ნატო-ს პირველი სამხედრო ოპერაცია 157

ნინი ჩარკვიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკატერინე ლობჟანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საფრანგეთის რელიგიური ომები და მათი გამომწვევი მიზეზები

რელიგია ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც რელევანტურია. საინტერესოა, როგორ ვითარდებოდა სახელმწიფოს, ერსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჯაჭვი საუკუნეების განმავლობაში. რელიგიამ წარმოშვა ქრისტიანული პოლიტიკური აზრი IV საუკუნეში, რის ფუძემდებლადაც ნეტარი ავგუსტინე ითვლება, შემდეგ კი XIII საუკუნეში თომა აქვინელმა უშუალოდ კათოლიკური მიმდინარეობის პერსპექტივიდან განიხილა პოლიტიკური საკითხები.

სწორედ რელიგია იყო მიზეზი საფრანგეთში, 1562-1598 წლებში, სამოქალაქო ომის დაწყებისა, რასაც რელიგიურ ომებს ვუწოდებთ. იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ რელიგიური ომების სიმძაფრე, უნდა ვახსენოთ სქიზმა, როდესაც 1054 წელს ქრისტიანული ეკლესია ორ: კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიად გაიყო, ეს იყო პირველი განხეთქილება ქრისტიანობაში. აი, ხუთი საუკუნის შემდეგ კი, ახალი დაპირისპირებაც ვიხილეთ პროტესტანტიზმის წარმოშობის სახით. ვფიქრობთ, ქრისტიანული პოლიტიკური აზრი ბევრი მხრიდან შეგვიძლია გავაკრიტიკოთ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი „შეცდომა“, რაც ამ პოლიტიკამ წარმოშვა ისაა, რომ მეფე დაუმორჩილა რომის პაპს. მათი თანხმობის გარეშე მეფეები სასურველ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ, გაიზარდა პაპების რელიგიური და პოლიტიკური გავლენა, რამაც 1517 წელს აიძულა მარტინ ლუთერი გაეპროტესტებინა არსებული ვითარება და დაიწყო რეფორმაცია (Greengrass: The French Reformation). აქვე 1534 წელს ინგლისის მეფემ, ჰენრი VIII-მ, უარყო პაპის ავტორიტეტი და დასაბამი მისცა ანგლიკანურ ეკლესიას, ხოლო ჰუგენოტების დაპირისპირებამ კათოლიკეებთან, საფრანგეთი სამოქალაქო ომებამდე მიიყვანა და, ფაქტობრივად, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარი მოიცვა.

საფრანგეთის რელიგიური ომები არის კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი და სწორედ მასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ ნაშრომში: რა იყო რელიგიური ომების წინაპირობები, მიზეზები, შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება, როგორ მივიდა საზოგადოება სარწმუნოების გამო ერთმანეთის სიცოცხლის აღკვეთიდან ჰუმანიზმის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებამდე, ნანტის ედიქტის მიღებამდე, რომელმაც სეკულარიზმსა და ტოლერანტიზმს დაუდო საფუძველი...

საინტერესოა, როგორი იყო XVI საუკუნე ? ფრანგი ისტორიკოსი დენი კრუზე ამბობს, რომ XVI საუკუნე საფრანგეთში ძალადობის ისტორიაა (Crouzet). კრუზე ამტკიცებს, რომ საუკუნის დასაწყისში ესქატოლოგიური ტანჯვის გრძნობა იყო გაჟღენთილი, რომ ეს იყო ღვთის მოახლოებული სამსჯავროს შიშით სავსე პერიოდი. სწორედ ეს წარმოსახვითი ესქატოლოგია უძღოდა წინ რელიგიურ ომებს. ქადაგებები წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს აღსასრულის მოახლოებას, ამბობდნენ, რომ ღვთის რისხვა ვითარდება კაცობრიობაზე, რომელმაც ცოდვის ყველაზე კრიტიკულ ჟამს მიაღწია. ეს იყო ღვთაებრივი საფრთხის განცდა! ქრისტიანულ სამყაროში ლუთერის გამოჩენასთან ერთად ღვთის სასჯელის სურათი კიდევ უფრო გაძლიერდა. მთელი XVI საუკუნე შეპყრობილი იყო ღვთის განკითხვის გამაოგნებელი წარმოდგენებით, რაც, ვფიქრობთ, ნამდვილად მოქმედებდა ადამიანების რწმენაზე.

მაიკლ ჰოლქვისტი წერს: „ისტორიული მოვლენის უნიკალური სახეობა, რომელსაც ჩვენ რევოლუციას ვუწოდებთ, ხდება მაშინ, როცა ყველაფერი იცვლება ერთბაშად“ (Holquist, xiv), სწორედ 1560 წლამდე ათწლეულების განმავლობაში შეიცვალა ყველაფერი. აქ უკვე იყო გამოწვევები, რომლებიც აუცილებლად მოახდენდა გავლენას არა მხოლოდ რელიგიურ რწმენაზე, არამედ შემწყნარებლობაზე, თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ზოგიერთმა რადიკალური ცვლილებები მაშინ იგრძნო, როცა ღმერთი ხელახლა შემოვიდა მსოფლიო ისტორიულ სცენაზე. პოლიტიკამ შეაღწია მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში, ისინი იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ, როგორც კათოლიკე, ან როგორც პროტესტანტი. მარკ გრინგრასი აღნიშნავს, რომ იმ დროის საფრანგეთში „უკიდურესი ძალადობა“ მიმდინარეობდა და იგი გამოყოფს ძალადობის დინამიკაში არსებულ სამ ჯგუფს: მოწმეები, მსხვერპლი, დამნაშავეები. სწორედ ეს ადამიანები გახლდათ მსხვერპლი და, ვფიქრობთ, არა რელიგიის, არამედ პოლიტიკისა. პოლიტიკა იყო დამნაშავე ამდენი ადამიანის დახოცვაში, ეს ხომ იყო ბრძოლა გვარებს შორის ძალაუფლების მოპოვებისათვის?! ამას ერთ-ერთი ისტორიკოსიც გვიდასტურებს: „აშკარად, რელიგია არის ამ ბრძოლების მთავარი მიზეზი, მაგრამ ეს ასევე არის ბრძოლა

დიდ ოჯახებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებისთვის“ (Greengrass: The dynamic...).

რელიგიურ ომებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფრანგული საზოგადოების შემდგომ განვითარებაში. რატომ დაიწყო საფრანგეთის რელიგიური ომები? XVI საუკუნის შუა ხანებში საფრანგეთის სამეფოში ოცი მილიონი მოსახლედან დაახლოებით 10% პროტესტანტი იყო. თუმცა ამ უმცირესობიდან ბევრი მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი გახლდათ. „მაშინ ისინი ბევრზე უფრო გავლენიანი იყვნენ“, – აანალიზებს ფრანგი ისტორიკოსი ჟერემი ფოა (Buitekant). 50-იანი წლებიდან კი გამწვავდა დაპირისპირება ჰუგენოტებთან.

1547-1559 წლებში საფრანგეთს ანრი II დე ვალუა მართავდა, რომელსაც სასტიკად სძულდა პროტესტანტები, ისევე როგორც მის მეუღლეს, ეკატერინე მედიჩის. 1551 წლის 27 ივნისს მან სამოქალაქო საეკლესიო სასამართლოს დაავალა ჰუგენოტების დაპატიმრება, მოკვლა, ქონების ჩამორთმევა. 1549 წელს სამხრეთ ამერიკაში პატარა ფრანგული კოლონიაც კი შექმნა – „ანტარქტიკული ბრაზილია“, რომელიც მთლიანად გადასახლებული ჰუგენოტებისაგან შედგებოდა. 1559-1560 წლებში საფრანგეთს მართავს ფრანსუა II, ერთმანეთს უპირისპირდებიან გიზები, ბურბონები, ვალუები და სწორედ მათი დაპირისპირების შედეგი იყო მომდევნო წლები... ფრანსუა II-ის დროს დაიწყო ქვეყანაში გამოსვლები, რომელიც ეხებოდა გადასახადების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ გამოსვლების და პროტესტის თავი ჰუგენოტები იყვნენ. ამ პერიოდში კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს შორის დაპირისპირების გარდა, ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ადგილობრივ დიდებულთა დაუმორჩილებლობა მეფისადმი. ეს იყო საფრანგეთში არასტაბილურობისა და ძალაუფლების შესუსტების წლები, რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა რელიგიური გამწვავებისა და რელიგიური ომების დაწყებისათვის. 1560 წელს ტახტზე ავიდა შარლ IX, მისი მცირეწლოვნობის გამოც რეგენტად დაინიშნა დედამისი, ეკატერინე მედიჩი, რომელმაც აიღო ხელში ძალაუფლების სადავეები და აქტიურად დაიწყო სამეფო საქმეებში ჩარევა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ კანცლერი მიშელ დე ლოპიტალი, რომელიც იმ დროის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა, იგი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა დედოფალთან ერთად კათოლიკეებისა და ჰუგენოტების შერიგებას. მაგალითად, 1561 წელს ციხიდან გამოუშვეს ჰუგენოტები, 1562 წლის 17 იანვარს გამოქვეყნდა „იანვრის ედიქტი“, რომელიც პროტესტანტული კულტის თავისუფლებას ითვალისწინებდა ქალაქებს გარეთ და კერძო სახლებში. ამ ედიქტით საფრანგეთში რელიგიურ შემწყნარებლობას ჩაეყარა საფუძველი. თუმცა, სამეფო კარის ეს მცდელობა გიზებმა

ჩაშალეს... როდესაც, ქალაქ ვასის ცენტრში ჰუგენოტები შეიკრიბნენ და ლოცულობდნენ, ჰერცოგი ფრანსუა დე გიზის, შეურიგებელი კათოლიციზმის მხარდამჭერის ბრძანებით, მისმა ჯარებმა შეუტიეს მათ. დაიღუპა დაახლოებით 80 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები. სწორედ ეს თარიღი- 1562 წლის პირველი მარტი ითვლება რელიგიური ომების დასაწყისად. ამ ამბიდან ერთ თვეში პრინცმა კონდემ და ადმირალმა გასპარ დე კოლინიმ 1800-კაციანი ჰუგენოტების არმია შექმნეს. ასევე დაუკავშირდნენ ინგლისის პროტესტანტ დედოფალ ელისაბედ I-ს, რომელმაც ისინი დააფინანსა. სულ მალე კონდემ საფრანგეთში რამდენიმე ქალაქი აიღო. ომის დაწყების წინაპირობებს უფრო ვრცლად თუ შევეხებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰუგენოტებს არ ჰყავდათ ძლიერი დამცველი, რომელსაც დაეყრდობოდნენ და დაიწყებდნენ აჯანყებას, შესაბამისად, საკმაოდ ხელსაყრელი მომენტი იყო 1562 წლის სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის შემდგომ, კათოლიკეების მსგავსად დამცველის პოვნა. ეს იყო ნავარის მეფე-კონსორტი ანტუან დე ბურბონი და მისი ძმა, კონდეს პრინცი ლუი დე ბურბონი.

სულ გამოყოფენ რვა რელიგიურ ომს. პირველი რელიგიური ომი მიმდინარეობდა 1562 წლის მარტიდან 1563 წლის მარტამდე. იგი დასრულდა ეკატერინე მედიჩის მიერ წახალისებული ამბუაზის ედიქტით, რომელმაც დაადასტურა „იანვრის ედიქტი“ მის ძირითად პუნქტებში. „ეს არის XVI საუკუნის ევროპაში მშვიდობის უპრეცედენტო მცდელობა. იმ დროისთვის ტოლერანტობა შორს იყო მოდური ღირებულებისგან. ამბუაზის ედიქტი ამაში ძალიან ახალი და ძალიან ნათელია“, – აანალიზებს ისტორიკოსი. სახელმწიფოს და ეკლესიას უკვე განსხვავებული მიზნები აქვთ. „სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეები, თუნდაც ეს მოქალაქეები ერეტიკოსები იყვნენ. ეს ნამდვილად რევოლუციურია“, – განმარტავს ჟერემი ფოა. მაგრამ, გულმოდგინე კათოლიკეებისთვის კარგი მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკეა, ის არ არღვევს ღვთაებრივ წესრიგს.

1567-1568 წლებში მეორე რელიგიური ომიც დაიწყო. ჰუგენოტებსა და სამეფო ძალაუფლებას შორის ურთიერთობის გამწვავებამ განაპირობა ეკატერინე მედიჩის გასვლა რელიგიური ტოლერანტობის პოლიტიკიდან. ნიდერლანდებში ალბას ჰერცოგის ესპანური არმიის ლაშქრობით (1566 წ.) (Larane). რეგენტმა შეკრიბა დიდი ჯარი საფრანგეთის საზღვრების დაცვის საბაბით, რომელმაც მოულოდნელად გადაინაცვლა ჰუგენოტების წინააღმდეგ. თუმცა, 1568 წლის დასაწყისში მათ კათოლიკეები უკან გააბრუნეს პარიზში და ალყა შემოარტყეს შარტრს. ამ პირობებში ეკატერინე დათანხმდა სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას ლონგჟუმოში 1568 წლის 10 მარტს, რომელმაც ისევ დაადასტურა იანვრის ედიქტის დებულებები.

მესამე რელიგიური ომი 1568-1570 წლებში მიმდინარეობდა, რომელიც სენ-ჟერმენის მშვიდობით დასრულდა. იგი ჰუგენოტებს ანიჭებდა რელიგიის თავისუფლებას მთელ საფრანგეთში, პარიზის გარდა, და საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებას; შეთანხმების უზრუნველსაყოფად მათ გადასცეს ოთხი ციხე – ლა როშელი, მონტობანი, კონიაკი და ლა შარიტე.

ეჭვგარეშეა, რომ მშვიდობა ხანმოკლე იყო და 1572 წელს მოხდა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც ჩვენ ბართლომეს ღამეს ვუწოდებთ (Crouzet: La nuit de la Saint-Barthelemy). აქ არის ისტორია მოვლენათა ტრაგიკული თანმიმდევრობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს რელიგიური ომების უმაღლეს წერტილს.

შარლ IX გამოირჩეოდა უკიდურესად არასტაბილური ხასიათით, მასზე გავლენა ჰქონდა, როგორც დედა-დედოფალს, ისე გასპარ დე კოლინის, რომლებიც ამ პერიოდში დაპირისპირებულ მხარეებად იქცნენ. კოლინი მეფეს ურჩევდა ანტიესპანური პოლიტიკის გატარებას, ეკატერინე კი უკვე შიშობდა, რომ შვილზე გავლენას კარგავდა... მეფეს მოუწია მათ შორის, ე.ი. „ერეტიკოსსა“ და დედას შორის არჩევანის გაკეთება (საბოლოოდ, მან დედა აირჩია). პარალელურად ეკატერინე მედიჩი შეხვდა ჟანა დ’ალბრეს, ანრი ნავარელის დედას, რომლებმაც მარგარიტა ვალუასა და ანრი ნავარელის დაქორწინება განიზრახეს. ამ ქორწინებას უნდა დაემტკიცებინა კონფესიური მშვიდობა, რომელიც აღდგა 1570 წელს სენ-ჟერმენის ედიქტით. კათოლიკესა და პროტესტანტის ქორწინება არ შეიძლებოდა, თუმცა რომის პაპის თანხმობა მიიღეს. იმ დროის ვითარებიდან გამომდინარე არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ რამდენიმე დღეში მოვლენები ქორწინებას სისხლიან ქორწილად გადააქცევდა...

ქორწილში, პარიზში, რამდენიმე ათასი ჰუგენოტი ბატონი შეიკრიბა, „ბოროტი“ და „კბილებამდე შეიარაღებული“, ისტორიკოს პიერ მიქელის თქმით. პარიზელების უმრავლესობისთვის, დასძენს ის: „პროტესტანტი უცხოელია: ის სხვანაირად არის ჩაცმული, აქვს განსაკუთრებული ვარცხნილობა. ის არ ცეკვავს, არ სვამს და არც იცინის. ის არ აღნიშნავს წმინდა ორშაბათს. კარნავალზე ვერ ნახავ. ის განზეა. მოსახლეობის თვალში ქორწინება სკანდალური, სასტიკია“.

22 აგვისტოს ეკატერინეს ბრძანებით კოლინს თავს დაესხნენ, თუმცა ის გადარჩა. მეფე დაჰპირდა მას, რომ დასჯიდა დამნაშავეს. ეკატერინე თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მისი დანაშაული მეფის ყურამდე მივიდოდა და მან მოახერხა მეფის დარწმუნება, რომ ჰუგენოტები მასზე თავდასხმას აპირებდნენ, რამაც განარისხა შარლი და 23 აგვისტოს მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება, რომ სიკვდილით დაესაჯათ ჰუგენოტი ბატონების

განსაზღვრული რაოდენობა, შეადგინა სია, რომლის სათავეშიც იყო კოლინის სახელი.

ეკატერინეს მიზანი ჰუგენოტების განადგურება იყო და მათი ხოცვა-ჟლეტა, სწორედ, 24 აგვისტოს, ბართლომეს ღამეს მოხდა. პარიზიდან ჰუგენოტების ხოცვა სხვა ქალაქებშიც გაგრძელდა: ლიონი, ორლეანი, ბორდო, რუანი და ა.შ. შარლმა ვერ შეაჩერა ბრბოს დაუოკებელი დინამიკა, რომელსაც სურდა ჰუგენოტების განწმენდა. ამ დღეს მოკლეს კოლინიც. მკვლელობას მკვლელობა მოჰყვა და მან უკონტროლო სახე მიიღო. საბოლოოდ, ამ ბრძოლამ 30 000-მდე ჰუგენოტი შეიწირა.

ჰუგენოტთა მრავალი ლიდერი მოკლეს. სასაკლაოს გადაურჩნენ მხოლოდ ანრი ნავარელი და ახალგაზრდა პრინცი კონდე, რომლებმაც უარყვეს პროტესტანტიზმი. შეიძლებოდა პროტესტანტული პარტია საერთოდ გამქრალიყო, რადგან იგი „თავმოკვეთილი“ იყო, თუმცა ბართლომეს ღამემ ვერ გატეხა ჰუგენოტები და მათ გააგრძელეს ბრძოლა სარწმუნოებრივი თავისუფლებისთვის.

საინტერესოა, როგორ აფასებენ ისტორიკოსები ამ ღამეს? (Bregeon) თავის ცნობილ კომენტარებში (1592) ბლეზ დე მონლუკმა განაცხადა, რომ არ შეეძლო ეთქვა, ბართლომეს ღამე „კარგად იყო მოწყობილი თუ ცუდად“ და დაამატა: „ვინც ჩვენს შემდეგ მოვა, ამაზე უფრო სათანადოდ და შიშის გარეშე ილაპარაკებს, რადგან დღევანდელი მწერლები მხოლოდ ნახევრად გაბედავენ წერას“. ეს პროგნოზი დადასტურდა. ისტორიკოსთა უმრავლესობა, ჟიულ მიშლედან დაწყებული, პიერ მიქელის ჩათვლით, ადანაშაულებდა ხოცვა-ჟლეტაში სამეფო ოჯახსა და გიზებს.

რაც შეეხება ჩვენს აზრს უშუალოდ ეკატერინე მედიჩის პოლიტიკურ ფიგურასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საკმაოდ ძლიერი პოლიტიკოსია, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ რთულ დროს მოახერხა, პირველ რიგში, გადარჩენა და თანაც ძალაუფლების შენარჩუნება. მისი მოხერხებულობა გაოცებას იწვევს ჩვენში, თუმცა, სამწუხაროდ, დედა-დედოფალი ვერ ჩაითვლება ქვეყნისთვის თავდადებულ პოლიტიკოსად, ვინაიდან იგი გადარჩენაზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. ამბობენ, რომ ეკატერინე ბუნებითაც და სიტუაციითაც პოლიტიკოსი იყო, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა დაეცვა გვირგვინი და ხელი შეეწყო მისი ვაჟების წინსვლისთვის. ის მოსაზრებაც არსებობს, რომ თუ ფილიპე II-ს ან გრიგოლ XIII-ს შეეძლო გამოეყენებინა დიპლომატიური მანქანა თავისი რელიგიური მიზნების მისაღწევად, მაშინ ეკატერინე ვერ გამოიყენებდა მას ნეიტრალური პოზიციის შესანარჩუნებლად...

შარლ IX-ის ნაადრევი გარდაცვალების გამო, 1574 წლის 30 მაისს, რეგენტობა კიდევ ერთხელ გადაეცა ეკატერინეს, ანრი III-ის დაბრუნებამდე, რომელიც ამ დროს პოლონეთის

მეფე გახდა. აღსანიშნავია, ამ დროს არსებული კათოლიკეების მნიშვნელოვანი პარტია, რომლებსაც რელიგიური შემწყნარებლობა სურდათ: ისინი ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ რელიგიური ომების განახლებისთვის და ამისათვის მათ "პოლიტიკოსები" უწოდეს.

ქვეყნის სამხრეთში კალვინისტური რესპუბლიკის გაჩენის გამო 1576 წელს ანრი გიზის ინიციატივით პერონში შეიქმნა კათოლიკური ლიგა და უკვე მეორე „სახელმწიფო სახელმწიფოში“ წარმოიშვა, ისინი ღიად მოითხოვდნენ ჰუგენოტების სრულ განადგურებას. ე.ი საფრანგეთში ორი სახელმწიფო იყო შექმნილი... დაიწყო ახალი ომი, რომელიც დასრულდა 1577 წლის სექტემბერში ბერჟერაკის მშვიდობით.

1580 წელს დაიწყო მეშვიდე რელიგიური ომი, რის შედეგადაც მეფემ დაუთმო ანრი ნავარელს კუერსი და აზენუა (ხელშეკრულება ფლექსში). შემდეგ კი იწყება მერვე რელიგიური ომი, იგივე სამი ანრის ომი. 1584 წელს პროტესტანტი ანრი ნავარელი გახდა საფრანგეთის ტახტის ყველაზე სავარაუდო მემკვიდრე. ამან გამოიწვია კათოლიკური ლიგის აღდგენა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ძმები გიზები. ძირითადი საომარი მოქმედებები განვითარდა 1587 წელს. უკიდურესად იყო გამწვავებული კონფლიქტი ანრი III-სა და ანრი გიზს შორის, რომელიც ღიად აცხადებდა ძალაუფლებას და სარგებლობდა პარიზელთა მხარდაჭერით. 1588 წელს ანრი გიზი მოკლეს, 1589 წელს კი ანრი III მოკლა ჟაკ კლემანმა. ანრი ნავარელმა უკან დაიხია ნორმანდიაში და თავი მეფე ანრი IV გამოაცხადა. 1594 წლის მარტში პარიზმა გააღო კარიბჭე ანრი IV-სთვის. 1598 წელს დადო ვერვენის ხელშეკრულება ესპანეთთან სტატუს კვოს საფუძველზე. ამ დროისთვის მთელმა საფრანგეთმა უკვე აღიარა მისი ავტორიტეტი.

1598 წელს კი დასრულდა რელიგიური ომები. ანრი IV-მ მიიღო ნანტის ედიქტი (Christin), რამაც მოაგვარა პროტესტანტებისა და კათოლიკეების დაპირისპირება და აღიარა პროტესტანტიზმის გაბატონება 200 ქალაქში, სადაც ჰუგენოტებმა მიიღეს სიმაგრეების აგების უფლება. თითქოს ჰუგენოტებმა მოიგეს ომები, თუმცა რეალურად ეს მოჩვენებითი იყო, რადგან საფრანგეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მაინც კათოლიციზმის ერთგული დარჩა. ედიქტის შედგენა ძალიან დელიკატური საქმე იყო. ამას ხანგრძლივი მოლაპარაკებები სჭირდებოდა. მიზანი იყო კათოლიკეების და პროტესტანტების დამშვიდება და ყველას ნდობის აღდგენა. საჭირო იყო კომპრომისზე წასვლა. ედიქტმა დაადგინა სამოქალაქო თანასწორობა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, დაადგინა მათი თანაარსებობის პირობები, მის პუნქტებში შედიოდა: რელიგიური თავისუფლების მინიჭება, პროტესტანტებისა და კათოლიკეების თანასწორობა განათლებაში, ყველა თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის აბსოლუტური

თანასწორობა (თავად კათოლიკე მეფის თანაშემწე კალვინისტი სიული გახლდათ), რელიგიის შეცვლის შესაძლებლობა, თანასწორობა კანონისა და სამართლიანობის წინაშე.

თუმცა, პროტესტანტული თაყვანისცემა ნებადართული გახლდათ მხოლოდ გარკვეულ ადგილებში და აკრძალული იყო სასამართლოში, პარიზში... ოლივიე ქრისტინი აღნიშნავს, რომ ნანტის ედიქტი თავს წარმოაჩენს, როგორც არქაიზმისა და მოდერნიზმის, პოლიტიკური კომპრომისებისა და ჭკუის გასაოცარ ნაზავს.

ვფიქრობთ, ანრი IV ახალი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკოსია მისი დიპლომატიური ნიჭიდან გამომდინარე. ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც 36 წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო დაესრულებინა სამოქალაქო ომი, როცა ყველა ძალაუფლების მოპოვებაზე იყო ორიენტირებული, ისე, რომ დიპლომატიურ შეთანხმებებსაც ვეღარ დებდნენ, როცა არცერთმა პოლიტიკოსმა არ დააყენა სახელმწიფოს მშვიდობა პირველ ადგილას, ანრიმ საფუძველი დაუდო რელიგიურ შემწყნარებლობას, ტოლერანტიზმს. იგი თანამედროვეობის პირველი პიროვნებაა, რომელმაც რელიგიაზე მაღლა დააყენა მშვიდობა, თანასწორობა, ზოგადად სახელმწიფოს იდეა. იგი ყველანაირად უწყობდა ხელს სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქეების მშვიდობიან თანაარსებობას. მის წინამორბედებად შეგვიძლია მოვიაზროთ ლოპიტალი ან პარტია „პოლიტიკოსები“, თუმცა ერთადერთი რეალური შედეგი, ვინც დადო სწორედ ანრი IV გახლავთ, თუმცა ყველა მონეტას აქვს ორი მხარე. ბრძოლას, რა თქმა უნდა, ჰქონდა უარყოფითი შედეგებიც, უამრავი ადამიანი დაიღუპა ძალადობის, შიმშილის ან დაავადებისგან, რომელიც პირდაპირ გამოწვეული იყო კონფლიქტით და ამან სერიოზულად დააზიანა საფრანგეთის მონარქიის ძალაუფლება.

საინტერესოა, შეიძლებოდა თუ არა რელიგიური ომების თავიდან არიდება? ვფიქრობთ, ნაშრომში აღნიშნული წინაპირობები და მიზეზები თავადაც მიგიყვანდათ იმ დასკვნამდე, რომ იმ დროს შექმნილი ფონი აუცილებლად უქადდა სახელმწიფოს სამოქალაქო ომის დასაწყისს... მაშინ, როცა არ არსებობდა ტოლერანტიზმის იდეა, პოლიტიკოსები მხოლოდ გვირგვინზე ფიქრობდნენ, სახელმწიფოს მშვიდობაზე მაღლა აყენებდნენ რწმენას და განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ, ბუნებრივია, დაიწყებოდა უფლებებისათვის და რელიგიური თანასწორობისათვის ბრძოლა, ვინაიდან არავის შეუძლია შეეხოს ინდივიდის რწმენას. რელიგია ყოველთვის იყო ის საყრდენი, რაც იწვევდა ომს. მისთვის იბრძვის ადამიანი ოდითგანვე, რადგან სარწმუნოება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყნის ერთიანობისთვის. XX საუკუნეში ტოტალიტარული რეჟიმების დამახასიათებელი თვისება ათეიზმი გახლდათ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სტალინი, ტიტო, მაო ძედუნი, პოლ პოტი,რამაც ასევე

მილიონების ტანჯვა და მკვლელობა გამოიწვია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნეში, რელიგიური ომების დროს, დიპლომატია, რომელიც, ზოგადად, ქვეყნის საგარეო და საშინაო ვითარების წონასწორობისათვის, მშვიდობისათვის და მოქალაქეების კეთილდღეობისათვის გამოიყენება, „„კარგად ვერ ფუნქციონირებდა“. საუკუნის ბოლოს კი გამოჩნდა ისეთი დიპლომატი და სტრატეგი, რომელმაც სრულიად ახალი იდეების დაბადებას დაუდო საფუძველი, გააძლიერა სახელმწიფო და შეცვალა ფრანგი მოსახლეობის აწმყო და მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Armstrong, E. The French Wars of Religion (1892), London, Percival & Co.
2. Bregeon, Jean Joel. “Saint Barthélémy, les véritables causes du massacre”, National Geographic.
3. Buitekant, Esther. “Les guerres de religion, conflitsanglant entre catholiques et protestants.
4. Christin, Oliver. L'Édit de Nantes est-il vraiment un édit de tolérance
5. Crouzet, D. Les guerriers de Dieu. La violence au temps des troubles de religion, vers 1525 – vers 1610.
6. Crouzet, Denis. La nuit de la Saint-Barthelemy.
7. Greengrass, Mark. “The French Reformation”. Historical association studies, 1987
8. Greengrass, Mark. The dynamic of religious violence in the French civil wars (1562-1598).
9. Holt, Mack P. (2005) The French Wars of Religion, 1562-1629. Cambridge University Press.
10. Kettering, Sharon (2006). The French Religious Wars, 1562-1598. Pearson Longman.
11. Knecht, R. J. (2002). The French Religious Wars 1562-1598. Osprey Publishing.
12. Lamar, J. (1974) French Diplomacy and the Wars of Religion, Vol 5, No2, pp. 5-46.
13. Larane, Andre. Catherine de Médicis (1519-1589) (2022/04/10_.
14. Mark, J. (2022) French Wars of Religion, (29.05.23).
15. Murphy, J. A. (2015). The French Religious Wars in English Political Thought. Oxford University Press.
16. Roberts P. (1977) The French wars of Religion. Vol 28, No 3, pp. 909-912.
17. Salmon, J. H. M. (1973). The French Wars of Religion: How Important Were Religious Factors? History Today.
18. Salmon, J. H. M. (1975). Society in Crisis: France in the Sixteenth Century. Methuen & Co.
19. Sutherland, N. M. (1984) The Massacre of St. Bartholomew and the European Conflict, 1559-1572. Macmillan.
20. Tilley. The French Wars of Religion (1919), London, The Macmillan Company, No8.
21. Wood, J. The Impact of the Wars of Religion A View of France in 1581, No2, (1984).
22. Zaretsky, R. What a bloody 16th Century Conflict can teach us about our politic division today (2020).

ტატა ოქროჯანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანა ელკანოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლუი XIV-ის აბსოლუტიზმის პოლიტიკას შეწირული ნანტის ედიქტი

ლუი მეთოთხმეტის მმართველობის სტილის არჩევისა და მისი მოქმედებების აზრის გასაგებად საჭიროდ ვთვლით მოკლედ შევეხოთ მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებმაც ქვეცნობიერად ჩამოაყალიბა ,,მეფე მზის“ პიროვნება და შექმნა მისი პერსონა.

ლუი XIV დე ბურბონი (დაიბადა პარიზში და გარდაიცვალა ვერსალში) ცნობილი როგორც ლუი დიდი, ან მეფე მზე — ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი, საფრანგეთის მეფე ლუი XIII-ისა და მისი მეუღლის, დედოფალ ანა ავსტრიელის უფროსი ვაჟი. როგორც მეფის უფროსი ვაჟი, იგი ტახტის მემკვიდრედ, ანუ საფრანგეთის დოფინად გამოცხადდა. იყო საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან 1715 წლამდე, ანუ სანამ არ გარდაიცვალა. მისი მეფობა მამის გარდაცვალებით, 1643 წლის 14 მაისს დაიწყო ოთხი წლის ასაკში და 1715 წლის 1 სექტემბერს დასრულდა. იგი ქვეყანას 72 წლისა და 110 დღის მანძილზე მართავდა, რაც საფრანგეთის ისტორიაში ყველაზე გრძელვადიანი მმართველობაა. ზრუნავდა ქვეყნის ცენტრალიზაციაზე, რასაც შემდგომში აბსოლუტიზმის დამყარება მოჰყვა. ლუი მსოფლიო ისტორიაში აბსოლუტიზმის სიმბოლოდაა ცნობილი.

1661 წელს გარდაიცვალა კარდინალი მაზარინი. 22 წლის ლუი XIV-ის შესახებ საფრანგეთში ძალზე ცოტა რამ იცოდნენ, რადგან კარდინალი მაზარინის დროს ის არ ჩანდა. ფრანგები უკვე მიჩვეულნი იყვნენ იმ აზრს, რომ მათ სამშობლოს მეფე კი არა, პირველი მინისტრი მართავდა. ამდენად ყველას აინტერესებდა თუ ვის დანიშნავდა ლუი XIV პირველ მინისტრად. ყველასათვის მოულოდნელად მეფემ განაცხადა „მე არ მჭირდება პირველი მინისტრი, მე თვითონ ვიქნები საკუთარი თავის პრემიერ- მინისტრი.“ ლუი XIV-ს არ უყვარდა პარიზი. ის მას აგონებდა 1648-1649 წლების აჯანყებას. ამიტომ პარიზიდან 17 კილომეტრის მოშორებით ააგო სასახლეების და ბაღების ქალაქი ვერსალი, საიდანაც

მართავდა ქვეყანას. მან დაიმორჩილა მეამბოხე ფეოდალები, რითაც საფრანგეთი მეტად ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცია. მისმა შექმნილმა აბსოლუტური მმართველობის სტილმა. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე გასტანა

მეფე ლუის პიროვნების კონსტრუირებაში მნიშვნელოვანია დედის როლი. დედოფალმა ანამ ოთხჯერ იმშობიარა, თუმცა ოთხივეჯერ გარდაცვლილი ბავშვი დაბადა. ამდენწლიანი ლოდინის შემდეგ ჯანმრთელი ვაჟის დაბადება კი ლუიმ და ანამ ღვთიურ წყალობად მიიჩნიეს. მომდევნო ვაჟის დაბადების შემდეგ ლუი XIII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესდა და მალევე გარდაიცვალა. ოთხი წლის ლუი XIV უკვე საფრანგეთის მეფე გახდა, მის სრულწლოვანებამდე კი რეგენტად დედა-დედოფალი ანა ავსტრიელი დაინიშნა. თავიდან ანას პოლიტიკაზე მაინც და მაინც დიდი გავლენა არ ჰქონდა, რის გამოც ქვეყანას უმაღლესი დიდგვაროვნებისაგან შედგენილი სამეფო საბჭო მართავდა. ლუი და დედამისი, დედოფალი ანა ავსტრიელი ერთად საკმაოდ დიდ დროს ატარებდნენ, როგორც ამას მემატიანეებისა და თვითმხილველთა გადმოცემების მიხედვით ვიგებთ. ისინი ერთად დადიოდნენ გამოფენებზე, თეატრებში, ოპერასა და ბალეტებზე. ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ლუის სწორედ ამ პერიოდში დედის ზემოქმედების დროს ჩამოუყალიბდა თავისი გემოვნება და უდიდესი სიყვარული ხელოვნებისადმი.

სწორედ დედამისის, დედა-დედოფალ ანა ავსტრიელის დამსახურება იყო, რომ ლუის ასეთი დიდი მიდრეკილება ჰქონდა ერთპიროვნული და აბსოლუტური მმართველობისადმი. ანა მას ყოველთვის ჩააგონებდა, რომ იგი ღვთის ნებითა და ხელით დასმული მონარქი იყო და ქვეყნის მართვაც მხოლოდ მისი საქმე იყო (Davis).

ანა ავსტრიელმა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე სასულიერო წოდებისა და მეამბოხე დიდგვაროვნებისაგან შედგენილი პარიზის პარლამენტი გააუქმა. ამ ქმედებით ანამ თავიდან მოიშორა უსარგებლო ადამიანები და საფრანგეთის ერთპიროვნული მმართველი თავად გახდა თავისივე ვაჟის სახელით. მან დაითხოვა რამდენიმე თავისი ქმრის მინისტრი, აგრეთვე ჰერცოგი დე ბრიენი საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო სენ ვენსან დე პოლი თავის სულიერ მრჩეველად დანიშნა. სულიერი მრჩევლის ზემოქმედებით ანამ საფრანგეთში მეტად მკაცრი პროკათოლიკური პოლიტიკის გატარება დაიწყო. მისი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო კარდინალ მაზარინის საფრანგეთის პირველ მინისტრად დანიშვნა. ანას სურდა, რომ როდესაც მისი ვაჟი უკვე სრულწლოვანი იქნებოდა, მისთვის აბსოლუტიზმის მწვერვალში მყოფი სახელმწიფო დაეხვედრებინა. ანას მმართველობის ყველაზე თვალსაჩინო მონაკვეთია საფრანგეთის პოლიტიკური კურსის აბსოლუტური შეცვლა და ესპანეთთან და ჰაბსბურგებთან

ურთიერთობების დათბობა. თავად ანა სწორედ ხომ ესპანეთის მეფის ასული და ჰაბსბურგთა დინასტიის უერთგულესი წარმომადგენელი იყო, რის გამოც იგი 1637 წელს დიდ სკანდალში გაეხვა, როდესაც ესპანელებს ფრანგების სამხედრო და პოლიტიკურ საიდუმლოებებს ატყობინებდა, რის გამოც ლუი XIII-ს ის შინა პატიმრობაშიც კი ჰყავდა. მას უბრალოდ სურდა, რომ ამ ორ უდიდეს კათოლიკურ სახელმწიფოს მშვიდობიანად ეცხოვრა ერთმანეთთან, რაც არანაირად ხერხდებოდა.

დედოფლის მმართველობისას ასევე საფრანგეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში მკვეთრად გამოიკვეთა კათოლიკური შტრიხები. აქ იგულისხმება ოცდაათწლიანი ომის დასრულებამდე საფრანგეთის პროტესტანტ მოკავშირე ჰოლანდიასთან კავშირის გაწყვეტა, რომელიც 1648 წელს აღდგა, მას შემდეგ რაც თავად ესპანეთი დაუზავდა ჰოლანდიელებს.

1651 წლის 5 სექტემბერს ლუი XIV სრულწლოვანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ ანა ავსტრიელს რეგენტობა ჩამოერთვა, მომდევნო ათი წლის მანძილზე მაინც ანა და კარდინალი მაზარინი მართავდნენ საფრანგეთს. 1661 წელს კი, მას შემდეგ რაც მაზარინი გარდაიცვალა, ლუი XIV უკვე თავად გახდა სახელმწიფოს მმართველი და მან თავის მთავრობას განუცხადა კიდეც: „ამ მომენტში მე მოხარული ვარ და მადლობას ვუხდი ჩემს მთავრობას, რომ კარდინალ მაზარინთან ერთად ჩემს ნაცვლად მართავდა ქვეყანას. თუმცა, ახლა უკვე დროა, რომ მე თვითონ დავიწყო სახელმწიფოს მართვა. ამიერიდან მე თვითონ ვიქნები ჩემი თავის კარდინალიც და მთავრობაც. მე მეყოლება რამდენიმე დამხმარე სახელმწიფო მართვის საკითხებში და საჭიროების შემთხვევაში სწორედ მათ ვკითხავ რჩევას. ამიერიდან მთავრობას მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში მოვიწვევთ ხოლმე, ამ წუთიდან კი პარლამენტს დაშლილად ვაცხადებ!“ (Rowen: 89).

ვარაუდობენ, რომ პირველად ნანტის ედიქტის არსებობა ლუი XIV-ის მეორე ცოლმა — მადამ დე მენტენონმა გააპროტესტა და მეფეს საფრანგეთის კათოლიკურ სახელმწიფოდ გარდაქმნა მოსთხოვა. ნანტის ედიქტი 1598 წელს დადო საფრანგეთის მეფე ანრი IV-მ (ლუი XIV-ის ბაბუა), რითაც დასრულდა საფრანგეთის რელიგიური ომები, რომელიც 1562 წლიდან მოყოლებული ორ ნაწილად ჰყოფდა ფრანგულ საზოგადოებას. ამ დროს კათოლიკეები და ჰუგენოტები უმოწყალოდ ატერორებდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს, ამ ედიქტით კი ჰუგენოტებს გარკვეული უფლებები მიენიჭათ, რითაც კონფლიქტი გადაიჭრა (Baird: 135-136). თავიდან ამ ედიქტის წინააღმდეგ პირველი ნაბიჯი კარდინალმა რიშელიემ გადადგა, რომელმაც ჰუგენოტების საყრდენი — ლა-როშელი აიღო. თუმცა, თავად ლუის მოსაზრებით, თუ ქვეყანაში მხოლოდ კათოლიკეები იქნებოდნენ, ეს საფრანგეთს უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცევდა და ქვეყნის შიგნით უფრო მეტად

დაისადგურებდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სტაბილურობა. ლუი ფიქრობდა, რომ მთელი ქვეყანა იმავე აღმსარებლობის უნდა ყოფილიყო, რომლისაც მისი მონარქი, ამ შემთხვევაში საფრანგეთი აბსოლუტურად კათოლიკური ქვეყანა უნდა გამხდარიყო.

თავდაპირველად ლუიმ პეტიცია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ყველა ჰუგენოტ სასულიერო პირს ერთმეოდა ქადაგების უფლება. აგრეთვე დაიხურა ჰუგენოტთა ეკლესია-მონასტრები და აიკრძალა პროტესტანტული ქადაგება. მისი ბრძანებით ქვეყანაში არ უნდა ყოფილიყო არცერთი ბიბლია, რომელიც ლათინურის გარდა სხვა ენაზე იქნებოდა დაწერილი, რის გამოც სხვა ენაზე შექმნილი ბიბლიები შეაგროვეს და ვერსალის ეზოში დაწვეს. თავიდან მსგავს დისკრიმინაციას ჰუგენოტების მხრიდან დიდი პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან დარტყმის პირველმა ტალღებმა მხოლოდ დიდგვაროვან ჰუგენოტებზე გადაიარა, თუმცა ისინი მყარად იდგნენ თავიანთ მრწამსზე და რაიმე დიდი გართულება არ მომხდარა.

1681 წლიდან ლუიმ მკვეთრად გააძლიერა ჰუგენოტების დევნა. თავიდან იგი აბსოლუტურად ყველა ჰუგენოტისაგან მოითხოვდა ან კათოლიკობის მიღებას, ან საფრანგეთის დატოვებას. ბევრმა დიდგვაროვანმა სტატუსის შესანარჩუნებლად კათოლიკობა მიიღო, მაგრამ შემდგომ დაბალი ფენებიდან ძალიან დიდი რაოდენობით ხალხის მასამ დაიწყო ქვეყნიდან გადინება, რის შესაჩერებლადაც მეფემ გამოაცხადა, რომ ახლა უკვე ქვეყნიდან წასვლის უფლებაც აღარ ჰქონდათ. ჰუგენოტებს სულ ორი არჩევანი ჰქონდათ, ან კათოლიკობა უნდა მიეღოთ, ან ინკვიზიცია მათ კოცონზე დაწვავდა, როგორც ერეტიკოსებს. ამასთან მეფის ბრძანებით შეიქმნა დრაგონადების სამხედრო ჯგუფი, რომლებიც იყვნენ შეიარაღებული მამაკაცები, ვისაც ევალებოდათ ჰუგენოტების სახლებში ჩამოვლა, მათი ტერორი და კათოლიციზმის უარყოფის შემთხვევაში ადგილზევე ჩახოცვა. საბოლოოდ დრაგონადების სამხედრო ჯგუფის მიერ ადგილზევე იქნა მოკლული ან კათოლიკობაზე მოქცეული ასიათასობით ჰუგენოტი.

1685 წლის 15 მაისს ლუი XIV-მ გამოსცა ფონტენბლოს ედიქტი, რომლის მიხედვითაც ჰუგენოტებს ყველანაირი უფლება ერთმეოდათ. ფონტენბლოს ედიქტის საფუძველზე, 1598 წელს მიღებული ნანტის ედიქტი გაუქმდა, რის გამოც ჰუგენოტებს ჩამოერთვათ ყველა ის უფლება და პრივილეგია, რომელიც მათ ანრი IV-მ მიანიჭათ. 1662 წლიდან 1685 წლამდე გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო პროტესტანტების დასაზიანებლად: აიკრძალა მათი დასაქმება საჯარო ადგილებში/სამსახურებში, რელიგიური კონფესიის გამო მათ შეურაცხყოფდნენ და სხვა (The Catholic Layman).

ლუის ბრძანებით, ამ პერიოდიდან საფრანგეთის მიწაზე უკვე აღარავითარ შემთხვევაში არ დაიშვებოდა არცერთი პროტესტანტი, პასტორი და მათი ეკლესიებიც კი.

ამ პერიოდიდან დაიწყო პროტესტანტული ეკლესია-მონასტრების მასიური დარბევა და დანგრევა. პასტორებს, ვინაიდან მაინც სასულიერო წოდებას მიეკუთვნებოდნენ ლუიმ სამი არჩევანი მისცა: ან კათოლიკეები გახდებოდნენ, ან საფრანგეთს დატოვებდნენ, ან სულაც საერო ცხოვრებას მიჰყოფდნენ ხელს. ის პროტესტანტები კი რომლებიც შეეწინააღმდეგებოდნენ მეფის ბრძანებას, ადგილზევე უნდა მოეკლათ.

იმ დროის მემატიანეები ერთხმად ეკითხებოდნენ ლუის იმ მიზეზის შესახებ, რის გამოც მან ფონტენბლოს ედიქტი გამოსცა. საბოლოო ჯამში, როგორც აღმოჩნდა ლუის რომის პაპ ინოკენტი IX-თან სურდა ურთიერთობების დათბობა, რისთვისაც საუკეთესო გზა მისი შეხედულებით პროტესტანტთა გაჟლეტვა იყო. ასევე ბევრი მიიჩნევს, რომ მან ეს თავისი უდიდესი კონკურენტის, საღვთო რომის იმპერატორ ლეოპოლდ I-ის ჯიბრით გააკეთა, რომელმაც უამრავი ევროპული და ქრისტიანული მიწიდან განდევნა მუსლიმი თურქები და ამით კათოლიკობის დამცველის წოდება მიიღო. ლუიმ კი, ვინაიდან თურქები და მუსლიმები საფრანგეთიდან შორს იყვნენ, გადაწყვიტა რწმენის დამცველის წოდება პროტესტანტთა დევნით მიეღო. ასევე გასათვალიწინებელია ისიც, რომ ლუიმ თავის კორონაციაზე ფიცი დადო, რომლის მიხედვითაც იგი ღმერთს საფრანგეთის მიწიდან ერესის აღმოფხვრას ჰპირდებოდა.

ბევრმა ისტორიკოსმა დაგმო ფონტენბლოს ედიქტი, როგორც საფრანგეთისათვის მწვავე შედეგების მომტანი გადაწყვეტილება. ჰენრი ბეირდის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ნანტის ედიქტის მიღებამ დაარეგულირა რელიგიური წინააღმდეგობები, რომლებიც იყო კათოლიკეებსა, მთელი მოსახლეობის ცხრა მეათედს, და ჰუგენოტებს, ფრანგ პროტესტანტებს შორის – მოსახლეობის ერთ მეათედს შორის (Baird: 137). ამგვარად, ერთ ედიქტს ჰქონდა ლეგიტიმაცია და შესწევდა სათანადო უნარი დაებალანსებინა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები. მისი ფონტენბლოს ედიქტით გაუქმება კი გულისხმობდა ნანტის ედიქტამდე არსებული ან მასზე უფრო დაძაბული სოციალური გარემოს შექმნას.

პროტესტანტების უმრავლესობა საკუთარ საშუშაო სფეროში დახელოვნებული იყო. მრეწველობის აღორძინების პერიოდში მნიშვნელოვანი გახდა ტექსტილის წარმოება და ამით ეკონომიკური სარგებლის ნახვა. სწორედ პროტესტანტები იყვნენ ისინი, ვინც მისცა საფრანგეთს გასაოცარი სამრეწველო წარმოება, რომელმაც მეტი სიმდიდრე მოუტანა ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს (The Catholic Layman). აღნიშნული მაღალკვალიფიციური პიროვნებების ქვეყნიდან გადინებამ კი გამოიწვია საფრანგეთის ეკონომიკის დაცემა, მაშინ, როცა მათ ხარჯზე პროტესტანტულმა ქვეყნებმა იხეირეს. მეორეს მხრივ, არსებობენ ისტორიკოსები, რომლებიც ამ ედიქტს ემხრობიან და აცხადებენ,

რომ სწორედ ამის საშუალებით მოახერხა საფრანგეთმა კათოლიკურ რწმენაზე დარჩენა.

ლუის მმართველობის პერიოდში საფრანგეთი ევროპის წამყვანი და უძლიერესი სახელმწიფო გახდა. მისი მეფობისას მიმდინარეობდა სამი ძირითადი ომი: ფრანკო-ჰოლანდიური ომი, აუგსბურგის ლიგის ომი და ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის. მისმა საგარეო პოლტიკამ თითქმის მთლიანად განსაზღვრა მისი პიროვნება და პირადი ცხოვრება. მან უდიდესი მიწები წაართვა ესპანელებსა და გერმანელებს, რომლის შესაჩერებლადაც 1660 წელს ცოლად შეირთო მარია ტერეზა ესპანელი. ამ პერიოდში საფრანგეთი საგრძნობლად გაფართოვდა და ფაქტიურად თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიებზე გადაიჭიმა. ფრანგულმა ენამ საერთაშორისო ენის მდგომარეობა მოიპოვა, რაც ნათელყოფდა საფრანგეთის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. ესპანური მემკვიდრეობისათვის ომში საფრანგეთმა მოიპოვა გამარჯვება და ესპანეთის ტახტზე მისი შვილიშვილი, ფილიპე V ავიდა.

ლუი XIV-მ თავდაპირველად მხარი დაუჭირა ტრადიციულ გალიკანიზმს, რომელიც საფრანგეთში რომის პაპის ავტორიტარიზმს ამცირებდა, 1681 წელს კი მან კათოლიკური სამღვდელოების კრება მოაწყო. ამ ანსაბლეის დაშლიდან რვა თვის შემდეგ, ასამბლეამ მიიღო საფრანგეთის სამღვდელოების დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც საფრანგეთში მეფის ძალაუფლება იზრდებოდა პაპის ძალაუფლების შემცირების ხარჯზე. ეს დეკლარაცია თავად ლუის იდეა იყო და მან მღვდელმსახურებს არ მისცა კრების დატოვების უფლება სანამ ხელი არ მოაწერეს მისი მიღების თანხმობას. ცხადია ზემოთ ხსენებული დეკლარაცია რომის პაპის ზურგს უკან იქნა მიღებული, რამაც პაპის განრისხება გამოიწვია. მართალია პაპმა გააუქმა იგი, თუმცაღა საფრანგეთში ეს კანონი მაინც მოქმედებაში დარჩა.

ალბათ ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე – რა მოვლენების შემდგომ გამოიკვეთა საფრანგეთში აბსოლუტიზმისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა – გაგვიჭირდება, რადგან როგორც ზემოთ გამოვლინდა ეს იყო მოვლენებისა და პროცესების თანხვედრისა და ზედდების შედეგი, რომელმაც კომპლექსური სახე მიიღო ლუი XIV-ის მეფობისას და მოიცავდა შემდეგ ნიშნებს:

- ძალაუფლების მონოპოლიზაცია
- ძალაზე დაყრდნობა
- რელიგიული ცენტრიზმი
- პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება
- კანონის ინტერპრეტირება მიზნის მისაღწევად

ვერსალის სამეფო კარზე ლუიმ ყველა უმაღლესი რანგის ფრანგი არისტოკრატი

გადაიყვანა საცხოვრებლად, რაც მას აძლევდა მათი ცხოვრების გაკონტროლებისა და აბსოლუტიზმის გამყარების საშუალებას. ლუი ბოლომდე დაეპატრონა დიდგვაროვანთა ცხოვრებას იყო ის, რომ ყოველდღე უნდა მომხდარიყო აღრიცხვა, თუ ვინ რომელ ღონისძიებას დაესწრო, ხოლო თუ არ დაესწრო ამის განმარტებაც უნდა მოჰყოლოდა.

აგრეთვე დიდგვაროვანთა მიერ გაგზავნილ წერილებს აუცილებლად უნდა გაევლო მეფის ცენზორის ხელში, რომელიც გულდასმით ამოწმებდა რაიმე შეფარული ხომ არ ეწერა. მიუხედავად ამისა, ლუიმ მთელ ფრანგულ არისტოკრატიას ვერსალში იმდენად დიდ ფუფუნებაში, ექსტრავაგანტულ ღონისძიებებსა და საოცარ გასართობებში აცხოვრებდა, რომ მათ ამაზე დიდად პრეტენზია არც გამოუთქვამთ, ყოველივეს დაკარგვის შიშით. ამრიგად, მთელი ძალაუფლება ლუის ხელში მოექცა.

ლუი მეთოთხმეტის განხორციელებულ გეგმას თუ შევხედავთ სხვადასხვა კუთხით, მას სამი სამიზნე ჯგუფი ჰყავდა – ერთი, ჩვეულებრივი მოქალაქეები, მეორე, არისტიკრატთა ფენის წარმომადგენლები და მესამე, სასულიერო პირები. სამივე მათგანი სპეციფიკულ მიდგომას საჭიროებდა. კერძოდ, მას მხედველობაში უნდა მიეღო ადამიანთა სოციალური პოზიცია, მათი კულტურული თუ ეკონომიკური კაპიტალი, პრობლემისადმი ამ სოციალური ფენისთვის დამახასიათებელი ემოციური მიდგომის მახასიათებლები. ამგვარად, მას უნდა მოეხერხებინა ერთი მხრივ, ფართო მასების მართვა, მეორე მხრივ კი იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის – არისტორატიის საკუთარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსისკენ წაყვანა, მესამე მხრივ კი რელიგიური წარმომადგენლების წინააღმდეგობის აღკვეთა.

ტრადიციულად ავტოკრატია, ანუ ძალაუფლების მატარებელთა მცირე რაოდენობა (ძალაუფლების მატარებელი შეიძლება იყოს ერთი ადამიანი, მონარქი ან ტირანი,ან პირთა ჯგუფი), ძალისა და ძალაუფლების სათანადო მომართვასთან ერთად იყენებს საზოაგდოების სათანადო ფენის, მოცემული ეპოქის გათვალისწინებით- არისტოკრატთა, ეკონომიკურ უზრუნველყოფას იმისათვის, რომ მათ მიერ წინააღმდეგობის გამოხატვის სურვილი გააქროს. აბსოლუტიზმის წარმატებულად განხორციელებას ხელი შეუწყო მაღალი ფენის წარმომადგენლებისთვის ეკონომიკურად კონფორმული გარემოს შექმნამ. მას შემდეგ რაც საზოგადოების უმეტესობის აზრი იგნორირებული იქნებოდა და მათ არ შეეძლებოდათ მოცემულობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, შემდეგი საფეხური სწორედ დიდგვაროვანთა წინააღმდეგობის გაწევის უნარის გაქრობა იყო.

მეფე ლუიმ მიმართა მარტივ და ეფექტურ ხერხს – დიდებულთა დამოკიდებულების შეცვლა თუ ჩახშობა მან მხოლოდ მატერიალური სიკეთეების მიწოდებით მოახერხა. ამ აქტის განხორციელების შემდეგ უკვე შეგვიძლია ლუი მეთოთხმეტის აბსოლუტიზმის

ეპოქის ათვლა დავიწყოთ, რადგან მან ძალაუფლების ცენტრალიზაციისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.

მეფემ საკუთარ ხელში მოაქცია დიდებულებიც და სასულიერო პირებიც. ასე რომ მას ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა – ვერც ეკონომიკურ საკითხებში, ვერც პოლიტიკურ, განსაკუთრებით კი რელიგიურ საკითხებში. მისი დომინაცია აშკარა გახდა. ლუი მეთოთხმეტის საშინაო პოლიტიკა მისმა რელიგიურმა პოლიტიკამ განაპირობა და როგორც უკვე ითქვა მის მიერ საშინაო პოლიტიკის ამგვარი კურსის არჩევას ჰქონდა ისეთი წინაპირობები, როგორიცაა დედოფალ ანას მისწრაფებები, სამეფოს მართვის მისეული ხედვა, რელიგიური მსოფლმხედველობა და ამ გარემოებების გავლენით შვილის აღზრდა.

როგორც ვახსენეთ აბსოლუტიზმის სულისჩამდგმელს ჰქონდა სურვილი მიეღო რწმენის დამცველის წოდება და მოეპოვებინა რომის პაპის – ინოკენტი IX-ის კეთილგანწყობა და ქვეყანა გაეხადა ცენტრალიზებული. ამ უკანასკნელის სიცხადეში მოყვანის ერთადერთ საშუალებად ევლინებოდა ქვეყნის პროტესტანტული მრწამსისაგან გათავისუფლება და კათოლიციზმის ერთადერთი და უზენაესი რელიგიის რანგში აყვანა. რისთვისაც გამოიყენა არაჰუმანური მეთოდები და რელიგიური მოტივით რეპრესიები (Dean: 141-142).

ლუი XIV-ის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმა ეფუძნებოდა ძალადობრივ გზებს. მეფემ მიზნის მისაღწევად ძალადობრივი საშუალებები გამოიყენა, იმ დროისა და ეპოქის შესაბამისად, ლუის საშუალებებმა გაამართლა მიზანი, თუმცა ამგვარი ძალადობრივი პოლიტიკის გატარებით მიღებული შედეგები აბათილებდა პირველად ჩანაფიქრს.

კონკრეტულად რა ლეგიტიმური მიზეზები იყო და რამ აიძულა საფრანგეთის მეფე ფონტენბლოს ედიქტი მიეღო, უცნობია, თუმცა მან ვერც რწმენის დამცველის წოდება მიიღო და ვერც რომის პაპთან დაალაგა ურთიერთობა. რომის პაპი ინოკენტი IX აცხადებდა, რომ ლუი საფრანგეთში წინა წლების მანძილზე კათოლიკურ სასულიერო წოდებას ავიწროვებდა და ასევე მისი ასეთი ძალადობრივი პოლიტიკა, რომელსაც ჰუგენოტთა მიმართ ახორციელებდა სასტიკად დაგმო. მართალია ბევრი ფრანგი ჰუგენოტი ამის გამო სამშობლოდან გაიქცა, მაგრამ თავად ფრანგი კათოლიკეების უმეტესობა მის ამ ნაბიჯს მიესალმებოდა. საბოლოოდ მის დროს აღმოიფხვრა პროტესტანტიზმი, მაგრამ ლუი XVI-ის დროს ჰუგენოტებმა საფრანგეთში კვლავ გაიდგეს ფესვები, 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციის დროს კი ფრანგ ჰუგენოტებსაც ისეთივე უფლებები მიენიჭათ, როგორიც კათოლიკეებს ჰქონდათ, ასე რომ ლუი XIV- ის მიერ განხორციელებულ სისხლიან აქტებს დროებითი შედეგები მოჰყვა. ნანტის ედიქტი რელიგიური ომების შედეგი იყო (ქეცბაია:

247), რომელიც განსხვავებულად იყო ინტერპრეტირებული მეფე მზის მიერ. არარაციონალური გადაწყვეტილებები თავდაპირველი მიზნის საპირისპირო შედეგით დასრულდა. შეგვიძლია ვთქვათ რომ დროის გასვლის შემდგომ, საკითხის მნიშვნელობის და განსხვავებული აქტუალობის გააზრების შემდეგ ნანტის ედიქტმა მეტი წონა შეიძინა ყოვლისმომცველობისა და ტოლერანტობის იმ ხარისხის გამო, რომელიც მასში იყო მოცული.

ამგვარად, ნანტის ედიქტიდან ფონტენბლოს ედიქტის ჩათვლით პერიოდი რელიგიური ქაოსის, უწონასწორობისა და რელიგიური შეუწყნარებლობის მონაკვეთია. ისტორიკოსები გმობენ ფონტენბლოს ედიქტს, როგორც საფრანგეთისათვის მწვავე შედეგების მომტან გადაწყვეტილებას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ეკონომიკური ასპექტიც. როდესაც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ინდუსტრიალიზაცია მისი მთავარი მამოძრავებელი სწორედ ის პოსტულატები იყო, რომლებიც პროტესტანტულ რელიგიას უდევს საფუძვლად. მამოტივირებელი ფაქტორები, რომლებიც დევს აგროკულტურიდან ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლაში, რელიგიურ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ამ კავშირის უკეთ დასანახად და ჩვენი მსჯელობის არგუმენტირებისათვის მოვიყვანთ გერმანელი სოციოლოგის მაქს ვებერის ნაშრომს ,,პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, რომელშიც იგი რეალობის სპეციფიკურ აღქმასა და რელიგიურ ღირებულებებს შორის რელატივისტურ დამოკიდებულებას აანალიზებს. ვებერი მოცემულ ნაშრომში აღნიშნავს , რომ ინდუსტრია-ლიზაციისა და კაპიტალიზმის ნაცნობი ფორმით არსებობა სწორედ პროტესტანტული მოძღვრებისთვის დამახასიათებელ შრომისმოყვარეობას, მისი მეშვეობით ,,გადარჩენასა“ და სიკვდილის შემდეგ უზრუნველი ცხოვრების მოპოვებაში დევს (Weber). ეს რელიგიური რწმენა უბიძგებდა პროტესტანტებს დაეგროვებინათ სიმდიდრე, მაგრამ არ ჰქონოდათ ინტერესი სიამოვნების მომტანი სურვილების დაკმაყოფილებისადმი. იქცა რა ეს უკანასკნელი პროტესტანტების ცხოვრების კრედოდ, მათ შეძლეს შეექმნათ ამერიკა, ქვეყანა, რომლის საშენი მასალა შრომა და მისდამი თავდადება იყო.

მაშინ როდესაც ამერიკაში ინდუსტრიალიზაცია ფეხს იდგამდა, საფრანგეთმა ხელიდან გაუშვა მაღალკვალიფიციური, შრომისმოყვარე და მოაზროვნე ინდივიდთა ნაკადი, რამაც გამოიწვია საფრანგეთის ეკონომიკის დაცემა. რაც თავის მხრივ ითარგმნება ქვეყნისთვის ნაკლებ ეკონომიკურ სარგებელში, კაპიტალსა და რესურსების დაგროვებაში.

სხვა ქვეყანაში გადასულმა და დევნილმა პროტესტანტებმა თან გადაიტანეს მათი ცოდნა, გამოცდილება, თავდაპირველად მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი კულტურულ სპეციფიკური ჩვევები თუ მახასიათებლები, რომლებიც მთელ მსოფლიოში

გავრცელდა და, რომლებიც წარმატებული და მიზანდასახული ქვეყნისა თუ ინდივიდების სახელთან ასოცირდება. ნაკადის გადინების ხარჯზე პროტესტანტული ეთიკის ქვეყნებმა იხეირეს. სწორედ ამგვარი შესაძლებლობა დაკარგა ამ დროის საფრანგეთმა- გამხდარიყო პირველი კაპიტალისტური ქვეყანა ჰუგენოტების შრომისმოყვარეობისა და მსოფლმხედველობის გამოყენებით (Baird: 6-8).

ლუი მეთოთხმეტის საშინაო პოლიტიკური კურსი გაუმართლებელი და მიუღებელია არაჰუმანურობისა და მის მიერ განხორციელებული რეპრესიების გამო. ლუი მეთექვსმეტის მმართველობის დროს ჰუგენოტებმაც მიიღეს მონაწილეობა საფრანგეთის რევოლუციის დროს 1789-1799 წლებში. რევოლუციის დაწყებიდან რამდენიმე თვეში მიიღეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც ლუი XIV-ის პოლიტიკის საპირისპიროდ, ადამიანთა უფლებების დაცვას მოიცავდა და გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად ორიენტირებული იყო ინდივიდთა თავისუფლების დაცვაზე. იგი იმითაც იმსახურებს კრიტიკას, რომ მან ვერ მოახერხა პოლიტიკური სისტემის მთავრი უნარებისა და შესალებლობების სათანადოდ წარმართვა, კერძოდ მან უგულებელყო მარეაგირებელი უნარი და ვერ მოახდინა სათანადო რეაგირება/,,პასუხი“ მის მიერვე პროვოცირებული რელიგიური ჯგუფების მოთხოვნებზე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბერძენიშვილი, ამირან. პოლიტიკური სოციოლოგია (მეორე შევრებული გამოცემა), თბილისი, 2011.
2. ქეცბაია, კახა. რელიგიის სოციოლოგია(განახლებული). თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.
3. Baird, Henry M. The revocation of the edict of Nantes. New York, Charles Scribner’s sons, 1895.
4. Davis, Stephen M. Louis XIV and the revocation of the Edict of Nantes. მოძიებულია 20 ივლისს. https://www.worldhistory.org/article/2046/louis-xiv-and-the-revocation-of-the-edict-of-nantes/.
5. Dean, Mary Marden. The Strength and The Weakness of the Edict of Nantes.
6. Faye, Jensen. October, 1685: Louis XIV Revokes the Edict of Nantes and French Huguenots Flee to South Carolina. https://schistory.org/october-1685-louis-xiv-revokes-the-edict-of-nantes-and-french-huguenots-flee-to-south-carolina/.
7. Prestwich, Menna. The Revocation of the Edict of Nantes. History, Vol. 73, No. 237 (February 1988), pp. 63-73. https://www.jstor.org/stable/24415892.
8. Rowen, Herbert H. "L'Etat c'est a moi": Louis XIV and the State. French Historical Studies, Vol. 2, No. 1 (Spring, 1961), pp. 83-98. https://www.jstor.org/stable/286184.
9. The Catholic Layman. Results of Intolerance. Revocation of the Edict of Nantes, 1854.
10. Waring. S. The revocation of the edict of Nantes and its consequences. Philadelphia, 1839.
11. Weber Max, The Protestant ethic and the spirit of Capitalism, New York, Charles Scribner’s sons, 1955.

ნინო ლილუაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეკლა ბაბლიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავსტრია-პრუსიის ურთიერთობები 7-წლიანი ომის პერიოდში

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ევროპულ სახელმწიფოთა ამბიციების ურთიერთდაპირისპირებამ მათი ორ მტრულ კოალიციად დაჯგუფება გამოიწვია. ავსტრია, რუსეთი და საფრანგეთი, ინგლისსა და პრუსიას დაუპირისპირდა. შედეგად კი 1756 წელს დაიწყო ე.წ. შვიდწლიანი ომი (1756–1763), გლობალური სამხედრო კონფლიქტი, რომელსაც მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე უინსტონ ჩერჩილი პირველ მსოფლიო ომსაც კი უწოდებდა. საბრძოლო მოქმედებები სამ კონტინენტზე – ევროპაში, აზიასა და ამერიკაში – მიმდინარეობდა და მოიცავდა იმ დროის ზესახელმწიფოთა უმეტესობას.

მე-18 საუკუნის დასაწყისში ევროპის მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში მთავარი როლი ისეთ გიგანტებს ენიჭებოდათ, როგორიც საფრანგეთი, ინგლისი და ესპანეთი იყო. ეკონომიკური რესურსები და სავაჭრო კავშირები მათ სამხედრო ძლიერებას მყარ საფუძველს უქმნიდა. აი, გერმანული სახელმწიფოები კი პროვინციალიზმისა და პარტიკულარიზმის ჭაობში ეფლობოდა.

გერმანული სახელმწიფოებიდან უძლიერესნი იყვნენ ავსტრია, რომელსაც სათავეში ჰაბსბურგების დინასტია ედგა, და პრუსია, რომელსაც ჰოჰენცოლერნები მართავდნენ. შვიდწლიანი ომის დროს პრუსია-ავსტრიის ურთიერთობის მიმოხილვამდე, მეტად მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ იმ გარემოებებზე, რომელთაც მათ შორის კონფლიქტის გაღვივებას დაუდო სათავე.

პირველ რიგში, აღსანიშნავია სილეზიის საკითხი. 1712 წელს ჰოჰენცოლერნთა ტახტი ფრიდრიხ მეორემ დაიკავა, რომელმაც ძალაუფლების ხელში აღებიდან მალევე გადაწყვიტა, შეეცვალა მამის ფრთხილი პოლიტიკა და სილეზიას დასხმოდა თავს – პროვინციას, რომელიც ბოჰემიას ეკუთვნოდა და მაშასადამე, ჰაბსბურგთა მფლობელობაში შედიოდა. მე-12 საუკუნიდან მოყოლებული სილეზიის მოსახლეობა ზრდიდა რეგიონის

აგროკულტურის პროდუქტიულობას, ავითარებდა ქვანახშირის მოპოვებასა და საფეიქრო მრეწველობას. რეგიონი მდიდარი იყო მინერალური რესურსებით და გამოირჩეოდა ეკონომიკური განვითარებით, შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ პრუსიას მისი დაკავება დიდი ხანია სურდა.

სილეზიაში პრუსიის შეჭრის ასახსნელად კარგად უნდა გვესმოდეს იმჟამინდელი ეპოქის სული. მე-18 საუკუნეში დინასტიური დავები, ტერიტორიული ამბიციები, პრესტიჟის, ძალაუფლებისა და დიდების მოპოვების სურვილი ომის დაწყების ლეგიტიმურ საბაბად შეიძლებოდა, მიეჩნიათ. ერთადერთი რამ, რაც ამგვარ ქმედებას უპირისპირდებოდა, ქრისტიანული ეთიკა იყო, თუმცა ბოლო პერიოდში ამ ფაქტორსაც თავისი გავლენა დაეკარგა. აქედან გამომდინარე, მონარქის სურვილებს წინ ვერანაირი ფილოსოფიურ-პოლიტიკურ-მორალური შეხედულებები აღუდგებოდა.

პრუსიის მიერ სილეზიის დაკავება ავსტრიისთვის არა მხოლოდ ტერიტორიულად სტრატეგიული პუნქტის დაკარგვას ნიშნავდა, არამედ მის ავტორიტეტსაც მნიშვნელოვნად ლახავდა. ამას ფრიდრიხ II კარგად ხვდებოდა, ამიტომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას მოხერხებული წინადადების საშუალებით შეეცადა – თუკი ავსტრია სილეზიას დათმობდა, პრუსია პრაგმატული სანქციის პირობებს აღიარებდა. ამისდა მიუხედავად, მარია ტერეზიამ ავსტრიის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არჩია და ასე, 1740 წელს ორი სახელმწიფო იმ ხანგრძლივ დაპირისპირებაში ჩაება, რომელსაც დღეს სილეზიის ომების სახელით ვიცნობთ.

ავსტრიული მემკვიდრეობისათვის მიმდინარე ომის (1740-1748) შემდეგ პრუსია ძლიერ გერმანულ სახელმწიფოდ მოგვევლინა, რომლის მმართველის, ფრიდრიხ II-ის, ამბიციები ავსტრიელ ჰაბსბურგთა ინტერესებს დაუპირისპირდა. ხოლო უშუალოდ შვიდწლიანი ომის – სილეზიის ომების დასკვნითი, მესამე ეტაპის – პერიოდში ორივე გერმანულ სახელმწიფოს საკუთარი მიზნები მკაფიოდ განესაზღვრა.

ფრიდრიხ მეორეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ავსტრიული მემკვიდრეობისათვის მიმდინარე ომის დროს მოპოვებული მნიშვნელოვანი მიწები უნდა შეენარჩუნებინა და საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციისათვის მიეღწია. იგი ცდილობდა პრუსიის ტერიტორიებისა და გავლენების ზრდას მეზობელ რეგიონთა ანექსირების გზით. გარდა ამისა, ფრიდრიხ მეორისათვის პრიორიტეტული იყო პრუსიის ეგიდით გერმანიის კონფედერაციის გაერთიანების საკითხი, რასაც სხვა გერმანელი მთავრებისა თუ სახელმწიფოების გავლენის შეზღუდვის ხარჯზე მიაღწევდა. მის ამოცანას პრუსიის მთავარ ევროპულ ძალად ქცევა და იმჟამინდელ წამყვან ერებს შორის საპატიო ადგილის დაკავება წარმოადგენდა. ამ მიზნებიდან გამომდინარე კი კიდევ უფრო

უცხოველდებოდა სურვილი, გზიდან ჩამოეშორებინა უპირველესი მეტოქე, ავსტრიელ ჰაბსბურგთა დინასტია, და შედეგად რეგიონში საკუთარი ჰეგემონობის შანსები გაეზარდა.

ხოლო მარია ტერეზიასთვის პრიორიტეტული იყო 1748 წლის აახენის ზავით დაკარგული ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სილეზიის დაბრუნება, რეგიონში ძალთა ბალანსის აღდგენა და საკუთარი ინტერესების დაცვა. ამ ყოველივეს იგი პრუსიული ექსპანსიონიზმის შეჩერებისა და მისთვის ტერიტორიული მონაპოვარის ჩამორთმევის გზით გეგმავდა. ჰაბსბურგები თვლიდნენ, რომ პოზიციების შენარჩუნებაში ყველაზე დიდ საფრთხეს პრუსია უქმნიდათ, ამიტომ ბუნებრივია, რეგიონში მისი მზარდი გავლენის შეზღუდვა სურდათ. ჰაბსბურგები დიდი ხანია ევროპის წამყვან მმართველ საგვარეულოთა რიგებში ირიცხებოდნენ, დინასტიის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის კი მეტად მნიშვნელოვანი იყო პრუსიის დამარცხება და რეგიონში ავსტრიის უპირატესობის ხაზგასმა.

ამასთანავე, როგორც საღვთო რომის იმპერატრიცა, მარია ტერეზია საღვთო რომის იმპერიის ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ იღვწოდა და მიაჩნდა, რომ ამ მიზნის მიღწევა-არ მიღწევაზე იყო დამოკიდებული გერმანულენოვან ტერიტორიებზე სტაბილურობისა და წესრიგის შენარჩუნება. ომში მონაწილეობა ავსტრიას საკუთარი ლიდერობის წარმოჩენის ძალიან კარგ საშულებას აძლევდა.

მართალია, შვიდწლიან ომში პრუსია და ავსტრია ტექნიკურად მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან ორივე მათგანი საღვთო რომის იმპერიას წარმოადგენდა, თუმცა მათი ურთიერთობა დაძაბულობითა და უნდობლობით იყო სავსე. 1756 წელს ავსტრია ცდილობა, ჩამოეყალიბებინა ანტიპრუსიული კოალიცია, პრუსიის იზოლაციისა და დასუსტების მიზნით. მართალია, მოკავშირეთა ძიებისა და ალიანსის შექმნის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა (იგი ისტორიაში „დიმპომატიური რევოლუციის“ სახელით შევიდა), თუმცა საბოლოოდ ავსტრიამ მოახერხა, საფრანგეთთან, რუსეთსა და შვედეთთან საერთო ენა გამოენახა და პრუსია დიმპლომატიურ ვაკუუმში მოექცია.

ამის საპირისპიროდ, პრუსიისა და ბრიტანეთის მოკავშირეობა გამოიწვია, ერთი მხრივ, ბრიტანეთის სურვილმა, პრუსიის დახმარებით საფრანგეთისაგან დაეცვა ჰანოვერი – მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელი იყო კოლონიური ექსპანსიონიზმისათვის ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე ომის განახლება – და, მეორე მხრივ, ფრიდრიხ II-ის მისწრაფებამ, ბრიტანეთისგან მიეღო ფინანსური დახმარება. ჰოჰენცოლერნი მონარქი იმასაც იმედოვნებდა, რომ დიდი ბრიტანეთი მოახერხებდა გავლენა ექონია რუსეთზე და მისთვის პრუსიის წინააღდეგ ომში ჩაბმა გადაეფიქრებინა (Rose).

როგორც მალევე გაირკვა, ფრიდრიხ II-ის გათვლები მცდარი აღმოჩნდა. პრუსიის ალიანსმა დიდ ბრიტანეთთან დიდად გააღიზიანა საფრანგეთი; გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთი ვერაფერს გახდა რუსეთთან მიმართებაში და შედეგად პრუსიის წინააღმდეგ სამი უძლიერესი სახელმწიფო – საფრანგეთი, რუსეთი და ავსტრია – გამოვიდა მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთის დახმარება პრუსიის მიმართ მხოლოდ სუბსიდიების გაგზავნით შემოიფარგლებოდა.

საბოლოოდ, 1756 წელს, ფრიდრიხ II-მ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, შეუტია ავსტრიის მოკავშირე საქსონიას და სამხედრო მოხერხებულობის წყალობით სწრაფად შეძლო მისი დაკავება, სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება და ომისათვის მნიშვნელოვანი რესურსებით პრუსიის უზრუნველყოფა.

თავდაპირველი წარუმატებლობის შემდეგ ავსტრია და მისი მოკავშირეები აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ. ისინი საქსონიიდან ფრიდრიხ II-ის განდევნასა და რეგიონში კონტროლის აღდგენას ცდილობდნენ. მართალია, ავსტრიის არმიამ ფელდმარშალ ლეოპოლდ ჯოზეფ ფონ დაუნის მეთაურობით გარკვეული ტაქტიკური გამარჯვებები მოიპოვა, თუმცა ფრიდრიხის მთავარსარდლობამ, მისმა სამხედრო რეფორმებმა და მისი ჯარის გამძლეობამ პრუსიას ავსტრია-საფრანგეთ-რუსეთის გაერთიანებული შემოტევების მოგერიების შესაძლებლობა მისცა.

1757 წელს პრუსიის მეფემ შეუტია ავსტრიის პროვინცია ბოჰემიას, თუმცა ავსტრიელებთან გამართულ საველე ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მალავე მოუწია მისი დატოვება. 1757 წელს პრუსიის წინააღმდეგ ომში ჩაება საფრანგეთი და მალევე დაპირისპირებას რუსეთის იმპერიაც შეუერთდა. 1759 წელს კი კუნერსდორფის ბრძოლაში რუსეთის იმპერიასთან განცდილი მარცხის შემდეგ საფრთხე შეექმნა პრუსიის დედაქალაქ ბერლინს, ამრიგად, ფრიდრიხ II სრული კრახის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. როგორც ამბობენ, მან წერილიც გააგზავნა, სადაც წერდა: “ყველაფერი დაკარგულია. გადაარჩინეთ სამეფო სასახლე და არქივები“.

რუსეთმა აღმოსავლეთ პრუსია დაიკავა, ავსტრიამ – სილეზია. 1760 წელს კი ავსტრიელებისა და რუსების გაერთიანებულმა არმიამ პრუსიის დედაქალაქ ბერლინს შეუტია. აქ მნიშვნელოვანია, ვახსენოთ, რომ ბერლინელებმა ქალაქი რუსებს და არა ავსტრიელებს ჩააბარეს, რაც მეტად საინტერესო დეტალია პრუსია-ავსტრიის ურთიერთობის განხილვისას.

ამ ყოველივეს მიუხედავად, პრუსია, რომელიც ფაქტობრივად დამარცხების ზღვარზე იმყოფებოდა, განსაცდელს სასწაულებრივად გადაურჩა. კერძოდ, მოკავშირეებს შორის არსებულმა შეუთანხმებლობამ ფრიდრიხ II-ს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, 1761 წელს კი

– ამ პერიოდს 7 წლიან ომში შეიძლება, გადამწყვეტი როლიც კი მივაკუთვნოთ – იმპერატრიცა ელიზავეტას გარდაცვალების შემდეგ რუსეთის იმპერიის გვირგვინი მის დისშვილ პეტრე III-ს ერგო. ეს უკანასკნელი ფრიდრიხ II ჰოჰენცოლერნს უდიდეს თაყვანს სცემდა, ამიტომ პრუსიასთან ომი უმალ შეწყვიტა და მასთან ზავი დადო. მართალია, პეტრე III მალევე ტახტიდან ჩამოაგდეს, მისმა მემკვიდრე ეკატერინა II-მ კი ზემოხსენებული ხელშეკრულება გააუქმა, თუმცა რუსეთს პრუსიასთან ომი აღარ განუახლებია. ამრიგად, აღმოსავლეთ პრუსია მოწინააღმდეგის მარწუხებისაგან გათავისუფლდა და რუსეთის ომიდან გასვლამ ფრიდრიხ II-ს მისცა შანსი, მიმდინარე მოვლენებისათვის კურსი თავის სასიკეთოდ შეეცვალა.

საფრანგეთი და ავსტრია ამ მაშტაბური ომის გამო უკვე დიდ ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდნენ, დიდი იყო ადამიანური დანაკარგებიც, განსაკუთრებით ავსტრიის მხარეს, ამიტომ, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 1763 წელს ხელი მოეწერა პარიზის ზავს, რითიც წერტილი დაესვა დაპირისპირებას. ევროპის კონტინენტზე დროებით მშვიდობამ დაისადგურა.

შვიდწლიან ომში პრუსიამ და ბრიტანეთმა გაიმარჯვეს. მართალია, ომის დასაწყისში ყველაფერი პრუსიის მარცხისკენ მიუთითებდა, იქიდან გამომდინარე, რომ მას უწევდა, მარტოს ებრძოლა სამი უძლიერესი სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა კონფლიქტი სრულიად საპირისპირო შედეგებით დასრულდა. პრუსია განადგურებას გადაურჩა, რადგან მის სასარგებლოდ იმოქმედა სამმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა: მოკავშირეები არ მოქმედებდნენ კოორდინირებულად, მათ სარდლობაში ყოველთვის უთანხმოება იყო და კონფლიქტის გადამწყვეტ ეტაპზე რუსეთის იმპერიის ტახტი ფრიდრიხ მეორისადმი სიმპათიებით განმსჭვალულმა პეტრე III-მ დაიკავა. გარდა ამისა, პრუსიის წარმატებაში, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის თავად ფრიდრიხ II-ს, რომლის დიპლომატიურმა მანევრირებამ, ომების სერიამ და სამხედრო მოხერხებულობამ მნიშვნელოვნად გაზარდა პრუსიის ტერიტორიები და იგი ევროპის წამყვან სამხედრო ძალად აქცია. სწორედ ამის გამო ფრიდრიხ II თანამედროვე გერმანიის ისტორიის ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად მოიხსენიება ხოლმე.

ახლა კი შეგვიძლია, განვიხილოთ შვიდწლიანი ომის შედეგები: პრუსია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ზესახელმწიფოდ და დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის სილეზია; დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთს წაართვა კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში, რის შედეგადაც უდიდეს კოლონიურ იმპერიად იქცა და ზღვების ბატონი გახდა; თუმცა დიდი ბრიტანეთი რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და კოლონიების ექსპლუატაცია გადაწყვიტა, რასაც ამერიკის რევოლუცია და აშშ-ს,

დღევანდელი უძლიერესი სახელმწიფოს, დაბადება მოჰყვა; ფინანსურ კრიზისში ჩავარდება საფრანგეთიც, რამაც 1789 წლის დიდი რევოლუცია გამოიწვია.

საბოლოო ჯამში, ომმა კიდევ უფრო გააუარესა ავსტრიისა და პრუსიის ისედაც დაძაბული ურთიერთობა და გაამწვავა განხეთქილება ორ გერმანულენოვან სახელმწიფოს შორის. პრუსია ევროპის უძლიერეს მოთამაშედ და წამყვან პროტესტანტულ გერმანულ სახელმწიფოდ მოგვევლინა, ხოლო კათოლიკური ავსტრიის მარცხმა მასზე მცირე გერმანულ ძალასთან მნიშვნელოვნად შელახა ჰაბსბურგთა საგვარეულოს ავტორიტეტი. სილეზიის გამო დაწყებულმა კონფლიქტმა სათავე დაუდო უფრო ხანგრძლივ ავსტრიულ-პრუსიულ მეტოქეობას გერმანულენოვან ხალხზე ჰეგემონობის მოპოვებისათვის, რომელიც 1866 წელს ავსტრო-პრუსიული ომით დაგვირგვინდა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Higonnet, P. L.-R. (1968). The Origins of the Seven Years' War. The Journal of Modern History, 40(1), 57–90. http://www.jstor.org/stable/1877721
2. Ropes, A. R. (1889). The Causes of the Seven Years' War. Transactions of the Royal Historical Society, 4, 143–170. https://doi.org/10.2307/3678165
3. Rose, J. H. (1914). Frederick the Great and England, 1756-1763. The English Historical Review, 29(113), 79–93. http://www.jstor.org/stable/551264

ანანო ნეფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქალების როლი საფრანგეთის დიდ რევოლუციაში

საფრანგეთის დიდი რევოლუცია უდიდესი მასშტაბების მქონე ისტორიული მოვლენაა, რამაც საფუძველი მოამზადა მსოფლიოს გარშემო რევოლუციებისათვის და მისი სასტიკი სახის მიუხედავად, ხელი შეუწყო ხალხის თანასწორობის, მოქალაქეობის ცნებისა და განმანათლებლობის იდეების დამკვიდრებას.

განსაკუთრებით საინტერესოა ქალების როლი საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობისას. ქალების, რომლებიც რევოლუციის გაჩაღების პერიოდიდან იმავე მონდომებით იბრძოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ, რა მონდომებითაც კაცები, თუმცა მათი, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეების,უფლებები არასოდეს არ იდგა დღის წესრიგში.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს შემდეგი საკითხი, ქალების როლი საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. აღნიშნული თემა არის საკმაოდ ვრცელი, რამაც მისი დაკონკრეტების საჭიროება შექმნა. ჩემი კვლევა მოიცავს შემდეგი საკითხების: საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის (1789-1793) პერიოდში ქალთა რევოლუციური მოძრაობების, მარია-ანტუანეტას, ოლიმპია დე გუჟის, მერი ვოლსტოუნკრაფტ შელის, შარლოტა კორდეს, ტერუან დე მერიკურისა და მადამ დე სტალის ბიოგრაფიებისა და როლის, იაკობინელთა პერიოდში ქალთა ცხოვრებისა და აქტივისტი ქალების სიკვდილით დასჯის მიზეზების დეტალურ ანალიზს.

წინამდებარე ნაშრომი მეტად აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ იგი აღნიშნული პრობლემის შესწავლის პირველი მცდელობაა. არსებულ საკითხთნ დაკავშირებით არ არსებობს ქართული სამეცნიერო ნაშრომები და იგი სიახლეს წარმოადგენს.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა, თუ როგორ მოქმედებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირობებში ქალებზე განმანათლებლობის იდეები და ფრანგ ქალთა შორის ყალიბდებოდა მოლოდინი, გათანაბრებულიყო ქალებისა და კაცების მოქალაქეობრივი უფლებები, შექმნილიყო დეკლარაცია ქალთა უფლებებისთვის, დადებულიყო სოციალური კონტრაქტები არა მხოლოდ მოქალაქეებსა და მთავრობას, არამედ ოჯახის წევრებს შორის და აღმოფხვრილიყო ქალთა ის

პრობლემები, რომლებსაც ისინი ოჯახში, საზოგადოებაში თუ სამუშაო სივრცეში მრავალი საუკუნის განმავლობაში აწყდებოდნენ. ქალთა აქტივიზმი საფრანგეთის დიდ რევოლუციაში ფემინისტური მოძრაობის საძირკველს წარმადგენს.

მოცემული ისტორიული საკითხის განხილვისას საინტერესოა მარია-ანტუანეტას, როგორც ქალისა და პოლიტიკური ფიგურის როლი და რევოლუციის დროინდელ ფრანგულ საზოგადოებაში მის მიმართ ზიზღის რეალური მიზეზები. არსებობს მოსაზრება, რომ მარია-ანტუანეტა არისტოკრატიასთან ერთად მანიპულირებდა ლუი XVI-ის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რის გამოც, რევოლუციის მაპროვოცირებლად მიიჩნევა. თუმცა, ისტორიკოსებში არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც მარია-ანტუანეტა მეუღლისა და XVIII საუკუნის საზოგადოების მსხვერპლია. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარეებს დავა, თუმცა ჩემი კვლევა მოვლენებს შემდეგნაირად ხსნის; იაკობინელთა მიერ 1793 წლის 16 ოქტომბერს, მარია-ანტუანეტას თავის მოკვეთა იყო არა მონარქისტული საზოგადოების პოლიტიკური სიმბოლოს განადგურება, არამედ რეაქცია საზოგადოებიდან წამოსულ ზიზღზე, რაც გამოწვეული იყო XVIII საუკუნის საფრანგეთში ქალის დაკნინებული როლითა და ეთნიკური ფაქტორით, რადგანაც მარია-ანტუანეტა იყო ავსტრიიდან, სახელმწიფოდან, რომელთანაც დიდი რევოლუციის პერიოდში საფრანგეთი ომობდა. დედოფალი მოკლეს, რადგან იგი არისტოკრატი ქალების საჯაროობის, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისა და ემანსიპაციის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ქალის, როგორც მოქალაქის უფლებებისთვის ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის მეტად საინტერესო ასპექტს წარმოადგენს. ამ მხრივ გამორჩეულია ორი ქალბატონის, ფრანგი აქტივისტი ოლიმპია დე გუჟისა და ბრიტანელი ფილოსოფოსის მერი ვოლსტოუნკრაფტ შელის მოღვაწეობა, რომლებმაც ქალის უფლებების იდეა პირველად შემოიტანეს საზოგადოებაში. ისინი იბრძოდნენ, იმისათვის, რომ ქორწინება და მთავრობა „სოციალური კონტრაქტის“ ნორმებში ჩამჯდარიყო, ქალებს მისცემოდათ განათლების, დასაქმების, კერძო საკუთრებისა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის უფლება, რამაც შემდგომ ფემინისტური ტალღებისა და ქალთა საბოლოო ემანსიპაციისთვის მოამზადა საფუძველი. ამასთან, მნიშვნელოვანია მებრძოლი ქალების,მადამ დე სტალისა და ტერუან დე მერიკურის, ბიოგრაფიათა განხილვა, მათი როგორც პატრიარქალური საზოგადოების ორატორული და მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ლიდერების სახის გაანალიზება და ყველაზე მეტად შარლოტა კორდეს, რევოლუციის გმირის, ქმედებებისა და იაკობინელთა მიერ მისი და სხვა პოლიტიკურად აქტიური ქალების სიკვდილით დასჯის მიზეზების შეფასება.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია პარიზსა თუ საფრანგეთის პროვინციებში ხალხის

ფართო მასებში ეკონომიკური გაჭირვების, შიმშილისა და სახელწიფოს ვალების გამო ნელნელა იკრებდა ძალას და გავლენას, თუმცა მნიშვნელოვანია ქალების ასეთი მკვეთრი ჩართულობის რეალური მოტივები, რასაც ოვლენ ჰ. ჰუპტონი საკუთარ კვლევაში შემდეგნაირად ხსნის: ქალების პოლიტიკური აქტივიზმი იქნება პარიზიდან, ქალაქიდან, რომლის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი შედგებოდა ქალთა კოლექტიური შრომისაგან, გადასახადები, კი რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიის გავლენით მუდმივად იზრდებოდა, ქალთა აღშფოთებას და მათ გაერთიანებას უწყობდა ხელს, ამ ყველაფრის კულმინაცია კი ერთიანი საზოგადოების მიერ ქალთათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმა გახდა. ქალები არ აღიქმებოდნენ საფრანგეთის მოქალაქეებად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ აპოლიტიკურები და ეს უსამართლობა მათ აიძულებდა, ებრძოლათ არა მხოლოდ უკეთესი სახელმწიფოს, არამედ უკეთესი უფლებრივი მდგომარეობისა და თანასწორობისათვის (Hufton: 1).

აღსანიშნავია, რომ ქალთა მოძრაობა და პოლიტიკური ფემინიზმი პარიზის სალონებიდან იღებს სათავეს, სადაც ქალებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ იმდროინდელ განმათავისუფლებელ იდეებს და მისწრაფებებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურა, რომლის რევოლუციონისტური ხედვებიც სალონებმა ჩამოაყალიბა იყო ქალბატონი დე სტალი, რომელიც ნაადრევი ასაკიდანვე შეუდგა სალონის წარმართვას და აქ შეკრებილმა განმათავისუფლებელმა იდეებმა უდიდესი კვალი დატოვა მის ცხოვრებაზე.

ჟერმენ დე სტალი დაიბადა 1766 წლის 22 აპრილს პარიზში და გარდაიცვალა 1817 წლის 14 ივლისს. მისი სრული სახელი იყო ანა-ლუიზა-ჟერმენ ნეკერი, ხოლო შვედეთის ელჩთან, ბარონ ერიკ დე სტალ-ჰოლშტაინთან ქორწინების შემდეგ, იგი გახდა ბარონესა დე სტაელ-ჰოლშტაინი. მისმა მშობლებმა დიდი გავლენა მოახდინეს მის მსიფლხედვაზე. მისი მამის, ჟაკ ნეკერის, მეფე ლუი XVI-ის ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკური რეფორმები სახელმწიფო ვალების შესამცირებ;ად საკმაოდ არაპოლულარული აღმოჩნდა როალისტთა შორის. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მადამ დე სტალი დარწმუნებული იყო მამის გადაწყვეტილებათა სისწორეში და მისმა გავლენამ სტალის სამომავლო გადაწყვეტილებებზე უდიოდესი გავლენა მოახდინა. მადამ დე სტალის დედა, სიუზან კურჩოდი, პარიზის სალონს უძღვებოდა, სადაც სტალს ადრეული ასაკიდანვე საშუალება ჰქონდა შეხვედროდა ისეთ დიდ განმანათლებლებს, როგორებიც იყვნენ ვოლტერი და დენი დიდრო. ამის შემდეგ დედის მსგავსად სტალმა განაგრძო სალონის გაძღოლა. იგი ხვდებოდა ისეთ პოლიტიკურ ფიფურებსაც, როგორებიც იყვნენ, თომას ჯეფერსონი, ლაფაიეტი, თომას პეინი და გუბერნატორი მორისი (ამერიკელი ელჩი პარიზში), რამაც მისი

თვალსაწიერი მსოფლიო პოლიტიკასთან დაკავშრებით კიდევ უფრო გააფართოვა. ამასთან, იგი აწარმოებდა მიმოწერას გუბერნატორ მორისთან, მათი მიმოწერები კი კონგრესის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია განთავსებული. აღსანიუშნავია, რომ დე სტალი პოლიტიკურად ცენტრისტთა პოზიციებს იზიარებდა და მისი ნეიტრალური მოსაზრებები მას საფრთხეს შეუქმნიდა რევოლუციის უფრო რადიკალურ ფაზაში. დე სტალის, როგორც მწერლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობა უდავოა. მან დაწერა მრავალი პოლიტიკური ნაწარმოები, ასევე რომანი, პიესა და ლიტერატურული კრიტიკა. დე სტაელი აღფრთოვანებული იყო გერმანული რომანტიზმით, იტალიაში მოგზაურობის შემდეგ კი მისი შთაბეჭდილებები მის მრავალ პუბლიცისტურ ნაწარმოებში აისახა, რაც შემდგომში ნაპოლეონის კრიტიკის საგნად იქცა. ბონაპარტი მის შემოქმედებას არაპატრიოტულს უწოდებდა, რასაც დე სტალი საჯაროდ უპირისპირდებოდა და უარყოფდა. აქიდან გამომდინარე კი აშკარად იგრძნობა მისი შინაგანი პიროვნული ძალა და გამბედაობა, რაც ქალთა შემდგომი გაძლიერებისა და მწერალ ქალთა საქმიანობის გაფართოების მაპროვოცირებელ ძალად იქცა (Stephens: 52-60).

როგორც უკვე აღინიშნა, სალონი და აქ შეკრებილი საზოგადოების იდეები, რევოლუციის მაპროვოცირებელი ძალა აღმოჩნდა. ამ ადგილას კი ქალები თავისუფლების, პოლიტიკური უფლებებისა და თანასწორუფლებიანი სასამართლო სისტემის, მოქალაქეებზე მორგებული სახელმწიფოს მოდელის შესახებ იდეებს ეცნობოდნენ და სამოქმედო გეგმას ქმნიდნენ, თუმცა პიროვნება, რომელმაც ქალთა აზრებსა და ყველაზე მწვავე პრობლემებს თავი მოუყარა და საზოგადოების ფართო მასებისთვის სააშკარაოზე გამოიტანა, იყო ოლიმპია დე გუჟი, რომელიც იყო აქტივისტი, ჟურნალისტი და მწერალი და მიიჩნევდა, რომ მისი კალმითა და საზოგადოებისათვის განათლების დონის ამაღლებით, ქალები უფლებებს მოიპოვებდნენ.

ოლიმპია დე გუჟი, დაიბადა 1748 წლის 7 მაისს მონტობანში და გარდაიცვალა 1793 წლის 3 ნოემბერს პარიზში. ის იყო სოციალური რეფორმატორი და დრამატურგი, რომელიც ქალებისა და ბავშვების გაძლიერებისათვის იღწვოდა. მას შემდეგ რაც, 1789 წელს "ადამიანის უფლებათა დეკლარაცია" გახდა საფრანგეთის კონსტიტუციის პრეამბულა, გუჟმა კონსტიტუციის საკუთრი ვერსია გამოსცა, სადაც ქალები მოქალაქეებად მოიხსენია და მათი უფლებები კანონის წინაშე კაცთა უფლებებს გაუთანაბრა. მან ქალთა უფლებების დეკლარაცია დედოფალ მარია-ანტუანეტას მიუძღვნა. საინტერესოა, რომ ოლიმპია ფრანგი საზოგადოების პოლიტიკურ წრეები საკმაოდ არაპოპულარული იყო; რადიკალთა მიერ იგი ზედმეტად ზომიერად აღიქმებოდა, ზომიერები მას ზედმეტად რადიკალად მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთგულება და სიმპათიები აშკარად

ეყრდნობოდა უფრო ზომიერ ჟირონდისტებს, გუჟი იყო იდეალისტი, რომელიც იბრძოდა არა მხოლოდ ქალთა უფლებებისთვის, არამედ საფრანგეთის კოლონიებში მონობის ინსტიტუტის წინააღმდეგ. 1788 წელს მან დაწერა ნარკვევი სათაურით "Réflexions sur les hommes négres" (რეფლექსია შავკანიან კაცებზე) (Kaur: 122-124).

ოლიმპია დე გუჟის მოღვაწეობა განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან იგი იყო პირველი, ვინც ქალთა პოლიტიკური უფლებების ცნება წამოაყენა. იგი ამასთან იყო პატრიოტი, რომელიც მუდამ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის იღწვოდა და საკუთარ მემუარებში წერდა, თუ რაოდენ ტრაგიკული იყო მისთვის ომის პერიოდში ფრანგ მოქალაქეთა სისხლისღვრა. იგი იაკობინელთა რეჟიმს ტირანთა მმართველობად მოიხსენიებდა და საჯაროდ უპირისპირდებოდა მარატს, იაკობინელთა სისხლისმღვრელი მანქანის მთავარ მამოძრავებელს. ამასთან ოლიმპიას მიზანს შიმშილის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენდა. მის საჯარო მიმართვებში იგი მუდმივად მოითხოვდა სახელმწიფო ჩართულობის გაზრდას ღარიბთა დასახმარებლად (Stephens: 107-120).

აუცილებლად უნდა განვიხილოთ, გუჟის კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც წინ უსწრებდა იმდროინდელი საზოგადოების აზროვნებას და ქალთა უფლებების დეკლარაციის პირველწყაროა. სწორედ გუჟი იყო ინსპირაცია ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი მერი უინსტრნკრაფტ შელისათვის, რომელმაც 1792 წელს ქალთა უფლებათა დაცვის დოკუმენტი გამოუშვა და ოლიმპიას ნაშრომის მაგალითზე ქალთა ძირითადი და ფუნდამენტური უფლებები ჩამოაყალიბა. მან ბრიტანულ საზოგადოეებაში პირველად გააჟღერა, რომ ქალი რაციონალური არსებაა და მაშასადამე, მას უფლება აქვს მიიღოს განათლება და იყოს ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის გამო კი იგი პოლიტიკოს კაცთა მიერ მუდმივად ხდებოდა განკითხვის ობიექტი და მისი ასეთი აქტიურობის ფონზე კონტროლდებოდა მისი, როგორც უუფლებო ქალის პირადი ცხოვრება და საზოგადოების ფართო მასებისთვის სააშკარაოზე გამოდიოდა, რაც მერის მასების ჩაგვრის ობიექტად აქცევდა და შესაბამისად, ცხოვრების ბოლო წლებში მან მუშაობის გაგრძელებაც კი ვერ შეძლო და სოციუმისაგან გაირიყა. ეს კი იყო გარდაუვალი აღსასრული დამოუკიდებელი და თავისუფალი ქალისა, რომელიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გამოსასწორებლად ბრძოლას იწყებდა. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მერის ნაშრომები დღემდე ინახება და მან უდიდესი გავლენა მოახდინა ბრიტანული საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე და ხედვენზე ქალთა მიმართებაში.

რაც შეეხება ოლიმპიას ძირითად მუხლებს, მისი პირველი მუხლისა მუხედვით ქალი იბადება როგორც თავისუფალი და კაცის თანასწორი არსება, მეორე მუხლი კი მას

პოლიტიკური აქტივისტის უფლებას აძლევს და ამ უკანასკნელს აუცილებლადცა კი მიიჩნევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოლიმპია მუხლებში სახელმწიფო სუვერენიტეტს განმარტავს და ამ ცნებას ქალთა ყოფას უკავშირებს. იგი აცხადებს, რომ როგორც სახელწმიფო უნდა იყოს სუვერენული, დამოუკიდებელი, მის შიდა პოლიტიკაზე საგარეო ფაქტორების გავლენის აკრძალვითა და თავისუფლებით, ასევე უნდა იყოს ქალი და მისი თავისუფლება არც ერთმა გარე ფაქტორმა არ უნდა შეზღუდოს. აქვე განმარტებულია, რომ ქალს აქვს სიცოცხლის უფლება და კანონის წინაშე აკრძალულია მისი სიცოცხლის აღკვეთა და სიკვდილით დასჯა. ოლიმპია მეათე მუხლში ეხმიანება გამოხატვის თავისუფლებასა და აცხადებს, რომ არავის აქვს უფლება ქალი შეურაცჰყოს საკუთარი განსაკუთრებული აზრის გამო. იგი აქცენტს აკეთებს საკუთრებაზე და წერს, რომ ქალს აქვს უფლება ჰქონდეს კერძო საკუთრება და ქორწინების შემდგომ მისი ავტომატურად ქმარზე გაფორმება უდიდესი უსამართლობაა. ოლიმპია მიიჩნევდა, რომ ქალები როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები, თანაბრად უნდა ყოფილიყვნენ საჯარო აქტივობებში ჩართულნი და მათ უნდა ჰქონოდათ მუშაობის უფლება ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც კაცებისთვის იყო ხელმისაწვდომი, რათა საკუთარი ფინანსები განესაზღვრათ და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებით ემანსიპაციისათვის მოემზადებინათ საფუძველი. საინტერესოა, რომ ოლიმპიამ განიხილა ქალების უფლებები დაშორების შემდგომ და მისი ქმართან ურთიერთობის სამართლებრივი დეტალები, შეთანხმების აუცილებლობა და პირობები, რაც უპირველესია საზოგადოების არსებობის მანძილზე და დღემდეა მოქმედი საფრანგეთისა და ბრიტანეთის, ისევე როგორც მრავალი განვითარებული სახელმწიფოს კონსტიტუციაში (Bessieres, Niedzwiecki: 9-18).

მნიშვნელოვანია ისტორიკოსთა შეფასებები საფრანგეთის რევოლუციის და ფემინისტური მოძრაობების კვეთის შესახებ. ჯეინ აბრეის სტატიაში რევოლუციის პერიოდის ფემინისტური ტალღის შესახებ ვაწყდებით მოსაზრებებს, რომ „რევოლუციური ფემინიზმი“ ფრანგთა საზოგადოებაში უდიდესი არაპოპულარობით სარგებლობდა, თუმცა მისმა კულმინაციამ ყოვლისმომცველ სოციალურ ცვლილებათა რეალური ფენომენი შექმნა (Rose: 190).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რევოლუციის გმირის შარლოტა კორდეს ღვაწლი, რომელმაც შეძლო და იაკობინელთა ტერორის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ჟან-პოლ მარატი, საკუთარი მოქნილობით სიცოცხლეს გამოასალმა. შარლოტა კორდე, დაბადებული მარი-ან-შარლოტა კორდე დ'არმონი დაიბადა ნორმანდიაში 1768 წლის 27 ივლისს და სიკვდილით დასაჯეს 1793 წლის 17 ივლისს პარიზში. კორდე დაკრძალულია პარიზის მე-8 ოლქის Chapelle Expiatoire-ში. საინტერესოა, რომ ეს სასაფლაო ეძღვნება

მარია-ანტუანეტას და მის მეუღლეს მეფე ლუი XVI-ს, თუმცა ისინი სხვაგან არიან დაკრძალულნი. ის ძირითადად ახსოვთ, როგორც საფრანგეთის რევოლუციის ლიდერის, ჟან-პოლ მარატის მკვლელი, როდესაც ის სახლში აბაზანაში ისვენებდა. იგი დაიბადა ღარიბ, მაგრამ კეთილშობილურ ოჯახში ოვერნი-რონ-ალპების რეგიონში, საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ ის განათლებას ღებულობდა კაენში, რომელიც ჩრდილოეთ ნორმანდიაშია. მან დაიწყო იქ პოლიტიკურ შეხვედრებზე სიარული და შთაგონებული იყო რევოლუციის, განსაკუთრებით კი ჟირონდინების ფრაქციის იდეებით. ჟირონდისტები უფრო ზომიერი ფრაქცია იყო, რომელიც კონსტიტუციური მთავრობის მომხრე იყო. ისინი წარმოადგენდნენ საფრანგეთის განათლებულ პროვინციულ საშუალო ფენას (იურისტები, ვაჭრები და ა.შ.) და იდგნენ "პარიზის ბრბოს" წინააღმდეგ, რომელიც მიდრეკილია მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის, იაკობინების თანხვედრაში. კორდე გრძნობდა, რომ იაკობინელები ძალიან რადიკალურები იყვნენ და მას სურდა რევოლუცია შედარებით ზომიერ ჩარჩოებში შეენარჩუნებინა, რაც მათი ერთ-ერთი პოპულარული ლიდერის, ჟან-პოლ მარატის ლიკვიდაციით სცადა. ამის გათვალისწინებით, იგი გაემგზავრა პარიზში და დაჟინებით მოითხოვდა მარატის ნახვას, პირობა დადო, რომ ან რევოლუციის მოღალატეების სახელებს გაამჟღავნებდა, ან ჟირონდელი ნაცნობების სიცოცხლეს ევედრებოდა (ისტორიული ჩანაწერები არ ეთანხმება მარატთან შეხვედრის მის სავარაუდო მიზეზს). მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოახერხა მარატთან წვდომა, ის შეუშვეს, როდესაც ის ბანაობდა (მას კანის დაავადება ჰქონდა) და მან დანა პირდაპირ გულში გაუყარა, რამაც მისი მყისიერი სიკვდილი გამოიწვია. იგი მაშინვე დააკავეს და მალევე ცნეს დამნაშავედ და გილიოტინას ჩაუყენეს. ყველა ანგარიში ადასტურებს მამაც და ღირსეულ სიკვდილს. მარატის მკვლელობა მემორიალური იყო ჟაკ-ლუი დავიდის ცნობილ ნახატში, „მარატის სიკვდილი“, რომელიც ლუვრშია დაკიდებული. თავდაპირველად მისმა ძალადობრივმა საქციელმა პარიზში სკანდალი გამოიწვია და ზოგიერთის აზრით, ეს ცუდად აისახა რევოლუციონერ ქალებზე. ბევრი ქალი ამ მიზეზით შორდებოდა მას. კორდეს განზრახვა – იაკობინების ძალაუფლების შეესუსტებინა, წარუმატებელი აღმოჩნდა. მარატმა ერთ ღამეში მოიპოვა მოწამეობის სტატუსი და ჟირონდისტები, როგორც ფრაქცია, დემონიზებული და ლიკვიდირებული იქნა შემდგომი იაკობინების ხელმძღვანელობით განხორციელებული ტერორის დროს. თუმცა, კორდეს სახელი ცხოვრობს საფრანგეთის პოპულარულ მეხსიერებაში მრავალი ხელოვნების, პოეზიის, პიესებისა და ლიტერატურის საშუალებით. მას ფრანგმა მწერალმა ალფონს დე ლამარტინმა მიანიჭა სახელი "მკვლელობის ანგელოზი", რომელმაც მას მიუძღვნა მისი სერიის ნაწილი, ჟირონდინების ისტორია (1847). მიუხედავად მისი პოლიტიკური

შეხედულებებისა, შარლოტა კორდემ შეცვალა ქალების შეხედულება რევოლუციის დროს პირადი აგენტურობისა და საკუთარი რწმენის გამბედაობის თვალსაზრისით.

კორდეს ღვაწლი, როგორც მებრძოლი ქალის მაგალითის საზოგადოებაში უდოდესია. იგი არ მოერიდა საკუთარი თავის გაწირვასაც კი, რადგან დარწმუნებული იყო იდეაში, რომ ეს საბოლოოდ ათასობით სხვა სიცოცხლეს იხსნიდა. ისტორიაში არსებული ფაქტებით, რთული სათქმელია, რომ შარლოტას მიერ მარატის მკვლელობამ შემდგომში იაკობინელთა ტირანიას ბოლო მოუღო, რადგან დიდი ტერორი გაგრძელდა და მათი იდეოლოგის მკვლელობით განრისხებულმა ლიდერებმა, კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური საფუძველი შეძინეს მომავალში გაგრძელებულ მკვლელობებს, თუმცა შარლოტამ საზოგადოებას უჩვენა, რომ ქალი ისეთივე მებრძოლია, როგორიც კაცი და მასაც შეუძლია საკუთარი იდეებისა და ფასეულობებისათვის სიცოცხლის ბოლომდე ბრძოლა. იგი სიმამაცის, გამბედაობის და თავგანწირვის ბრწყინვალე მაგალითია.

მებრძოლ ქალებზე საუბრისას მეტად მნიშვნელოვანია ტერუან დე მერიკურის შეფასება, რომლის შესახებაც მხოლოდ მცირე ცნობები მოგვეპოვება, თუმცა მისი გავლენა ფრანგულ საზოგადოებაზე უდიდესია.

ანა ჟოზეფინ ტერუან დე მერიკური დაიბადა 1762 წლის 13 აგვისტოს და გარდაიცვალა 1817 წლის 9 ივნისს პარიზში. მერიკური იყო გლეხი, რომელიც შთაგონებული იყო რევოლუციის იდეალებით. იგი პარიზში ბასტილიის დაცემამდე აღმოჩნდა, შემდგომ კი შვილის დაკარგვის ტრაგედიით განადგურებულმა, გადაწყვიტა დაჩაგრულთათვის ბრძოლა დაეწყო. ანა ხშირად კაცის სამოსით ინიღბებოდა და ხშირად გამოდიოდა საჯარო გამოსვლებზე, მათ შრის იყო გამომსვლელი ეროვნული ასამბლეის ტრიბუნებზე. 1790 წელს მან დააარსა „Société des amis de la loi“ („კანონის მეგობრების საზოგადოება“), რომელიც იყო ერთგვარი მცდელობა, გავრცელებულიყო რევოლუციონისტური იდეალები საფრანგეთის პროვინციებში (თუმცა მას მცირე წარმატება ჰქონდა). მან მოწონება დაიმსახურა ცნობილ კორდელიერების კლუბში გამოსვლის შემდეგ და მოხიბლა მრავალი ლიბერალი, თუმცა ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია როიალისტური პრესისათვის, რომ ანა დაემცირებინა. პრესაში ტერუან დე მერიკურის პირადი ცხოვრების დეტალებს საჯაროდ განიხილავდნენ და ამით მის იზოლირებას უწყობდნენ ხელს ფრანგული საზოგადოებისაგან, რაც ასევე ცხადჰყოფს, თუ რაოდენ მიუღებელი იყო პოლიტიკურად აქტიური ქალი ფრანგული საზოგადოებისათვის და გვიჩვენებს, თუ რამდენი დაბრკოლების დაძლევა უხდებოდათ რევოლუციონერ ქალებს (Stephens: 184-204).

საბოლოოდ კი მნიშვნელოვანია გავიაზროთ მარია-ანტუანეტას, როგორც ლიდერი ქალი პოლიტიკური ფიგურის როლი რევოლუციაში. მარია-ანტუანეტა დაიბადა 1755 წლის

2 ნოემბერს ვენაში, და სიკვდილით დასაჯეს 1793 წლის 16 ოქტომბერს, მოედანზე დე ლა კონკორდში, პარიზში. ავსტრიელ დედოფალს საფრანგეთში ჩამოსვლის შემდეგ ეჭვის თვალით უყურებდნენ. იგი ამ მომენტისათვის მხოლოდ 14 წლის იყო, შემდგომ კი დედოფალს ასევე ახალგაზრდა ლუი XVI-ზე მოუწია გათხოვება. XVIII საუკუნე საფრანგეთისათვის ფინანსურად არასტაბილური პერიოდი იყო, როდესაც მუდმივი ეკონომიკური პრობლემები მოსახლეობაში რევოლუციის მომზადებას უწყობდა ხელს, თუმცა გამოუცდელმა მეფე-დედოფალმა ამ ყველაფრის განსაზღვრა ვერ შეძლო. მნიშვნელოვანია, რომ მარია-ანტუანეტა საკუთარი მოდისადმი სიყვარულისა და მფლანგველობის გამო საზოგადოების ფართო ფენებში განსაკუთრებულ ზიზღს იწვევდა, რის გამოც ხშირად იგი ეკონომიკური პრობლემების სათავედ მიიჩნეოდა. შემდგომ კი მასთან დაკავშირებით დაიწყო ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რამაც დედოფლის რეპუტაცია გაანადგურა; მაშინ როდესაც რევოლუციონერი ქალები პურსა და კონსტიტუციას ითხოვდნენ, გავრცელებული ინფორმაციით, მარია-ანტუანეტამ მათ ნამცხვრის ჭამისაკენ მოუწოდა, რაც არასოდეს არ დამტკიცებულა (Gooch: 221-234).

დედოფალ მარია-ანტუანეტასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა აზრი კვლავ ორად იყოფა. ერთი ნაწილი მას საზოგადოებისა და პოლიტიკის, მისი მეუღლე ლუი მეთექვსმეტისა და ბურჟუაზიის გავლენის მსხვერპლად მიიჩნევს, ახალგაზრდა, გამოუცდელ გოგონად, რომელმაც საკმაოდ პატარა ასაკში, ჯერ კიდევ არასრულწლოვანმა იკისრა დედოფლობის მთელი პასუხისმგებლობა, რასაც ვერ გაუმკლავდა. შექმნილმა ვითარებამ: საფრანგეთის თავდაპირველად ავსტრიული მემკვიდრეობისათვის, შემდგომ ბრიტანეთის წინააღმდეგ ამერიკელებთან ერთად ომებში მონაწილეობამ და უდიდესმა ფინანსურმა დანაკარგმა, რელიგიის სახელმწიფოზე ზეგავლენას და მეფის სისუსტეს ბურჟუაზიის გავლენასთან მიმართებაში, მარია-ანტუანეტას ავსტრიულმა წარმომავლობამ, მაშინ როცა ერთიანი ფრანგი ერი ავსტრიის მიმართ აგრესიით იყო განწყობილი და მასთან ომობდა, უარყოფითი გავლენა იქონია მარია-ანტუანეტას რეპუტაციაზე ფრანგულ საზოგადოებაში.

პროფესორ პიერ სენ-ამანის შეფასებით, მარია-ანტუანეტა საზოგადოების მსხვერპლად მხოლოდ და მხოლოდ მისი სქესის გამო იქცა. იგი აღწერს, თუ როგორ ბრალდებათ კაც პოლიტიკოს ფიგურათა მიერ ჩადენილი დანაშაულებანი ქალებს სოციუმში, რადგან ქალების უფლებები დაკნინებულია და შესაბამისად მათ არაკომპეტენტურად აღიქვამენ. პოლიტიკაში განვითარებული კრახი კი ამ მიზეზთა გამო მეთვრამეტე საუკუნის საზოგადოებამ, რომელშიც ქალს უფლებები არ გააჩნდა, დედოფლის დანაშაულად ჩათვალა. ამასთან არსებობს ფენომენი, სენ-ამანის

მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც, ქალები, რომლებიც საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებას აღწევენ, ჩანან მეტად დიდი გავლენის მქონე წრეებში და ფლობენ ძალაუფლებას, სოციუმში მათივე დაკნინებული როლის გამო, მტრულად აღიქმებიან და საზოგადოება მაშინვე მათი წარმატების დაფარვას და მათ ჩამოშორება ცდილობს, რითაც შესაძლოა მარია-ანტუანეტას მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ახსნა (Saint-Amand, Gage: 279-283).

მეორე მხრივ კი ისტორიკოსები მსჯელობენ, რომ დედოფალი, როგორც უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ფიგურა, სრულ აპათიას იჩენდა მოქალაქეთა მოთხოვნილებების მიმართ და მის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მუდმივად მისი სიხარბე და ძალაუფლებისთვის მიდრეკილება ცვლიდა, რის გამოც იგი ბურჟუაზიასთან ერთად მეფე ლუი XVI-ზე უდიდეს გავლენას ახდენდა და მას გადასახადების ზრდისა და მოსახლეობის ტანჯვისაკენ უბიძგებს, რის შედეგებსაც თავადაც კი ვერ აცნობიერებდა.

ჩემი აზრით კი, მიუხედავად ისტორიკოსთა აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა, შესაძლოა შევჯერდეთ, რომ მარია-ანტუანეტა იყო უდიდესი პოლიტიკური ზეგავლენის მქონე პიროვნება, რომელმაც საზოგადოებაში გამოკვეთილი და ძალაუფლების მქონე ქალის მაგალითი დაამკვიდრა, საფუძველი მოამზადა ემანსიპაციისათვის და იმდროინდელ სოციუმს, რომელიც კონსტიტუციურადაც კი ქალს პიროვნებად არ განიხილავდა, უჩვენა, რომ ქალის როლი უდიდესია და ის სახელმწიფოში შექმნილ დღის წესრიგზე ისეთივე დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს, როგორიც კაცმა შეიძლება იქონიოს და ასევე დაგვანახა, თუ რაოდენ სასტიკად ეწირებოდა ასეთი დიდი გავლენის მქონე ქალი იმდროინდელი სოციუმის აგრესიისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართ სრულ მიუღებლობას.

მარია-ანტუანეტა იაკობინელთა რეჟიმის დროს გილიოტინას შეეწირა, ისევე როგორც შარლოტა კორდე, ოლიმპია დე გუჟი და მრავალი მებრძოლი ქალი, რომელთა ვინაობაც სამწუხაროდ ჩვენთვის დღემდე უცნობია, რადგან იაკობინელებს არ სურდათ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი დაწინაურება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, რის მიღწევასაც კი სისხლიანი მეთოდით ეცადნენ, რითაც რევოლუციონერ, მებრძოლ უმძიმესი მდგომარეობა შეუქმნეს და მათი სამუდამო შეჩერება განიზრახეს. მაგრამ ისტორია სრულიად საპირისპიროდ განვითარდა. რევოლუციონერი მწერალი ქალების ნაშრომებმა თავდაპირველად ბრიტანეთში, შემდგომ კი მთელს ევროპასა და ამერიკაში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა, მათი ხედვები დღემდე არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვე კონსტიტუციათა ნაწილად იქცა. მებრძოლმა ქალებმა კი სხვა ქალებს ხმის ამოღებისა და უშიშრად ბრძოლის მაგალითი მისცეს, რითაც

ფემინისტური ტალღის აღზევების შეუწყვეს ხელი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია, არა მხოლოდ მონარქიის დასასრულად, არამედ პატრიარქატის დასასრულის დასაწყისად იქცა.

დასკვნის სახით ვიტყოდი, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია ფემინიზმის აღზევების პერიოდად შეიძლება იქნას მიჩნეული, როდესაც ქალები ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებად იქცნენ და საზოგადოებრივი წესრიგის ცვლილებაში ისეთივე წვლილი შეიტანეს, როგორიც კაცებმა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Abray, J. (1975). Feminism in the French Revolution. *The American Historical Review*, *80*(1), 43–62. https://doi.org/10.2307/1859051
2. Bessieres, Y.& Niedzwiecki, P. (1991). Women in the French Revolution (1789) BIBLIOGRAPHY. Pittsburgh: *Institute for the Development of the European Cultural Area,* 9-12, 15-18, 17-24.
3. Diamond, M. J. (1990). Olympe De Gouges and the French Revolution: The Construction of Gender as Critique. *Dialectical Anthropology*, *15*(2/3), 95–105. http://www.jstor.org/stable/29790339
4. Ferriss, S., & Young, M. (2010). "Marie Antoinette": Fashion, Third-Wave Feminism, and Chick Culture. *Literature/Film Quarterly*, *38*(2), 98–116. http://www.jstor.org/stable/43797666
5. Gooch, G. P. (1949). Marie Antoinette. *History*, *34*(122), 221–234. http://www.jstor.org/stable/24404219
6. Hufton, O. (1971). Women in Revolution 1789-1796. *Past & Present*, *53*, 90–108. http://www.jstor.org/stable/650282
7. Hufton, O. (1992). Women and the Limits of Citizenship in the French Revolution. Canada: *University of Toronto Press,* 1-49.
8. Kaur, S. (2009). Women's Rights: A Historical Perspective. *The Indian Journal of Political Science*, *70*(1), 121–130. http://www.jstor.org/stable/41856500
9. Lebrun, B. M. V., & W. R. V. (1924). Marie Antoinette. *Bulletin of the Detroit Institute of Arts of the City of Detroit*, *6*(2), 16–17. http://www.jstor.org/stable/41500272
10. Marie Antoinette. (1906). *The Irish Monthly*, *34*(393), 151–160. http://www.jstor.org/stable/20500933
11. Melzer, S. &Rabine, L. (1992). Rebel Daughters, Women and the French Revolution. New York: *Oxford University Press,* 102-136.
12. Michelet, J. (1855). Women of the French Revolution. Philadelphia: *Henry Carey Baird,* 21-29, 126-144, 221-254, 322-325.
13. Racz, E. (1952). The Women's Rights Movement in the French Revolution. *Science & Society*, *16*(2), 151–174. http://www.jstor.org/stable/40400125
14. Rose, R. B. (1995). Feminism, Women and the French Revolution. *Historical Reflections / Réflexions Historiques*, *21*(1), 187–205. http://www.jstor.org/stable/41299020
15. Saint-Amand, P., & Gage, J. C. (1994). Terrorizing Marie Antoinette. *Critical Inquiry*, *20*(3), 379–400. http://www.jstor.org/stable/1343862
16. Sepinwall, A. G. (2010). Robespierre, Old Regime Feminist? Gender, the Late Eighteenth Century, and the French Revolution Revisited. *The Journal of Modern History*, *82*(1), 1–29.

https://doi.org/10.1086/650505
17. Stephens, W. (1992). Women of the French Revolution. New York: *E. P. Dutton & Co*.

სერგი ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნაპოლეონ ბონაპარტი და 1803 წლის 19 თებერვლის მედიაციის აქტი

შვეიცარიას საფრანგეთისთვის ყოველთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს კი არცაა გასაკვირი, რადგან შვეიცარია წარმოადგენდა საფრანგეთის მოსაზღვრე ტერიტორიას და რაც მთავარია ბუნებრივ ბუფერს ავსტრიის ტერიტორიას და საფრანგეთს შორის, რაც ავსტრიელ ჰაბსბურგებთან მუდმივად დაპირისპირებაში მყოფი ფრანგებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. აქედან გამომდინარე საფრანგეთის მეფეები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შვეიცარიულ კანტონებზე გავლენის დამყარებას, ეს პროცესი კი ჯერ კიდევ ფრანსუა I-ის(1515-1547) ზეობისას დაიწყო და თავის პიკს ანრი IV-ის (1589-1610) მმართველობისას მიაღწია. მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდა საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის(1792-1804) დროს.

1789 წელს დაწყებულმა საფრანგეთის რევოლუციამ მთლიან ევროპაზე მოახდინა უდიდესი ზეგავლენა და ცხადია ამ მხრივ გამონაკლისი, არც შვეიცარიული კანტონები იქნებოდნენ. გერმანულენოვანი ბერნის კანტონის გავლენის ქვეშ მყოფ ფრანგულენოვანი ვაუდის კანტონიდან დევნილებმა 1790 წელს პარიზში დააფუძვნეს „ჰელვეციური კლუბი“ და ითხოვდნენ მათი კანტონის გათავისუფლებას ბერნის გავლენისგან (Chisholm 1911: 257) ეს კი საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ევროპაში ნაციონალიზმის და თავისუფლებისკენ სწრაფვის ლოგიკური გამოძახილი იყო. „ჰელვეციური“ კლუბის ლიდერთა შორის კი გამორჩეული იყო შვეიცარიელი ნაციონალისტი ფრედერიკ-სეზარ დე ლა ჰარპი(1754-1838). 1790-93 წლებში შვეიცარიის კონფედერაციაში სიტუაცია კიდევ უფრო მეტად აირია და დაიწყო კანტონებს შორის შიდა ომები. კონფედერაცია იმ დროისთვის ითვლიდა 26 კანტონს. ფრანგებმა 1792 წლის 17 დეკემბერს შვეიცარიის ჩრდილო-დასავლეთით, ბაზელის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე შექმნეს საკუთარი საოკუპაციო ზონა, ფრანგი ჯარისკაცების ზეწოლით და მანიპულაციით სამჯერ ჩატარებული რეფერენდუმის შემდგომ კი 1793 წლის 23 მარტს საოკუპაციო ზონა საფრანგეთის დეპარტამენტ მონ-ტერიბლედ იქცა. ჟენევის დაცვა ფრანგთაგან კი მხოლოდ ციურიხიდან და ბერნიდან გამოგზავნილმა ძალებმა შეძლეს (Chisholm 1911: 257).

1797 წლის 17 ოქტომბერს დაიდო კამპო-ფორმიოს ზავი,რომლის ძალითაც ნაპოლეონ ბონაპარტმა (1769-1821) ლომბარდიული ქალაქები: ვალტელინა, კიავენა და

ბორმიო თავის მიერ შექმნილ ციზალპურ რესპუბლიკას მიუერთა ჩრდილოეთ იტალიაში. ნაპოლეონი დირექტორიას მოუწოდებდა შვეიცარიის ტერიტორიის მთლიანად ოკუპაციისკენ და საფრანგეთზე დამოკიდებული რესპუბლიკის შექმნისკენ. რაც ფრანგებს შეუქმნიდა ბუნებრივ ბუფერს ავსტრიასთან და საფრანგეთის საზღვარი საიმედოდ იქნებოდა გამაგრებული აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ასევე მისცემდა კონტროლს ალპურ უღელტეხილებზე და ასევე ფრანგებს შეეძლებოდათ გამოეყენებინათ შვეიცარიელი ჯარისკაცები საკუთარი სამხედრო კამპანიებისთვის.კამპო-ფორმიოს ზავმა შვეიცარიული კანტონები მოკავშირეების გარეშე დატოვა:პიემონტ-სარდინიის სამეფო ტერიტორიების ნახევრის დაკარგვის შემდგომ ფრანგების გავლენის ქვეშ მოექცა, რომის პაპი და ნეაპოლის მეფე დირექტორიას დაუზავდნენ, პრუსია ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, ხოლო ავსტრიამ ახლახანს გააფორმა ფრანგებთან მათთვის წამგებიანი ზავი (Wilson 1832: 302-303). თვითონ კონფედერაციას შიდა დაპირისპირებების და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო საფრანგეთისგან თავის დაცვა არ შეეძლო. მათ მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ 1797 წლის 4 სექტემბრის(18 ფრუქტიდორის) სახელმწიფო გადატრიალებით, დირექტორიიდან გააძევეს შვეიცარიის კონფედერაციის დიდი მხარდამჭერი მარკიზი ბართელემი. კონფედერაციის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

1797 წლის დეკემბერში ფრანგებმა დაიკავეს ბაზელის საეპისკოპოსო და ალყა შემოარტყეს ჟენევას 10 ათასი ჯარისკაცით. ფრანგ ჯარისკაცებს მხარს აქტიურად უჭერდნენ განმანათლებლების და საფრანგეთის რევოლუციის იდეებით გატაცებული შვეიცარიული ბურჟუაზია და ასევე კონფედერაციის სეიმის უუნარობით უკმაყოფილო გლეხებიც (Wilson 1832: 305-306) ბაზელის კანტონის მფლობელობაში მყოფ ქალაქ ლიესტალში 1798 წლის იანვარში დაიწყო პროფრანგული ამბოხება, თებერვალ-მარტის მანძილზე ამბოხებები მოედო თითქმის მთლიან შვეიცარიას, რამაც გამოიწვია კონფედერაციის ჩამოშლა. ამ მოვლენას კი „ჰელვეციური რევოლუცია”ეწოდა. 5 მარტს კაპიტულაცია გამოაცხადა ბერნმა გენერალ შაუენბურგთან. ახლა კი ჯერი მიდგა იმაზე თუ რა ბედი ეწეოდა შვეიცარიას კონფედერაციის დაშლის შემდგომ. დირექტორიამ უარყო გენერალ ბრუნის იდეა შვეიცარიის სამ რესპუბლიკად დაყოფის შესახებ (Chisholm 1911: 257) საბოლოოდ, დირექტორიამ მიიღო შვეიცარიელი პოლიტიკოსის პეტერ ოქსის(1752-1821) მიერ მიღებული კონსტიტუცია, რომელიც შვეიცარიელებმა არ მოიწონეს და ბაზელში ეროვნულმა კონვენტმა მას რედაქტირება გაუკეთა თუმცა დირექტორიამ მაინც თავისი გაიტანა და 12 აპრილს კონვენტის 121 დეპუტატმა მიიღო ოქსის თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც მეტწილად საფრანგეთის რესპუბლიკის 1795 წლის 22 აგვისტოს კონსტიტუციაზე

იყო დამყარებული და აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემდა 5-კაციან დირექტორიას. არისტოკრატიული ოლიგარქიის მქონე კონფედერაციის ნაცვლად შეიქმნა საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფი უნიტარული და ცენტრალიზებული ჰელვეციის რესპუბლიკა. მაისის ბოლოს ფრანგებმა სამხრეთ შვეიცარიაში ადვილად ჩაახშვეს კონფედერაციის მხარდამჭერი ამბოხი,რომელსაც ალოიზ რედინგი მეთაურობდა. შვეიცარიის კონფედერაციის დამხობას XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ვილსონი მიაწერს იმ ფაქტს, რომ კანტონთა მმართველები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და არ აზროვნებდნენ სახელმწიფოებრივად, რამაც გამოიწვია მათი არაპოპულარობა ხალხში (Wilson 1832: 313)

ჰელვეციის რესპუბლიკაში დაიწყო ფეოდალიზმის თანდათანობით და საბოლოოდ ლიკვიდაცია. საუკუნეების მანძილზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სწრაფად და რევოლუციურად შეცვლისთვის შვეიცარიული საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა, რამაც ქვეყანაში გამოიწვია მწვავე შიდა დაპირისპირებები.

1798 წლის ივლისში რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს დაევალდებულა ახალ კონსტიტუციაზე ერთგულების ფიცის დადება, რასაც ჩრდილო-აღმოსავლეთით, სენტ-გალენის კანტონში მოჰყვა მძლავრი ამბოხება, რასაც მხარს უჭერდა კათოლიკური ეკლესია. კაპუცინელი ბერი პოლ სტაიგერი ახალ კონსტიტუციას „სატანის ქმნილებას“ უწოდებდა. შვეიცარიაში მყოფმა ფრანგულმა ჯარმა სექტემბრისთვის აჯანყება სისხლში ჩაახშო (Wilson 1832: 314-315).

ავსტრიამ და რუსეთმა სცადეს ესარგებლათ ნაპოლეონის ეგვიპტეში ყოფნით და განაახლეს იტალიაში ფრანგთა წინააღმდეგ კამპანია 1798 წლის ბოლოს. 1799 წლის დასაწყისში კი რუსული ჯარის ნაწილები გენერალი ალექსანდრე კორსაკოვის მეთაურობით თავს დაესხნენ შვეიცარიის ტერიტორიას. შვეიცარიის მოსახლეობა ორად გაიყო: მათი ერთი ნაწილი მიემხრო რუსო-ავსტრიულ ალიანსს, ნაწილი კი ფრანგებს. ქვეყანაში ნამდვილი სამოქალაქო ომი დაიწყო. რუსო-ავსტრიულმა ალიანსმა კამპანია წარმატებით დაიწყო, როგორც იტალიაში, ასევე შვეიცარიაშიც. 27 მაისს ვინთენთურის ბრძოლაში გამარჯვებით შეძლეს ციურიხის დაკავება და შვეიცარიაში წინსვლა. 15 აგვისტოს ნოვისთან გამარჯვების და მილანის დაკავების შემდგომ ფელდმარშალი ალექსანდრე სუვოროვი აპირებდა საფრანგეთში შეჭრას, თუმცა იმპერატორ პავლე I-სგან(1796-1801) ბრძანება მიუვიდა, რომ კორსაკოვის დასახმარებლად გადასულიყო შვეიცარიაში. სუვოროვის ჩამოსვლამდე კორსაკოვი 27 სექტემბერს ციურიხთან ბრძოლაში დაამარცხა ფრანგმა გენერალმა მასენამ და უკან დაახევინა. სუვოროვს მასენასთან საბრძოლველად საკმარისი რესურსები არ ჰქონდა ამიტომ სტრატეგიული უკანდახევა განახორციელა და ალპური

უღელტეხილებით დასავლეთ ავსტრიაში გადავიდა. იქიდან კი იმპერატორმა ავსტრიელებთან სტრატეგიულ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო სუვოროვი უკან გამოიწვია (Duffy 1999:264) ფრანგებმა შვეიცარიის შენარჩუნება მოახერხეს, თუმცა ნათლად გამოჩნდა თუ ეს რამხელა ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ და რამხელა შიდა დაპირისპირება იყო ქვეყანაში.

შვეიცარიაში პოლიტიკოსები დაიყვნენ ორ ძირითად ფრაქციად: ცენტრალიზებული და ერთიანი მმართველობის მხარდამჭერ უნიტარებად(ლა ჰარპის და ოქსის მეთაურობით) და ფედერაციის და კანტონების თვითმმართველობის მომხრე ფედერალისტებად. ისინი ვერ თანხმდებოდნენ კონსტიტუციის სავარაუდო ვარიანტზე. ერთ-ერთი ვარიანტი სენატში ხმათა უმრავლესობით 1802 წლის ივნისში ჩააგდეს.

1802 წლის 27 მარტს საფრანგეთის პირველმა კონსულმა ნაპოლეონმა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰენრი ადინგტონთან გააფორმა ამიენის ზავი,(Bourienne 1851: 203) ერთ-ერთ პირობად კი ინგლისმა მოითხოვა ფრანგული ჯარის შვეიცარიიდან გამოსვლა. 1802 წლის ივლისში ფრანგულმა ჯარებმა დატოვეს შვეიცარია, თუმცა ნაპოლეონის ტრადიციული პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ,რომ მას ეს არ გაუკეთებია ამიენის ზავის პირობების შესასრულებლად, არამედ მას სურდა შვეიცარიელებისთვის ეჩვენებინა რამდენად სარგებლის მომტანი იქნებოდა მათთვის საფრანგეთთან კავშირი, რაც ნაპოლეონმა ნამდვილად მოახერხა.

ფრანგული ჯარის გასვლის შემდგომ ფედერალისტების მძლავრი ამბოხი დაიწყო სამხრეთ-დასავლეთში, ლემანის კანტონში. საბოლოოდ ეს ამბოხი გადაიზარდა ფედერალისტებსა და მთავრობას შორის ფაქტობრივ სამოქალაქო ომში, რასაც „ჯოხების ომი“ (steckligrieg) ეწოდა. მთავრობამ სრული კრახი განიცადა და 18 სექტემბერს კაპიტულაცია გამოაცხადა და დაშლის პირას დადგა. (Wilson 1832:314-316)

ნაპოლეონის დიპლომატიურმა ფანდმა გაამართლა: შვეიცარიაში ანარქია და განუკითხაობა მძვინვარებდა, ახლა კი ნაპოლეონს შეეძლო დაპირისპირებულ მხარეებს შორის მედიატორობის და საკუთარი საზღვრების დაცვის მოტივით შეეყვანა ჯარი შვეიცარიაში და აღედგინა იქ ფრანგთა გავლენა. ინგლისელები არ ასრულებდნენ ამიენის ზავის პირობებს და არ ტოვებდნენ კუნძულ მალტას, ამიტომაც, 1802 წლის ოქტომბერში ნაპოლეონმა შვეიცარიაში ჯარი შეიყვანა გენერალ ნეის მეთაურობით,რომელმაც მთლიანი ქვეყანა სულ რაღაც 2 თვეში დაიკავა.(Roberts 2014: 314) ნაპოლეონმა 4 ოქტომბერს გამოსცა შვეიცარიელი ხალხისთვის პროკლამაცია, სადაც ის მწუხარებას გამოთქვამდა შვეიცარიაში შექმნილი სიტუაციის გამო და სთავაზობდა დაპირისპირებულ მხარეებს მედიატორის როლის შესრულებას და ორივე ფრაქციიდან 10 ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს იწვევდა

პარიზში მოლაპარაკებებზე, რათა მათ ერთობლივად გადაეწყვიტათ შვეიცარიის მომავალი და მიეღწიათ კონსესუსისთვის. ნაპოლეონის მიზნები შვეიცარიის მიმართ ნაპოლეონმა გაანდო თავის შვეიცარიელ აპოლოგეტ ფილოსოფოს შტაპფერს: „ვალეს(საფრანგეთის მოსაზღვრე კანტონი) ფლობის საკითხი ჩემთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მის დათმობას მთლიანი ევროპა ვერ მაიძულებსო" (Rose 1913: 392)

მოლაპარაკებების დაწყებამდე ნაპოლეონმა კეთილი ჟესტი გამოიჩინა და შვეიცარიელებს დაუბრუნა ავსტრიელების მიერ წართმეული ქალაქი ფრიკთალი.(Chisholm 1911:258) 10 დეკემბერს შვეიცარიელთა დელეგაცია პარიზში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში ოფიციალურად მიიღო ნაპოლეონმა და წარუდგინა ოფიციალური ნოტა, სადაც პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო გზად ის სახავდა ფედერალური კონსტიტუციის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა კანტონის თანაბარუფლებიანობას და თვითმმართველობას ასევე არისტოკრატთა პრივილეგიების საბოლოო ლიკვიდაციას ქვეყანაში. ფედერალური კონსტიტუციის შექმნის შემდეგ კი ბევრად იოლი იქნებოდა ცენტრალური კონსტიტუციის შექმნა მთლიანი ქვეყნისთვის. ნაპოლეონმა გამოავლინა მისი უზადო დიპლომატიური ნიჭი და შვეიცარიელებს ზუსტად საჭირო წერტილში დაარტყა:მან შეახსენა საფრანგეთის წინააღმდეგ წასვლამ და მის მტრებთან კავშირმა როგორი გამანადგურებელი შედეგები მოუტანა შვეიცარიას და მოუწოდა საფრანგეთთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებისკენ და ჰპირდებოდა დაცვას გარეშე საფრთხისგან და შიდა დაპირისპირებების დროს მედიატორობას. თუმცა ნაპოლეონი აქ თვალთმაქცობდა და ისე წარმოაჩენდა თითქოს ამას აკეთებდა შვეიცარიის და მისი დემოკრატიის დასაცავად და არა ფრანგთა ინტერესებისთვის, როდესაც სინამდვილეში მისი მიზანი შვეიცარიის ბუფერული ზონით საფრანგეთის საზღვრების დაცვა იყო. 12 დეკემბერს ნაპოლეონმა წარუდგინა დელეგაციას შვეიცარიის ახალი საგადასახადო სისტემის თავისი ვარიანტი, რომელიც უზღუდავდა დიდ კანტონებს ფისკალურ ძალაუფლებას და მცირე კანტონების დაჩაგვრას. ამის გარანტი კი კანტონთა ფართო თვითმმართველობა იქნებოდა. ნაპოლეონის ყველა იდეას რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა შვეიცარიისთვის, რადგან ამ იდეებმა სათავე დაუდეს შვეიცარიაში დემოკრატიულ ცვლილებებს და ნაციონალიზმის აღორძინებას. ნაპოლეონის ბევრმა იდეამ განხორციელება ჰპოვა შემდგომ შვეიცარიის კონსტიტუციებში. ნაპოლეონი ასევე მიმართავდა ფარულ მუქარასაც შვეიცარიელი დეპუტატების მისამართით: „საფრანგეთის გავლენა იტალიაზე, ჰოლანდიაზე და შვეიცარიაზე მთლიანი ევროპის მიერ არის აღიარებული" (Roberts 2014:314) მოლაპარაკებები მაინც გაიწელა, რასაც ნაპოლეონი მოგვიანებით შვეიცარიელთა პრეტენზიულ ხასიათს მიაწერდა: „მათი ქვეყანა კაცის

ხელივით დიდია და მათ ყოველთვის ყველაზე არაჩვეულებრივი პრეტენზიები აქვთო“ (Roberts,2014;313). 1803 წლის 19 თებერვალს კი ოფიციალურად მიიღეს მედიაციის აქტი, რომელსაც შვეიცარიისთვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

პრეამბულაში ნაპოლეონი წარმოაჩენდა შვეიცარიის წინაშე მდგარ პრობლემებს და მისი, როგორც, მედიატორის როლს. სათავე დაედო ახალ სახელმწიფოს: შვეიცარიის კონფედერაციას. ძველი კონფედერაციის 13 კანტონს დაემატა კიდევ 6 კანტონი: სან-გალენი, გრისონი, აარგაუ, ტურგაუ, ტესინი და ვოდი. კანტონებს ჰქონდათ ფართო თვიმმართველობა და წარმომადგენლობითი ორგანოები: საკანონმდებლო დიდი საბჭო და აღმასრულებელი მცირე საბჭო. არჩევნებში დაწესდა ქონებრივი ცენზი. ქალაქის კომუნებს მიენიჭათ თვითმმართველობა, გაუქმდა არისტოკრატთა პრივილეგიები და დაკანონდა ფეოდალიზმის ლიკვიდაცია.დაწინაურდა ბიურგერობა და საშუალო ფენა. დაკანონდა ადამიანის და მოქალაქის უფლებები, სიტყვის, სინდისის და პრესის თავისუფლება, პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობა. უმაღლესი ორგანო კონფედერაციის ფედერალური ასამბლეა ერთი წლით იკრიბებოდა სხვადასხვა კანტონში, მაგალითად ბერნში, ბაზელში ან ციურიხში. ასამბლეის კანტონის მაგისტრატის მმართველს ერთი წლით ეწოდებოდა „შვეიცარიელთა მმართველი“. იმ 6 კანტონს,(ბერნი, ციურიხი, ვოდი, სან-გალენი, აარგაუ და გრისონი) რომელთაც 100 000-ზე მეტი მაცხოვრებელი ასამბლეაში ენიჭებოდა 2 ხმის უფლება, დანარჩენებს კი თითო. თითოეულ კანტონს ევალებოდა ერთმანეთის ფედერალური კონსტიტუციის, თვითმმართველობის და საზღვრების პატივისცემა, თუმცა მათ არ ჰქონდათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება. 1803 წლის 27 სექტემბერს კონფედერაციამ გააფორმა კავშირი საფრანგეთთან, რითაც ის იქცა საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ. არჩევნების ჩატარებამდე ყველა კანტონში შეიქმნა დროებითი შვიდკაციანი კომისიები. აქტის დასასრულს აღნიშნული იყო, რომ შვეიცარიის კონფედერაცია იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და მის მთავრობას ევალებოდა ყველა მოქალაქის დაცვა (Wilson 1832: 323-326,Chisholm 1911: 258, Roberts 2014: 314) ნაპოლეონის აპოლოგეტი შვეიცარიელი ფილოსოფოსი შტაპფერი აღნიშნავდა, რომ ნაპოლეონს სურდა შვეიცარიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ანულირება, თუმცა ის აძლევდა შვეიცარიის მოსახლეობას საუკეთესო საშინაო სიტუაციის გარანტიას ქვეყანაში (Rose 1913: 400).

მედიაციის აქტით ნაპოლეონმა მიაღწია თავის მთავარ მიზნებს: დაანახა შვეიცარიელებს თუ რამდენად მომგებიანი იქნებოდა მათთვის საფრანგეთთან კავშირი, გამოვიდა მედიატორის როლში მათ შიდა დაპირისპირებაში და მოაქცია ისინი თავისი გავლენის ქვეშ, შექმნა შვეიცარიის სახით ბუფერული ზონა საფრანგეთის საზღვრების

ავსტრიისგან და გერმანული სამეფო-სამთავროებისგან დასაცავად. თვითონ შვეიცარიაში კი აქტმა საფუძველი ჩაუყარა პროგრესულ-ლიბერალურ ცვლილებებს, კანონის წინაშე თანასწორობას, ფეოდალიზმის ლიკვიდაციას და ნაციონალიზმის აღორძინებას. 1809 წელს ნაპოლეონმა თავის ტიტულატურას „შვეიცარიის კონფედერაციის მედიატორი" დაუმატა (Rose 1913: 400) 10 წლის მანძილზე შვეიცარიაში სიმშვიდე სუფევდა, სანამ ნაპოლეონი 1813 წლის 16-19 ოქტომბერს ლაიფციგთან არ დამარცხდა და დეკემბრის ბოლოს ქვეყანა ავსტრიელებმა არ დაიკავეს, შემდგომ კი 1803 წლის კონსტიტუცია არ გააუქმეს. 1815 წლის 9 ივნისის ვენის კონგრესის აქტით კი კონფედერაცია გაიზარდა 22 კანტონამდე და გარანტირებული იქნა შვეიცარიის ნეიტრალიტეტი. თუმცა შვეიცარიაში კვლავ დაბრუნდა ფეოდალური ურთიერთობები და არისტოკრატთა პრივილეგიები (Chisholm 1911: 258).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Bourienne 1851: Bourienne Louis*; Memoirs on Napoleon Bonaparte;* Silas andrus & sons; Hartford; 1851;
2. Chisholm 1911: Chisholm Hugh; *The Encyclopedia Britannica, 11th edition, volume XXVI,* რედ. Chisholm Hugh; Cambridge university press, 1911;
3. Duffy 1999; Duffy Christopher*: Eagles over the Alps, Suvorov in Italy and Switzerland*; the Emperors press, Chicago, Illinois, 1999.;
4. Roberts 2014: Roberts Andrew; *Napoleon: A life;* Penguin books, London; 2014;
5. Rose 1913: Rose John Hollard; *The life of Napoleon I;* G Bell and Sons LtD.; London; 1913;
6. Wilson 1832**;** Wilson John: *History of Switzerland;* Longman,Bees,Orme, Brown,Green & Longman; London; 1832

ლუკა გორგოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გერმანია ვენის კონგრესის შემდგომ და რესტავრაციის დროებითი გამარჯვება

მოცემული ნაშრომი ძირითადად შეეხება 1815-1830 წლებს. გერმანიის ისტორიაში ეს ის მცირე პერიოდია, რომელიც მოიცავს, როგორც უშუალოდ ვენის კონგრესს, ასევე იმ მოვლენებს, რომლებიც მის შემდეგ სულ მალე განვითარდა. ჩემი ინტერესი ამ საკითხისადმი გამოიწვია იმან, რომ ამ პერიოდში ვხედავთ მცდელობას კვლავ დამყარებულიყო ნაპოლეონის ომებამდე არსებული წესრიგი ან რაიმე მსგავსი. ხშირ შემთხვევაში, როდესაც განიხილება გერმანია ვენის კონგრესის შემდგომ, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია 1848 წლის ლიბერალურ რევოლუციებზე და შემდგომ ბისმარკის მოღვაწეობაზე. ამის გამო უგულებელყოფენ ისტორიის მოკლე, მაგრამ საკმაოდ საინტერესო მონკავეთს, როდესაც მთავარი პოლიტიკურ ძალას არა ლიბერალური ან ნაციონალისტური მოძრაობები, არამედ რეაქციონერული მოღვაწეები წარმოადგენდნენ. ძველი გვარდიის დროებითი წარმატების განხილვა კი, ჩემი აზრით, აუცილებელია, რათა შემდგომი მოვლენები უკეთ გავიაზროთ. ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე განსაკუთრებით მწირია მასალა ქართულ წყაროებში და, შესაბამისად, ჩემი გამოსვლა მიზნად ისახავს ნაწილობრიც მაინც შეავსოს ეს სიცარიელე.

ნაპოლეონის ომები და შემდგომ ვენის კონგრესი გადამწყვეტი მომენტები იყო გერმანიისათვის. ამ მოვლენებმა საძირკველი ამოუთხარეს ნაპოლეონის მიერ დაწესებულ ხანმოკლე წესრიგს და შექმნეს ახალი გარემო, რომელშიც ცალსახა იყო ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილებები. ამ ცვლილებებმა კი საფუძველი ჩაუყარეს მთელი მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ ძვრებს. ამის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა ნაპოლეონის დაპყრობებისგან დარჩენილი კვალის – ლიბერალური და ნაციონალისტური იდეების – გავრცელება. მართალია ამ დროისათვის საფრანგეთი და, შესაბამისად, მისი დაპყრობებით გავრცელებული იდეები უკვე ათწლეულზე მეტია საფრთხედ იყო განხილული გერმანიის მეფეებსა და თავადებს შორის, მაგრამ ამავე იდეებმა საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა ბურჟუაზიაში, რომელიც სულ უფრო და უფრო გავლენიანი ხდებოდა. ამან, რა საკვირველია, დაპირისპირება გამოიწვია ლიბერალურად და ნაციონალიტურად განწყობილ ბურჟუაზიასა და რეაქციონერულ

არისტოკრატიას შორის. სწორედ ამ ორი ბანაკის შორის ჭიდილით შეიძლება დახასიათდეს არა მხოლოდ ჩემ მიერ არჩეული დროის მონაკვეთის, არამედ მის შემდგომი პოლიტიკაც. როგორც ნაშრომის სახელი მიგვითითებს, ამ 15 წლიან პერიოდში უპირატესობა ხელთ იგდეს რეაქციონერებმა, მაგრამ აღსანიშნავია ბურჟუაზიის გარკვეული წარმატებებიც. ეს დინამიკა მჟღავნდება გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, როგორც სახელმწიფოში პოლიტიკაშ, ასევე საზოგადოებაში. ამდენად, გამოიყოფა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი: გერმანიის ახალი საზღვრების დადგენა, კონფედერაციის მოწყობა, გერმანიის სახელმწიფოებში კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის დანერგვა, რადიკალური პოლიტიკური მოძრაობების ჩამოყალიბება და აქტიურობა.

ვენის კონგრესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც ერთმანეთს შეეჯახა ნაციონალისტებისა და კონსერვატორების ინტერესები. საქმე ისაა, რომ ნაპოლეონის ომების შედეგად დაიშალა საღვთო რომის იმპერია და ის წესრიგი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა გერმანიაში. ვენის კონგრესის დღის წესრიგში უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო გერმანიის ახალი საზღვრების დადგენა. განსაკუთრებით საკამათო იყო ნაპოლეონის მიერ შექმნილი "რაინის კონფედერაციის" ბედი. აშკარა იყო, რომ ეს ტერიტორია უშუალოდ გერმანელების მმართველობის ქვეშ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ერთიანი აზრი არ არსებობდა იმის შესახებ თუ როგორ მოხერხდებოდა ეს. იმ ფეოდალურ მმართველებს, რომლებიც ამ მიწებს ნაპოლეონის დაპყრობამდე მმართავდნენ, სურდათ თავიანთი ძველი სამეფო-სამთავროების აღდგენა და საკუთარი დელეგატებიც გაგზავნეს კონგრესში. მათი ერთ-ერთი ლიდერი ფრანც გეორგ მეტერნიხი გახლდათ, ავსტრიის კანცლერის მამა. ამისდა მიუხედავად, მათი გავლენა უმნიშვნელო იყო და გადამწყვეტი როლი მაინც ავსტრიისა და პრუსიის ინტერესებს ერგო. ამ ორ მხარეს სრულიად განსხვავებული ხედვები ჰქონდა გერმანიის მომავლისთვის. ამასობაში, საზღვრების საკითხს დაემატა ახალი საერთოგერმანული პოლიტიკური ერთეულის შექმნის იდეაც. პრუსიელ მინისტრთა და დიპლომატთა პოლიტიკა მართალია ითვალისწინებდა პრუსიის ინტერესებს, მაგრამ ამავე დროს გამოხატავდა ძლიერი და ერთიანი გერმანიის შექმნის სურვილს. ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველი იყო ბარონ შტაინი, რომელმაც გერმანიის ფედერალური მოწყობით გაერთიანების აზრი გამოთქვა. შემდგომ ამ იდეის დახვეწაში შეუერთდნენ პრუსიის კანცლერი ჰარდენბერგი და ელჩი ავსტრიაში ჰუმბოლდტი. მათ მიერ წარდგენილი მონახაზის მიხედვით გერმანიის ფედერაცია უნდა დაყოფილიყო 7 ე.წ. "წრედ", თითოეულ მათგანს უნდა ჰყოლოდა თავმჯდომარე თავადის სახით. უშუალოდ ფედერაციის საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი უნდა ყოფილიყო:

წრეთა თავმჯდომარეთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ავსტრია და პრუსია და შედარებით ფართო პალატა, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებოდნენ ყველა შემადგენელი სახელმწიფო და მათი არისტოკრატია. ამით ჰარდენბერგი ფაქტობრივად ერთობლივ ჰეგემონობას სთავაზობდა ავსტრიას. მეტერნიხიც მზად იყო დათანხმებულიყო ასეთ შემოთავაზებაზე, მცირე ცვლილებებით, როგორიც იყო ფედერაციის ტერიტორიული მოცულობის გაფართოება, პრეზიდენტობის ავსტრიისთვის დათმობა და წრეთა თავმჯდომარეების ძალაუფლების გაზრდა. შეთანხმების დადების შანსი შეიწირა ახალმა დაპირისპირებამ ავსტირასა და პრუსიას შორის, კონკრეტულად საქსონისა და პოლონეთის ტერიტორიულ დაყოფაზე. საშუალო ზომის გერმანელი თავადების მოთხოვნების გათვალისწინებით, მეტერნიხმა წარადგინა ახალი მოწყობის ვარიანტი, რომელივ ბევრად უფრო სუსტი და უამბიციო იყო. წარსულს ჩაბარდა წრეები, აღმასრულებელი და ორპალატიანი საკანონმდებლო ინსტიტუტები. 1815 წლის “ბუნდესაქტით” “გერმანიის სუვერენული თავადები და თავისუფალი ქალაქები” ქმნიდნენ არა ფედერაციას, არამედ კონფედერაციას, რომელსაც ერთადერთი საერთო “სეიმი” ჰქონდა, რომელშიც თითო სახელმწიფოს მათი დელეგატები წარადგენდნენ. ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტი პრაქტიკულად ხელშეუბელი დარჩა და კონფედერაცაიში ერთიანი სავაჭრო ან სამხედრო პოლიტიკა რეალურად არ არსებობდა. ეს ნაციონალისტური მოძრაობისთვის დიდი ჩავარდნა იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, წინათხსენებულ ჰუმბოლდტმაც აღიარა ის პროგრესი, რაც ამ კონფედერაციის ჩმოყალიბებას მოჰყვა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ, მართალია ერთიანი სახელმწიფოს ვერ შეიქნა, მაგრამ მაინც შემცირდა გერმანული სახელმწიფოთა რაოდენობა, საღვთო რომის იმპერიის დროინდელი 400-მდე სამეფო-სათავადოდან 39-მდე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ერთიანობისკენ.

ბუნდესაქტში კიდევ ერთი რამ იყო, რაც აიმედებდა ნაციონალისტურ მოძრაობას. ეს იყო ბუნდოვანი პირობა, რომელიც გულისხმობდა კონსტიტუციების დანერგვას გერმანულ სახელმწიფოებში. რეფორმისტები იმედოვნებდნენ, რომ კონსტიტუციებთან ერთად შეიქმებოდა პარლამენტები, რომლებიც არა კონკრეტული რეგიონების ან კლასობრივი წოდებების, არამედ მთლიანი სახელმწიფოების ინტერესებს წარმოადგენდნენ. მათთვის სამწუხაროდ, როგორც კონფედარაციის მოწყობა, ეს საკითხიც საკამათო გახდა. ამ შემთხხვევაში, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძველი არისტოკრატია და რეფორმისტულად განწყობილი მინისტრები და ბიუროკრატები. არისტოკრატიის წარმომამდგენლებს სურდათ ძველი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ტიპის პარლამენტების ჩამოყალიბება, რომლებიც კვლავ მათ პრივილეგიებს დაიცავდა. ამ მხრივ, მათ საკმაოდ ფართო

წარმატებას მიაღწიეს ჩრდილოეთ და ცენტრალურ გერმანიაში, სადაც ნაპოლეონის ომებმა ბოლომდე ვერ შეარყიეს ძველი წესრიგი. ამ მხრივ, სამაგალითოა მეკლენბურგი, სადაც წოდებებსა და ჰერცოგს შორის კომპრომისი ფაქტობრივად ომამდელი მდგომარეობის აღდგენას გულისხმობდა. ჰანოვერში 1819 წელს შექიმნა ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო, რომლის ზედა პალატას სრულიად არისტოკრატია განაგებდა. საქსონიის ლანდტაგშიც მსგავს სურათს ვხედავთ, ზემო პალატა დაკომპლექტებული იყო ფეოდალებითა და კლერუსიით, ხოლო ქვემო – მიწათმფლობელებითა და რამდენიმე ქალაქის დელეგატით. რაც შეეხება სამხრეთ გერმანის სახელმწიფოებს (ბავარია, ვურტემბურგი, ბადენი და ჰესე-დარმსტადტი), აქ საფრანგეთის რევოლუციის მიერ გავრცელებულ იდეებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ. შესაბამისად, ძველ არისტორკრატიას ფართომასშტაბიან დათმობებზე წასვლა მოუწია. ამ სახელმწიფოებში მიიღეს კონსტიტუციები, რომლებიც არა ფეოდალური პრივილეგიების დაცვას, არამედ სუვერენიტეტს, ახალი ტერიტორიების ინტეგრაციას და პოლიტიკური ინსტიტუტების ცენტრალიზებას უზრუნველყოფდა. ბავარიაში, ნაპოლეონის რჩევით, ჯერ კიდევ 1808 წელს მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც მოქალაქეთა გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებს იცავდა, მაგრამ არ განაპირობებდა წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას. ეს მხოლოდ 1818 წლის კონსტიტუციაში აისახა. შეიქმნა პარლამენტი, რომელიც არა კონკრეტულ რეგიონებს ან ინტერესთა ჯგუფებს, არამედ მთელ ქვეყანას წარმოადგენდა. აღნიშნული ინსტიტუტი ორპალატიანი იყო, პირველ პალატას აკომპლექტებდნენ მემკვიდრეობითი ან მეფის მიერ დანიშნული ფეოდალები, ხოლო ქვემო პალატაში იყვნენ დეპუტატები, რომლებსაც ირჩევდნენ ელექტორები, რომლებსაც, თავიანთ მხრივ, ირჩევდნენ ამომრჩეველთა ხუთი კატეგორია: მამულის მფლობელები, აკადემიკოსები, სასულიერო პირები, ქალაქების წარმომადგენლები და სხვა მიწათმფლობელები. მართალია ეს არჩევნების არაპირდაპირი წესი იყო, მაგრამ პარლამენტის შიგნით დეპუტატები მოღვაწეობდნენ ინდივიდუალურად და არა როგორც რომელიმე წოდების წარმომადგენლები. ახალი კონსტიტუციით კვლავ გამტკიცთა მოქალაქეთა უფლებები, რომლებიც პირველ კონსტიტუციაში აისახა . მსგავსი ვითარება იყო ბადენშიც, რომლის პარლამენტის ქვემო პალატაშიც წარმომადგენლებს ირჩევდა ყველა მოქალქე, რომელიც ქონებრივ ცენზს გაივლიდნენ. მსგავსი ვითარება იყო ვურტემბურგშიც და ჰესე-დარმშტადტშიც. რაც შეეხება მეტერნიხს, ის ყველა ზომას მიმართავდა, რათა ავსტრიაში არ მიეღოთ კონსტიტუცია და საამისოდ განამტკიცა ძველი სტილის წოდებრივი მმართველობა და ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები ადმინისტრაციას მიაბა, რათა საჭირო არ ყოფილიყო პარლამენტის მოწვევა

გადასახადების მოსაკრეფად. სამხრეთ გერმანიაში განვითარებული მოვლენები აშინებდა მეტერნიხს. მისი აზრით ავსტრიას იზოლაციის საფრთხე ემუქრებოდა და ერთადერთ იმედად პრუსიაში რეფორმისტთა ჩავარდნას ხედავდა, რის შემთხვევაშიც შეიძლებოდა სამხრეთ გერმანიის კონსტიტუციონალისტების შეკავება. ამის გათვალისწინებით, პრუსია ორივე მხარის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ფრედერიკ ვილჰელმ მეოთხემ ჯერ კიდევ 1810 წელს დადო პირობა, რომ მიიღებდა კონსტიტუციას და 1815 წელს მოიწვია კომისია, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მუშაობა ამ საკითხზე. აღნიშნულ ინიციატივას ასევე მხარს უჭერდნენ წინათხსენებული შტაინი, ჰარდენბერგი და ჰუმბოლდტი. ოღონდაც, მეფის გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენდა პრუსიული არისტოკრატია, ე.წ. იუნკერები, რომლებსაც ბუნებრივად თავიანთი პრივილეგიების დაცვა სურდათ. 1815-ის შემდეგ, დროთა განმავლობაში, მეფის დამოკიდებულება უფრო და უფრო ეწინააღმდეგებოდა რეფორმისტებისას. პრუსიული და, შესაბამისად გერმანული, კონსტიტუციონალიზმის ბედი გადაწყდა 1818 წელს, კოცებუის მკვლელობით და მის შემგეგ მიღებული რეაქციონერული განკარგულებების მიღებთ, რაზეც უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებთ. აღნიშნული მკვლელობა მერტერნიხმა ოსტატურად გამოიყენა, რათა დაერწმუნებინა ფრედერიკ-ვილჰელმი, რომ კონსტიტუციის მიღება პირველი ნაბიჯი იყო რევოლუციისკენ. პრუსიის მეფემ დაავალა მთავრობას, რომ მიეღო კარლსბადის განკარგულებით გათვალისწინებული კანონები და დაბლოკა ჰარდენბერგის მცდელობები კვლავ ემუშავა კონსტიტუციაზე. 1819 წლისთვის ჰუმბოლდტი და მრავალი სხვა რეფორმისტი თანამდებობიდან გადადგა, მეტერნიხმა გაიმარჯვა. საბოლოოდ პრუსიაში შეიქმნა ლანდთაგები, რომლებიც რეგიონების ადგილობრივი წარმომადგენლობითი პალატები იყო და არა ერთიანი ეროვნული პარლამენტი.

გერმანელთა უმცირესობამ, მათ შორის სტუდენტებმა და ინტელექტუალებმა, პოლიტიკურად უიმედო ვითარებას უპასუხა პოლიტიკური მოძრაობების ჩამოყალიბებით. ისინი იმედოვნებდნენ, რომ აქტიური მოღვაწეობით შეეძლოთ გერმანული ეროვნული იდენტობის გაღვივება. მათ შორის ყველაზე განთქმული იყო ბურშების მოძრაობა, რომელიც იენას უნივერსიტეტში დაარსდა ჯერ კიდევ 1815 წელს, როდესაც სტუდენტებმა დაიფიცეს ეღვწოთ იდეალებისათვის, რომლებიც არნდტმა და სხვა პატრიოტული განწყობის მწერლებმა გააჟღერეს. სულ მალე ამ მოძრაობაში გაწევრიანდა 500-650 სტუდენტი და ანალოგიური მოძრაობები დაარსდა გერმანიის სხვა უნივერსიტეტბშიც. ბურშები საბოლოო მიზნად ისახავდნენ ძველი დამყოფი ინსტიტუტების მოსპობას და ყველაფრისთვის ერთიანი გერმანული სახის მიცემას. ბურშები განთქმულნი იყვნენ თავიანთი ღონისძიბებისთვის, რა დროსაც ისინი ადიდებდნენ გერმანიის ისტორიულ

გმირებს, როგორიც იყო მაგალითად მარტინ ლუთერი. მაგრამ, ერთიანი სულისკვეთების მიუხედავად, ბურშები მაინც ვერ თანხმდებოდნენ ერთმანეთში თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც იყო მათი მეთოდები. ამ დროს წარმოიქმნა მოძრაობის რადიკალური ფრთა, რომელსაც წინ უძღოდა კარლ ფოლენი. მან მიმდევრების მხოლოდ მცირე რაოდენობა დაიყოლია და დიდი ალბათობით ისტორიას ის დაავიწყდებოდა, რომ არა კარლ სანდი, მისი ერთ-ერთი მიმდევარი, რომელმაც 1819-ში მოკლა რეაქციონერი პუბლიცისტი აუგუსტ ფონ კოცებუე. მეტერნიხმა მიხვდა, რომ ამ მკვლეობისგან გამოწვეული შიში და რისხვა შეეძლო საკუთარი მიზნეისთბისთვის გამოეყენებინა. 1819 წელსვე მან მოიწვია კარლსბადის კრება, რომლის დროსაც შემუშავებული განკარგულებები შემდგომ მიაღებინა კონფედერაციის სეიმს. განკარგულებებით რეპრესიებს ემსხვერპლნენ უნივერსიტეტები, შეიქმნა ცენტრალური კომისია პრესის დასარეგულირებლად, ასევე შეიქმნა ფედერალური ბიურო რევოლუციური აგიტაციის გამოსაძიებლად. ამის გარდა, ცვლილებები შეიტანეს კონფედერაციის მოწყობაში, შემცირდა შემადგენელი სამეფო-სამთავროების სუვერენიტეტი. ახალი ვენის დასკვნით აქტში აღინიშნა, რომ კონფედერაციის უწყებებს უფლება ჰქონდათ ჩარეულიყვნენ სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, თუ ის ვერ უზრუნველყოფდა წესრიგს. ასევე, სახელმწიფოებს აეკრძალათ ისეთი კონსტიტუციის მიღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მათ შესაძლებლობას შეესრულებინათ კონფედერაციის მიერ დაკისრებული მოვალეობები. საბოლოო ჯამში, გერმანიის კონფედერაცია აღმოჩნდა არა გაერთიანების ხელშემწყობი, არამედ მსგავსი იდეების ჩახშობის იარაღი. აღნიშნული ვითარება ფორმალურად უცვლელი იყო 1848 წლის რევოლუციებამდე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხსენებული რეპრესიები დროთა განმავლობაში კარგავდა სიმძაფრეს, რეაქციონერთა ძალისხმევის მიუხედავად შეუძლებელი იყო პროგრესის სრული შეჩერება. ეს ნაწილობრივ თავად მეტერნიხსაც ესმოდა, რაც ჩანც მის მიერ 1820 წელს გამოთქმულ ფრაზაშიც: “დღეს მე უნდა მივუძღვნა თავი გახრწნილი შენობების გამაგრებას”. 1830-იანებისთვის ბურშების მსგავსი მოძრაობები უკვე ღიად მოქმედებას უბრუნდებიან. სწორედ მათი განახლებული მოღვაწეობის კულმინაცია იყო აღნიშნული რევოლუციები.

საბოლოო ჯამში, 1815-30 წლების გერმანიაში საძირკველი ჩაეყარა ლიბერალურ და ნაციონალისტურ იდეებს, რომლებიც ქვეყნის გაერთიანებას ქადაგებდნენ. ამის მიუხედავად, ამ ახალ იდეებმა ფართოდ ვერ მოიკიდეს ფეხი და, რამდენიმე გამარჯვების მიუხედავად, ისინი ფაქტობრივად დამარცხდნენ რეაქციონერებთან ბრძოლაში, რომლებმაც პოლიტიკური ძალაუფლება კვლავ თავიანთ ხელში ჩაიგდეს. შესაბამისად, ვენას კონგრესის შემდგომი 15 წელი ცნობილია, როგორც “რესტავრაციის პერიოდი”,

ხოლო, ახალ მოძრაობებს გასაქანი მიეცათ მხოლოდ ამის შემდგომ, რაც დაგვირგვინდა 1848 წლის რევოლუციებით.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Thomas Nipperdey. Germany From Napoleon to Bismarck, 1800-1866. Princeton University Press, 1996.
2. James Sheeran. German History 1770-1866. Clarendon Press, 1989.
3. Eric Dorn Brose. German History 1789-1871 From the Holy Roman Empire to the Bismarckian Reich. Berghahn Books, 2013.
4. ვაჟა თვალავაძე. ახალი ისტორია 1818-1871. თბილისი: მერიდიანი, 2006.
5. Charles Webster. The Congress of Vienna, 1814–1815. London: Foreign Office Historical Section, 1919.

მარიამ ხამიცაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საწყისების გამოაშკარავება: სემინოლების მეორე ომის დაწყების მიზეზები

ინდიელებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის დაპირისპირება ამერიკის ისტორიის თანმდევი მოვლენა იყო, რომელიც მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყებოდა და ამავე საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა. ალბათ, არაერთი შეტაკება და კამპანია გაგვახსენდება, რომელიც ინდიელთა წინააღმდეგ იქნა განხორციელებული, მათ შორის, ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული – სემინოლების მეორე ომი.

წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნება ყველა ის მიზეზი, რომელმაც განაპირობა სემინოლების მეორე ომის დაჩქარება, ამ მიზეზთა გაანალიზებას კი ვიწყებთ გეოგრაფიული პერსპექტივიდან და განვიხილავთ ფლორიდის ტერიტორიასა და მის მნიშვნელობას, რადგან ყველაფრის სათავე, სწორედ, რომ ეს ტერიტორია იყო.

ფლორიდა, რომელიც ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან ესპანეთის საკუთრებას წარმოადგენდა, 1819 წლამდე კვლავაც ესპანეთის მმართველობის ქვეშ რჩებოდა. იგი, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო ამერიკის ჩარევისგან და მომავალი აჯანყებებისა და ომებისგან. საუკუნის ბოლოს ფლორიდა წარმოადგენდა შტატს,[1] რომელშიც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ამერიკულ ღირებულებებს და ეძიებდა განვითარების გზებს. მათ, ვისაც უნდოდათ ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდება, ფლორიდის შემოერთებით იმაზე მეტი სარგებელი მიიღეს, ვიდრე სურდათ. ამერიკის მეშვიდე პრეზიდენტის, ენდრიუ ჯექსონის პოლიტიკამ და ფლორიდის ამერიკანიზაციამ, გავლენა მოახდინა ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, და, ზოგადად, ამერიკის ისტორიის წარმართვაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. ფლორიდის ტერიტორიის მნიშვნელობაზე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული და, მათ შორის, დეტალურად აქვს აღწერილი ამ ტერიტორიის უპირატესობები ფლორიდის უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორსა და მკვლევარს, ჯეიმს კუსიკს სტატიაში – „**Historiography of Nineteenth-Century Florida"** (Cusick 2016: 295-319).

[1] ფლორიდა ამერიკის შეერთებული შტატი ხდება 1845 წლიდან.

ფლორიდა თავისი ადგილმდებარეობით მნიშვნელოვანი რეგიონი იყო და არსებობდა რამდენიმე მიზეზი, რაც მისი ხელში ჩაგდების სურვილს უფრო მეტად უჩენდა სხვა სახელმწიფოებსაც.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, რამაც ფლორიდა ღირებულ ტერიტორიად აქცია. ხსენებულ ტერიტორიას პირდაპირ ესაზღვრებოდა ატლანტის ოკეანე აღმოსავლეთით, ხოლო მექსიკის ყურე – დასავლეთით. ეს გზები კი უზრუნველყოფდა სავაჭრო გზების არსებობას და ასევე, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას. ფლორიდა სწორედ იმ ტერიტორიას წარმოადგენდა, საიდანაც შესაძლებელი იყო შესვლა ჩრდილოეთის შტატებში და კარიბის ზღვის შესასვლელს წარმოადგენდა. ამ ფაქტორებთან ერთად, აღსანიშნავია ფლორიდის მოსახლეობა, რომელიც მრავალფეროვანი იყო, და, რომელიც აერთიანებდა ადგილობრივ მოსახლეობას, ანუ ინდიელებს, აფროამერიკელ მონებს, რომლებიც გამოქცეულნი იყვნენ მონობას და თავს აფარებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დასახლებებს, და, მათ შორის, ევროპელი დევნილებიც. მათმა თანაცხოვრებამ და კულტურათა ასიმილაციამ, ფლორიდა აქცია რეგიონად, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისითაც კი (Zacharias 2020).

ფლორიდა მეტად საინტერესოა სოციალური ურთიერთობების მხრივაც. იგი განიხილებოდა, როგორც თავშესაფარი შავკანიანი მონებისა, რომლებიც გამოქცეულნი იყვნენ მონათმფლობელურ სამხრეთ, ძირითადად, ალაბამასა და ჯორჯიის შტატებიდან. ცხადია, ა.შ.შ-ის მთავრობა დაინტერესებული იყო იმით, რომ შავკანიანი მოსახლეობა თავიანთი გავლენის ობიექტად ექცია. ესპანეთის ხელისუფლებამ გამოქცეულ შავკანიან მონებს შესთავაზა, რომ ფლორიდაში დასახლებულიყვნენ და თავშესაფარი ჰქონოდათ, რაც მათთვის მომხიბლავი წინადადება აღმოჩნდა, მსურველთა რაოდენობა კი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ის შავკანიანი მოსახლეობა, რომელიც გამოექცა მონობას, ფლორიდის ტერიტორიაზე თემებს აარსებდა და ურთიერთობას ამყარებდა ადგილობრივ ტომებთან – სემინოლებთან, თუმცა ინარჩუნებდნენ თავიანთ იდენტობას. ამასთან ერთად, მათ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ესპანელებთან. შავკანიანი მოსახლეობა სახლდებოდა სემინოლების ტომებთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე, ან თუნდაც, მათივე ტომებში. კულტურათა გაცვლამ და მათმა ქორწინებებმა, ამ ორი მოსახლეობის ასიმილაცია გამოიწვია და უფრო მეტად დააახლოვა ისინი, იმდენად, რომ ტომებთან მცხოვრებ მოსახლეობას შავკანიანი სემინოლები ეწოდებოდა. მათი თანამშრომლობა საერთო მტერთან – ამერიკის მოსახლეობასთან დაპირისპირებამ

გამოიწვია და მოგვიანებითაც დავინახავთ, თუ რამდენად დიდი იყო კავშირი ამ ორ ერს შორის უკვე სემინოლების მეორე ომში (Dixon 2020: 8-24).

ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირების წერტილი გახდა გაქცეული მონებისთვის თავშესაფრის მიცემა, რამაც გამოიწვია უფრო მეტი სურვილი ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებისა და, ამასთან ერთად მათი საკუთრების – მონების უკან, შტატებში დაბრუნებისა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთვრობისთვის დიდ გამოწვევასთან ასოცირდებოდა ადგილობრივი ტომების, განსაკუთრებით კი სემინოლების ამ ტერიტორიაზე განსახლება, რადგან ისინი ამერიკის ექსპანსიას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს აცხადებდნენ. არც სემინოლებისთვის იყო ფლორიდა თავდაპირველი საცხოვრებელი, ისინი ერთიანდებოდნენ კრიკების ტომებში, რომელთაც გამოეყვნენ და სამხრეთით წამოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ თავად ტერმინი „სემინოლი" მომდინარეობს კრიკების[1] სიტყვიდან „simanó-li", რაც ნიშნავს „გაქცეულს", ანუ კრიკების დასახლებიდან გაქცეულს. თანამედროვე პერიოდის ვაჭარი, ჰორაციო დექსტერი აღწერს სემინოლების მოსახლეობას და წერს, რომ „ისინი არიან კანონგარეშედ გამოცხადებული, კრიკების ხალხებს გამოყოფილი მოსახლეობა, მაგრამ ისინი გამოიკვეთნენ ისეთ კოლონიებად, რომელთაც ჰქონდათ ცდუნება, რომ ემოგზაურათ, ნადირობისა და საძოვრების უპირატესობის მოპოვების მიზნით, რაც ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილის ნაყოფიერ და ლამაზ სავანეებში მოიპოვებოდა" (Boyd 1958: 85). მათთვის მიუღებელი იყო თეთრკანიანი დევნილი მოსახლეობის მათ ტერიტორიაზე თანაცხოვრება. შავკანიან მონებთან ალიანსმა და მძლავრმა წინააღმდეგობამ, უფრო მეტად დაძაბა და გაართულა ესპანეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორს სიტუაცია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯეიმს მონროს (1817-1825) მთავრობა ცდილობდა, გადაეჭრა ეს პრობლემა ფლორიდაზე კონტროლით. მათ აღშფოთებდათ ის საკითხი, რომ შესაძლებლობა არსებობდა, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარი დაუცველი ყოფილიყო და, ამასთან ერთად, მიუღებელი იყო ესპანეთის ჩართულობა და დახმარება, როგორც ინდიელების ამერიკელებთან წინააღმდეგობის გაწევაში, ასევე გაქცეული მონების საკითხშიც.

საბოლოოდ, ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს სემინოლების პირველი ომის (1817-1818) დაწყება, რომელშიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო სამხედრო კამპანია,

[1] ადგილობირივი ინდიელი ტომები, რომელებიც განსახლებულნი იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატებში.

იმისთვის, რომ ჩაეხშოთ სემინოლთა წინააღმდეგობა და ფლორიდაზე კონტროლი დაემყარებინათ.

როდესაც ვსაურობთ სემინოლების მეორე ომის დაწყების მიზეზებზე, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გამოვყოთ და მნიშვენოლანი როლი მივანიჭოთ სემინოლების პირველი ომის შედეგებს და გავარკვიოთ, რა გავლენა იქონიეს სემინოლების ყოველდღიურობაზე და მათ შემდგომ ყოფაზე.

სემინოლების პირველმა ომმა საფუძველი ჩაუყარა მომავალ კონფლიქტებს და გავლენა იქონია ასევე ესპანეთის, ადგილობრივი ტომებისა და ამერიკის მთავრობას შორის დაძაბული ურთიერთობის გაღრმავებაზე, ამასთან ერთად, ა.შ.შ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთში ექსპანსიის უფრო ფართო კონტექსტით აღქმაზე. სწორედ, რომ ამ ომმა გადაწყვიტა ფლორიდის ბედი, რომელიც 1819 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაში გადავიდა. სემინოლებისთვის ეს ომი იყო კატასტროფის ეპოქის დასაწყისი.

სემინოლების პირველი ომი პირდაპირი შედეგი იყო მიწასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებული კონფლიქტებისა, სემინოლებსა და ჯორჯიის კოლონიზატორებს შორის. „ამერიკელები თვლიდნენ, რომ სემინოლები განსაკუთრებული ხალხი იყო. მათი დემონსტრირებული კეთილდღეობა გახდა მიზეზი, მათი ამ ტერიტორიიდან გაძევებისა. ამერიკელებს სურდათ მიწა და ასევე, სურდათ თავიანთი მონების დაბრუნება. მათი ერთადერთი ინტერესი ინდიელთა პოლიტიკის კონტროლი და შეკავება იყო“ (Weisman 2014: 400). ამერიკის არმია, ამერიკის შეერთებული შტატების მეხუთე პრეზიდენტის – ჯეიმს მონროს ბრძანებითა და ენდრიუ ჯექსონის მეთაურობით, რომელიც ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების გენერალ-მაიორი იყო, შევიდა ფლორიდის ტერიტორიაზე არაკანონიერად. მათ არ ჰქონდათ ამ ტერიტორიაზე გადასვლის უფლება, რადგან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ოფიციალურად ეს ტერიტორია ჯერ კიდევ ესპანეთის გავლენის ქვეშ იყო. ამერიკელმა ჯარისკაცებმა მოახერხეს და დაიკავეს ესპანეთის, სემინოლებისა და შავკანიანი სემინოლების ქალაქები და დახოცეს მრავალი ადგილობრივი მოსახლეობა, გადაწვეს მათი სახლები და მოსახლეობა ფლორიდის პანჰელდიდან[1] გააძევეს. არ დაინდეს შავკანიანი მოსახლეობაც და მათი ნაწილიც გაანადგურეს. ომს ცუდი შედეგი მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო განარისხა ადგილობრივი მოსახლეობა და, გაუჩინა სურვილი, კვლავაც დაპირისპირებოდა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, რაც მოგვიანებით განხორციელდა კიდეც. თუკი ამ ომს სამართლებრივი კუთხით

[1] შტატ ფლორიდის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

შევხედავთ, ვფიქრობთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სემინოლების პირველი ომი გამოიყენა, როგორც ეტაპი, იმისთვის, რომ წარედგინა პრეტენზიები ეროვნული იდენტობის შესახებ. ამერიკის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყვნენ დომინანტები ამერიკელები და არავინ სხვა ეროვნების. ამერიკის მთავრობა ცდილობდა, ყოფილიყო და თავი დაემკვიდრებინა ცივილიზებულ სამყაროში, როგორც ლიდერს და ამიტომაც წამოაყენა პრეტენზიები ფლორიდაში და ესპანეთი მისი ტერიტორიის არაეფექტურ კონტროლში დაადანაშაულა, რაც რეალობას აცდენილი ნამდვილად არ იყო. ესპანეთის კონტროლის შესუსტება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნის ის, რომ ესპანეთი ჩართული იყო მრავალ კონფლიქტში მე-19 საუკუნის დასაწყისში, რაშიც ფინანსური მხარე დიდ როლს თამაშობდა და თანხები იხარჯებოდა. ესპანეთისთვის კი ფლორიდა ერთგვარ ტვირთს წარმოადგენდა, რომლის შიდა პროცესების გაკონტროლება უკვე აღარ შეეძელო, ამისთვის არსებული რესურესები არ ჰყოფნიდა. რთული იყო თავად შიდა პროცესების მართვაც. შიდა ბრძოლებმა ესპანეთი საკმაოდ დაასუსტა და უნარი აღარ შესწევდა კოლონიები ეკონტოლებინა და ამას ემატებოდა ცალკე ადგილობრივი ტომების დააპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მისი უუნარობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ სამხრეთ ამერიკაში დაიწყო რევოლუციები მეფის წინააღმდეგ და ესპანეთს მთელი ყურადღება იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი.

სემინოლების პირველი ომი ნათელს ჰფენს შტატების მიზნებს, ის, რომ კონტინენტური ექსპანსიონიზმის შედეგად ამერიკის ყველა ტერიტორია აეთვისებინათ, თუნდაც ეს ადგილობრივი მოსახლეობის – სემინოლების და არა მხოლოდ სემინოლების საცხოვრებლის დაკარგვის ხარჯზე მომხდარიყო. როგორც დებორა როზენი აღნიშნავს თავის წიგნში – „**Border Law: The First Seminole War and American Nationhood”**, სემინოლების პირველი ომი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მიწის მიტაცება. იძულებითი გადასახლება იყო წინამორბედი და მიჰყვებოდა ჯექსონის პრეზიდენტობასაც. როზენი ამ წიგნზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში (Frank 2015: 251). მიუხედავად იმისა, თუ როგორ განმარტავდა ამერიკის შეერთებული შტატები უკანონოდ ფლირიდის ტერიტორიაზე შეჭრას, პოლიტიკოსების ნაწილი მაინც უარყოფითად იყო განწყობილი ამ ქმედების მიმართ და არ მიესალმებოდა ჯექსონის ქმედებას, არც იურიდიულ „გამართლებას“. იყო მეორე მხარეც, რომელიც ამართლებდა ამ პოლიტიკას და არ აღიარებდა ადგილობრივი ტომების სუვერენიტეტს. მათ, როგორც „მიწის მეკობრეებს“, ისე მოიხსენიებდნენ (Frank 2015: 253).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც მოჰყვა სემინოლების პირველ ომს, იყო ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაეცა კონტროლის უფლება აღმოსავლეთ ფლორიდაზე. ამერიკელებმა სემინოლების მნიშვნელოვანი დასახლებები გაანადგურეს ჩრდილოეთ ფლორიდაში და ინდიელებს ფლორიდის ღრმა სამხრეთისკენ დაახევინეს. ომის შემდეგ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ესპანეთი მეტად უუნარო იყო იმისთვის, რომ სხვა კონტინენტიდან ეკონტროლებინა ტერიტორია, რომელიც ასევე სხვა კონტინენტზე მდებარეობდა, და არა მხოლოდ ტერიტორია, არამედ აქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობაც. ესპანეთს უჭირდა სასაზღვრო დავების მარტივად და ეფექტურად გადაწყვეტაც. შედეგად, ესპანეთი იძულებული გახდა, აღმოსავლეთ ფლორიდა დაეთმო ხელშეკრულებით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთის მთავრობას შორის გაფორმდა და ხელი მოაწერეს ესპანეთის დესპანმა შეერთებულ შტატებში – ონისმა და სახელმწიფო მდივანმა ადამსმა 1819 წელს. შეერთებულმა შტატებმა ფლორიდის საბოლოო ოკუპაცია 1821 წლიდან დაიწყო. ტერიტორიის ფაქტობრივ მმართველად, სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა ენდრიუ ჯექსონი. 1822 წელს ფლორიდამ ოფიციალურად მიიღო შეერთებული შტატების ტერიტორიის სტატუსი, 1845 წლიდან კი ის მონათმფლობელური შტატის სტატუსით შევიდა კავშირში. ამ ხელშეკრულებით საზღვარი ა.შ.შ-სა და ახალი ესპანეთის ვიცე სამეფოს ტერიტორიას შორის (1821 წლიდან დამოუკიდებელი მექსიკა) გადიოდა 42-ე პარალელზე. მიუხედავად ამისა, ა.შ.შ-ის გამარჯვებამ გაანადგურა ყველანაირი იმედი იმისა, რომ ესპანეთი კვლავ შეძლებდა ამ ტერიტორიაზე მმართველობის აღდგენას. მთავრობა მაინც მზად იყო, ისევ გაელაშქრა სემინოლების წინააღმდეგ და კვლავ ლობირებდა მათ მოცილებას, რადგან ფიქრობდა, რომ მათი დამორჩილება არც თუ ისე მარტივი იყო, და, შეეცდებოდნენ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას. მართლაც, ომმა გამოიწვია ზეწოლა სემინოლებზე, რათა გადასახლებულიყვნენ წინაპრების მიწიდან და გაძლიერებულიყო ამერიკის კონტროლი სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, ყველანაირი ხელის შემშლელი ფაქტორების გარეშე. სემინოლთა ნაწილი მართლაც გადავიდა ოკლაჰომაში[1] საცხოვრებლად, სადაც ელოდათ რეზერვაციული პირობები, ანუ ყველანაირად თავისუფლებას მოკლებული ცხოვრება და ამასთან ერთად, ა.შ.შ-ის კონტროლ ქვეშ ყოფნა.

[1] ოკლაჰომას ტერიტორიაზე გამოყოფილი იყო რეზერვაცია, სადაც ა.შ.შ-ის მთვარობა ასახლებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ეს წარმოადგენდა ერთგვარ კონტროლის საშუალებას და ამასთან ერთად, საფრთხის არიდებას, რომელიც ინდიელთა ტომებისგან არსებობდა. ამ ტერიტორიას უწოდებდნენ „ინდიელთა ტერიტორიას“.

ომმა აჩვენა და გამოკვეთა ფლორიდის გარემო და მისი ბუნებრივი პირობები, მისი რთული რელიეფი და ჭაობები, რომლებმაც ხელი შეუშალეს და გაართულეს სამხედრო ოპერაციების წარმოება. სემინოლების პირველ ომში მიღებულმა გამოცდილებამ დაანახა ა.შ.შ-ის მთავრობას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი აღჭურვილობა და სამხედრო სტრატეგია შემდეგომ კონფლიქტებში.

სემინოლების და, ზოგადად, ადგილობრივი მოსახლეობის დევნა და დისკრიმინაცია მხოლოდ ომებით არ შემოიფარგლებოდა. იგი ლაიტმოტივად მიჰყვებოდა უკვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ენდრიუ ჯექსონის პრეზოდენტობასა და პოლიტიკას. იმისათვის, რომ ამერიკის მოსახლეობას ფლორიდა ბოლომდე აეთვისებინა და არ შეშლოდა ხელი, გადაწყვიტა, მოეფიქრებინა ის ზომა, რომელიც გაამართლებდა მათ პოლიტიკას, რომელსაც იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. 1830 წელს მათ მიიღეს კანონი – ინდიელთა გადასახლების კანონი, რომლის მიზანი იყო, ადგილობრივ ტომებს საკუთარი ნებით, დაძალების გარეშე, გაეცვალათ ტერიტორია, ფლორიდის სანაცვლოდ უნდა გადასულიყვნენ „ინდიელთა ტერიტორიაზე“,[1] რომელიც ჯერ კიდევ აუთვისებელი იყო არა მხოლოდ ფლორიდაში მცხოვრები ადგილობრივი ტომებისთვის, არამედ თავად ამერიკელი მოსახლეობისთვისაც. ეს იყო ერთგვარი გარანტია იმისა, რომ მათი მიზნების განხორციელებაში, ამერიკელებს ხელისშემშლელი ფაქტორები ჩამოცილებული ეყოლებოდა. გარდა ამისა, ეს კანონი ეხებოდა შავკანიან მოსახლეობასა და შავკანიან სემინოლებს, თუმცა მათთვის არათუ ნაბაყოფლობითი, არამედ სავალდებულოც იყო დარჩენილიყვნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ცხოვრობდნენ, რადგან ისინი ა.შ.შ-ის საკუთრებას წამოადგენდნენ და არ ჰქონდათ სხვა ტერიტორიაზე გადასვლის უფლება, სადაც მეტ-ნაკლებად თავისუფლად იცხოვრებდნენ.

ამერიკელთა დარწმუნება, თითქოს ჯექსონი გმირი იყო, და ადგილობრივ ტომთა სასიკეთოდ აკეთებდა ამას, ვფიქრობთ, მზკავრულ გეგმას წარმოადგენდა პრეზიდენტების ქმედებების გამართლებისა. ეს არ იყო ნებაყოფლობითი გადასვლა სხვა, უცნობ ტერიტორიაზე, არამედ, მოტყუებით, დაშინებით და ძალადობით აიძულეს გაეკეთებინათ ის, რაც მათი სურვილების საპირისპიროს წარმოადგენდა. „არასწორი ინტერპრეტაცია, დაშინება, მექრთამეობა და კორუფცია შეადგენდა 1830 წლის ინდიელთა განდევნის კანონის ნამდვილ არსს. გადაადგილების ნებაყოფლობითი და ჰუმანური კანონის ნაცვლად, როგორც ინდიელებს და კონგრესს წარუდგინეს, ინდიელთა გადასხლების კანონი აიძულებდა ადგილობრივ მოსახლეობას, თავიანთი ამჟამინდელი

[1] დღევანდელი ოკლაჰომას ტერიტორია.

მიწები გაეცვალათ მდინარე მისისიპის დასავლეთით მდებარე ტერიტორიებზე“ (Rečlová 2019/2020: 19). ეს კანონი უნდა ყოფილი მშვიდობიანი; ყველანაირი ძალდატანების გარეშე უნდა გადასულიყო ადგილობრივი მოსახლეობა სხვა ტერიტორიაზე, თუმცა, რატომღაც ავტორებს სხვანაირად ესმით, ისინი ამართლებენ ძალადობას, რომელიც სემინოლებისა და სხვა ტომების მიმართ იქნა გამოყენებული. „1830 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო ინდიელთა გადასახლების კანონი, წესდება, რომელიც ამერიკელებს აძლევდა სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას მდინარე მისისიპის აღმოსავლეთით მდებარე ყველა ადგილობრივი მოსახლეობის დასავლეთისკენ გადაადგილების მიზნით“ (Cave 2003: 1330). თუმცა, მათ, ვინც კანონს სიღრმისეულად გაეცნენ, თქვეს, რომ „პრეზიდენტს სურვილის შემთხვევაში შეეძლო, გაეგზავნა აღმოსავლეთში მცხოვრები ნებისმიერი ტომი მისისიპის მიღმა, საჭიროების შემთხვევაში კი ძალა გამოეყენებინა“ (Cave 2003: 1330). ჯექსონის დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობისადმი, მათი გაძევება მშობლიური მიწიდან, შესაძლებელია, არც გაგვიკვირდეს, რადგან ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტების დროს, იგი დაუფარავად აცხადებდა თავის დამოკიდებულებას ამ ხალხისადმი, თუმცა, გასაკვირი იყო 1829 წელის 8 დეკემბერს შეერთებული შტატების კონგრესზე გაგზავნილი წერილი, სადაც ჯექსონი წერს, რომ „ეს ემიგრაცია უნდა იყოს ნებაყოფლობითი, რადგან სასტიკი და უსამართლო იქნება ადგილობრივების იძულება, დაეტოვებინათ თავიანთი მამების საფლავები და ეძიათ სახლი შორეულ ქვეყანაში“. პრეზიდენტმა დასძინა, რომ „ჩვენი ქცევა ამ ხალხის მიმართ აისახება ჩვენს ეროვნულ ხასიათზე” (Cave 2003: 1332).

1830 წლის ინდიელთა გადასახლების კანონს სემინოლებმა მხოლოდ 1833 წელს მოაწერეს ხელი, საკმაოდ რთულ და სადავო პირობებში. მაშინ, როდესაც ფლორიდის თეთრკანიანი მოსახლეობა მოუწოდებდა სემინოლებს, შეესრულებინათ ბრძანებები და დაეტოვებინათ ფლორიდა, იგივეს აკეთებდნენ თავად სემინოლები, რადგან, ისინი უფრო მეტ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. მთავრობა დაპისირებისამებრ უნდა დახმარებოდა მათ, რადგან შიმშილის პირას იყვნენ, თუმცა, ვერ შეძლეს მათი გამოკვება იმ რაოდენობით, რაც გათვალისიწნებული იყო „მოულტრი კრიკის“[1] ხელშეკრულებით (Rečlová 2019/2020: 34). შეერთებული შტატების მთავრობამ სემინოლებს ნება დართო თავად წასულიყვნენ „ინდიელთა ტერიტორიაზე“ და თავად ენახათ ის მიწა, სადაც უპირებდნენ გადასახლებას.

[1] ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა 1823 წელს ა.შ.შ-ის მთავრობასა და ფლორიდაში მცხოვრებ ადგილობრივ ტომებს შორის. ხელშეკრულება მიზნად ისახავდა სემინოლების ტერიტორიის დაკავებას ჩრდილოეთ ფლორიდაში და რეზერვაციის შექმნას ფლორიდის ცენტრალურ ნაწილში. მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა საკვებითა და სამუშაო იარაღებით. ხელშეკრულება შედგება 4 მუხლისგან.

ფორტ გიბსონში, ოკლაჰომაში, მიწის დათვალიერების შემდეგ, სემინოლებმა უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ დოკუმენტზე, თუმცა ოფიციალური პირების ჩარევის შედეგად, მუქარით და დაძალებით, მაინც მოაწერინეს ხელი. ამის მიუხედავად, სემინოლები არ აპირებდნენ დანებებას და გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც გადაიზარდა სემინოლების მეორე ომში (1835-1842).

ფლორიდის ტერიტორია, სემინოლების პირველი ომის შედეგები, ინდიელთა გადასახლების კანონი, სემინოლების წინააღმდეგობა, დავები მიწის შესახებ, გაქცეული მონები, სასაზღვრო კონფლიქტები, წარუმატებელი მოლაპარაკებები, აი, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ დაპირისპირებებს კულმინაციამდე მიეღწია, ანუ დაწყებულიყო სემინოლების მეორე ომი. ომი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და ხანგრძლივი კონფლიქტი იყო ამერიკის ისტორიაში, რამდენიმე წელი გრძელდებოდა და ამ ომს დიდი მსხვერპლიც მოჰყვა, მსხვერპლთან ერთად, დიდი გადასახლება და „ცრემლების ბილიკის“[1] გავლა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Boyd 1958: Mark Boyd, „Horatio Dexter and the Events Leading to the Treaty of Moultrie Creek with the Seminole Indians“, Florida Anthropological Society, Vol. 11, 1958, გვ. 65-95;
2. Cave 2003: Alfred A. Cave, „Abuse of Power: Andrew Jackson and the Indian Removal Act of 1830“, Vol. 65, No. 6 (WINTER 2003), გვ. 1330-1353. ხელმისაწვდომია: https://cooperative-individualism.org/cave-alfred_abuse-of-power-andrew-jackson-2003-winter.pdf. ბოლოს დამოწმებულია 27.07.2023;
3. Cusick 2016: James G. Cusick, „Historiography of Nineteenth-Century Florida“, The Florida Historical Quarterly, Vol. 94, No. 3 500 Years of Florida History – The Nineteenth Century: 1800 to 1870 (WINTER 2016), გვ. 295-319. ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/24769274. ბოლოს დამოწმებულია 27.07.2023;
4. Dixon 2020: Anthony E. Dixon, „Black Seminole Ethnogenisis: Origins, Cultural Characteristics, and Alliances“, Phylon (1960-), Vol. 57, No. 1, Special Volume: Devoted to Celebrating the 400th Anniversary of Africans in the United States (SUMMER 2020), გვ. 8-24. ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/26924984. ბოლოს დამოწმებულია 27.07.2023;
5. Field 2009: Ron Field, The Seminole Wars 1818–58 (Men-at-Arms), Osprey publishing, 2009;
6. Frank 2015: Andrew K. Frank, „Reviewed Work: Border Law: The First Seminole War and American Nationhood by Deborah A. Rosen“, The Florida Historical Quarterly, Vol. 94, No. 2 (FALL 2015), გვ. 251-253. ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/24769182. ბოლოს დამოწმებულია 27.07.2023;
7. Mahon 1998: John K. Mahon, „The Florida Historical Quarterly“, Vol. 77, No. 1 (Summer, 1998),

[1] იძულებით გადასახლებული ინდიელები გადიოდნენ გზას „ინდიელთა ტერიტორიამდე“, რომელსაც ეწოდებოდა „ცრემელების ბილიკი“ მისი აუტანელი პირობებიდან გამომდინარე.

გვ. 62-67 ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/30149093?read-now=1&seq=4#page_scan_tab_contents. ბოლოს დამოწმებულია 27.07.2023;

8. Rečlová 2019/2020: Zuzana Rečlová, The Trail of Tears: Indian Removal in the 1830s, Univerzita Tomáše Bati ve Zlíně Fakulta humanitních studií Ústav moderních jazyků a literatur Akademický rok: 2019/2020;
9. Weisman 2014: Brent R. Weisman, The Background and Continued Cultural and Historical Importance of the Seminole Wars in Florida, University of South Florida, Spring 2014;
10. Zacharias 2020: **James "Zach" Zacharias**, Florida's Allure for the 19th Century Florida Landscape Artist, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.moas.org/Florida-s-Allure-for-the-19th-Century-Florida-Landscape-Artist-1-6766.html. ბოლოს დამოწმებულია: 27.07.2023.

გიორგი გოგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ერეკლე გოგიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

ნიკო ნიკოლაძის როლი ქართული მანგანუმის მრეწველობის განვითარებაში

ქართული მანგანუმის მადნის მრეწველობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მას საფუძველი ეყრება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი ვრცელია, მთლიან ისტორიას ერთ სტატიაში ვერ განვიხილავთ. ჩვენს მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ეპიზოდის ნათლად წარმოჩენა. ეს ეპიზოდი მოიცავს ნიკო ნიკოლაძის და მის თანამოაზრეების „ბრძოლას“ ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მშენებლობისათვის და ამ რკინიგზის მნიშვნელობას მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარებისათვის.

სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, ვახსენოთ ის ლიტერატურა, რომლის მეშვეობითაც შევძელით პროცესის შესწავლა და გაანალიზება. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს ვლადიმერ ჭანიშვილის „მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში“, სადაც ავტორს ფუნდამენტურად აქვს განხილული ქართული მანგანუმის მადნის მრეწველობის ისტორია და ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდიც. გარდა ამისა, საინტერესოა აკაკი ბაქრაძის ნაშრომი „ნიკო ნიკოლაძე“, რომელშიც ავტორს პოპულარული ენით წარმოჩენილი აქვს ნ. ნიკოლაძის როლი ზემოთ აღნიშნულ საქმეში. გარდა ამისა, აღსანიშნავია ქართული პერიოდული გამოცემები („ივერია“, „კვალი“), სადაც ასახულია ნიკოლაძისა და მისი ოპონენტების მოსაზრებანი და სხვ. ქართული მანგანუმის მრეწველობისათვის საქართველოს ისტორიის ნარკვევებში (ტომი V) მიძღვნილია ერთი ქვეთავი, თუმცა მასში ნ. ნიკოლაძეზე და მის ღვაწლზე არაფერი წერია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული მადნის მოპოვების ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, ხოლო 1870-იან და 1880-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა მისი განვითარებისთვის. ჭიათურაში მანგანუმის ამოღება წარმოადგენდა

საქართველოს სამთო მრეწველობის ყველაზე უმსხვილეს ობიექტს (1879 წლიდან იწყება აქ წარმოება). ინტერესის გაცხოველება ჭიათურის მანგანუმისადმი განპირობებული იყო მსოფლიო მეტალურგიის – ფოლადის დამზადების სწრაფი ზრდით (ბენდიანიშვილი 1970: 398). აქვე ორიოდე სიტყვა საბადოებზე: „შავი-ქვის მადნები მრავალია, როგორც საზოგადოდ მთელ ხმელეთზედ, აგრეთვე კერძოთ საქართველოში: რაჭას, სამეგრელოს, გორის მაზრაში რამდენსამე ადგილას, ტფილისის მაზრაში. მაგრამ შორაპნის მაზრის შავი-ქვა ყველაზედ უკეთესია და ადვილი სამუშაოც სხვა მადნების მუშაობა უფრო მძიმე და ძნელია. ამის მიზეზი ის არის, რომ შავი-ქვა მიწაში პტყლად არა დევს, როგორც შორანის მაზრაში, არამედ თავქვე ალმაცერად და ხშირად მიწაში გადასულ-გადმოსულია. როგორც პირველი ნაკლი, აგრეთვე მეორე – საშინლად ამძიმებს მუშაობას“ (განი 1896: 2). ამასთან, განის მითითებით, ქართული მანგანუმის მადანი სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი ხარისხის იყო. 1879 წლიდან სხვადასხვა ფირმა და კაპიტალისტი შემოდიოდა საქართველოში, რათა დაუფლებოდნენ იმ ტერიტორიებს, სადაც მანგანუმის მადანი მოიპოვებოდა. თუმცა მრეწველობის განვითარებისათვის პრობლემას გამართული გზების უქონლობა წარმოადგენდა. ეს კარგად ჩანს გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაშიც: „სამ გზაში არც ერთი გზა არ ვარგა. პირველი (35 ვ.) თუმცა მოკლე გზაა, მაგრამ დიდი აღმართები აქვს და გარდა ამისა სამ-ოთხ ადგილს ისეთი ტალახები იცის ცოტა წვიმის შემდეგაც, რომ საქონელს ცარიელის ურმის თრევაც კი უჭირდება, მაგრამ კი ფართო, გაშლილი და გრილი გზაა. მეორე გზა (52 ვ.) გაყვანილია ყვირილის ხეობაში. ამ გზის ერთ მხარეს უშველებელი მთა, მეორე მხარეს ყვირილა ჩამოუდის და შემდეგ ისევ მთა უდევს. გზა ბევრს ადგილას ვიწრო და საშიშია. თუმცა პირველ გზაზედ უფრო ვაკეა, ხოლო ზაფხულში აუტანელი სიცხე იცის. მესამე გზა (55 ვ.) მეტად გძელია. გარდა ამისა ამ გზით მომსელელმა ღრმა მდინარე ძირულა უნდა გამოიაროს. წვიმების შემდეგ ძირულა ისე ადიდდება ხოლმე, რომ შეუძლებელია გამოსვლა. სამივე გზის უმთავრესი ნაკლულევანება – საძოვარის უქონლობა და ტალახებია“ (განი 1886: 1).

ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდა რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის ქართული მადნის ექსპორტზე გატანა და განვითარება, თუმცა ნ. ნიკოლაძე მარტო არ ყოფილა, მას ქართველი საზოგადოება უმაგრებდა მხარს. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე და გიორგი წერეთელი. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ რკინიგზის გაყვანას და საკითხებზე თავიდანვე აქტიურად წერდნენ ისინი (ბაქრაძე 1989: 196). განსაკუთრებით გამოსარჩევია გიორგი წერეთელი, რომელიც ნიკო ნიკოლაძესთან ერთად 1880-იან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობაში მუშაობდა. სწორედ მათ დააყენეს

საკითხი ჭიათურის რკინიგზის გაყვანის შესახებ. რუსეთის იმპერია სავაჭრო მნიშვნელობის გზების მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ იმასაც ითვალისწინებდა, რომ სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები რაც შეიძლება სწრაფად ამოეღოთ და მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო ესა თუ ის პროექტი. თუმცა ჭიათურის რკინიგზის მიმართ მაღალჩინოსნებს სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადეობის გამგეობა ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთელის ჩანაფიქრს ნდობითა და ხალისით არ შეხვდა, მათ ჭიათურა-ყვირილის გზის რთული რელიეფი აშინებდათ, ამიტომ ნიკო ნიკოლაძე გამგეობას შეუთანხმდა, რომ ჯერ ქუთაისი-ხობის რკინიგზა გაეყვანათ, რომელიც უფრო მარტივი იყო და შემდეგ დაეწყოთ ჭიათურის რკინიგზის გაყვანა (ჭანიშვილი 1960: 147).

1883 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის კომპანიის უფროსის ა. ბუნგესაგან თანხმობა მიიღეს, რომ დაეწყოთ ქუთაისი-ხობის რკინიგზის მშენებლობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პროექტს სახელმწიფო არ აფინანსებდა და ამიტომ ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა თავის თავზე აიღეს ის პირობები და ვალდებულებები, რომელიც რკინიგიზს მშენებელი კომპანიისთვის უნდა შეექმნათ: 1. მოსახლეობას უფასოდ უნდა დაეთმო ის ადგილები, სადაც რკინიგზა უნდა დაეგოთ; 2. იმ სოფლებში მოცხოვრებ მოსახლეობას, სადაც რკინიგზის ხაზს უნდა გაევლო, ვალდებული იყო თითო კომლიდან ერთი კაცი გამოსულიყო და ექვსი დღის განმავლობაში ემუშავა; 3. მოსახლეობას ის მასალებიც უფასოდ უნდა დაეთმო, რომელიც უკვე დათმობულ მიწაზე აღმოჩნდებოდა (ჭანიშვილი 1960: 147).

ასეთი ვალდებულებების შესრულებას იმ დროინდელ პრესაში გამოხმაურება მოჰყვა, ქვეყნდებოდა კრიტიკული წერილები, რომ რკინიგზის გაყვანით მოსახლეობის უმრავლესობა შემოსავლის წყაროს დაკარგავდა, რადგან მადნის გადაზიდვა ურმებითა და ცხენებით საჭირო აღარ იქნებოდა. ამ აზრს ბევრი მომხრე ჰყავდა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ ისეთ ცნობილ პირებს შორისაც კი, როგორიც იყვნენ სამთო ინჟინრები ნ. კოცოვსკი და გ. დეკანოზიშვილი, კავკასიის სამთო სამმართველოს მმართველი ვ. მელლერი, განი და სხვ. განი შემდეგსაც წერდა: „დ. ზესტაფონიდან ს. ჭიათურაში შავი ქვის გადმოსაზიდავად გაყვანილი რკინიგზა მხარეს სარგებლობას არ მოუტანს და ბევრს-კი ავნებს... თუ რკინიგზა გაიმართა ქვას რკინის გზა გადმოზიდავს, მაშასადამე ძვირად ნაყიდი საქონელი დარჩებათ გლეხებს სავაგლახოთ; ან შიმშილით დაეხოცებათ ან არა და ნემსის ფასად უნდა გაჰყიდონ“ (განი 1886: 3). სამთო ინჟინერი გ. დეკანოზიშვილი უკვე ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის შემდეგაც აკრიტიკებდა გაზეთ ივერიის ერთ-ერთ ნომერში ამ გადაწყვეტილებას: „მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ ეს

გზა ჯერ უდროვოა. შავი ქვის ფასმა უკვე დაიწია... ხალხს – კი რკინიგზის გაყვანით, ჩამოერთვა 1½ მილიონი მანეთი, რომელსაც იღებდა შავი-ქვის გატანით. ამასთანავე გაადვილდა უცხოელების შემოსევა. რაკი ერთხელვე გადასწყვიტეთ, რომ რკინიგზა საჭიროა ხალხის კეთილდღეობისათვის, და გათავდა; ახლა აღარავის უნდა საფუძვლიანად გამოირკვიოს, სად და როგორ, რა გარემოებაშია საჭირო რკინისგზა. ნუ დავივიწყებთ, რომ ხალხისათვის მუდამ არსებობს ასეთი თუ ისეთი წესები, რომელიც ხელს უწყობს როგორც ხალხს, აგრეთვე თვითოეული ადამიანის კეთილდღეობას, მაგრამ ეს წესები ყოველ ჟამს და ყოველი ხალხისათვის ერთნაირი არ არის. რაც სასარგებლოა ერთი ერისათვის, ის შეიძლება მავნებელი იყოს მეორესათვის და სხვა“ (დეკანოზიშვილი 1893: 2). დეკანოზიშვილი რკინიგზის წინააღმდეგ წერდა „კვალშიც“: „1893 წლის დეკემბერში პირველად დაისტვინა ჭიათურაში ორთქლით მავალმა და ამცნო არემარეს შავი-ქვის წარმოების ბედ-იღბლის შეცვლა... ვინ იცოდა, სტვენა ყორნის ჩხავილზე უფრო უბედურირების მომვლინებელი იქნებოდა შავი-ქვის წარმოებისათვის!“ (დეკანოზიშვილი 1897: 229). ამგვარად, ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ხალხი შემოსავალს დაკარგავდა.

გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის ცდამ – მოსახლეობის დახმარებითა და მონაწილეობით გაეყვანათ ხსენებული რკინიგზის შტოები – შედეგი ვერ გამოიღო. მას ბევრი სიძნელე გადაეღობა წინ და საქმე ადგილიდან არ იძვროდა. საჭირო იყო სხვა გზის გამონახვა, რკინიგზის გაყვანა მთავრობის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. უნდა დაერწმუნებინათ ის გზის სახელმწიფოებრივ სავაჭრო მნიშვნელობაში, რაც იმ დროს საკმაოდ რთული და ძნელი ამოცანა გახლდათ. ერთი მნიშვნელოვანი საქმე ამიერ კავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობის თანხმობა რკინიგზის გაყვანის შესახებ, უკვე გაკეთებული იყო, მაგრამ ეს სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი, გზის გაყვანის შესახებ შუამდგომლობა უნდა აღეძრა კავკასიის მაშინდელ მთავარმართებელს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ მას დაარწმუნებდნენ გზის გაყვანის ეკონომიურ სარგებლობაში (ჭანიშვილი 1960: 152). 1885 წელს კავკასიის მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა გადაწყვიტა სტუმრად წასულიყო საჩხერეში ელენე წერეთელთან. მთავარმართებელი უნდა გაეცილებინა ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველს ინჟინერ ე. პრესნიაკოვს. ნ. ნიკოლაძემ, რომელიც ამ დროს თბილისში იყო და, როგორც ზევით აღვნიშნეთ მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების წევრად, გადაწყვიტა სწორედ ეს შემთხვევა გამოეყენებინა ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის საქმის მოსაგვარებლად და ინჟინერ ე. პრესნიაკოვთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ნ. ნიკოლაძე ამ მგზავრობაში მიიღებდა მონაწილეობას. კავკასიის მთავარმართებელს გააცნობდნენ

მანგანუმის მადნის წარმოებას ადგილზე და წარუდგენდნენ მოხსენებას რკინიგზის გაყვანის აუცილებლობისა და სახელმწიფოსთვის დიდი სარგებლობის შესახებ. ნიკოლაძე ამაზე წერდა: "დავრწმუნდით, რომ ის [დუნდუკოვ კორსაკოვი] ამ წინადადებას შეიტანდა თავის მომდევნო ბოლო მოხსენებაში. მე მაშინვე მივმართე გამგეობას ფილიალის კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ და მივიღე ნებართვა, რომ ეს სამუშაო ინჟინერ პ.ა. ალხაზოვს მიენდო. დონდუკოვმა პირობა შეასრულა.

ჭიათურიდან დაბრუნების შემდეგ 1885 წლის ოქტომბერში, შორაპნის მაზრის მანგანუმის მადნის შესახებ დონდუკოვ-კორსაკოვმა მოიწვია თათბირი მელლერის, სმეკალოვისა და ამიერკავკასიის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარის ინჟინერ პრესნიაკოვის მონაწილეობით. თათბირზე ფართოდ იქნა განხილული ყველა ის საკითხი, რომლებიც ჭიათურის მანგანუმის მადნის საწარმოებთან იყო დაკავშირებული და განსაკუთრებით კი მადნის გადაზიდვის საქმე – გზის გაყვანის საკითხი. კავკასიის სამთო სამმართველოს მმართველი მელლერი თათბირზე ჭიათურა-შორაპანს შორის რკინიგზის გაყვანის შესახებ იმავე აზრით გამოვიდა, რასაც ის შემდეგშიაც მუდამ იმეორებდა, რომ ჭიათურის მადნის წარმოება არ შეიძლება ჩათვლილიყო მყარ წარმოებად, რადგან მისი ძირითადი მომხმარებელი დასავლეთ ევროპის ქვეყნები და არა რუსეთი იყო. ასევე ისიც, რომ ის არ იყო სახელმწიფო მნიშვნელობის წარმოება, რკინიგზის გაყვანით კი სახელმწიფო სარგებლობას ვერ ნახავდა, რადგან ამ წარმოების ბედი ბეწვზე ეკიდია (საკმარისია ევროპაში გამოჩნდეს სხვა რომელიმე ქვეყნის მადანი, რომ ჭიათურის საწაომოები დაიკეტოსო და სხვა) (ჭანიშვილი 1960: 153). მას მიაჩნდა, რომ უმჯობესი იქნებოდა გაყვანათ შარაგზა, რომელიც ამ წარმოების დაკეტვის შემდეგადც მის ახლო მდებარე სოფლებისთვის მაინც საჭირო იქნებოდა. ქუთაისის სამხედრო გუბერანტორი დაეთანხმა მელლერს. თუმცა კავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელმა ინჟ. პრესნიაკოვმა მხარი დაუჭირა რკინიგზის გაყვანის აუცილებლობას და განაცხადა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებას შეუძლია ამ გზის გაყვანა, თუ საამისო ნებართვას და პირობებს მიიღებს მთავრობისაგანო. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ეთანხმებოდა მელლერს ჭიათურა-შორაპანს შორის შარაგზის (და არა რკინიგზის) გაყვანის აუცილებლობაში, ნიკო ნიკოლაძესთან ამ საკითხზე არა ერთხელ საუბრისა და თათბირის შედეგად, ღრმად დარწმუნდა რკინიგზის გაყვანის დიდ სარგებლიანობაში. ამის გამო იმავე წლის დეკემბერში მისი მითითებით შედგენილ იქნა ბროშურა, რომელშიაც დეტალურად არის აღწერილი და განხილული ჭიათურის მადნის მრეწველობის მდგომარეობა, ზრდის პერსპექტივები და დასაბუთებულია ჭიათურა-შორაპანს შორის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის (ორთქლმავლების წევით) გაყვანის

საჭიროება და აუცილებლობა და რომ ეს გზა გაყვანილი უნდა იქნეს არა რომელიმე კერძო პირის ან კომპანიის მიერ, რომლებიც პირადი სარგებლობით არიან დაინტერესებულნი, არამედ აუცილებლად სახელმწიფოს მიერ, რომელსაც ის დიდ სარგებლობას მისცემდა. როგორც ვ. ჭანიშვილი მიუთითებს საარქივო მასალებიდან დასტურდება, რომ ხსენებული ბროშურა დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენება-შუამდგომლობით გაიგზავნა სახელმწიფო ქონების სამინისტროში, ხოლო აქედან სამთო დეპარტამენტში, სადაც აღძრული საქმის შესწავლა დაავალეს სამთო საბჭოს წევრს შტოფს. დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენება-შუამდგომლობა და ზემოთ დასახელებული ბროშურა ძირითადად სამ საკითხს ეხებოდა: 1) ჭიათურიდან შორაპნამდე მადნის გადაზიდვის საქმის მოგვარებას, 2) ჭიათურის საწარმოებზე სამთო, პოლიციური და საექიმო-სანიტარული ზედამხედველობის გაძლიერებას და 3) ყოველივე ამისათვის ფულადი სახსრების გამოძებნას. შტოფი დაეყრდნო მასალებს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭიათურა-შორაპანს შორის რკინიგზის გაყვანა არ იყო საჭირო. სამთო დეპარტამენტი დაეთანხმა შტოფის აზრს და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. დონდუკოვ-კორსაკოვი წინააღმდეგი წავიდა შტოფის განცხადებისა და არ დაეთანხმა სამთო დეპარტამენტის დადგენილებას; მან მოითხოვა საქმე განსახილველად გადაეცათ მინისტრთა კომიტეტისათვის. არ განიხილა საქმე მინისტრთა კომიტეტმა. იგი გადასცეს სამთო კომიტეტს და სამთო სამეცნიერო საბჭოს, ორივემ თბილისში გრძელი, მრავალსიტყვიანი დასკვნა გამოგზავა, სადაც ამჯერადაც არ ცნეს მიზანშეწონილად ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მშენებლობა (ბაქრაძე 1989: 199). მიუხედავად ამისა, ამ საქმის ირგვლივ მუშაობა არ შეწყვეტილა, რადგან ფაქტიური მდგომარეობა მრეწველობისა აიძულებდა ნაციონალური მრეწველობის ზრდა-განვითარებით დაინტერესებულ პირებს სხვა გზა გამოენახათ ხსენებული საქმის გადასაწყვეტად—გზათა სამინისტროს საშუალებით ემოქმედათ.დონდუკოვ- კორსაკოვი პირადად თვლიდა თავს შეურაცხყოფილად პეტერბურგის უარით. მან ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობას ჭიათურა-შორაპნის ხაზის პროექტის შედგენა დაავალა. პროექტი სასწრაფოდ შეადგინეს, მაგრამ, წესის თანახმად, იგი დასკვნისათვის უნდა გადაეცათ და ისევ მელლერს გაუგზავნეს. მან კი 1886 წლის 24 მაისს მას უარყოფითი დასკვნა მისცა (ჭანიშვილი 1960: 159). ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით თავის ბროშურაში კვლავ წერდა რკინიგზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ. ნ. ნიკოლაძე ცდილობდა, როგორმე დაეძლია ა/კავკასიის რკინიგზის საზოგადოების ინერტული დამოკიდებულება კომისიის არასწორი გადაწყვეტილების მიმართ.ამ ამბავთა გამო 1925 წელს ნ. ნიკოლაძე თავის ბროშურაში წერდა: მელლერის დასკვნა „утверждало, что марганец не имеет в металлургии прочного потребления и серьезного значения, что как только химия найдет иные

способы выплавки стали, потребление марганца сведется к ничтожным размерам, а потому нельзя и безрассудно затрагивать государственные средства на столь случайный и незначительный вывоз. Все это было облечено в форму научных аксиом, не подлежавших никакому сомнению, и тем более убедительных для совершенно невежественных военных и гражданских генералов, в те времена еще наполнявших комитет министров царского режима“ (ბაქრაძე 1989: 199-200). რომ არაფერი გამოვიდა, 1887 წელს ნ. ნიკოლაძემ ა/კავკასიის რკინიგზის გამგეობაში მუშაობა მიატოვა. მიუხედავად ამისა, მას ჭიათურის რკინიგზის გაყვანისათვის დაწყებული ბრძოლისაგან ხელი არ აუღია, რადგან თავის სიმართლეში ის ღრმად იყო დარწმუნებული და მხოლოდ შესაფერ მომენტს ელოდა. როდესაც მეფის რუსეთის სახელმწიფო-ბიუროკრატული აპარატის ხვრელებიდან საქმის მოგვარება არ მოხერხდა, ნ. ნიკოლაძემ გადაწყვიტა საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად პრესისათვის მიემართა; ამ მიზნით, მან პირველად ვრცელი წერილები მოათავსა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიური განვითარებისათვის რკინიგზის მნიშვნელობისა და არსებული მდგომარეობის შესახებ ჩვენში. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული ჭიათურის რკინიგზის გაყვანის დიდი მნიშვნელობა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს მანგანუმის მრეწველობას პირველი კრიზისი უახლოვდებოდა. კრიზისის დაწყებამ დიდად გაამაგრა ნ. ნიკოლაძის პოზიცია ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის ირგვლივ ვ. მელლერთან გამართულ დიდ პოლემიკაში, რადგან აშკარა იყო, რომ კრიზისის გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი მთავარი როლი მაღაროებიდან სადგურ ყვირილამდე მადნის გადაზიდვის დიდმა ხარჯებმა შეასრულა. იხილავდა რა მელლერის „შორსმჭვრეტელობას“, რომ მანგანუმის მადნის გამოყენება დროებითი მოვლენაა, რადგან მეტალურგია შეიძლება გამონახულ იქნეს სხვა პროცესი, რომლითაც მანგანუმის მადნის გამოყენება გამოირიცხებაო,—ნ. ნიკოლაძე შემდეგს წერდა, რომ შორსმჭვრეტელობა ხშირად შეიძლება გახდეს საზიანო, თუ მას არასათანადოდ და ბოროტად გამოვიყენებთ. ნიკოლაძე არ უარყოფდა, რომ შესაძლოა მომავალში მანგანუმის მადანი მეტალურგიაში სხვა რამეს ჩაენაცვლებინა, მაგრამ აწმყოში უნდა გამოეყენებინათ მეცნირების ყველა შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნის სარგებლობისათის. ცხარე პოლემიკას, რომლის დროსაც ნ. ნიკოლაძე თავის მოწინააღმდეგეს – მელლერს მისთვის ჩვეული სიდინჯითა და უტყუარი ფაქტიური მასალებით ანადგურებდა (ჭანიშვილი 1960: 161) მაშინდელი ხელისუფლების ორგანოები გულგრილად უყურებდნენ და არც იყვნენ დაინტერესებული საქმის ნამდვილი შინაარსის გაგებით, სწორედ ამიტომ იყო, რომ ვიდრე ვ. მელლერს ეჭირა ესოდენ გავლენიანი თანამდებობა კავკასიის სამთო სამმართველოში. ვერ მოხერხდა ხსენებული რკინიგზის ხაზის გაყვანის საქმეში პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა და ის

დაუსრულებელი დავის საგანს წარმოადგენდა; მხოლოდ მას შემდეგ, რაც კავკასიის სამთო სამმართველოდან მელლერი წავიდა. ხოლო ამიერ კავკასიის რკინიგზის საზოგადოება სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ძველი ხელმძღვანელობა ახლით შეიცვალა, სულ სხვა პირობები შეიქმნა, რომლის გამოყენებაც ნ. ნიკოლაძეს არ დაუყოვნებია. მან წინადადებით მიმართა ინჟინერ ფ. რიძევსკის (ის ხელმძღვანელობდა სურამის უღელტეხილის გვირაბის რეკონსტრუქციის სამუშაოებს და რომელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ნ. ნიკოლაძესა და ვ. მელლერს შორის გამართულ პოლემიკას) გამოეყენებინათ ყველა ის ძველი რელსი, ვაგონი და მოწყობილობა, რომლებიც გვირაბის სამუშაოების დამთავრების შემდეგ თავისუფლდებოდა, ჭიათურის რკინიგის გასაყვანად. ხსენებულმა ინჟინერმა მიიღო ნიკოლაძის საქმიანი წინადადება, რის შემდეგ გზათა სამინისტროს წარუდგინა ჭიათურა-შორაპანს შორის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის პროექტი. ვ. მელლერის „წინასწარმეტყველება“ კრიზისის მიზეზებისა მისი ხანგრძლიობის შესახებ არ გამართლდა. საქართველოს მანგანუმის მადნის წარმოებამ სულ მალე დააღწია თავი კრიზისს (კრიზისის მიზეზი იყო ჩილედან იაფასიანი მანგანუმის მადნის ევროპაში შეტანა) და 1889 წელს მადნის მოპოვება იმავე დონემდე ავიდა, როგორც ის 1886 წელს იყო. ხოლო 1890 წელს ის 2,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1886 წელს. შემდეგ წლებშიც მადნის მოპოვება და ექსპორტი თანდათანობით იზრდებოდა, ასე რომ, რკინიგზის გაყვანის საკითხი დღის წესრიგიდან მაინც არ იხსნებოდა. თუმცა მის მიმართ კავკასიის სამთო სამმართველოსა და მის მმართველს დამოკიდებულება შეუცვლიათ. ფ. დ. როძევსკის მიერ წარდგენილ პროექტს ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის შესახებ გზათა სამინისტროში დავა არ გამოუწვევია. პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინა, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის საერთო ღირებულება 1097000 მანეთის რაოდენობით და ამ საქმეზე თავისი შეხედულება 1891 წლის 23 მაისს მეფეს წარუდგინა. ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანის ნებართვაზე მეფემ 1891 წლის 15 ივნისს ხელი მოაწერა და დაუყოვნებლივ დაიწყო სამუშაოები. პროექტის მიხედვით გზაზე გათვალისწინებული იყო სულ 6 სადგური: შორაპანი, მარტოთუბანი, ბოსლევი, რკვია, სალიეთი და ჭიათურა (ჭანიშვილი 1960: 170). 1895 წლის 4 თებერვლიდან დაიწყო ჭიათურის ხაზზე ნორმალური და ამავე დროს ოფიციალური მოძრაობა. როგორც ზემოთ ვთქვით, მადნის მოპოვებამ 1886 წელს 69000 ტონას მიაღწია, ეს იყო საბადოს დამუშავების დაწყებიდან ყველაზე მაღალი დონე მადნის მოპოვებისა. შემდეგ წლებში ის დიდად შემცირდა და 1888 წელს მადნის მოპოვება 29858 ტონამდე დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი განსაკუთრებული ღონისძიებები არ ყოფილა მიღებული (ამაში მას მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის მადანზე მოთხოვნილების დიდი ზრდა დაეხმარა), შემდეგ წლებში ის

თანდათანობით იზრდებოდა და თუ რკინიგზის მშენებლობის დაწყების წლებში ის 100246 ტონას შეადგენდა. მისი დამთავრების მომენტში—183 272 ტონას მიაღწია (ჭანიშვილი 1960: 171).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რკინიგზის გაყვანამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ქართული მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარებაში. უკვე პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში ქართული მანგანუმის მოპოვებამ 965 847 ტონამდე მიაღწია, ასეთი დიდი ოდნებით მოპოვება და მისი უდიდესი ნაწილის ექსპორტზე გატანა, ცხადია, ნაკარნახევი იყო მსოფლიო ომის წინა პერიოდში ევროპის სახელმწიფოების მადანზე დიდი მოთხოვნით. ასეთი მასშტაბის მომპოვებლობა შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში, ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გარეშე. ამრიგად, ნიკო ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების (ამ მხრივ, ქართველ მოღვაწეებთან ერთად შეუძლებელია, არ ვახსენოთ ამიერკავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი) დიდი ბრძოლის შედეგად ქვეყანამ იხეირა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბაქრაძე 1989: ბაქრაძე აკაკი, ნიკო ნიკოლაძე. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1989.
2. ბენდიანიშვილი 1970: ბენდიანიშვილი ალექსანდრე, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში. ტომის რედაქტორი ირაკლი ანთელავა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.
3. განი 1886: განი, შავი ქვის საქმე, გაზეთი „ივერია“, N30, თბილისი, 1886, გვ. 2-3.
4. განი 1886: განი, შავი ქვის საქმე, გაზეთი „ივერია“, N31, თბილისი, 1886, გვ. 1-3
5. დეკანოზიშვილი 1897: დეკანოზიშვილი გიორგი, ხან-და-ხან (რამ დასცა ჭიათურის შავი ქვის წარმოება?), გაზეთი „კვალი“, N11, თბილისი, 1897, გვ. 229
6. ჭანიშვილი 1960: ჭანიშვილი ვლადიმერ, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1960.

რატი ხოტივრიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ოტო ფონ ბისმარკის რაიხსკანცლერობიდან გადადგომის გარემოებანი

ოტო ფონ ბისმარკი (1815-1898) თავის დროზე პრუსიის ერთ-ერთი საუკეთესო ელჩი, პრუსიის კანცლერი, გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი, ისტორიკოსების მიერ აღიარებული ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკოსი და დიპლომატი. მისმა მოღვაწეობამ მრავალმხრივი კვალი დაამჩნია მსოფლიო ისტორიას(გერმანიის გაერთიანება, სამხედრო ბლოკების შექმნა, ეს ყველაფერი მისი „ხელწერაა“), წლების განმავლობაში ის თამაშობდა მსოფლიოს არბიტრის როლს, მისი ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალმხრივი და საინტერესოა. მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეხებით ისეთ საკითხს, როგორიც არის, „რკინის კანცლერის“ გადადგომა გერმანიის რაიხსკანცლერის პოსტიდან (1890 წლის 18 მარტი), მიმოვიხილავთ იმ გარემოებებს რომლებმაც მას აიძულეს (მიუხედავად იმისა, რომ ის გადადგა, ამის სურვილი მას სულაც არ ჰქონდა) დაეტოვებინა პოსტი, რომელზეც იგი 19 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

როდესაც ისტორიკოსები ბისმარკის გადადგომაზე საუბრობენ, ყველაზე ხშირად შემდეგ მიზეზს ასახელებენ – ახალი იმპერატორი ვილჰელმ მეორე. მართლაც, ვილჰელმ მეორემ დანამდვილებით შეიტანა ლომის წილი ბისმარკის გადადგომაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ ვილჰელმ მეორე რკინის კანცლერის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა. მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „ მთავარი საკითხი ისაა – რომელი დინასტია იმეფებს, ჰოჰენცოლერების დინასტია თუ ბისმარკების“(Nichols, 1958:3). მიუხედავად იმისა რომ, მეორე რაიხის კონსტიტუციით, გერმანიის იმპერატორს ჰქონდა უფლება დაენიშნა და გაეთავისუფლებინა საიმპერატორო მოხელეები (მე-18 მუხლი)(სამართლებრივი ტექსტი...2022), მაგრამ მუხლის რეალობაში განხორციელება სულაც არ იყო მარტივი, სხვა თუ არაფერი რაიხსკანცლერის თანამდებობა ყველაზე გავლენიანი იყო მთელს გერმანიაში. ერთადერთი გზა ვილჰელმ მეორესთვის ის იყო, რომ ბისმარკისთვის ჩამოეშორებინა რაიხსტაგი, რადგანაც, თუ კანცლერი რაიხსტაგის მხარდაჭერას მოიპოვებდა იმპერატორს დაამარცხებდა.

„მას(ბისმარკს-რ.ხ.) ზურგს უკან რომ ნაცია – რაიხსტაგი ჰყოლოდა, მაშინ აუცილებლად აჯობებდა ვილჰელმ მეორეს, ისევე როგორც მას მამამისისთვის(ვილჰელმ მეორეს მამისთვის ანუ ფრიდრიხ მესამისთვის-რ.ხ) ჰქონდა დაგეგმილი 1887-1888 წლებში.

ზურგს უკან რომ კაიზერი ჰყოლოდა, მაშინ რაიხსტაგს დაამარცხებდა, მაგრამ ორივე, რაიხსტაგიც და კაიზერიც, მის წინააღმდეგ წავიდა, მას აღარ შეეძლო ძალაუფლების შენარჩუნება“(Nichols, 1958:26-27)

თუმცა, გარემოებები ისე შემობრუნდა, რომ ვილჰელმ მეორეს დიდი ძალისხმევა სულაც არ დასჭირდა განხეთქილების ჩამოსაგდებად, აბსოლუტურად ყველაფერი თავისით მოხდა, 1890 წელს ბისმარკი პრაქტიკულად მოკავშირის გარეშე იყო დარჩენილი, კაიზერი, რაიხსტაგი და ბოლოს სამხედრო ლიდერებიც კი მის წინააღმდეგ წავიდნენ(ბისმარკის დაცემა, 2018). ამ ყველაფერს რაღა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავთ.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბისმარკს ყოველთვის ჰყავდა უამრავი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მას ყოველთვის დიდი ბრძოლები ჰქონდა პოლიტიკურ ელიტასთან მთელი მისი მმართველობის განმავლობაში, პოლიტიკური სიამტკბილობა დიდხანს არასდროს გაგრძელებულა, მხოლოდ 1871 წელს იდგა აბსოლუტური უმრავლესობა რკინის კანცლერის გვერდით, როცა შეიქმნა გერმანიის იმპერია და დასრულდა პრუსიის პოლიტიკური კრიზისი(შეყლაშვილი, 2023:20). თუმცაღა, გერმანიის იმპერიის შექმნით ქვეყნის ფორმირება, რა თქმა უნდა, არ დასრულებულა, სწორედ ბისმარკის მიერ გატარებული რეფორმები და ქმედებები გახდა იმ საერთო უკმაყოფილების საფუძველი, რომლებმაც მისი გადადგომა გამოიწვიეს. მეორე რაიხში მრავალი პარტია არსებობდა, წლების მანძილზე ბისმარკი მათი ნაწილის მხარდაჭერით მაინც სარგებლობდა, მაგრამ 1886 წლიდან საერთო სურათი იცვლება და უკმაყოფილება ნელ-ნელა პიკში ასვლას იწყებდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1886 წლის მარტში ოტო ფონ ბისმარკმა საკუთარი შვილი, ჰერბერტ ბისმარკი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა, ამ დროს ჰერბერტი სულ რაღაც 36 წლის იყო. ამ ფაქტმა საერთო პესიმიზმი გამოიწვია, რკინის კანცლერს თვით ვილჰელმ პირველმაც კი, რომელიც კანცლერს ბრმად ენდობოდა და ყველა გადაწყვეტილებას ანდობდა, მისწერა და უკმაყოფილება გამოთქვა მის მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო, თუმცა წერილზე ბისმარკს რაიმე სახის რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა როცა მზარდი პესიმიზმი დაინახა, მამა-შვილი ბისმარკები პრესაში გამოვიდნენ და განაცხადეს რომ არ შეწყვეტდნენ იმპერატორთან მეგობრობას და თანამშრომლობას (Nichols. 1958:10).

შემდეგი შეცდომა რომელიც რაიხსკანცლერმა დაუშვა იყო იერიშის მიტანა საფრანგეთის ახლად დანიშნულ ომის მინისტრზე. 1886 წელს საფრანგეთში, სადაც რევანშისტული განწყობა 1870 წლიდან(სედანთან განცდილი მწარე მარცხის შემდეგ) მხოლოდ და მხოლოდ იზრდებოდა, ომის მინისტრად დაინიშნა გენერალი ბულანჟე,

მიუხედავად იმისა, რომ მას მაპროვოცირებელი არაფერი გაუკეთებია (მხოლოდ, მოცემული მომენტისთვის, შემდგომში ის არმიის ზომას და ხარისხს მართლაც გაზრდის, კანცლერმა არაჩვეულებრივად გამოიცნო ახალი მინისტრის ბუნება) ბისმარკმა მაშინვე მიიტანა დიპლომატიური იერიში მასზე. თუმცაღა საქმეები, ბისმარკის საწინააღმდეგოდ წავიდა, ამ იერიშმა ახალი მინისტრის პრესტიჟი საფრანგეთში უფრო გაზარდა, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ბისმარკის ცდები, მოექცია საფრანგეთი დიპლომატიურ იზოლაციაში კრახით დამთავრდა და საწინააღმდეგოც კი მოხდა, თანაც ეს რამდენჯერმე განმეორდა(Nichols,1958:9). საერთოდაც, 80-იან წლებში შეიმჩნევა, რომ მსოფლიო ქვეყნებს უკვე ალღო აეღოთ ბისმარკის საგარეო პოლიტიკისთვის და ხშირად მისი მცდელობები კრახით სრულდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით მისი მმართველობის დაწყების მომენტებზე.

ზემოთ ნახსენები კრახის შემდეგ, ბისმარკმა გადაწყვიტა უბრალოდ შეექმნა ისეთი არმია, რომელსაც გაძლიერებული საფრანგეთის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, ამისთვის მან რაიხსტაგს წარუდგინა 7 წლიანი სამხედრო გადასახადის პროგრამა, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა რომ რაიხსტაგი მის მოსაზრებას სულაც არ იზიარებდა, ამას ისიც დაემატა, რომ ვილჰელმ პირველზე მისი დომინაცია დღითიდღე სუსტდებოდა, თუმცაღა, ისიც უნდა ითქვას, რომ დაავადებული ვილჰელმი რაიმე მნიშვნელოვან ძალას აღარ წარმოადგენდა.

1886 წლის 25 ნოემბერს რაიხსტაგმა ბისმარკს სამხედრო საგადასახადო კანონი შეუჩერა (სამხედრო გადასახადის 7 წლიანი პროგრამა), რკინის კანცლერი რადიკალურ ქმედებებს თავიდან მოერიდა და გადაწყვიტა თავისი ორატორული ნიჭი გამოეყენებინა რაიხსტაგზე გავლენის მოსახდენად, 11, 12 და 13 იანვარს იგი სიტყვით გამოვიდა რაიხსტაგში, იგი ხაზს უსვამდა ფრანგულ და რუსულ საფრთხეს (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან 1873 წლიდან მოყოლებული დადებული იყო ე.წ „სამი იმპერატორის კავშირი“ ბისმარკი არასდროს ენდობოდა რუსებს), თუმცაღა, რაიხსტაგმა მხარი მაინც არ დაუჭირა, ამიტომაც ბისმარკმა რაიხსტაგი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა (Nichols, 1958:10-11).

72 წლის ბისმარკს მოუწია ერთდროულად ეხელმძღვანელა საარჩევნო კამპანიისთვის და არ დავიწყებოდა საგარეო საქმეებიც. რკინის კანცელერს მოუწია საკმაოდ რთული ამოცანის ამოხსნა, ვინაიდან მას სჭირდებოდა უმრავლესობის მხარდაჭერა, უნდა შეეკავშირებინა სამი პარტია: კონსერვატორული (დაარსებული 1848-1849 წლებში), თავისუფალი კონსერვატორები (დაარსებული 1886 წელს) და ნაციონალ-ლიბერალები (ლიბერალები გერმანიაში 1848 წლიდან გამოჩდნენ და შემდეგ სამ ნაწილად გაიყვნენ, ეს

კონკრეტული ფრთა 1867 წლის 28 თებერვალს დაარსდა),(შეყლაშვილი, 2023:79). ბისმარკის დიდი შრომის შედეგად სამივე პარტიამ შექმნა კოალიცია, სახელად “კარტელი” (Kartell). არჩევნები გაიმართა 1887 წლის 21 თებერვალს, მასში მონაწილეობა მიიღო 7,570,710-მა ამომრჩეველმა(აქედან ვალიდური იყო 7,540,940 ხმა). ხმების უმრავლესობა სწორედ ბისმარკის ძალისხმევით შექმნილმა კოალიციამ მიიღო. კერძოდ, რაიხსტაგში 397 იყო აქედან 178 კარტელს ხვდა წილად. რაც შეეხება ადგილების გადანაწილებას პარტიების მიხედვით, იგი ასე გამოიყურება: 98 ნაციონალ-ლიბერალებმა დაიკავეს(რაც წინა არჩევნებთან შედარებით 48 ადგილით მეტს წარმოადგენდა), კონსერვატორებმა 80(წინა არჩევნებთან შედარებით 2 ადგილით მეტი) ხოლო თავისუფალმა კონსერვატორებმა ვერ გადალახეს ე.წ საპარლამენტო მინიმუმი(ისევე როგორც წინა არჩევნებზე). ბისმარკის ძირითადმა ოპოზიციამ კი, რომლებიც იყვნენ სოციალ-დემოკრატები და კათოლიკური ცენტრის პარტია ადგილების მხრივ რეგრესი განიცადეს (სოციალ-დემოკრატებმა 11 ადგილი, ცენტრმა კი 2 ადგილი დაკარგა), ეს ბისმარკის დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო, რამაც ცოტა ხნით გადაავადა მისი გადადგომა. (Nohlen, Stöver, 2010:762-789).

ცხადია, ამ არჩევნების შემდეგ ბისმარკის სამხედრო კანონი გატარდა(მისი მხარდამჭერი კოალიცია ხომ უდიდესი იყო რაიხსტაგში), თუმცა ამ კანონმა მის კანცლერობას საფუძველი უფრო მეტად შეურყია. მიუხედავად იმისა რომ, კანცლერმა იცოდა, სამი პარტიისგან შემდგარი კოალიცია მას მხარს უჭერდა (დიდი ძალისხმევით ცდილობდა ცენტრის პარტიის მიმხრობასაც) ეს მხარდაჭერა ძალიან მოკლევადიანი გამოდგა. საქმე იმაშია, რომ ახალმა კანონმა გაზარდა სამხედრო ხარჯები, შესაბამისად, გერმანიის ხაზინაში აღარ მოიძებნებოდა სახსრები, იმისთვის რომ, დაეფინანსებინათ სოციალური რეფორმები(თანხის უდიდესი ნაწილი მრეწველობას, სამხედრო და კოლონიურ რეფორმებს ხმარდებოდა), რაც იმდროინდელი მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა იყო(ცხადია, პარტიები მოსახლეობის ინტერესებს ირეკლავდნენ, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატთა პარტია რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა).

ბისმარკის რეფორმამ საზოგადოების უკმაყოფილება გაზარდა, მოძრაობებმა თანდათან მიიღეს რადიკალური ფორმები, დაიწყო გამოსვლები, რომლებმაც ბისმარკის პრესტიჟი სერიოზულად შებღალა, 1889 წლიდან 1890 წლის მაისამდე მოხდა 1100 მდე გაფიცვა, თუმცა , თავად კანცლერი არ ჩქარობდა სოციალური რეფორმების დაწყებას, მაგრამ ხვდებოდა რა სოციალ-დემოკრატთა ზრდას რაიხსტაგში (პარტია ვერ შეაკავა მის მიერ შემოღებულმა ანტისოციალურმა კანონებმაც), იძულებული იყო ემოქმედა, მართალია მან 1889 წელს გადადგა შემრიგებელი ნაბიჯი ამ პარტიასთან და ევროპაში პირველად, შემოღებულ იქნა სიბერის სოციალური დაზღვევის პროგრამა, მაგრამ

კანცლერის პოპულარობის ვარდნა ამან ვერ შეაჩერა. რაც გასაკვირი სულაც არაა, რეფორმა ითვალისწინებდა 70 წელს გადაცილებულ მუშებისთვის პენსიის მიცემას, მაშინ როცა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა გერმანელი მოსახლეობისთვის სულ რაღაც 45 წელი იყო(Hajo, 1969:291-293).

კიდევ ერთი მიზეზი რამაც ბისმარკის გადადგომას ხელი შეუწყო არის კულტურკამპფის პოლიტიკა. კულტურკამპფი ესაა დაპირისპირება გერმანიას (ცხადია ბისმარკის მეთაურობით) და კათოლიკურ ეკლესიას შორის. მართალია, პრუსია პროტესტანტული იყო, მაგრამ უკვე გერმანიის იმპერიაში კათოლიკური სამთავროებიც შედიოდნენ, ძირითადი დავა ქვეყნის შიგნით იყო განათლებაზე (ანუ ვინ უნდა ყოფილიყო განათლების სისტემის მეთაური)(Smith, 2011:360). კულტურკამპფის ფარგლებში ბისმარკმა, საერთო ჯამში, მიიღო 36 კანონი, რითაც შეავიწროვა კათოლიციზმი (1872-1889 წლებში), ცხადია ამან ბისმარკს დიდი ოპოზიცია გაუჩინა, განსაკუთრებით კი, უკვე ნახსენები, ცენტრის პარტია აქტიურობდა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, 1887 წლის არჩევნების შემდეგ დიდ ძალას წარმოადგენდა(მიუხედავად რეგრესისა სიდიდით ნაციონალ-ლიბერალებს უტოლდებოდა) და ყველანაირად ცდილობდა რაიხსკანცლერი შეეცვალა.

გარდა კულტურკამპფისა, ბისმარკის პოპულარობას წყალს უყენებდა როგორც ანტისოციალური კანონები, ისე კოლონიური პოლიტიკა. მართალია, 1880 წელს ახალგაზრდა კოლონისტები დიდი ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილნი და ამ ენთუზიაზმმა თავისი შედეგი გამოიღო(იმეპრიას გაუჩნდა კოლონიები, კამერუნი, ტოგო და სხვა), მაგრამ დეკადის დასასრულს ცხადი გახდა, რომ ახლად შეძენილმა კოლონიებმა გერმანიას იმედები ვერ გაუმართლა. შესაბამისად, კოლონიებისადმი ინტერესი მინელდა, რამაც კარგად ნამდვილად არ იმოქმედა რაიხსკანცლერის პრესტიჟზე(Kent,1978:124). საინტერესოა, რომ ბისმარკი არასდროს ყოფილა კოლონიების დიდი მომხრე, ის კოლონიურ პოლიტიკას მხოლოდ ახალგაზრდების გამო აფინანსებდა.

გადავიდეთ შემდეგ მიზეზზე, ესაა საიმპერატორო ოჯახი. 1888 წლის 9 მარტს გარდაიცვალა 90 წლის ვილჰელმ პირველი, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. მისი ადგილი დაიკავა ფრიდრიხ მესამემ, რომელიც უკვე იტანჯებოდა ხორხის სიმსივნით, მართალია, მან ტახტზე მხოლოდ 99 დღეს გასძლო(კიბომ მალევე მოუღო ბოლო), მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მანაც და მისმა მეუღლემაც, პრინცესა ვიქტორიამ (დიდი ბრიტანეთის იმპერატორის დედოფალი ვიქტორიას უფროსი ქალიშვილი), მკვეთრი ანტიბისმარკული განწყობა გამოავლინეს, ამიტომ კანცლერმა მათ საწინააღმდეგოდ გეგმა შეიმუშავა, მაგრამ მისი გამოყენება შემდეგ კაიზერთან მოუხდა, 1888 წლის 15 ივნისს, 55

წლის ასაკში გარდაიცვალა ფრიდრიხ მესამე, სამეფო ტახტი ახლა მის ვაჟს ვილჰელმ მეორეს ერგო, რომელიც ამ დროს 29 წლის იყო, მართალია, ის იმდენად სიძულვილით იყო განწყობილი ინგლისის მიმართ, რომ დედამისიც კი პრაქტიკულად ჩამოიშორა და არაფერს ეკითხებოდა(შეყლაშვილი, 2023:128), მაგრამ კანცლერს ამით დიდი შვება სულაც არ დაადგა, რადგან ახალგაზრდა კაიზერს ძველმოდურად ეჩვენებოდა ბისმარკის პოლიტიკა და თავადაც დიდი ანტიბისმარკისტი იყო. ამის დასტურად საკმარისია მოვიყვანოთ ვილჰელმ მეორის სიტყვები:"მოხუცს(ბისმარკს-რ.ხ) უფლებას მივცემ ექვსი თვე ისრუტუნოს, მერე მე თვითონ ვმართავ"(Elliott, 1972:86). დაიწყო შეჯახება კანცლერს და კაიზერს შორის, ვილჰელმ მეორე არაფერში უჯერებდა გამოცდილ ბისმარკს და ხშირად მისი ნების საწინააღმდეგოდაც მოქმედებდა, განსაკუთრებით მწვავე იყო საგარეო საქმეთა საკითხი, ამ საკითხში ბისმარკი აბსოლუტურ დამოუკიდებლობას იყო მიჩვეული და დიდად არ მოსწონდა, როცა კაიზერთან (რომელსაც ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით არაფერი გაეგებოდა დიპლომატიის, რისი გამომწვევი მიზეზიც, ძირითადად, მისი გაუწონასწორებელი ხასიათი იყო. ამას მისი თანამედროვეებიც ამჩნევდნენ, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე ვილჰელმს „ცუდად აღზრდილ ბიჭს" უწოდებდა) რიგი საკითხების განხილვა უწევდა(Steinberg, 2011:447–50). თუმცა, სანამ მას ზურგს რაიხსტაგი უმაგრებდა ვილჰელმისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, მაგრამ გარემოებები მალევე შემობრუნდა, კაიზერისდა სასარგებლოდ. ამის ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ ბისმარკმა ცხოვრებაში პირველად სწორად არ შეაფასა მოწინააღმდეგე, ის კარგად ხედავდა, როგორ იკრებდა ვილჰელმი ძლიერ გარემოცვას მის გარშემო, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დარჩენილიყო ბერლინში და ვილჰელმისთვის რჩევები მაინც მიეცა ის ფრიდრიხსრუჰში გადავიდა და პოლიტიკურ მდგომარეობას გაზეთებიდან ეცნობოდა(Eyck,1950:309). პოლიტიკურ ცენტრთან დაშორება მას ბევრად უფრო ძვირად დაუჯდა, ვიდრე ამას თვითონ მოელოდა. იგი მხოლოდ 1889 წელს დაბრუნდა ბერლინში, როცა რაიხსტაგს სიბერის დაზღვევის კანონი წარუდგინა.

1890 წელს კარტელმა ფიასკო განიცადა, მიზეზი მორიგი ანტისოციალური კანონი იყო,რომელიც რაიხსტაგმა ჩააგდო. მიზეზი ისაა, რომ ბისმარკს მომხრეები შეუცოტავდნენ, თვით ნაციონალ-ლიბერალებმაც უარი თქვეს კანონისთვის მხარი დაეჭირათ(Elliot,1972:87). ახალი არჩევნები 1890 წლის 20 თებერვალს ჩაინიშნა. ვინაიდან, ბისმარკს აღარ შეეძლო კარტელს დაყრდნობოდა, რომელიც განწირული იყო კრახისთვის, შეეცადა კავშირი შეეკრა თავის მოსისხლე მტერთან, ცენტრის პარტიასთან. ამ მიზნით მან თავის კაბინეტში მიიწვია ცენტრის პარტიის მეთაური ლუდვიგ ვინდორფი, ამ შეხვედრამ კაიზერი დიდად გააცეცხლა(Steinberg,2016:445-447).

ბისმარკის სურვილს შეექმნა ახალი კოალიცია კათოლიკურ ცენტრთან ერთად განხორციელება არ ეწერა, მისი ყველა ცდა უშედეგო გამოდგა.

1890 წლის არჩევნებით ცენტრის პარტიამ მოახერხა და არა მარტო შეინარჩუნა თავისი სტატუსი, როგორც უდიდესი პარტია რაიხსტაგში, არამედ წინა არჩევნებთან შედარებით 9 ადგილით მეტი აიღო (107 ადგილი 397 დან), ნაციონალ-ლიბერალურმა, რომელიც ბისმარკის ბოლო იმედად რჩებოდა, ფიასკო განიცადა. წინა არჩევნებთან შედარებით პარტიამ 60 ადგილი დაკარგა (38 ადგილი), სამაგიეროდ, სერიოზული წინსვლა ჰქონდა ბისმარკის დაუძინებელ მტერს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლმაც შეძლო და 35 ადგილი აიღო, რაც წინა არჩევნებთან შედარებით 24 ადგილით მეტს წარმოადგენდა, კარგი დღე არც კონსერვატორებს დაადგათ, მათ 9 ადგილი დაკარგეს.(Nohlen, Stöver, 2010:762).

არჩევნებმა ცხადყო, რომ რაიხსკანცლერი ვეღარ ისარგებლებდა რაიხსტაგის მხარდაჭერით. გარდა ამისა, ბისმარკს მალევე სერიოზული კონფლიქტები დაეწყო თავის კოლეგებთანაც, იგი კარგად ხვდებოდა, რომ ერთ დროს მისი თანამებრძოლები ახლა იმპერატორის ნებას მისდევდნენ. 1890 წლის თებერვალში ის თავის შვილს ეუბნებოდა:"ჩემი თავიდან მოცილების ფიქრით ყველამ ღრმად ამოისუნთქა"(Ludwig, 1929:577).რკინის კანცლერისთვის ხელისუფლებაში დარჩენის ერთადერთი გზაღა დარჩა, მას თავისი გავლენის ქვეშ უნდა მოექცია ახალგაზრდა კაიზერი, რაც მარტივი გასაკეთებელი სულაც არ იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბისმარკი არასდროს შეუშინებია რთულად სავალ გზებს. ამიტომაც, გადაწყვიტა ერთადერთი შანსი ეცადა. 15 მარტს კანცლერი და კაიზერი ერთმანეთს შეხვდნენ, ცხარე კამათში გამოირკვა, რომ მხარეები პრაქტიკულად ვერცერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. აი აქ დაუშვა ბისმარკმა საბედისწერო შეცდომა, იმისთვის რომ ვილჰელმ მეორე თავის აზრზე დაეყოლიებინა გამოიყენა შანტაჟის ის ხერხი, რომელიც ვილჰელმ პირველზე ყოველთვის მოქმედებდა. დაემუქრა რომ გადადგებოდა (იმ დროს მართლაც ბევრს ვეღარ წარმოედგინა გერმანია ბისმარკის გარეშე), თუმცა, ამან კაიზერი პირიქით გაახარა და ფორმალურად დათანხმდა მის გადადგომას (Ludwig,1929:589-590). ბისმარკი მიხვდა რომ მეტი გზა აღარ ჰქონდა, 18 მარტს ოტო ფონ ბისმარკი გადადგა თანამდებობიდან, რომელსაც გერმანიის ისტორიაში ყველაზე დიდხანს იკავებდა(21 მარტს მას მიჰყვა შვილი ჰერბერტ ბისმარკიც). მისი ადგილი დაიკავა იმპერიის ყველაზე ამბიციურმა გენერალმა ლეო ფონ კაპრივმა(თანამდებობას იკავებდა 1890-1894 წლებში) , ისტორიაში დაიწყო „კაპრივის ერა".

რთულია ოტო ფონ ბისმარკის გადადგომის შეფასება, ცხადია, ამით იმპერიამ დიდი დიპლომატი დაკარგა, მაგრამ რკინის კანცლერის მმართველობას ერთი ძალიან ბნელი

მხარე ჰქონდა, მისმა მრავალწლიანმა მმართველობამ ის გამოიწვია, რომ მინისტრთა კაბინეტში სერიოზულად შემცირდა ადამიანთა რიცხვი, რომელთაც დამოუკიდებლად შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება. როცა ლეო ფონ კაპრივი ძველ კაბინეტს გაეცნო, აღმოაჩინა რომ იქ შესული პიროვნებები მთლიანად დამოკიდებულები იყვნენ ყოფილი კანცლერის ბრძანებებზე და მის გარეშე უსუსურები იყვნენ, ერთი პერიოდი იდგა საკითხი გადარჩებოდა თუ არა გერმანია ბისმარკის გარეშე, რაც დამტკიცდა რომ თავისუფლად შესაძლებელი იყო. კაპრივმა უარი თქვა ბისმარკის დროინდელ ცენტრალიზებულ პოლიტიკაზე და დაიწყო მმართველობის დეცენტრალიზაცია, რათა ყველაფერი ერთი ადამიანის ნებაზე აღარ ყოფილიყო აწყობილი. ბისმარკის გადადგომამ ყოფა შეუმსუბუქა მუშებსაც, რადგან ახალი კურსი(ასე ეწოდება კაპრივის და ვილჰელმის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ პროგრამას) სოციალური რეფორმების გატარებასაც გულისხმობდა. თუმცაღა, ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი რაც რკინის კანცლერის გადადგომამ გამოიწვია, ეს იყო ის, რომ ვილჰელმ მეორემ სრული დამოუკიდებლობა მიიღო საგარეო პოლიტიკის კუთხით, რაც კარგად ნამდვილად არ აისახა გერმანიაზე, რადგან კაიზერი სულაც არ იყო ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებებით აღჭურვილი. ბისმარკი მას ასე ახასიათებდა: სიცოცხლის დასაწყისში მას სურდა, რომ ყოველი დღე ყოფილიყო მისი დაბადების დღე – რომანტიული, სენტიმენტალური და თეატრალური, გაურკვეველი და ამპარტავანი, განუზომლად გაზვიადებული თავდაჯერებულობით და გამოჩენის სურვილით, არასრულწლოვანი იუნკერი, რომელიც არასოდეს იღებდა ოფიციალურ ტონს. ხმას არ იღებდა და უხეშად სურდა ეთამაშა უზენაესი მეომრის როლი, რომელიც სავსე იყო ერთფეროვანი ცხოვრების პანიკური შიშით ყოველგვარი განრიდების გარეშე. და მაინც უმიზნო, პათოლოგიური სიძულვილით ინგლისელი დედის მიმართ(Nipperdey 1992: 421). მაგრამ მისი ეს ნაკლიც მალე გამოსწორდა, რადგან ახალი კანცლერები სუსტი პიროვნებები სულაც არ იყვნენ, ხოლო კანცლერი ბიულოვი ბისმარკს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ასე რომ, ჩემი აზრით, ოტო ლეოპოლდ ფონ ბისმარკის ხელისუფლების სათავიდან წასვლა სავსებით დროული იყო, ეს ბევრად უფრო გონივრული სვლა იყო, ვიდრე მისი თანამდებობაზე დატოვება და რაიხსტაგის წინააღმდეგ წასვლა იქნებოდა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა მორიგ პოლიტიკურ კრიზისს, რისი დროც გერმანიას ნამდვილად აღარ ჰქონდა, რადგან უკვე მწიფდებოდა პირველი მსოფლიო ომი, თავად ბისმარკიც კი იძახდა: „ერთ დღესაც დიდი ომი დაიწყება რაღაც სულელური მიზეზის გამო ბალკანეთში“(Smith 2014).

მართალია, ბისმარკი ჩამოშორდა კანცლერობას, თუმცა პოლიტიკიდან წასვლაზე სულაც არ უფიქრია. იგი აქტიურად ეხმაურებოდა კაპრივის და კაიზერის მიერ შემუშავებულ

ე.წ „ახალ კურსს“(ძირითადად უარყოფით კონტექსტში), ხოლო 1894 წელს რაიხსტაგში მიიღო ადგილი როგორც ნაციონალ-ლიბერალური პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, მაგრამ რაიხსტაგში არასდროს შესულა, რადგან ანტიპროპაგანდამ იმდენად გააცოფა, რომ ამაყმა ბისმარკმა უარი თქვა რაიხსტაგში შესვლაზე. ამის შემდეგ იმავე წელს დაუდგინდა ფეხის განგრენა, ყოფილმა კანცლერმა ამპუტაციაზე უარი თქვა და მალევე ჯერ ნარკოტიკებზე დამოკიდებული გახდა (ტკივილების შესამსუბუქებლად) ხოლო შემდეგ გალოთდა კიდეც(ბისმარკს სასმლის მიმართ მიდრეკილება სულ ჰქონდა, როდესაც გადააყენეს და ბერლინი დატოვა თან წაიღო 13,000 ბოთლი ღვინო)(Elliott,1972:89). 1898 წლის 30 ივლისს ოტო ლეოპოლდ ფონ ბისმარკი გარდაიცვალა. მის უკანასკნელ სიტყვებში ის ამბობდა, რომ სურვილი ჰქონდა ენახა თავისი მეუღლე ჯოვანა (ჯოვანა ფონ პუტკამერი), რომელიც 4 წლის წინ 1894 წლის 27 ნოემბერს გარდაიცვალა. მან ვილჰელმ მეორე საფლავიდანაც არ მოასვენა და ის შეურაცხყო წარწერით, რომელიც მის სარკოფაგზე გააკეთეს – „ვილჰელმ პირველის ერთგული გერმანელი მსახური“ (Stiles, Farmer,2001:127).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. **შეყლაშვილი,2023:** ფატი შეყლაშვილი, „გერმანიის იმპერია“, გამომცემლობა მერიდიანი.
2. **Abrams, 1995:** Lynn Abrams, “Bismarck and German empire” London and New York press.
3. **Elliot, 1972:** B.J. Elliot, *“Bismarck, the Kaiser and Germany”* Modern history.
4. **Eyck,1950:** Eyck Erich, *Bismarck and the German Empire “* George Allen and Unwin LTD.
5. **Hajo, 1969:** Holborn hajo, “A History of Modern Germany:1840-1945”, Princenton University press.
6. **Kent, 1978:** George O. Kent, *“Bismarck and his times”* southern Illinois University press.
7. **Ludwig,1929:** Ludwig Emil, *“Bismarck the story of fighter”* George Allen and Unwin LTD.
8. **Nichols, 1958:** J. Alden Nichols, “Germany after Bismarck”, Harvard university press.
9. **Nipperdey, 1992:** Nipperdey, Thomas “*Deutsche Geschichte 1866–1918”* Routledge press
10. **Nohlen, Stöven 2010:** Dieter Nohlen, Philip Stöven- “Election in Europe” – Nomos
11. **Smith, 2011:** Helmut walser Smith, “The oxford handbook of modern Germany history” Oxford University Press.
12. **Smyth, 2014:** ხელმისაწვდომია: **https://www.irishtimes.com/culture/heritage/the-war-to-end-all-war-1.1786559** ბოლოს დამოწმებულია: 30.9.2022
13. **Stiles, Farmer,2001:** Stiles Andrina, Farmer Alan, “*The Unification of Germany”* access to history
14. **Steinberg, 2013:** Jonathan Steinberg, “Bismarck: A life”, oxford university press.
15. **ბისმარკის დაცემა 2014:** https://www.britannica.com/place/German-Empire/The-fall-of-Bismarck. ბოლოს დამოწმებულია: 07.10.2022

16. **სამართლებრივი ტექსტი 2022:** ხელმისაწვდომია: https://de.m.wikisource.org/wiki/Verfassung_des_Deutschen_Reichs_(1871) ბოლოს დამოწმებულია: 07.10.2022

გიორგი კასრაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გიორგი ლიპარტელიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ოტო ფონ ბისმარკის სტრატეგიული წარუმატებლობა

ნაპოლეონ III-ის მარცხმა საფრანგეთ-პრუსიის ომში, 1870-1871 წლებში, დაამთავრა გერმანიის გაერთიანების პროცესი, მაგრამ ამავდროულად მან საფრთხე შეუქმნა ახლად შექმნილ იმპერიას. იმის საშიშროება, რომ ფრანგებს რევანშის აღება და დაკარგული მიწების (ელზას-ლოთარინგიის) უკან დაბრუნება მოუნდებოდათ, საკმაოდ დიდი იყო. იმისთვის, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, ბისმარკმა დასახა სამი ამოცანა: 1) საფრანგეთის კიდევ უფრო დასუსტება, რათა მას არ ჰქონოდა შესაძლებლობა გერმანიისათვის ძლიერი მეტოქე ყოფილიყო; 2) მისი სრული დიპლომატიური იზოლაცია, რათა არ გაეჩინა ძლიერი მოკავშირე, რომელთანაც გერმანიის იმპერიას ბრძოლა გაუჭირდებოდა; 3) ახალი, ძლიერი ალიანსის შექმნა, რომლსაც ვერც საფრანგეთი და ვერცერთი სხვა სახელმწიფო ვერ დაუპირისპირდებოდა.

ოტო ფონ ბისმარკს ჰქონდა რამდენიმე მცდელობა საფრანგეთის წინააღმდეგ ომის წამოწყებისა და ამით მისი კიდევ უფრო დასუსტების, მაგრამ ამის უფლებას სხვა იმპერიები არ აძლევდნენ, რადგან ეშინოდათ გერმანიის კიდევ უფრო გაძლიერების. ამ მხრივ ის იძულებული გახდა უკან დაეხია. რაც შეეხება დიპლომატიურ იზოლაციას, მას ეს საკმაოდ კარგად გამოსდიოდა, რადგან 1871 წლის შემდეგ, ბისმარკის გადადგომამდე, საფრანგეთს არცერთ სახელმწიფოსთან არ შეუკვრია რაიმე სახის ალიანსი გერმანიის წინააღმდეგ. გარკვეულ პრობლემებს წააწყდა ბისმარკი, როდესაც მან სცადა ახალი, ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური კავშირის შექმნა. ბისმარკის ოცნება იყო შეექმნა საღვთო ალიანსის მსგავსი კავშირი ავსტრიისა და რუსეთის იმპერიებთან ერთად, რათა აღმოსავლეთიდან თავი დაცულად ეგრძნო და საფრანგეთის დიპლომატიური იზოლაციაც უფრო წარმატებით შეესარულებინა. ფაქტობრივად, ამით საფრანგეთს ის აღარ უტოვებდა შანსს ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე კონტინენტურ ევროპაში. 1873 წელს მან შექმნა სამი იმპერატორის

კავშირი, რომლითაც მან სცადა გერმანიის, ავსტრიასა და რუსეთის იმპერიებს შორის მყარი პოლიტიკური და სამხედრო კავშირი შეექმნა, მაგრამ მას ეს არ გამოუვიდა, რადგან რუსეთისა და ავსტრიის ინტერესები ბევრ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ბალკანეთთან, ურთიერთსაპირისპირო იყო. სამი იმპერატორის კავშირი ჯერ 1878 წელს გაუქმდა ბერლინის კონგრესზე ინტერესთა კონფლიქტის გამო. მართალია ის 1881 წელს აღადგინეს, მაგრამ ამ კავშირს დიდი მომავალი არ ეწერა. მან მხოლოდ 6 წელი გასტანა, რადგან ეს კავშირი საბოლოოდ დაიშალა ბულგარეთის კრიზისის გამო 1887 წელს, სადაც ისევ ბალკანეთის საკითხთან დაკავშირებით იყო მთავარი დაპირისპირება მხარეებს შორის.

ბისმარკი მოვლენების ამგვარმა განვითარებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ რუსეთისა და ავსტრიის ერთ ალიანსში ერთად ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა და უარი უნდა ეთქვა მას ამ ოცნებაზე. ის, მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, კარგად ხვდებოდა, რომ სამი იმპერატორის კავშირი არ ამართლებდა და მან 1879 წელს ავსტრია-უნგრეთთან დადებული ორთა კავშირის გაძლიერება და მისი გაფართოება გადაწყვიტა, რაც ბისმარკმა განახორციელა კიდეც 1882 წელს იტალიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებითა და ამით სამთა კავშირის შექმნით.

ამ კავშირს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მათ შორის ვართ ჩვენც. მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოებისათვის კავშირს გარკვეული დადებითი მხარეები ჰქონდა, არსებობდა მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც გვარწმუნებს, რომ სამთა კავშირი თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისათვის და ეს ალიანსი აღმოჩნდა ის დიდი შეცდომა, რომელიც ბისმარკმა დაუშვა.

სამთა კავშირის შექმნა იყო დიდი შეცდომა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ მიზეზად შეგვიძლია შიდა ძალთა დისბალანსი დავასახელოთ. იქიდან გამომდინარე, რომ იტალია ბევრად სუსტი იყო ორივე იმპერიაზე, მისი ინტერესები სამთა კავშირში ყველაზე ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის შესახებ ავსტრიასთან დადებულ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ავსტრიის მიერ მიტაცებულ ყოველ ახალ ტერიტორიაზე სანაცვლოდ იტალიასაც უნდა შეხვედროდა გარკვეული ტერიტორია, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილი იყო ავსტრიის მიერ და ის არც აპირებდა მის შესრულებას. ამასთან ერთად, იტალიისა და სამთა კავშირის წევრების განსხვავებული ინტერესებიც კიდევ უფრო დიდი პრობლემა გახლდათ. კერძოდ, ბალკანეთის რეგიონში იტალიის ხედვა მიმდინარე მოვლენების მიმართ, უფრო მეტად რუსულ მიზნებთან იყო თანხვედრაში, ვიდრე ავსტია-უნგრულ ან თუნდაც გერმანულ ინტერესებთან. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იტალიასა და ავსტრიას შორის

დაპირისპირების საგანი იყო ის იტალიელებით დასახლებული ტერიტორიები, რომლებიც ავსტრიას ჰქონდა დაპყრობილი და რომლის დაბრუნებაც იტალიას ყველაზე მეტად სურდა. იგი სამთა კავშირში მხოლოდ საფრანგეთისაგან მომავალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად გაერთიანდა. სწორედ ფრანგული ოპონირება იყო მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ერთიანი იტალიური სახელმწიფოს შექმნისა და მისი სამომავლო განვითარებისა (Fife, 1914), მაგრამ არაფრით ჩამორჩებოდა ავსტრია-უნგრეთიდან მომავალი საფრთხე ფრანგულ საფრთხეს. იტალელ პოლიტიკოსებს აღიზიანებდათ ავსტრიისა და გერმანიის ასეთი დამოკიდებულება იტალიისადმი. ირონიულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ოტო ფონ ბისმარკის მიერ ევროპაში დიდი ალიანსის ჩამოყალიბებამ, საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობების გაუმჯობესება გამოიწვია. საფრანგეთმა იგრძნო მარტო დარჩენის საშიშროება და გვერდზე გადადო საკუთარი გაუგებრობები იტალიასთან. 1900 წლის დეკემბერსა და 1902 წლის ნოემბერში მათ მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი. ამ დოკუმენტთა მიხედვით, იტალია პირობას დებდა, რომ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა საფრანგეთისა და ნებისმიერი მესამე პირის დაპირისპირების შემთხვევაში (Conybeare & Sandler, 1990). რა თქმა უნდა, აქ პირველ რიგში გერმანია და ავსტრია-უნგრეთი იგულისხმებოდნენ. ასეთი დამოკიდებულება იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაც სამთა კავშირს უუნარო და მოუქნელ ალიანსად ხდიდა.

გერმანიის მიერ ალიანსთა სისტემის ჩამოყალიბებამ სხვა სახელმწიფოების მხრიდან საომრად მობილიზაცია და მათი გაერთიანებების შექმნა გამოიწვია (Shen, 2013). სამთა კავშირის შექმნით საფრანგეთმა იგრძნო, რომ ისედაც უდიდესი საფრთხე, რომელიც მოდიოდა გერმანიის მხრიდან კიდევ უფრო გაიზარდა. ამან მას აიძულა გააქტიურებულიყო საგარეო პოლიტიკაში და დაემყარებინა კავშირები ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც ასევე შეშფოთებულები იყვნენ ძალთა ბალანსის ამგვარი ცვლილებით. ასეთი სახელმწიფო რუსეთი აღმოჩნდა. რუსეთს სურდა ბალკანეთში თავისი ინტერესები განევრცო, რაშიც მას ხელს ჯერ ორთა კავშირი, ხოლო შემდგომ სამთა კავშირი უშლიდა. პირველი სერიოზული დაპირისპირება მოხდა 1878 წელს, როდესაც 1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთის იმპერიამ მოწინააღმდეგე სასტიკად დაამარცხა და სან-სტეფანოს ზავით, ფაქტობრივად, უარი ათქმევინა მას ბალკანეთში საკუთარ ინტერესებზე. ამ ზავით რუსეთი გახდა ერთგვარი ჰეგემონი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 1878 წელს ჩატარდა ბერლინის კონგრესი, რომელშიც სხვა ქვეყნებთან ერთად, განსაკუთრებით გერმანიამ და ბისმარკმა რუსეთი იძულებული გახადა წასულიყო დათმობებზე (Hillis, 2017).

ავსტრიასა და გერმანიას ეშინოდათ რუსეთის გაძლიერება. ამის გარდა, ავსტრიას ჰქონდა თავისი ინტერესები ამ რეგიონში და საერთოდ არ სურდა რუსების ჰეგემონობა. როდესაც ვსაუბრობთ საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, მნიშვნელოვანია, რომ ბულგარეთის ფაქტორზეც ვისაუბროთ. ბულგარეთის კრიზისის დროს, 1885-1888 წლებში, რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობები განსაკუთრებულად გაუმχობესდა, რადგან რუსეთმა აღმოაჩინა, რომ ბალკანეთის საკითხებს სათავისოდ ვერ გადაჭრიდა სამთა კავშირის გამო. მას ესაჭიროებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელთანაც ეყოლებოდა საერთო მოწინააღმდეგეები (ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის სახით) და წინააღმდეგი არ იქნებოდა ბალკანეთის საკითხის რუსეთისთვის სასურველი პირობებით რომ მოგვარებულიყო. ასეთი სახელმწიფო იყო საფრანგეთი. საფრანგეთი და რუსეთი ოსმალთა ინტერესთა საწინააღმდეგოდ მხარს უჭერდნენ ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა ბულგარეთი, სერბეთი და ა.შ. ამ ქმედებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა დათბობა გამოიწვია (Stevenson, 1981). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არსებულმა მოცემულობამ ირიბად ხელი შუწყო ფრანკო-რუსული ალიანსის ჩამოყალიბებასა 1894 წელს და მის გაძლიერებას, რამაც მიგვიყვანა მეორე უფრო ძლიერი კავშირის ანტანტის შექმნამდე 1907 წელს. რუსეთმა და საფრანგეთმა ინგლისთან ერთად ანტანტის შექმნით დააბალანსეს ის ძალთა არათანაფარდობა, რომელიც სამთა კავშირის შექმნით იყო გამოწვეული. მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპის ძალთა ბალანსმა მიიღო ახალი ფორმა, რომელსაც ახასიათებდა ბიპოლარულობა, ვინაიდან ძირითადი ევროპული სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ ორ მტრულ ალიანსად (Sheehan, 1996).

პირველი მსოფლიო ომი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელმაც ძირეულად შეცვალა კაცობრიობის ბედისწერა. ომი ევროპის ჰეგემონ სახელმწიფოებს შორის არსებულმა დაძაბულობამ გამოიწვია. ჩვენ, მრავალი მკვლევარის მსგავსად, მიგვაჩნია, რომ კონფლიქტის წამოწყებას სწორედ სამთა კავშირის ჩამოყალიბებამ შეუწყო ხელი.

სამთა კავშირმა და მის საპასუხოდ შექმნილმა ანტანტამ სახელმწიფო აქტორებს შორის გაურკვევლობა გამოიწვია. ევროპა მთელი რიგი უსაფრთხოებათა დილემის წინაშე დადგა. უზუსტობისა და უნდობლობის შეგრძნება ჰეგემონ სახელმწიფოთა შორის მუდმივ დაძაბულობას იწვევდა. შესაბამისად, საჭირო დროს დიპლომატიამ ვერ იმუშავა და ევროპული დინასტიები სისხლისმღვრელ ომში ჩაერთნენ (Bentil, 2021).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამთა კავშირმა არაერთი პრობლემა წარმოქმნა. პირველ რიგში, მან მის წევრ სახელმწიფოებს ცრუ სიძლიერის შეგრძნება შეუქმნა. ამის გამო ავსტია-უნგრეთი და გერმანია თავს აძლევდენ უფლებას უფრო აგრესიულად მოქცეულიყვნენ

საერთაშორისო ასპარეზზე, მოცემული კი რეგიონში დაძაბულობის მაჩვენებელს საგრძნობლად ზრდიდა. ამ ყოველივეს კი მეორე მხრიდან მასობრივი მობილიზაცია მოჰყვა, დაიწყო მაღალი დონის მილიტარიზაცია. განვითარდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საბრძოლო ტექნოლოგიები. მოცემულ პერიოდში უკვე გენერლებმაც იცოდნენ რომ ომი გარდაუვალი იყო და ინდუსტრიალიზაციის გამო, ის უფრო ძლიერი და დამანგრეველი იქნებოდა (Horne, 2012).

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, სამთა კავშირი იყო ზედმეტად მჭიდრო გაერთიანება. მან შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელიც ვერ გაექცეოდა მასშტაბურ კონფლიქტს ევროპის კონტინენტზე ნებისმიერი ორი სახელმწიფოს დაპირისპირების შემთხვევაში. საბოლოოდ, ეს ასეც მოხდა. სერბეთისა და ავსტრია-უნგრეთის დაპირისპირების გამო, ომში ავტომატურად ჩაერთნენ ევროპის ჰეგემონი სახელმწიფოები და მივიღეთ I მსოფლიო ომის მძიმე მდგომარეობა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამთა კავშირი იყო ჩასახვისთანავე მკვდრადშობილი და წარუმატებლობისთვის განწირული ალიანსი. წევრებს შორის შეუთავსებლობამ გამოიწვია შინაგანი არამდგრადობა და საგარეო ასპარესზე მისი სისუსტე. ბისმარკის ამ ინიციატივას გერმანიისათვის სავალალო შედეგები მოჰყვა. სამთა კავშირმა შიდა გაუგებრობების გამო თავისი მთავარი ამოცანის შესრულება (ევროპის კონტინენტზე კავშირის წევრებისათვის სასურველ წესრიგის დამყარება) ვერ მოახერხა და საპირისპიროდ, ამ ალიანსის შექმნას მოჰყვა უკურეაქცია. ამის შედეგად, შეიქმნა მასზე ბევრად ძლიერი ანტანტა, რომელმაც მოახერხა ამ კავშირის დაშლა და დამარცხება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Bentil, S. (2021). “Power-Tricks is the Game: Influence of European Dynasties swallowed in World War I?”
2. Conybeare, J. A., & Sandler, T. (1990). The triple entente and the triple alliance 1880–1914: A collective goods approach. *AmericanPoliticalScienceReview*, *84*(4), 1197-1206.
3. Fife, R. H. (1914). Italy and the Triple Alliance. The North American Review, 200(707), 538–548. http://www.jstor.org/stable/25108267
4. Hillis, F. (2017). The “Franco-Russian Marseillaise”: International Exchange and the Making of Antiliberal Politics in Fin de Siècle France. *The Journal of Modern History*, *89*(1), 39–78. https://www.jstor.org/stable/26548391
5. Horne, J. (Ed.). (2012). A companion to World War I. John Wiley & Sons.
6. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=EjZHLXRKjtEC&oi=fnd&pg=PR8&dq=military+technology+and+ww1&ots=auQFLD5Z5o&sig=pmKxLH7h-AOu5l_E5wznIFPqPlI&redir_esc=y#v=onepage&q&f=false
7. https://www.chinhnghia.com/Michael_Sheehan_The_Balance_of_Power_History_an_BookFi.pdf

8. https://www.jstor.org/stable/pdf/1963259.pdf?casa_token=cKtRcCDF5FIAAAAA:4WZb0WWFezOxfF7ozsLwe7ZTRHeN2RUi7eACjAwJk6opab0DGo51vEHjMlkMg47Ufd1_5VplZ8oKPJ-990s7YI7JmNhxrFIPsu8pLoEbLhYXUSWoYuU4-Q
9. https://www.researchgate.net/profile/Shadrack-Bentil/publication/350015351_Power-Tricks_is_the_Game_Influence_of_European_Dynasties_swallowed_in_World_War_I/links/60cc9efd458515dc178ec12c/Power-Tricks-is-the-Game-Influence-of-European-Dynasties-swallowed-in-World-War-I.pdf
10. Sheehan, M. (1996). The balance of power: history & theory. Routledge.
11. Shen, E. Causes of World War Ihttps://roundtable.menloschool.org/issue15/2_Shen_MS_Roundtable15_Summer_20132.pdf
12. Stevenson, D. (1981). [Review of The Decline of Bismarck's European Order: Franco-Russian Relations, 1875-1890, by G. F. Kennan]. The International History Review, 3(3), 453–456. http://www.jstor.org/stable/40105167

ზიზი ხვედელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქალთა პოლიტიკური უფლებების საკითხისათვის საქართველოს პირველ რესპუბლიკაში და ახლა

მე-19 საუკუნის ბოლოდან ევროპაში გაჩაღდა ქალთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც გამოძახილი ქართულ სინამდვილეშიც პოვა, თუმცა ეს არ მომხდარა ცარიელ ნიადაგზე. ქალთა უფლებების საკითხისადმი სწრაფვა, ჯერ კიდევ 1879 წელს ჩამოყალიბებულ ,, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' უკავშირდება. ზემოთ ნახსენები ორგანიზაცია, ერთგვარი იმპულსი გახდა ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის. თითქმის ყველა მაზრაში გაჩნდა ქალთა შემოქმედებითი ორგანიზაციები, გამოიცა ქართველ მწერალ ქალთა ნაწარმოებები.

ფემინიზმისა და სუფრაჟისტული მოძრაობისათვის გარდამტეხი აღმოჩნდა, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება, ვინაიდან პოლიტიკური ფონის შეცვლამ ერთობ ხელი შეუწყო პირველი ტალღის ფემინიზმის კონცეფციის გავრცელებას. ფართო ისტორიული გაგებით, ფემინიზმის პირველი ტალღა შეგვიძლია დავიწყოთ მე-18 საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციაში ქალთა ჩართულობით. ვიწრო გაგებით ფემინიზმის პირველ ტალღად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი მიიჩნევა. პირველი ტალღის აღმოცენების კონცეპტი უკავშირდება განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდუსტრიალიზაციის განვითარების დინამიკას, რამაც გამოიწვია კერძო და საჯარო სფეროების დიფერენციაცია. პირველი ტალღის ფემინიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: ქალებისათვის პოლიტიკური საარჩევნო უფლებების, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, კერძო საკუთრების ფლობის, განქორწინების უფლებებისთვის ბრძოლა. თუმცა, დომინანტური შტრიხი ეს იყო ქალთა პოლიტიკური, საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლა, ამიტომ ხშირად პირველი ტალღის ფემინიზმის სუფრაჟიზმის სახელით მოიხსენიებენ. როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნამ ფემინისტური მოძრაობის არეალი გააფართოვა. ეს გამოიხატა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, კერძოდ მეხუთე მუხლში, რომელშიც ნათლადაა გაცხადებული, რომ : ,, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თავის საზღვრებში

თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.'' (საქართველოს ეროვნული საბჭო 1918: მე-5 მუხლი)

განმანთავისუფლებელი იდეები, ევროპაში განათლება მიღებულ ქალებს შემოჰქონდათ, რომლებიც იზიარებდნენ ეგალიტარული იდეოლოგიის კონტექსტს. სწორედ მათ რიგებში იყო კატო მიქელაძე (1877-1942), რომელსაც კონცეპტუალური ადგილი უჭირავს საქართველოში ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლაში. ის დაიბადა 1877 წლის 1 ნოემბერს ქუთაისის მაზრაში. ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით. ,, 1900 წლიდან კატო უკვე ბეჭდავდა ლექსებს ჟურნალ ,, კვალში'' და არალეგალურ გაზეთ ,, ბრძოლაში,'' რომელსაც რევოლუციონერი ლადო კეცხოველი ხელმძღვანელობდა. შეიძლება ითქვას, რომ მიქელაძის საზოგადოებრივი აქტივიზმი სწორედ ცხინვალში დაიწყო.'' (მელაშვილი 2013: 13) კატო მიქელაძისათვის ძირეულად მნიშვნელოვანი იყო პარიზში გატარებული წლები, სადაც გაეცნო სწორედ ფემინიზმის იდეებს. კატო მიქელაძე აქცენტირებული იყო არა მარტო საგანმანათლებლო მოძრაობაზე, არამედ სუფრაჟისტულ ბრძოლაზეც. ქართველ ფემინისტთა მსოფლხედვა ორგანულ თანხვედრაში იყო, საერთაშორისო ფემინისტურ კონცეფციასთან, თუმცა ყოველთვის ითვალისწინებდნენ ადგილობრივ, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ და სოციალურ ფონს. კატო მიქელაძემ უშუალოდ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლის საკითში. სწორედ, მან ჩამოაყალიბა ,, ქუთაისის ინტერპარტიულ ქალთა სწორუფლებიანობის ლიგა.'' აგრეთვე, მეტად მნიშვნელოვანი იყო კატო მიქელაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი ,, ხმა ქართველი ქალისა'' (1917-1918). აღსანიშნავია, რომ უკვე არსებობდა: ,, ქართველ ქალთა თანასწორუფლებიანობის კავშირი,'' რომელსაც ანასტასია გედევანიშვილი თავჯდომარეობდა. ასევე, ფუნქციონირებდა ეკატერინე გაბაშვილის მიერ შექმნილი ,, კავკასიელ ქალთა საზოგადოება.'' ნიშანდობლივია, რომ ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკურ კლუბს ქონდა თავისი პროგრამა, რომელშიც ნათლად ჩანს საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ფემინისტური მოძრაობის მისწრაფებები: ქალებს მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში, მსგავსად მამაკაცებისა, წარმოდგენილნი იყვნენ დამფუძნებელ კრებაში, თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალ-ვაჟებისთვის განათლებაზე, ერთნაირი ხელფასი და ჯამაგირი, ყოველგვარი პრივილეგიის გაუქმება სამართლის წინაშე მამრობითი სქესისათვის, პროსტიტუციის გაუქმება, ზედამხედველობის მოხსნა ერთ სქესზე, როდესაც მეორე სრული თავისუფლებით სარგებლობს, მემკვიდრეობითი პრივილეგიის აღმოფხვრა, ცოლ-ქმართა თანასწორი უფლება შვილებზე, თანსწორი

მონაწილეობა ადმინისტრაციაში და სხვა.

საინტერესოა, როგორი იყო იმდროინდელი სოციალური სპექტრის დამოკიდებულება ფემინისტური მოძრაობისადმი, რაც შესაძლებელია დავინახოთ ფაქტთა მთელი კასკადიდან. ეროვნულ ყრილობაზე 20 ნოემბერს აკაკი ჩხენკელმა კატო მიქელაძეს სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცა. ერთადერთი ქალი ორატორი სიის ბოლოში მოექცა და ათი მამაკიცის გამოსვლის შემდეგ მას საშუალება არ მიეცა გაეჟღერებინა თავისი სათქმელი, რომ მდედრობითი სქესის ბუნებრივი და მოქალაქეობრივი უფლებების დაკნინება უდიდესი საფრთხეა ერისა და მთლიანად კაცობრობისათვის. ასევე, 1918 წელს როდესაც ეროვნული საბჭო არჩევნებისთვის ემზადებოდა სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ შეკრებზე ნინო ტყეშელაშვილმა განაცხადა: ,, მე მჭერმეტყველი არა ვარ, საზოგადოებაში ლაპარაკს გავურბივარ. წარსულმა, ქალის ფეხშეკრულმა ცხოვრებამ ქალი დაამუნჯა, მაგრამ თქვენ ახლა ისეთი უსამართლობის წინაშე დაგვაყენეთ, რომ ქვაც ენას ამოიდგამს. ქალი ოჯახს უვლის, შვილებს უზრდის ქვეყანას, საზოგადოებას ემსახურება, რითაც და როგორც შეუძლია ცოტა გვყავდნენ რევოლუციონერი ქალები? თქვენ 20 კაცში ერთი ქალიც კი ვერ ამოგირჩევიათ.'' (შველიძე (რედ) 2018:448) ნინო ტყეშელაშვილმა ხუთი ქალი კანდიდატი შესთავაზა მათ, თუმცა უშედეგოდ. უარის მიღების შემდეგ კი მან, კატო მიქელაძემ და მისმა თანამოაზრე ქალებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს კრება.

საყურადღებოა, თუ როგორი იყო თავად ქალების დამოკიდებულება ფემინისტური მოძრაობისადმი. ქალაქ სამტრედიაში საფუძველი ჩაეყარა ქალთა კლუბს, რომელიც შედგებოდა ათი ქალისაგან. მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს არა მარტო მამაკაცებმა, არამედ ქალებმაც რომლებიც თვლიდნენ, რომ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა საჭირო არ იყო. ფაქტები გვაჩვენებს, რომ საზოგადოებრივი განწყობილება მყიფეა. კატო მიქელაძეს სამართლიანი კრიტიკა არ დაუკლია არც ერთი ძალაუფლებრივი სტრუქტურისთვის მათ შორის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში. მიუხედავად, ამგვარი დაბრკოლებებისა ფემინისტურმა მოძრაობამ შედეგი გამოიღო. 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც პროპორციული სისტემის საფუძველზე განხორციელდა. თხუთმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. დამფუძნებელ კრებაში არჩეულმ იქნა ხუთი ქალი დეპუტატი: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე. ელეონორა ტერ ფარსეგოვა მახვილაძე, ანა სოლოღაშვილი, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და ქრისტინე შარაშიძე. მათ ბიოგრაფიასა და მოღვაწეობაზე სიტყვას აღარ შევაჩერებთ, ვინიადან აღნიშნული საკითხი სამეციერო სფეროსთვის მეტად ნაცნობია. ქალთა პოლიტიკური უფლებების წარმოსაჩენად კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქრისტინე შარაშიძეს, დამფუძნებელი

კრების პრეზიდიუმის უმცროსი მდივანის თანამდებობა ეკავა. 1918 წლის 3 სექტემბრის დებულებით გარანტირებული იყო ორივე სქესისთვის ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე. 1920 წლის 16 აგვისტოს დამფუძნებელი კრების სპეციალური დებულებით აგრონომიული პერსონალის მოსამზადებლად არსდება ორივე სქესის პირთათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. რაც ყველაზე მთავრია 1921 წლია 21 თებერვლის კონსტიტუციაში ჩაიწერა ორივე სქესის მოქალაქის თანასწორობა, როგორც პოლიტიკური ისე საოჯახო და შრომითი კუთხით. შევეცდებით წარმოვადგინოთ მსგავსებები 1921 წლის 21 თებერვლის კოსნტიტუციასა და 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტუტუციას შორის, რათა ნათლად იქნას აღქმული, ქალთა უფლებების საკითხი, როგორც საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ისე ახლა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, 1995 წლის კონსტიტუცია სამართალმემკვიდრეა 1921 წლის კონსტუტუციისა. აქ გადაკვეთა გვაქვს, როგორც საარჩევნო ისე საოჯახო და შრომითი უფლებების ასპექტით. საილუსტრაციოდ კი შევეხებით ქალთა საარჩევნო უფლებების დაკანონებას. 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავის 46-ე მუხლში ვკითხულობთ: ,, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის ,, საქართველოს პარლამენტი,'' რომელიც შესდგება საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა 3 წლის ვადით.'' (საქართველოს დამფუძნებებლი კრება 1921: 46-ე მუხლი) აღნიშნული მუხლი საერთოს პოვებს 1995 წლის კოსნტუტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტთან: ,, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.'' აგრეთვე, 1921 წლის კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ეხმიანება ,, კონვენციას ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ,'' (მუხლი პირველი) რომლის მიხედვითაც ,, ქალებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყველა არჩევნებში მამაკაცების თანასწორობის პირობით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.''(საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2005:მუხლი პირველი) აღსანიშნავია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის რეცეფცია შეინიშნება საქართველოს ორგანულ კანონ შრომის კოდექსში, რაც მიემართება ორსულ, ახლადნამშობიარებ თუ მეძუძურ ქალთა შრომის უფლებებს. (საქართველოს პარლამენტი2010: მუხლი მეათე, მეხუთე პუნქტი).

საინტერესოა, რომ ფემინიზმი პერმანენტულად განიცდიდა ფორმირებას. მეორე ტალღის ფემინიზმი, რომელიც 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე მიიჩნევა, მიმართული

იყო ქალის სხეულის, სხეულის რეპრეზენტაციის და ბიოლოგიურ განსხვავებით მნიშვნელობებზე. ფემინიზმის მეორე ტალღას ახასიათებს ბრძოლის რადიკალური მიდგომები, დემონსტრაციები, ქუჩის აქციები და სხვა. რაც შეეხება მესამე ტალღის ფემინიზმს ის ერთგვარად აღიარებს მეორე ტალღის ფემინიზმის მიღწევებს, თუმცა აკრიტიკებს მას, როგორც დასავლეთზე ფოკუსირებულს. მესამე ტალღის ფემინიზმში ძალიან სუსტად შეიმჩევა პირველი ტალღის ფემინიზმის კონცეპტების გავლენა. რაც შეეხება მეოთხე ტალღის ფემინიზმს ის აქცენტიურებულია ქალთა და მამაკაცთა შორის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. . 1980-იანი წლების ბოლოდან და 1990 წლების დასაწყისამდე ერთგვარად გააქტიურდა კონფერენციები, ცდილობენ გააერთიანონ ქალთა უფლებები, ჩნდება ჰოლისტიკური დისკურსი. (Harcourt 2006:6)

ნიშანდობლივია, რომ 1990-იან წლებში მსგავსად სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაა ქალთა დაბალი პოლიტიკური წარმოამდგენლობა იყო, რაც დიდწილად განაპირობა საბჭოთა დროის კულტურული ნორმების გავლენამ. 2004 წელს ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში 9,4% იყო, (235 წევრიდან) 2008 წელს 6% (150 წევრიდან) (ჩხეიძე 2017:4) 2012 წელს 11,30% (171 წევრიდან) 2016 წელს 15 % (164 წევრიდან) 2018 წელი. დღევანდელი მოქმედი მეათე მოწვევის პარლამენტში 18%. ზოგადად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შემცირება დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებზე და მათ მახასიათებლებზე, როდესაც პარტიები არ ან ვერ აცნობიერებენ ქალთა ჩართვის და მონაწილეობის აუცილებლობას ეს, ერთი მხრივ, გავლენას ახდენ ქალთა წარმომადგენლობაზე და მეორე მხრივ მიუთითებს, პარტიის დემოკრატიულ ხარისხზე. (ბაგრატია და ბადაშვილი 2011) 2011 და შემდეგ 2013 წელს საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ეყოლებოდათ მეტი ქალი პარტიულ სიებში, მიიღებდნენ გაზრდილ (30%) დაფინანსებას. თუმცა, მომდევნო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ ცვლილებას შედეგი არ გამოუღია (ჩხეიძე 2017: 7).

საყურადღებოა, როგორია დღეს ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ სოციალური სპექტრის დმაოკიდბეულლება. 2013 წლის მონაცემებით ქალების 56% პროცენტი, ხოლო კაცების 69% ფიქრობდა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან ვიდრე ქალები. 2019 წელს კი ეს მონაცმეები შეიცვალა იმ კუთხით, რომ ამ მოსაზრების მქონე ქალთა რაოდენობა შემცირდა 37%-მდე, ხოლო კაცების 62%-მდე. (რაკშიტი, ლევტოვი 2020: 20)

ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა ხანგრძლივი და მრავალასპექტოვანი

პროცესია. ახლანდელ მდგომარეობაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ გაეროს ინფორმაციით 195 სუვენერული სახელმწიფოა. 2018 წლის მონაცემებით, 12 ქვეყანაა, რომელსაც ყავს ქალი პრეზიდენტი და მათ შორის ერთ-ერთია საქართველო.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომ დღესღეობით არსებობს „ქალთა ფონდი“, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“ და რაც მთავარია, დაკანონებულია ქალთა მრავალმხრივი და მათ შორის პოლიტიკური უფლებები. რიგი სირთულეების მიუხედავად, ყოველივე ამის საწყისი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში უნდა ვეძებოთ ვინაიდან, სწორედ, მაშინ ჩაისახა ფემინისტური მოძრაობის სხეული და გამოიკვეთა ტენდენციები ქალთა პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის, რომელიც დღემდე კონცეპტუალურად მნიშვნელოვანია და განიცდის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს ეროვნული საბჭო. დოკუმენტის ტიპი: აქტი-საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მიღების თარიღი: 26/05/1918
2. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს დამფუძნებელი კრება. დოკუმენტის ტიპი: საქართველოს კონსტიტუცია. მიღების თარიღი: 21/02/1921
3. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი. მიღების თარიღი: 24/08/1995
4. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს პარლამენტი. დოკუმენტის ტიპი: საქართველოს ორგანული კანონი-საქართველოს შრომის კოდექსი. მიღების თარიღი: 17/12/2010
5. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. დოკუმენტის ტიპი: საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ. მიღების თარიღი: 21/03/1953. ძალაში შესვლის თარიღი: 04/ 10/ 2005
6. დოკუმენტის მიმღები: საქართველოს პარლამენტი. დოკუმენტის ტიპი: საქართველოს პარლამენტის დადგენილება. ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის'' დამტკიცების შესახებ. მიღების თარიღი: 23/03/ 2023
7. გურული, ვ. (რედ). (2003). საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა და გამომცემლობა არტანუჯი.
8. მელაშვილი, თ. (2013). კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.
9. მსხილაძე, ქ. & ხორბალაძე, თ. & კინწურაშვილი, თ. (2013). ქალები წარსულიდან. თბილისი: მედიის განვითარების ფონდი.
10. შველიძე, დ. (რედ). (2018) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. მიქელაძე, კ. (1917, აპრილი 5 N1). გაზეთი: ხმა ქართველი ქალისა.

12. მიქელაძე, კ. (1918, ივნისი 3 N15). გაზეთი: ხმა ქართველი ქალისა.
13. მიქელაძე, კ (1918, ივნისი 20 N17). გაზეთი: ხმა ქართველი ქალისა.
14. ჩხეიძე, ქ. (2017) სტატია: ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ. ჟურნალი: ხმა ქართველი ქალისა.
15. არნბიორსონი, გ. (2022). კვლევა: გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO).
16. დოლიძე, ნ. (2017). კვლევა: ქალები ქართულ პოლიტიკაში. (საქართველოში 2016-2018 წლების საარჩევნო ციკლის პერიოდში ქალთა პოლიტიკურ-საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გარემოს შესწავლა). თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
17. რაკშიტი, დ. & ლევტოვი, რ. (2020). კვლევის ანგარიში: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. თბილისი: ,, გენდერული თანსწორობისთვის“
18. Harcourt, W. (2006). The global Women’s Rights Movement. (Power Politics around the United Nations and the World Social Forum) United Nations Research Institute for Social Development
19. Vacárel A. (2002). The collective memory and challenges of feminism. Santiago: Women and Development Unit.

ლუკა ყურუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1911-12 წლის სინხაის რევოლუცია – ჩინეთის მარცხი თუ წარმატება?

ჩინეთის ისტორიაში ცინგის დინასტია (1644-1911) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ძირითადი მიზეზის გამო: 1. ამ დინასტიის მმართველები იყვნენ არა ჩინელები (ხანები), არამედ მანჯურიული ტომის წარმომადგენლები, 2. ეს იყო უკანასკნელი მონარქიული ხელისუფლება, რომლის წარმომადგენლებიც ზეციური მანდატით საკრალიზებულად მართავდნენ მთელ ცისქვეშეთს (ანუ შუა, ცენტრალურ სახელმწიფოს, ჩინურად- 中国, zhongguo,). 1911 წლის სინხაის რევოლუციის შედეგად ცინგის დინასტია დაემხო. საზოგადოება, რომელიც ასწლეულების განმავლობაში საიმპერატორო კარისკენ გახედვასაც კი ვერ ბედავდა, წინ აღუდგა ღვთის შვილს და დაასრულა მისი მმართველობა. რეალურად ცინგის მანჯურიელთა დინასტიის დასრულება არ იყო მხოლოდ სახალხო აჯანყების შედეგი, გარკვეულწილად ის უფრო სინთეზი იყო რევოლუციური გამოსვლებისა და შიდა ინტრიგებისა, რომელმაც საბოლოოდ შეიწირა მონარქიული სახელმწიფო და სულ მალე რესპუბლიკად გამოცხადდა **(ჩიხლაძე შალვა, 2020).** სინხაის რევოლუციის მნიშვნელობაზე სანამ ვისაუბრებდეთ, უმჯობესია მოვახდინოთ იმ მიზეზების ფორმულირება, რამაც ცინგის მანჯურიული დინასტიის დამხობა გამოიწვია: 1. ცინგის ხელისუფლების სუსტი მმართველობა, 2. დედა-დედოფალი ც’სის როლი, 3. პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, 4. დინასტიის მმართველობის გვიან პერიოდში გატარებული რეფორმების შედეგები, 5. სუნ იატსენის წვლილი რევოლუციაში.

XVIII-XIX საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო მყარად იკიდებდა ფეხს, ჩინეთი კვლავ რჩებოდა ფეოდალურ ქვეყნად. იმდროინდელი ჩინეთის იმპერია მსოფლიოში უდიდესი იყო, თუმცა XIX საუკუნის შუა წლებიდან, თვითიზოლაციის პოლიტიკის შედეგად, ასევე ქვეყნის შიგნით დაწყებული არეულობებისა და უმეტესად კი, დასავლეთის სახელმწიფოთა უხეში ჩარევით ქვეყანაში ნგრევისა და დაცემის პროცესი დაიწყო. ჩინეთის იმპერია, ფაქტობრივად, ნახევრად კოლონიალურ რეჟიმში არსებობდა. გარედან შემოსული ცვლილებების საწინააღდეგოდ ისინი ზოგჯერ იზოლაციონიზმისა და ჩაკეტვის პოლიტიკას აწარმოებდნენ. იმ პერიოდში არსებული ყველა ძლიერი სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული კაბალური ხელშეკრულებები აიძულებდა საიმპერატორო კარს პორტები და სავაჭრო ფაქტორიები

გაეხსნათ უცხო პროდუქციისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პეკინს სამხედრო შეტაკებების არც ისე სასიამოვნო გამოცდილება ჰქონდა, ნათელი გახდება თუ რატომ ითმენდა ის უცხოურ ზეგავლენას. კერძოდ, იმპერატორის მრავალრიცხოვანი, თუმცა საკმაოდ მოძველებული შეიარაღების მქონე ჯარისკაცები დამარცხდნენ დიდ ბრიტანეთთან ოპიუმის პირველ და მეორე ომებში (1839-1842, 1856- 1860) **(ჩიხლაძე შალვა, 2020)** და იაპონიასთან 1895 წელს **(Qizhi Zhang, 2015:420-421).** გარდა ამისა, მრავლად იყო შიდა აჯანყებები: 1. თეთრი ლოტუსის აჯანყება (1796-1804). აჯანყება წამოიწყო ბუდისტურმა რელიგიურმა ჯგუფმა „თეთრმა ლოტუსი". თავდაპირველად გადასახადების გაზრდის საწინააღდეგოდ მიმართული გამოსვლები შემდეგ ცინგის დინატიის წინააღდეგ მიიმართა, აჯანყებულები მინგის დინასტიის აღდგენას ლამობდნენ, თუმცა საბოლოოდ დამარცხდნენ. 2. თაიფინგის აჯანყება, 1851-1864 წლებში, რომელიც მომწიფდა ჩინეთის სამხრეთ პროვინცია კუანგსიში. ისინიც გამოდიოდნენ ცინგის დინასტიის წინააღდეგ და აპროტესტებდნენ იმ უუნარობას, რასაც ზეციური მანდატის მქონე დინასტია იჩენდა უცხოელთა მიმართ. ისინი ილტვოდნენ თაიფინგის ზეციური სახელმწიფოს შესაქმნელად. აჯანყება განეიტრალდა, თუმცა სერიოზული დარტყმა მიიღო ხელისუფლებამ. 3. ნიენის აჯანყებას, რომელიც 1840-იანი წლებიდან იწყებს მზადებას, თავდაპირველად გამოკვეთილი მიზნები არ გააჩნია, შესაბამისად გამოიყენება სხვადასხვა მიზეზი ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად, მაგალითად, სტიქიური უბედურება. 1851 წელს ადიდდა მდინარე იანძი, დაიტბორა ასეულობით კილომეტრის მანძილზე სანაპირო ზოლი. მიუხედვად აჯანყებულთა სწრაფი და მობილური არმიის ყოლისა, ნიენის ჯარიკაცთა სამხედრო მარში სარდალმა ჭენგ ცუოფინგმა დაბლოკა. 4. ბოქსიორთა იგივე იხეთუანთა აჯანყება 1899-1901 წლებში. აჯანყება ჩრდილოეთიდან დაიწყეს ქუჩის საბრძოლო ხელოვნებით დაკავებულმა მოხალისეებმა, რომლებიც სიკვდილით სჯიდნენ ყველა უცხოელს და ასევე ქრისტიან ჩინელებს. მათი წინააღდეგობა მიმართული იყო, ერთი მხრივ, უცხოელთა ბატონობის, მეორე მხრივ, საიმპერატორო ძალების წინააღმდეგ. საბოლოოს ჯამში, ბოქსიორთა აჯანყების ჩასახშობად პეკინში ათასობით უცხოელი ჯარისკაცი შეიყვანეს **(ჯიბლაძე მარინე, 2022:479-480; 503-510; 516-518;531-539; ჩიხლაძე შალვა,2020).**

ზემოთხსენებული აჯანყებები გამოწვეული იყო დინასტიისა და ხელისუფლების უუნარობით. ოპიუმის პორველი ომის შემდეგ დაწყებული ქაოსური პროცესები მთელ ქვეყანას მოედო და ფაქტობრივად არ დარჩენილა პროვინცია, რომელიც სამოქალაქო შეტაკებას ან სხვა ტიპის სამხედრო დაპირისპირებას გადაურჩა. პოლიტიკური ელიტა ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების

გატარება, რაც მახლობელ იაპონიაში უკვე დაწყებული იყო მეიჯის რესტავრაციის სახით. 1898 წლს ჩინეთში ჩამოყალიბდა პროგრესული ჩინოსნების ჯგუფი, რომელიც ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობიდან გამოსვლისთვის იბრძოდა. მათ მოახერხეს ახალგაზრდა იმპერატორ კუანგსუს ნდობის მოიპოვება და წამოიწყეს რეფორმების ტალღა, რომელიც ცნობილია, როგორც „რეფორმების ასი დღე“. რეფორმატორებს ქანგ იოუვეი ხელმძღვანელობდა **(Nathan Ye, 2016:3).** იმპერატორისთვის შეთავაზებული რეფორმების პაკეტი ასეთნაირად გამოიყურებოდა: ტრადიციული სამოხელეო საგამოცდო სისტემის გაუქმება, პეკინის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და იქ უცხოელი კადრების მოწვევა, კონფუციანური ტექსტების სანაცვლოდ თანამედროვე სამეცნიერო ტექსტების მასობრივი სწავლება, საიმპერატორო კარის წევრების მასობრივად გაგზავნა უცხოეთში განათლების მისაღებად, კონსტიტუციური მონარქიის შექმნისთვის მოსაზმადებელი სამუშაოების დაწყება, კაპიტალისტური სისტემის სწავლება და საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება, ინდუსტრიალიზაციის წამოწყება, ყველა პროვინციაში აგრარული სკოლებისა და სასწავლებლის დაარსება, ასევე მაღაროებისა და რკინიგზის სამართავი ბიუროს შექმნა. ახალგაზრდა იმპერატორისა და მის რეფორმისტულ იდეებს დაუპირისპირდა კონსერვატიული ელიტა, რომელიც ამ რეფორმების წამოწყების შემდეგ გავლენებისა და ფინანსური რესურსების გარეშე შეიძლებოდა დარჩენილიყო. კონსერვატიული კონტრ-რეფორმატორებს ხელმძღვანელობდა სამეფო ოჯახის წევრი-დედოფალი ც’სი და იუენ შიქაი. გარდა ამისა, დედოფალი ც’სი ყველანაირად ცდილობდა შეეზღუდა დასავლეთის ზეგავლენა ჩინეთზე **(ჯიბლაძე მარინე, 2022:530-531).** ეს ბუნებრივიც იყო, რადგან კონსერვატიულ ლიდერს და მასთან დაკავშირებულ სამხედრო მმართველებს აწყობდათ ნახევრად ჩამოშლილი სახელმწიფო, სადაც გადასახადების დამალვასა და კონტრებანდული საქონლით ვაჭრობას უფრო კარგად ახერხებდნენ, ვიდრე გამართული აპარატის პირობებში მოახერხებდნენ.

XIX – XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩინეთის ახალგაზრდობა სწავლის გასაგრძელებლად მიემართებოდა აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში. იაპონიაში მყოფი ჩინელი სტუდენტები ეზიარნენ იქ მყოფი პოლიტიკური ემიგრანტების და დასავლეთის იდეებს **(Xiaowei Zheng, 2018:228).** XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩინეთის სამხრეთი ნელ-ნელა ხდებოდა რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობის ცენტრი, რომლებიც მომავალში ჩინელი რევოლუციონერები ხდებოდნენ. ამას ხელს უწყობდა ის გარეომება, რომ სამხრეთში თავმოყრილი იყო მისიონერთა სკოლები და კოლეჯები, ასევე შექმნილი იყო შედარებით უკეთესი პირობები მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციისათვის.

ცნობილი რევოლუციონერი გახლდათ სუნ იატსენი (სუნ-ვენი 1866-1925). იგი დაიბადა

კუანგტუნგის პროვინციაში, მაკაოსთან ახლოს. მიუხედავად იმისა, რომ ის წარჩინებულთა ოჯახის ფენიდან არ იყო, მან მოახერხა ჰონოლულუზე (ჰავაის შტატი) მიეღო დასავლური განათლება **(ALLEN F.DAMON, 1991:163-164)**, სწორედ დასავლეთში ყოფნისას მოახდინა დემოკრატიამ მასზე დიდი ზეგავლენა და გააცნობიერა, რომ სწორედ ეს იქნებოდა ჩინეთისთვის შესაფერისი პოლიტიკური მმართველობის ფორმა **(JENNIFER LYNN CUCCHISI, 2002:6).** 1893 წელს ჰონგ-კონგის სამედიცინო კოლეჯის დასრულების შემდეგ სუნ იატსენი გამოდის პოლიტიკურ სარბიელზე. 1894 წელს მან ჩამოაყალიბა „ჩინეთის აღორძნების კავშირი“. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი დოქტრინის საფუძვლების ფორმირება „სამი პრინციპი“ : ნაციონალიზმი, დემოკრატია და ხალხის კეთიდღეობა. სუნ იატსენმა იმოგზაურა რიგ ქვეყნებში და დიდი მუშაობა გაწია მოკავშირე ემიგრანტებთან**(LEE LAI TO, LEE HOCK GUAN, 2015).** მოგვიანებით, 1905 წელს, მან ტოკიოში მოახერხა სხვადასხვა რადიკალურად განსხვავებული ჯგუფი გააერთიანებინა „თუნგმენგხუეის“ (ერთიანი კავშირი) რიგებში და შექმნა ერთიანი ფრონტი. გარდა ამისა, გამოსცემდა ჟურნალ – „მინპაო“-ს, რომლის მეშვეობითაც ეწეოდა თავისი იდეის „სამი პრინციპის“ პროპაგანდას. ასევე ჟურნალში განათავსა ჩინეთის მომავალში კონსტიტუციური მოწყობის პროექტი (ევროპული მოდელის მიხედვით).

1895 წლიდან 1911 წლამდე ჩინეთი მოიცვა არნახულმა საპროტესტო ტალღამ. ფაქტობრივად, სხვადასხვა პროვინციაში წელიწადში ერთხელ მაინც მიმდინარეობდა მასობრივი მანიფესტაციები ან დაგეგმილი დივერსიები, რომელებიც სულ უფრო და უფრო ასუსტებდნენ ცინგის დიანსტიას. ქრონოლოლოგიურად შესაძლებელია იმ ამბების ჩამოთვლა, რომელთა ლოგიკური დასარულიც იყო სინხაის რევოლუცია: 1. კუანგჭოუს პირველი აჯანყება. 1895 წელს ნახევრად გასამხედროებულმა ჯგუფებმა მიიტანეს იერიში სახელისუფლებო ჯგუფებზე. ოპერაციას ხელმღვანელობდნენ იუენ ქუ ვანი, ჭენგ შ’ლიანგი, ლუ ხუოტონგი. აჯანყება წარუმატებლად წარიმართა, რადგან მანჯურიელთა საპოლიციო სისტემებმა მოახერხეს მათი შეჩერება. შედეგად დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. სუნ იატსენი და სხვა ლიდერები იძულებულნი იყვნენ ქვეყანა დაეტოვებინათ და რევოლუციური საბჭოს კოორდინაცია საზღვარგარეთიდან დაიწყეს. სუნ იატ სენი ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი დასავლეთში წავიდა მცირე ხნით. 2. ხუიჭოუს აჯანყება- 1900 წლის 8 ოქტომბერს 20,000 კაციანი კარგად შეიარაღებული აჯანყებულთა ქვედანაყოფებმა შეუტიეს სამთავრობო ძალებს. როგორც წინა აჯანყებებში, აქაც არ ეყოთ ბოლომდე ძალები. ეს აჯანყება იმით არის გამორჩეული რომ მაშინ პეკინმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იაპონიის იმპერატორს, რის შედეგაც თაივანზე ყოფნა აუკრძალეს აჯანყების მეთაურებს. რევოლუციის მომავალი ბურუსმა მოიცვა. მათ აღარ შეეძლოთ

იაპონიასა და იაპონიის მიერ კონტროლირებად კუნძულებზე თავის შეფარება. 1903 -1905 წლებში სხვადასხვა ადგილებში კიდევ იმართებოდა დემონსტრაციები და შეტაკებები. 1905-დან 1907 წლამდე შედარებით მშვიდობიანი პერიოდი სუფევდა ქვეყანაში. თუმცა, 1907 წლის შემდეგ ისევ განახლდა გამოსვლები და შეტაკებები, თუმცა 1911 წელს დაწყებული მასშტაბური გამოსვლები მთელ პროვინციებს მოედო **(ჩიხლაძე შალვა, 2020).**

1911 წლის პირველი ნახევარი აღნიშნებოდა საზოგადოებრივი კრიზისით, რომლის ნათელი გამოხატულება იყო „რკინიგზების დაცვის“ მოძრაობა. 1911 წლის მაისში პეკინის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მშენებარე რკინიგზის მაგისტრალის ნაციონალიზაციისა. ეს მაგისტრალი დააკავშირებდა ხუპეის პროვინციას სიჩუანთან და კუანტუნგთან**(EBERHARD WOLFRAM, 2002:327-328).** ამ გადაწყვეტლების შედეგად დაზარალდნენ ჩინელი აქციონერები, რომლელებსაც ამ საქმეში დაბანდებული ჰქონდათ დიდი თანხა. იამვდროულად ცინგის ხელისუფლება აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთის სახელმწიფოების კონსორციუმთან სესხის თაობაზე. ხელისუფლება იმედოვნებდა ამ გზით მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა ამით ფაქტობრივად ევროპულ სახელმწიფოებს მიეცემოდათ კონტროლის საშუალება. ამან გამოიწვია უკმაყოფილება პროვინციების მეწარმეების წრეში, რომლებიც იღებენ აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას. პროტესტებს მოჰყვა შეიარაღებული შეტაკებები 1911 წლის შემოდგომაზე. ცინგის ჯარი ვეღარ უმკლავდებოდა ამბოხებულებს. ქვეყანაში მომწიფდა რევოლუციური კრიზისი, კერძოდ 1911 წლის ოქტომბერში ხუნანის პროვინციის ცენტრში, ქალაქ ჩანგშაში გაიხსნა ერთ-ერთი პირველი ფრონტი, შემდგომში მას შეუერთდნენ სხვა პროვინციებიც: ძიანგსუ, შანსი, იუნნანი, ჭეძიანგი, ანხუეი, კუანგტუნგი და შანტუნგი **(ჯიბლაძე მარინე, 2022:542).**

საბოლოოდ, გადამწყვეტი როლი ითამაშა 1911 წლის 10 ოქტომბრის უჩანგის (უხანის) აჯანყებამ. თუნგმენგხუეის რიგებში არსებულმა ორმა საიდუმლო ორგანიზაციამ, „ინტელექტუალთა საზოგადოებამ“ და „მარტის გაერთიანებულმა საზოგადოებამ“, იერიში მიიტანა ხუპეის სამთავრობო ჯარების პოზიციებზე. სიტუაცია კრიტიკული იყო, პეკინი პოზიციებს ყოველდღიურად კარგავდა. ნოემბრის დასაწყისში 13 პროვინცია უკვე გამოსული იყო საიმპერატორო ძალების იურისდიქციიდან, ყველა მათგანში იდგა აჯანყებულთა გასამხედროებული ძალები **(ჩიხლაძე შალვა, 2020).**

1911 წლის 29 დეკემბერს ქალაქ ნანკინში პროვინციების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები, სადაც წარდგენილი იყო 3 კანდიდატი. 17-დან 16 ხმა მიიღო სუნ იატსენმა, რაც მოწმობდა მის დიდ ავტორიტეტზე და ასევე ხელისუფლების საკითხის რადიკალურად შეცვლაზე. სუნ იატსენი დათანხმდა დროებით

პრეზიდენტის უფლებამოსილება შეესრულებინა, რადგან იუან შიქაიმ ტელეგრაფით აცნობა, რომ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო ის თანახმა იყო დაეთმო მისთვის ეს პოსტი **(EBERHARD WOLFRAM, 2002:328-329).** 1912 წლის პირველ იანვარს ჩინეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, თუმცა მხოლოდ 12 თებერვალს დაქვრივებული დედოფალი თავისი ვაჟის ფუ ი-ს სახელით აქვეყნებს ედიქტს გადადგომის შესახებ.

თანამედროვე ჩინურ ისტორიოგრაფიაში სინხაის რევოლუციის საკითხისადმი დამოკიდებულება სხვადასხვანაირია. ერთი თვალსაზრისით, ამ მოვლენის წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ის საბოლოოდ ასრულებს, იმპერიალისტურ წყობას, ასევე ჩინეთის ისტორიაში სრულდება უცხო ტომელთა მმართველობა. მეორე თვალსაზრისი რევოლუციის სრულ კრახს იმდენად არ გულისხმობს, რამდენადაც მის უარყოფით შედეგებს, რაც მიგვაჩნია ამ მოვლენის სწორ აღქმად. 1911 წლის ჩინეთის რევოლუცია გამოწვეული იყო ცინგის მმართველობის წინააღმდეგ სხვადასხვა აჯანყებით, რომელთა უკან მიმდინარე მოძრაობები არ იყო კოორდინირებული და ჰქონდათ განსხვავებული მიზნები. მართალია, რევოლუციამ მიაღწია თავის მთავარ მიზანს, ცინგის იმპერიის მმართველობის დასრულებას, თუმცა ამ მომენტიდან მოყოლებული, სხვადასხვა ჯგუფი, ახორციელებდა საკუთარ მიზნებს. შიდა დაპირისპირებები ისევ გაგრძელდა, რომელიც მოგვიანებით სისხლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა. შედეგად ნაციონალისტური მოძრაობები დაიყო ორ დიდ ჯგუფად: 1.ვინც მხარს უჭერდა საპრეზიდენტო სახელმწიფოს წარმოქმნას და 2. ვისაც სურდა მონარქიული მმართველობის აღდგენა ეთნიკურად ჩინელი იმპერატორის სახით. 1911-12 წლების ჩინეთის რევოლუციამ ვერ შეძლო ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც ქვეყების გაერთიანებასა და მისი უცხოური კონტროლისგან გათავისუფლებას შეძლებდა. 1912 წლიდან ოციანი წლების შუამდე, ჩინეთის ადმინისტრაციას რეგიონული სამხედრო მეთაურები ან პოლიტიკური ლიდერები ინაწილებდნენ, რომელთა უმრავლესობა უმოქმედოდ იტანდა ეკონომიკური და სამრთლებრივი პრივილეგიების დამაცირებელ სისტემას, რომლიტაც იაპონური, ევროპული და ამერიკული სავაჭრო კომპანიები სარგებლობდნენ **(ქილორი, უილიამ რ., 2015:327).** გარდა ამისა, პეკინის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო უშუალო კონტროლის დამყარება შორეულ პროვინციებზე, ასევე მონღოლეთმა და ტიბეტმა მოახერხეს პეკინისგან დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ არეულობამ ხელი შეუწყო დაპირისპირების გაღრმავებას, რომელიც გაგრძელდა 1916-დან 1928 წლამდე. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩინეთის კომუნისტური პარტია, როგორც მთავარი პოლიტიკური მოთამაშე და ჩაერთო სამხედრო მოქმედებებში ნაციონალისტური კუომინტანგის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ჭიღლაძე ოთარ, ანდღულაძე დავით, გელაშვილი ნანა, ჩიხლაძე შალვა, კალანდია არჩილ, **ჯიბლაძე მარინე (მთავარი რედაქტორი),** *„ჩინეთის ისტორია 中国历史“* გამომცემლობა ოქროს საწმისი, თბილისი, 2022.
2. ქილორი, უილიამ რ., *„მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ურთიერთობები 1900 წლიდან“* , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
3. ჯიბლაძე მარინე, ბოლქვაძე თინათინ, ლიოუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნიკო ქელბაქიანი, მაკათეთრაძე, *ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია- ტრანცლიტერაციის სახელმძღვანელო წესები,* სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II, 2019-2020.
4. https://sinologia.ge/meotse-saukunis-chinuri-revolutsiebi-sinkhais-1911-clis-revolutsia-monarkhiis-dasasruli-da-respublikis-daarseba/ /შალვა ჩიხლაძე/ ატვირთვის თარიღი 6 აგვისტო,2020/ ნახვის თარიღი 18/06/2022.
5. Xiaowei Zheng, “*The Politics of Rights and the 1911 Revolution in China*,” Stanford University Press, 2018.
6. LEE LAI TO, LEE HOCK GUAN, “*SUN YAT-SEN NANYANG AND THE 1911 REVOLUTION”, printed* in Singapore by Mainland Press, 2011.
7. Wolfram Eberhard, *“A History of China”,* Produced by Juliet Sutherland, Gene Smithers and PG Distributed Proofreaders, 2004.
8. Qizhi Zhang, *“An Introduction to Chinese History and Culture”,* Research Press of China, China Academic Library, 2015.
9. Eberhard, wolfram. *“A history of china”.* Routledge, London, 2005.
10. Kruger Rayne. *“All Under Heaven: A Complete history of china, John Wiley and Sons, 2004.*
11. ALLEN F. DAMON. “Financing Revolution: Sun Yat-sen and the Overthrow of the Ch'ing Dynasty”, 1991.
12. Nathan Ye. “THE 1911 REVOLUTION, An Exploration of China's "Internationalist Nationalism", University of Toronto, 2016.
13. Jennifer Lynn Cucchisi. “The Causes and Effects of the Chinese Civil War”, Seton Hall university, 2002.
14. https://www.britannica.com/topic/Qing-dynasty Last Updated: May 16, 2023.

ლუკა დანელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოების აზრი საქართველოს შესახებ (1926 წ.)[1]

1926 წლის 10-11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატასა და სენატში ერთდროულად შეიტანეს წინადადება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნაზე ვირჯინიის დეპუტატმა, კოპლენდმა და სენატორმა ვალტონ-მურმა. კონგრესმა დაადგინა, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისთვის გამოეყო თანხა, როცა ამას პრეზიდენტი მიიჩნევდა მიზანშეწონილად. საქართველოს საერთაშორისო უფლების, მისი დამოუკიდებლობის საკითხი და 11 მარტის რეზოლუცია კონგრესმა 1-2 აპრილს ხელახლა განიხილა. ჯონ სტიუარტისა და ჰენრი ობდაიკის გამოსვლების შემდეგ კონგრესმა ამ სხდომათა ოქმებით, 22 დანართით და 17 ფოტოთი, სახელმწიფო ხარჯით საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა (დაუშვილი, 2011).

1926 წლის 1 და 2 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომებზე განიხილებოდა „საქართველოს ეროვნულ რესპუბლიკაში“ აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობის დანიშვნის საკითხი. საკომიტეტო მოსმენების უმეტესი ნაწილი კონგრესმენებისთვის საქართველოს პოლიტიკური წყობისა და ისტორიის გაცნობას დაეთმო – ბიზნესმენები, კონგრესმენები ანდაც უბრალოდ ისინი, ვინც კი შეფრფინული დარჩნენ საქართველოში სტუმრობის შემდგომ, მთელი ამერიკელი საზოგადოების წინაშე ლაზათიანად აღწერდნენ ქართველთა ისტორიას, ტრადიციასა თუ ეროვნულ ფასეულობებს.

სახელდობრ კი, ზემოხსენებულ საკომიტეტო მოსმენებზე განსაკუთრებით აქტიური მისტერ სტიუარტი *(დანართი 1.)*, ვასილ დუმბაძე *(დანართი 2.)* და ჰენრი ობდაიკი იყო. მათი გამოსვლების გაანალიზებით ირკვევა სხდომის ერთიანი პათოსი, რომელიც საგულისხმოა, რამდენადაც ის გამოხატავს საკუთრივ ამერიკელების მცდელობას, კონგრესის წინაშე წარმოადგინონ ორი ერის „საერთო“ აქსიოლოგიური პარადიგმა. ამ

[1] კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვისა და კვლევითი ნაშრომის ძირითადი წყაროს, კერძოდ 1926 წლის კონგრესის სხდომათა ჩანაწერების, დასამუშავებლად გაზიარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბატონ პავლიკა ჯაგუნავას.

უკანასკნელსავე ეფუძნება ჯონ ეიკმან სტიუარტის ძირითადი არგუმენტები, თუ რატომ უნდა დაამტკიცოს აშშ-მა დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში.

მსჯელობის ძირითადი ხაზი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე, ქრისტინულ რელიგიასა თუ სხვა მახასიათებლებზე გადის. ამასთან, სხდომაზე იკვეთება, რომ ამერიკელებს ქართული სახელმწიფოს სახედ 1918-21 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესახებათ, თუმცა, იმავდროულად, საქართველოს შესახებ სრულყოფილი სურათის შესაქმნელად აქტიურად ჟღერდება ერთობ ღირსსაცნობი მოვლენები საქართველოს ისტორიიდანაც.

კვლევა ეფუძნება დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზისა (იგივე „კონტენტ-ანალიზს“) და ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ასევე ემპირიული მასალის კრიტიკულ და რელატივისტურ გააზრებას და მის განზოგადებას. სტატიის მიზანი აღნიშნულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით საქართველოს შესახებ ამერიკული საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გამოკვეთილი დამოკიდებულების ევოლუციის ანალიზია. შესაბამისად, კვლევის კითხვებიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რა წარმოდგენა ჰქონდათ 20-იან წლებში საბჭოთა (ანდაც სხვა ისტორიულ მოცემულობაში) საქართველოს შესახებ ამერიკელ ხალხს?
- და თუ არის ზემოხსენებული პერიოდის განწყობები და დამოკიდებულები საქართველოსადმი შეერთებული შტატების აწ უკვე დღევანდელი პოლიტიკისთვის დამახასიათებელი, კერძოდ შეიცვალა თუ არა ეს უკასკნელი?

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მთავარ, პირველად, წყაროს კონგრესის 69-ე მოწვევის საგარეო საქმეთა კომიტეტის 1-ელ სესიაზე დამტკიცებული (1926 წლის 1-2 აპრილის) ერთობლივი რეზოლუცია წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც იქნა გაანალიზებული ამავე პერიოდის აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობები საქართველოს შესახებ და, მაშასადამე, საკვლევი კითხვის პასუხები.

სხდომა მისტერ სტიუარტის გაცნობით იწყება და, ვფიქრობ, უწინარესად, ჩვენც ამ მიდგომით უნდა ვიხელმძღვანელოთ. სტიუარტი არის, ფაქტობრივად, ის ფიგურა, რომელიც კონგრესში მიმდინარე მოსმენებისას ქმნის საქართველოს შესახებ ძირითად აზრს. კერძოდ, იგი აქტიურად იცავს ქართული მხარის ინტერესებს, ავლებს რა პარალელებს საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის და მოუწოდებს საკუთარ მთავრობას დახმარებისაკენ. როგორც მისივე ნაამბობიდან ირკვევა, ამერიკელი ბიზნესმენი „კავკასიის საზოგადოების“ სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს

იკავებდა[1] [1]. ეს ორგანიზაცია კი მდებარეობდა ნიუ-ორკში და დაინტერესებული იყო საქართველოთი.

კითხვაზე, თუ როგორი სახელმწიფო მმართველობის ფორმაა საქართველოში, სტიუარტი დასძენს: „ ის არის დემოკრატიული და იმართება ზუსტად ისე, როგორც ამერიკა. მას ჰყავს პრეზიდენტი (იგულისხმება მთავრობის თავმჯდომარე) და კაბინეტი. ეს არის ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება და პრეზიდენტის მიერ დანიშნული კაბინეტი, პრეზიდენტი ირჩევა ხალხის მიერ და თითქმის ზუსტად ასეთია ხელისუფლების ფორმა შეერთებულ შტატებშიც.“ აღნიშნული დახასიათება, რასაკვირველია, მიემართება საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას და ერთგვარად გვიქმნის წარმოდგენას, ერთი მხრივ, ქართულ სახელმწიფოზე და, მეორე მხრივ კი, თვალსაჩინოს ხდის ქვეყნის შესახებ უცხოელთა, სახელდობრ ამერიკელთა, აღქმებსა და შეფასებებს.

ამასთან, რამდენადაც აშკარაა, რომ თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი საყურადღებო გამოწვევა მსოფლიო ხალხთა შორის ჩვენი ქვეყნის ცნობადობას უკავშირდება, მით უფრო საინტერესოდ გვესახება სტიუარტის სიტყვებიც: „საქართველოს ნაკლებად იცნობენ განსაკუთრებით ჩვენი ნახევარსფეროს ქვეყნებში, მით უფრო, როცა ქართველი ერი მარტო უმკლავდებოდა ათასნაირ გამოწვევას“.[2] მართლაც, ამ სავალალო მდგომარეობიდან, შეიძლება ითქვას რომ, დღესაც არ დაგვიღწევია თავი სრულად და ვინ იცის, კიდევ რამდენმა წყალმა უნდა ჩაიაროს, რომ დასავლეთის ქვეყნებში „ჯორჯიას“ გაგონებისას ამერიკული შტატის ანდაც საბჭოთა კავშირის ასოციაციები აღარ იყოს ავტოქტონთა შორის ეგზომ პოპულარული.

მომხსენებლის მტკიცებით: „არ არსებობს სხვა ერი დედამიწაზე, რომელსაც ქართველების მსგავსი დიდებული ისტორია ჰქონდეს.“ მისი თქმით, ქართველებმა

---

[1] ამასთან, უმაღლესი განათლება კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყო ჟურნალისტური საქმიანობითაც და ფლობდა ერთ-ერთ საგაზეთო გამოცემას. *ი*მავდროულად, მას აქვს 52-მდე ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება. მაგალითად: იყო *Washington-Lafayette Institution*-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, *Institute of Pictorial Education*-ისა და American Society-ის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. *International League of Highway improvements*-ის პრეზიდენტი და *International Institute of Efficiency*-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

[2] ასახელებს ალექსანდრე მაკედონელს, რომაელებს, არაბებს, თურქებს, მონღოლებს, სპარსებს, რუსებს და ამბობს, რომ 2500 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა 125-ზე მეტ ომში იომა. აქვე ხაზს უსვამს საქართველოს ბუნებრივ რელიეფსა და რესურსებსაც.

შეინარჩუნეს ეროვნული იდენტობა და ინსტიტუტები; საკუთარი ენა და მიწა, რომელიც, მისივე რწმენით, ქართველებს ღმერთმა უბოძა. სტიუარტი საქართველოს უპირატესობის უკეთ წარმოსაჩენად პარალელს რუსეთთან ავლებს და დასძენს, რომ: „დღეს რუსეთს, თავისი 96 პროცენტით გაუნათლებლობით, უპირისპირდება პატარა საქართველო, 96 პროცენტით წიგნიერებით. მას აქვს დიდი ხნის დამკვიდრებული ლიტერატურა, უძველესი ხელოვნება. მას თავის მოსახლეობაში ჰყავს მსოფლიოს რამდენიმე უდიდესი მეცნიერი. არ არსებობს მიწა, რომელიც ისეთი პირობების წინაშე დგას, როგორიც ეს საქართველოს შეექმნა და თანაც ასე კარგად შეენარჩუნებინა თავი უაღრესად უპირატესი ძალების წინააღმდეგ (და აქვე მიმართავს კომიტეტის თავმჯდომარესაც[1])... საგულისხმოა, ბატონო თავმჯდომარევ, რომ რუსეთის მეფეებსაც კი მოუწიათ ამ ხალხის მეგობრებად და თანასწორად აღიარება.“

სტიუარტის სიტყვების განზოგადებას თუ შევეცდებით (რისი ლეგიტიმური საფუძველიც გვაქვს, რამდენედაც სხდომის ძირითადი პათოსი სწორედაც მის გამოსვლებში იკვეთება), გამოდის, რომ ამერიკელი ხალხი „დიდი რუსეთისა“ და „პატარა საქართველოს“ შედარებისას კეთილგანწყობას ქართველებისადმი იჩენენ, მეტადრე მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობის ზენიტი, შეიძლება ითქვას, მეტ-ნაკლებად ჯერ არც იყო მიღწეული.ის, ასევე, განიხილავს საბჭოთა ოკუპაციასაც. კერძოდ, ხაზს უსვამს ოკუპაციის უსამართლო ბუნებას, რამეთუ ქართველთა ნების გარეშე განხორციელდა. აგრეთვე, საუბრობს საქართველოს იმიგრირებულ მთავრობაზე და აქვე მოუწოდებს კონგრესს, მიიღოს ზომები, წინააღდეგ შემთხვევაში- „ თუ ეს კომიტეტის წევრების სიმპათიებს არ მოჰყვება, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამერიკული გული ქვისგან არის შექმნილი.“ სტიუარტის ესოდენა გაბედული გამოსვლიდან ცალსახად ირკვევა, რომ იგი გულმხურვალე მხარდამჭერი იყო საქართველოს თავისუფალი, განვითარებული, ნათელი და დემოკრატიული მომავლისა. უფრო მეტიც: იწყებს ამერიკის პოზიციის გამოკვეთასა და მისი განსაკუთრებული როლის ახსნასაც შემდეგ მიმართვაში: „თუ ამერიკას აქვს რამე რეპუტაცია მსოფლიოში, თუ აქვს რამე მიზეზი თავისი ავტორიტეტით შთაგონებისთვის, ეს იმიტომ, რომ ამერიკა ყოველთვის თანაუგრძნობდა პატარა ხალხებს, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. საქართველო კი დგას ზუსტად იქ, სადაც ამერიკა იდგა 1776 წელს.“ ეს არის სტიუარტის კიდევ ერთი

[1] ამ დროს წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა სტივენ გეიერ პორტერი.

მცდელობა, წარმოგვიჩინოს მსგავსებანი საქართველოსა და ამერიკას შორის და ამ გზით გაამყაროს საკუთარი პოზიცია, რომელიც თავისი არსით ძალიან მარტივია და მოიაზრებს საქართველოს დასახმარებლად აშშ-ის აქტიურ მონაწილეობას.

ზემოაღნიშნული პოზიციის გასამტკიცებლად ხაზს უსვამს ქართველების ღირსებასაც, რომ, მიუხედავად ათასნაირი გასაჭირისა, როგორც სტიუარტი აღნიშნავს, „ისინი არასოდეს მოსულან ამერიკელების მუხლებთან დახმარების სათხოვნელად, თუმცა ეს მათ სჭირდებოდათ.“ მისი თქმით, ეს არის რეკორდი, რომელიც პრაქტიკულად უნიკალურია. სტიუარტი კვლავ დასძენს- „არ დამეთანხმებით, ბოლო 10 უბედური წლის განმავლობაში პატარა ერებთან და დიდ ხალხებთან ჩვენი ურთიერთობის პირობებში, ძალიან საყურადღებოა, რომ ამ ხალხს, რომელსაც ჭეშმარიტად სჭირდება ფული და ყველანაირი მარაგი, არც უცდია ესესხა თუ ეთხოვა ჩვენგან? პირიქით, ისინი ფეხზე დადგნენ, დამოუკიდებლები, პატიოსნები და სიღარიბეში ღირსეულნი. ნუთუ ეს არ არის ის , რამაც უნდა მიიპყროს ამერიკის სიმპათია? ღმერთის სახელით, ამერიკამ, რომელსაც მთელ მსოფლიოში რეპუტაცია აქვს, როგორც გასაჭირში მყოფი ერების დიდი ძმა, ზურგი უნდა შეაქციოს საქართველოს, როცა მას აქვს უამრავი საგულისხმო პრეცედენტი საწინააღმდეგოსი (და აქ იხსენებს ირლანდიისა და საბერძნეთის მაგალითებს)?“

ზემოთ წარმოდგენილი ციტატიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ სტიუარტი მართალია, უცხო ქვეყნის შვილი იყო, თუმცა ეს ხელს საერთოდაც არ უშლიდა მას, რომ საქართველოზე უანგაროდ შეყვარებულიყო და მისი ეროვნული ინტერესების მთავარი „ლობისტიც“ გამხდარიყო მსოფლიოს ესოდენ გიგანტური ქვეყნის გიგანტურ პოლიტიკურ ორგანოში. მეტიც, მან, ალბათ, ქართული პოლიტიკის იმ დროინდელი (და იქნებადა, ასევე, ამჟამინდელი) მესვეურებისთვისაც შესაშური „ხელარგნოსანობა“ გასწია, ანდაც განა კი ბევრმა მიიტანა ეგზომ დიდ მასშტაბებამდე ქართველთა დამაღი?

ამის შემდგომ უკვე სტიუარტი საუბრობს ვასილ დუმბაძეზე და ვერ მალავს თავის აღფრთოვანებას: „ბატონი ვასილ დუმბაძე არის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი. მე სასოწარკვეთილი ვარ ამ ამბით, რომელიც შემიძლია მოგითხროთ დოქტორი დუმბაძის მსხვერპლშეწირვის შესახებ მშობლიური საქართველოს თავისუფლების საქმეში. ოთხჯერ ტყვედ ჩაუვარდა ბოლშევიკებს. ოთხჯერაც სიკვდილი მიუსაჯეს. დუმბაძის ფიგურას, ბუნებრივია, ვერ ჩავუღრმავდებით, რამდენადაც ის, ალბათ, ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს მისივე გამორჩეული ბიოგრაფიიდან[1] გამომდინარე, თუმცა ჯეროვანი იქნება მოკლედ განვიხილოთ მისი მოღვაწეობა აშშ-ში.

[1] იხ: https://kvirispalitra.ge/article/39705-vasil-dumbadze-morgantha-bankis-finansisti/

1924 წლიდან ცხოვრობდა ამერიკაში. 1925 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები: პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა," რომელშიც აღწერა კავკასიის რესპუბლიკების ისტორია და მათი მდგომარეობა. „ცდილობდა, მიეპყრო ამერიკის მმართველი წრეების ყურადღება კავკასიისა და საქართველოს საკითხებისადმი. 1926 წელს საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ დანიშნა კონსულად ამერიკის შეერთებულ შტატებში. დუმბაძის თაოსნობითა და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისთვის",[1] რომელშიც მრავალი ცნობილი მოღვაწე გაერთიანდა. საზოგადოებამ შეისწავლა საქართველოს წარსული, არსებული მდგომარეობა და დაადგინა მისი „დამოუკიდებლობის უდავო უფლება და ევროპაში გახიზნული დემოკრატიული მთავრობის კანონიერება. საზოგადოების საქმიანობის შედეგად კონგრესმა 1926 წლის 1-2 აპრილს განიხილა დუმბაძის საქართველოს წარმომადგენლად დამტკიცების საკითხი , მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო. საკითხი მეორედ 1929 წლის 23 აპრილს დაისვა. წინადადების მიღების შემდეგ ვასილ დუმბაძე საქართველოს წარმომადგენლად დამტკიცდა. იმავე 1929 წელს ცნობილი დიპლომატის, ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი", რასაც შედეგად ამერიკის კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა." (დაუშვილი, 2011).

კონგრესში სიტყვით გამოსვლისას დუმბაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობას საკუთარი ნებით არ დაუტოვებია ქვეყანა, არამედ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის შემოჭრის შედეგად მოუწია, დროებით ემიგრაციაში წასულიყო. ქართველი ასევე დასძენს, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა გააპროტესტა საბჭოთა აქტი. ამასთან, მართალია, მათ აღიარეს საბჭოთა კავშირი, მაგრამ მტკიცე დათქმები აღუთქვეს საქართველოსაც თავისუფლებისთვის და გამორიცხეს საბჭოთა ჩარევისაგან. დუმბაძე, კონგრესმენებს, ასევე, აცნობს საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო პარტნიორებისთვის დაგზავნილ ოფიციალურ წერილებს აღიარების თაობაზე და წარმოადგენს საპასუხო გადაწყვეტილებებსაც.

ვასო დუმბაძე, მართლაც რომ, დაუსაკლისად ხსნის საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, იხსენებს რა ყველა ხელშეკრულებასა თუ ზეპირ დათქმას, რომელიც 2 ქვეყანას შორის იქნა მიღწეული. საილუსტრაციოდ იმისა, რომ რუსეთი პირობის შესრულებით ვერ გამოირჩეოდა, ქართველს მოჰყავს ციტატა ჯოზეფ დილონის წიგნიდან

[1] საგულისხმოა, რომ ამავე ორგანიზაციას წარმოადგენდა სტიუარტიც.

„რუსეთის დაბნელება“ (“The Eclipse of Russia”), რომლის მიხედვითაც: „ჩვენ (რუსეთს) გვაქვს მხოლოდ ორი გზა სუსტ ერებთან ურთიერთობისთვის და მათი მაგალითია ჩვენი დამოკიდებულება საქართველოსა და ბულგარეთის მიმართ,- აღმოხდათ რუს დიპლომატებს“ (Dillon, p. 225). ნიშანდობლივია, რომ ამერიკელი ჰენრი ობდაიკი- რომელიც 18 წელია, რუსეთითა და საქართველოთი არის დაინტერესებული და, როგორც ის აღნიშნავს, ახლო კონტაქტშიც იყო საქართველოს იმიგრირებულ მთავრობასთან პარიზში- ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირს არასოდეს არ შეუსრულებია მის მიერ დადებული არცერთი ხელშეკრულება.

დუმბაძე კონგრესმენებს ნოე ჟორდანიაზეც უქმნის წარმოდგენას და მას ახასიათებს, როგორც „საქართველოს სწავლულ პრეზიდენტს,“ პატრიოტ კავკასიელ კაცს, რომელმაც შეინარჩუნა ნაციონალიზმის იდეალები. „ქართულ გაზეთებში მისმა ბრწყინვალე სტატიებმა დემოკრატიის მიმდევრებს გული აუჩუყდა და ერის ახალგაზრდობა შთააგონა, ორჯერაც დააპატიმრეს თავისი ლიბერალური შეხედულებების გამო, მისი, როგორც ლიდერის, სახელი და პოპულარობა მთელ ევროპაში გავრცელდა,- ასე აფასებს ვასო დუმბაძე მთავრობის ხელმძღვანელს.

დოკუმენტის მიმოხილვის ბოლოს, კვლავ მისტერ სტიუარტს დავუბრუნდები, რომლის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრებისადმი საბოლოო მიმართვაც ასე გამოიყურება:

„ქართველებს არასოდეს მოუმართავთ სიკეთისთვის ან ქველმოქმედებისთვის, მაგრამ ამჯერად ისინი სთხოვენ თქვენს კომიტეტს, მიანიჭოთ მათ ამერიკული აღიარება მისი მორალური მხარდაჭერით ახლა, მათ დღევანდელ ბრძოლაში, როგორც ფასდაუდებელი ღირებულების მქონე, რათა დაუბრუნოთ ქართველ ხალხს თავისუფლების ჩვეულებრივი პრივილეგიები და შესაძლებლობები, მართონ საკუთარი კანონებით და თავიანთი ცხოვრება და რელიგია საკუთარი გზით.“

დღესაც სენატორები: ჯიმ შაჰინი, ჯიმ რიში, დიკ დურბინი, რონ ჯონსონი, ჯონ ბარასო, ბენ კარდინი, რობ პორტმანი, ყოფილი კონგრესმენი ადამ კინზიგერი და სხვ. აქტიურად აჟღერებენ საქართველოს პრობლემებს შეერთებული შტატების წარმომადგენლობით ორგანოში. როგორც სენატორი პორტმანი თავის სტატიაში აღნიშნავს, „საქართველო რეგიონში აშშ-ის საიმედო პარტნიორია და მას ჩვენი დახმარება სჭირდება“ (WSJ, 2021). მართლაც, პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დასაყრდენი და ახლო პარტნიორია. ამასვე ადასტურებს კონგრესის კვლევითი სამსახურის (CRC) 2023 წლის ანგარიში, რომლიც მიხედვითაც, 2018 ფისკალური წლის შემდეგ, საქართველო არის ევროპისა და ევრაზიის ორ ქვეყანას შორის

ერთ-ერთი (მეორე ქვეყანა არის უკრაინა), რომლისთვისაც კონგრესმა დააკონკრეტა, რომ თანხები გამოიყოფა დახმარებისთვის – ბოლო დროს P.L. 117-328-ში, Section 7046(a)(1). 2022 ფისკალური წლისთვის დაგეგმილი სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოსადმი გამოყოფილმა დახმარებამ $153 მილიონს შეადგინა რეგულარული და დამატებითი დაფინანსებით. FY2023 წლისთვის ასიგნებები მოიცავს არანაკლებ 132 მილიონი დოლარის დახმარებას, 2024 წლისთვის სახელმწიფო დეპარტამენტის/USAID ბიუჯეტის მოთხოვნა 121 მილიონი აშშ დოლარის დახმარებამდე აღწევს. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დახმარებას თავდაცვის დეპარტამენტის პროგრამებითაც უწევს (CRS, 2023).

2023 წლის 2 მაისს სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილ წერილში სენატორი რიში და სენატორი შაჰინი აღნიშნავენ: „საქართველო არის გზაჯვარედინი, და ჩვენი ეროვნული ინტერესია, რომ უზრუნველვყოთ საქართველოს წარმატებული დემოკრატია. კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისადმი და მის ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე კვლავ ძლიერია, მაგრამ მთავრობის ბოლოდროინდელი უკუსვლა გვაიძულებს მოვუწოდოთ ადმინისტრაციას, მიიღოს ზომები, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოში დემოკრატიისა და კარგი მმართველობისთვის.” ფაქტია, შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა ჩვენს დროშიც უაღრესად აქტიურია საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მისწრაფებებისა და ინტერესების დასაცავად.

ამერიკულმა დახმარებამ გასული 30 წლის მანძილზე ჯამურად 4 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ამას გარდა, შეერტებული შტატები მედიატორისა თუ სხვა როლითაც აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კრიზესებში, მაგალითად „19 აპრილის შეთანხმების“ პროცესში; პლუს ამას, საქართველოში ინტენსიურ ვიზიტებს მართავენ ამერიკელი კონგრესმენები, დიდია ამერიკული მხარდაჭერა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვისა თუ საერთაშორისო არენაზე, ჩვენი ქვეყნის დასავლურ სტურქტურებში ინტეგრაციის გზაზე თუ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაციასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესებში. ის რიტორიკა, რომელიც 1926 წლის შეერთებული შტატების წარმომადგენლობით ორგანოში შევნიშნეთ, შეიძლება ითქვას, დღესაც არ არის უცხო, რამეთუ, საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის მიღმა, აშშ-ის პოლიტიკური ელიტა ემოციურადაც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან, კულტურასთან თუ ხალხთან. ამაზე მეტყველებს თუნდაც საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩების მიერ გამოხატული უწყვეტი მხარდაჭერა ანდაც სენატორ პორტმანის მიერ ქართველი ხალხისთვის მინიჭებული ის მარადიული „კვალიფიკაცია“,

რომელიც მეგობრის წრფელ სტატუსს მოიაზრებს.

არ ვიცი, რამდენად გამოვიდა, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორიაში რამე ხელჩასაჭიდს მიგვეკვლია, თუმცა ცალსახად აღსანიშნავია, წინამდებარე ნაშრომით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ამ ორ სახელმწიფოს საერთო ღირებულებები და ინტერესები აქვთ, რაც ძალზე საგულისხმოა ერთა ჰარმონიული თანაცხოვრებისა და განვითარების გზაზე. ეს კი ამ ურთიერთობის მარადიული მახასიათებელია, რამდენადაც იყო დრო, როცა საქართველოზე შეყვარებული მისტერ ჰასბენდი ამერიკის კონგრესში ამტკიცებდა- „თუ ჩემი ქვეყნიდან გამასახლეს, თავშესაფარი საქართველოში უნდა მეძია.“ დღეს კი ფაქტია, რომ იგივე მოტივებით ქართველთა დიდი ნაწილი არჩევანს შეერთებული შტატების მიწაზე აკეთებს.

პასუხად საკვლევი კითხვისა – თუ როგორი იყო აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის თუ საზოგადოების აზრი საქართველოზე და როგორ განიცადა მან ევოლუცია – შეგვიძლია, ზემოთ მოხმობილი ამონარიდები მოვიშველიოთ, რომლის გაანალიზებითაც ნათელი ეფინება დასავლეთის წინააღმდეგ აგორებული ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტული მესიჯის- რომლის მიხედვითაც, ის ამორალური ქმედებების (სხვაგვარად „გარყვნილების“) წახალისებით გამოირჩევა- აბსურდულობას, რამდენადაც კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კონგრესში მიმდინარე მოსმენებისას აქტიურად აღინიშნებოდა, სხვა მსგავსებებს შორის, რელიგიური კავშირიც საქართველოსთან.

დაბოლოს, რა დასკვნა შეგვიძლია, გამოვიტანოთ სტიუარტის, ობდაიკის, დუმბაძისა თუ სხვათა სიტყვებიდან? ნათელია, რომ ისინი კეთილგანწყობილნი და საქართველოს თავისუფლების იდეით მოცული იყვნენ; მეტიც, იმდენად შეპყრობილნიც, რომ ძალას არ იშურებდნენ მთელი ამერიკელი საზოგადოებისა თუ პოლიტიკური ელიტისთვის დაენახვებინათ, რომ საქართველო ღირსი იყო ამერიკული დახმარებისა. ამდენად, ქვეყნის მტრულად განწყობილი ძალები როგორადაც უნდა ეცადონ, დააზიანონ საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობები, ფაქტი ჯიუტია- ამერიკის სახელმწიფო და ამერიკელი ხალხი საერთაშორისო პოლიგონზე ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და კეთილდღეობის დასაცავად ყოველ ჯერზე ურყევად დგას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Congressional Research Service. (2023, July 3). *Georgia: Background and U.S. Policy*. FAS Project on Government Secrecy. Retrieved August 2, 2023, from

https://sgp.fas.org/crs/row/R45307.pdf
2. Dillon, E. J. (1918-01-01). *The eclipse of Russia*. J.M. Dent & sons, ltd. https://archive.org/details/eclipseofrussia0000emil/page/8/mode/2up
3. Portman, B. (2023, June 9). How Biden Can Stand Up to Putin in Geneva. *The Wall Street Journal*. https://www.wsj.com/articles/how-biden-can-stand-up-to-putin-in-geneva-11623277399?mod=searchresults_pos1&page=1&fbclid=IwAR388MpoupKH9_GpjO7cXYk0fLoWNIfr2KiaxmWtfYvxCI4z9lewfVE9fp4
4. ბიემჯი. (2019, ნოემბერი 28). .რამდენი მილიარდის ფინანსური დახმარება გაუწია აშშ-მა საქართველოს ბოლო 28 წლის განმავლობაში? *ბიემჯი*. https://bm.ge/news/ramdeni-miliardis-finansuri-daxmareba-gauwia- ashsh-ma-sagartvelos-bolo-28-wlis-ganmavlobashi/44399
5. დაუშვილი, რუსუდან**. ამერიკაში ქართული ემიგრაციის ისტორიიდან** : ნიუ-იორკის ქართული სათვისტომო // **ქართული ემიგრაცია ამერიკაში**/ რუსუდან დაუშვილი. – თბილისი, 2014. – ISBN 978-9941-0-6277-3. – გვ. 38-41.
6. დაუშვილი, რუსუდან. ჟურნალი "ისტორიანი",#9 მთავარი წყარო: საარქივო მასალა, ამონარიდი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომის ჩანაწერებიდან, 1-2 აპრილი, 1926 წელი;
7. netgazeti. (n.d.). ჯინ შაჰინი • საქართველო-აშშ • ჯიმ რიში • ჯინ შაჰინი. *netgazeti.ge*.https://netgazeti.ge/tag/%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9 C%E1%83%98/
8. რადიო თავისუფლება. (2019, ნოემბერი 28). „$ 4 348 400 000 – აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს, 28 წლის განმავლობაში“. *რადიო თავისუფლება*. https://tinyurl.com/4brwkrh2
9. Civil Georgia. (n.d.). რობ პორტმანი. *Civil Georgia*. https://civil.ge/ka/archives/tag/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

კონსტანტინე მეგრელიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კარლ დიონიცის „აპოლიტიკური კაბინეტი“

მესამე რაიხის ისტორია ხშირად ადოლფ ჰიტლერის პიროვნების ისტორიას უტოლდება და 8-9 მაისის მოვლენების აღწერით მთავრდება ხოლმე. ბევრისთვის შესაძლოა უცნობი იყოს, თუ ვინ მართავდა ქვეყანას ჰიტლერის შემდეგ და რა პოლიტიკას ატარებდა ის, რადგან კარლ დიონიცის სახელი ძირითადად მხოლოდ წყალქვეშა ნავებთან და ატლანტის ოკეანის ოპერაციებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მან უდიდესი როლი ითამაშა ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ მომხდარ მოვლენებსა და კაპიტულაციების მომზადებაში და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მისმა მთავრობამ ფუნქციონირება გააგრძელა 1945 წლის 23 მაისამდე, ანუ კაპიტულაციის შემდეგ 2 კვირის განმავლობაში.

დიონიცის მთავრობა საკმაოდ ბევრი თავისებურებით ხასიათდება და გარკვეულწილად განსხვავდება წინამორბედისგან, რასაც თავად კარლიც ხაზს უსვამს თავის მემუარებში, როცა მას ,,აპოლიტიკურს” უწოდებს. ზოგადად მეორე მსოფლიო ომში მონაწილე გერმანელი სამხედროებისთვის უცხო არ არის მსგავსი რამ. ისინი მემუარებში თავიანთ თავს აპოლიტიკურ, მხოლოდ სამხედრო სფეროში მოღვაწე პირებად წარმოაჩენენ ხოლმე, ხოლო მათი პოლიტიკური საქმიანობა თუ კავშირი იდეოლოგიასთან ნაკლებად ჩანს. ეს ცხადია გარკვეულწილად ამახინჯებს მათ აღქმას საზოგადოებაში და ხდება მათი გამიჯვნა ,,ბოროტი ნაცისტებისგან”, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი საკმაოდ დადებითად ფასდებიან. მაგალითისთვის შეგვიძლია ერვინ რომელი და ჰაინც გუდერიანი დავასახელოთ, რომლებსაც დასავლურ საზოგადოებაში ზოგჯერ მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მოკავშირეთა სარდლებს. თავად კარლ დიონიცის რეაბილიტაციის მცდელობაც იყო, რისთვისაც მის მთავრობას ლეგიტიმურად, ხოლო მას ღირსეულ ლიდერად წარმოაჩენენ.[1]

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია გარკვევა, თუ რა კავშირი ჰქონდათ ამ ადამიანებს, ამ შემთხვევაში კარლ დიონიცს, როგორც ჰიტლერთან, ისე ზოგადად ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიასთან და რამდენად იყო მისი მთავრობა პრინციპულად განსხვავებული თავისი წინამორბედისაგან. სამწუხაროდ, ფლენსბურგის მთავრობის

[1] უფრო დაწვრილებით იხ. Thomas Moritz, Reinhard Neubauer, “Die Rechtmäßigkeit der ,,Regierung Dönitz” oder: Wie rechtsstaatlich war das ,,Dritte Reich”?” in: *Kritische Justiz* (1989): 475

შესახებ საუბრისას უფრო მეტი ყურადღება მის დიპლომატიურ ურთიერთობებსა და კაპიტულაციას ექცევა ხოლმე, მისი მახასიათებლები კი მხოლოდ რამდენიმე მკვლევარს აქვს განხილული. ჩვენ შევეცდებით, რომ ეს თემა უფრო სრულად წარმოვაჩინოთ და ზოგიერთ საკითხზე საკუთარი ინტერპრეტაციები გაგაცნოთ. ძირითადად გამოყენებული გვაქვს წყაროს კრიტიკისა და ჰერმენევტიკული ანალიზის მეთოდები.

სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ფლენსბურგის მთავრობის შექმნის წინაპირობების მიმოხილვა. 1945 წლის დასაწყისში გერმანიის სამხედრო მდგომარეობა უკვე სავალალო იყო. დასავლეთ ფრონტზე წარმოებული ბოლო დიდი შეტევა, არდენის ოპერაცია, იანვარში წარუმატებლად დასრულდა, რის შემდეგაც მოკავშირეებმა მალევე გაარღვიეს ზიგფრიდის ხაზი, გადალახეს მდინარე რაინი და შეიჭრნენ უშუალოდ გერმანიის ტერიტორიაზე. ამ დროს აღმოსავლეთ ფრონტზე საბჭოთა ჯარებიც მიიწევდნენ წინ და 1945 წლის აპრილისთვის უკვე ბერლინს ემუქრებოდნენ.

1945 წლის 16 იანვრიდან მოყოლებული ჰიტლერი ბერლინში იმყოფებოდა[1], საიდანაც ის აგრძელებდა ქვეყნისა და ჯარების მართვას, თუმცა აპრილში უკვე ვითარება კრიტიკული იყო. 16 აპრილს დაიწყო წითელი არმიის მთავარი შეტევა ბერლინზე[2], რის გასანეიტრალებლადაც ფიურერი სხვადასხვა არმიის მეთაურს მოუწოდებდა ქალაქის მიმართულებით გალაშქრებისკენ. მისდა სამწუხაროდ, შეტევები უშედეგოდ დასრულდა ან საერთოდ ვერ განხორციელდა, რასაც მოჰყვა ჰიტლერის ცნობილი თათბირი 22 აპრილს, რომელზეც მან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, გერმანული სარდლობა უსიამო ეპითეტებით შეამკო და გამოაცხადა, რომ ის ბერლინში დარჩებოდა, სადაც შეხვდებოდა თავის აღსასრულს[3]. ჰიტლერის გადარწმუნება ვერ მოხერხდა და დადგა საკითხი, თუ ვინ გახდებოდა ქვეყნის მმართველი მისი სიკვდილის შემდეგ.

ჯერ კიდევ 1934 წლიდან მოყოლებული ჰიტლერის მემკვიდრედ მოიაზრებოდა ჰერმან გიორინგი, რაც 1941 წლის 29 ივნისის ედიქტით ოფიციალურად დადასტურდა.[4] მიუხედავად ურთიერთობის გაცივებისა, 1945 წლის 22 აპრილს ჰიტლერმა კვლავ

---

[1] Howard D. Grier, *Hitler, Dönitz and The Baltic Sea, The Third Reich's Last Hope, 1944-1945* (Annapolis, Maryland: Naval Institute Press, 2007), 196

[2] Ian Kershaw, *The End: The Defiance and Destruction of Hitler's Germany, 1944 – 45* (New York: The Penguin Press, 2011), 335

[3] Hugh Trevor-Roper, *The Last Days of Hitler* (Pan Books), 131-133

[4] Walter Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender: A Memoir of the Last Days of The Third Reich and The Dönitz* Administration (London: Frontline Books, 2010), 127

რაიხსმარშალი გიორინგი დაამტკიცა მემკვიდრედ, თუმცა ჰერმანმა, თავისდა საუბედუროდ, დედაქალაქში ტელეგრამა გაგზავნა საკითხის გასარკვევად. როგორც ჩანს, ჰიტლერის წრეში მისმა მოწინააღმდეგეემ, მარტინ ბორმანმა, ოდნავ შეცვლილი ვერსია აჩვენა ჰიტლერს, რასაც დაემატა იმ დღეს მათ ყურამდე მისული ხმები, რომ გიორინგი თვითნებურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს უცხოელ წარმომადგენლებთან. ამას მოჰყვა ფიურერის განრისხება და მან რაიხსმარშალს ყველა თანამდებობა ჩამოართვა, რაც მემკვიდრეობასაც მოიცავდა.[1]

შემდეგი შესაძლო კანდიდატი იყო ,,SS"-ის[2] მეთაური (რაიხსფიურერი) ჰაინრიხ ჰიმლერი. ის 1944 წლიდან მოყოლებული ჰიტლერის შემდეგ უძლიერესი პიროვნება იყო რაიხში. ის თავადაც ამჟღავნებდა ამბიციებს, თუმცა მალე გამოაშკარავდა, რომ რაიხსფიურერი შვედეთის მეშვეობით დასავლეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ამის გამო, ისიც მოღალატედ გამოცხადდა და მისი კანდიდატურა გამოირიცხა.[3]

საბოლოოდ ჰიტლერმა თავისი ანდერძით კანცლერად დატოვა პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გიობელსი, პარტიის მინისტრად ფიურერის პირადი მდივანი მარტინ ბორმანი, ხოლო რაიხსპრეზიდენტად გროსადმირალი კარლ დიონიცი.[4] ბორმანი და გიობელსი ჰიტლერთან ყველაზე დაახლოებული პირები იყვნენ და მათი დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე არ არის გასაკვირი, თუმცა კარლ დიონიცის არჩევა რაიხსპრეზიდენტად თავად მისთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო.[5] ეს საკითხი მოითხოვს უფრო ახლოდან განხილვას.

კარლ დიონიცი იყო მეზღვაური ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში, რომელშიც ის წყალქვეშა ნავებზე მსახურობდა.[6] 1939 წლიდან ის იყო კონტრ-ადმირალი და წყალქვეშა ნავების სარდალი (Befehlshaber der Unterseeboote).[7] შესაბამისად ის მეთაურობდა სუბმარინების ოპერაციებს მოკავშირეების წინააღმდეგ ატლანტის ოკეანეში. 1943 წელს ის გახდა ,,კრიგსმარინეს"[8] მთავარსარდალი (Oberbefehlshaber der Kriegsmarine) და გროსადმირალი.[9] ამ პოსტზე ყოფნის პერიოდში ჰიტლერს მასთან კარგი ურთიერთობა

---

[1] იქვე, 128-129

[2] შუცშტაფელი – პარამილიტარისტული ორგანიზაცია ნაცისტურ გერმანიაში, არსებობდა 1925-1945 წლებში

[3] იქვე, 130-131

[4] Hitler's Political Testament, იქვე, 153

[5] Karl Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage: Errinerungen 1935-1945* (Pegasus Digital Publishing), 390

[6] Peter Padfield, *Dönitz: The Last Führer* (London: Thistle Publishing, 2013), 73-74

[7] იქვე, 217

[8] Kriegsmarine – გერმანიის საზღვაო ძალები 1935-1945 წლებში

[9] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage*, 302

ჰქონდა, თავაზიანად ეპყრობოდა და პატივს სცემდა. საპასუხოდ დიონიციც ცდილობდა მისი ნდობის მოპოვებას და, სხვებისგან განსხვავებით, პირდაპირ აღიარებდა ხოლმე თავის შეცდომებს.[1]

1945 წლის 15 აპრილს ფიურერის ბრძანებით რაიხი ორად გაიყო, სამხრეთის მეთაურობა უნდა ეკისრა გენერალფელდმარშალ ალბერტ კესელრინგს, ხოლო ჩრდილოეთის – კარლ დიონიცს.[2] 20 აპრილს მან დიონიცს ჩრდილოეთში ჩააბარა სრული ძალაუფლება ქვეყანაზე, პარტიასა და ვერმახტზე.[3,4] აქედან ჩანს, რომ ჰიტლერი მას სრულ ნდობას უცხადებდა და მზად იყო მისთვის საზღვაო ძალების გარდა სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო სექტორები დაექვემდებარებინა.

კარლ დიონიცმა ქვეყნის მეთაურად გახდომის შესახებ 3 ტელეგრამის მეშვეობით შეიტყო, რომლებიც მას მარტინ ბორმანმა გამოუგზავნა 30 აპრილსა და 1 მაისს. როგორც უკვე ვახსენეთ, ეს მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო და მან სცადა ამის ახსნა. მისი პირველადი შეფასებით, ჰიტლერს სურდა, რომ პოლიტიკურად ,,სუფთა" დიონიცი გამხდარიყო მმართველი, რათა უფრო მარტივად ეწარმოებინა მოლაპარაკებები და მიეღწია კაპიტულაციისთვის, თუმცა ამას ეწინააღმდეგებოდა ფიურერის ანდერძიც და ზოგადად ჰიტლერის შეხედულებები ამ ომთან დაკავშირებით. თავისი შეცდომის შესახებ დიონიცმა წლის ბოლოსთვის შეიტყო.[5] ალბერტ შპეერის, შეიარაღების მინისტრის, მტკიცებით, ის თავად იმყოფებოდა ბერლინში, როდესაც ჰიტლერი ანდერძს ადგენდა და სწორედ მან ურჩია დიონიცის დასახელება თავის მემკვიდრედ.[6] ეს ერთ-ერთი შესაძლო ახსნაა, თუმცა ის სრულ სურათს არ აჩვენებს. დიონიცის კანდიდატურის წინ წამოწევა დაკავშირებულია მის შეხედულებებთან და მის საქციელთან, განსაკუთრებით ომის ბოლო წელს. გროსადმირალი გამოირჩეოდა ჰიტლერისადმი ერთგულებით, რაც ზემოთ უკვე დავინახეთ და მას ნათქვამიც აქვს: ,,ფიურერი ყოველთვის მართალია".[7] მაშინ, როცა ბერლინის სიახლოვეში მყოფი არმიები დედაქალაქის გადასარჩენად ვერ ან არ ახორციელებდნენ შეტევებს, დიონიცმა 25 აპრილს თავისი 10 000 მეზღვაური გაგზავნა მსუბუქი შეიარაღებით უიმედო ბრძოლაში, რითაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავისი

[1] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender*, 44-45

[2] იქვე, 11

[3] Wehrmacht – გერმანიის სამხედრო ძალები 1935-1945 წლებში

[4] *Power of Plenipotentiary for the Preparation of the Defence of the Northern Region*, იქვე, 150

[5] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage,* 391

[6] იქვე

[7] Kershaw, *The End,* 385

ერთგულება ფიურერს.[1] ჰიმლერის ღალატის შემდეგ მის წინააღმდეგ მოქმედებაც სწორედ მას დაევალა.[2] რეალურად ჰიტლერმა სავარაუდოდ იმიტომ შეაჩერა არჩევანი კარლ დიონიცზე, რომ მას მის ერთგულებასა და ღირსებაში ეჭვი არ ეპარებოდა და ფიქრობდა, რომ გროსადმირალი მასავით ფანატიკურად გააგრძელებდა ბრძოლას და, გიორინგისა და ჰიმლერისგან განსხვავებით, მტერს არ დანებდებოდა.

როგორც უკვე ვახსენეთ, კარლ დიონიცი გახდა რაიხსპრეზიდენტი, გიობელსი კანცლერი, ხოლო ბორმანი – პარტიის ლიდერი. არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ფერდინანდ შიორნერი.[3] გროსადმირალი ამ დროს პლიონში იმყოფებოდა[4], თუმცა მას უკვე ინგლისური ჯარები ემუქრებოდნენ და მან მიურვიკში (ფლენსბურგის უბანში) გადასვლა გადაწყვიტა.[5] შესაბამისად დიონიცის ადმინისტრაციის ცენტრი 3-23 მაისის პერიოდში ფლენსბურგი იყო და ამიტომაც ეწოდა მას ფლენსბურგის მთავრობა. სწორედ ამ მთავრობამ უხელმძღვანელა სხვადასხვა გერმანული არმიის დანებებას ორივე ფრონტზე და საბოლოო კაპიტულაციის ხელმოწერას ჯერ რეიმსში, შემდეგ ბერლინში, რის შემდეგაც კიდევ 2 კვირა გააგრძელა ფუნქციონირება, სანამ 23 მაისს მოკავშირეებმა დიონიცის ადმინისტრაციის წევრები არ დააკავეს.

ფლენსბურგის მთავრობა ჩამოყალიბდა ომის ბოლო დღეებში ქაოსის ფონზე და მას ბევრი რამ აკლდა ჰიტლერის მთავრობასთან შედარებით, რაც მასთან დაკავშირებით არაერთ კითხვას ბადებს. საინტერესოა, თუ რამდენად წარმოადგენდა დიონიცის ადმინისტრაცია თავისი წინამორბედის გაგრძელებას და იყო თუ არა ის პრინციპულად განსხვავებული.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია. როგორც ზემოთ უკვე აღვწერეთ, ადოლფ ჰიტლერმა თავისი სრული უფლებები რომელიმე ერთ პირს არ გადააბარა და ისინი რამდენიმე ერთგულ თანამებრძოლს დაუნაწილა. შესაბამისად მისი სიკვდილის შემდეგ გერმანიას რეალურად აღარ ყოლია ფიურერი. რაიხსპრეზიდენტისა და რაიხსკანცლერის თანამდებობები ჰიტლერის პიროვნებაში იყო გაერთიანებული 1934 წლიდან მოყოლებული[6], ახლა კი კვლავ ცალ-ცალკე ფორმით

---

[1] იქვე, 386

[2] იქვე, 387

[3] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 134

[4] Michael Jones, *After Hitler: The Last Days of the Second World War in Europe* (London, 2015), 104

[5] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage,* 403

[6] Gesetz über das Staatsoberhaupt des Deutschen Reichs (01.08.1934), in: documentArchiv.de [Hrsg.], URL: http://www.documentArchiv.de/ns/stobrhpt.html, ნანახია 17.05.2023

აღდგნენ. ეს ბუნებრივია ნიშნავდა, რომ დიონიცი შეუზღუდავი მმართველი ვერ იქნებოდა და ანგარიში უნდა გაეწია სხვა თანამდებობის პირებისთვის. თანაც თანამდებობებზე დანიშვნაც პირადად ჰიტლერის მიერ განხორციელდა და ანდერძის მიხედვით უნდა შესრულებულიყო, თუმცა კარლ დიონიცი თავს მაინც ავტორიტარული რეჟიმის მმართველად აღიქვამდა და მან თვითნებურად ბრძანა ფიურერის მიერ დანიშნული გიობელსისა და ბორმანის დაპატიმრება, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.[1] მან საკუთარი გადაწყვეტილება და დამოკიდებულება გაამართლა ბერლინიდან მიღებული პირველი ტელეგრამის ტექსტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მას ,,დაუყოვნებლივ უნდა მიეღო ზომები იმჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე".[2] ამ და მისი სხვა ქმედებებიდან ჩანს, რომ ის სულაც არ მიიჩნევდა თავს შეზღუდულად და საკუთარი თავი ქვეყანაში პირველ პირად წარმოედგინა. ამას შეეძლო დაპირისპირებისა და ჰიტლერის წრეში ბრძოლის გამოწვევა, თუმცა გიობელსისა და მოგვიანებით ბორმანის თვითმკვლელობამ ეს პრობლემა გადაჭრა.

საკუთარი ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას დიონიცმა აგრეთვე გამოიჩინა თვითნებობა და თავად აირჩია სასურველი პირები, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერის ანდერძს, თუმცა მან ამის შესახებ მხოლოდ მესამე ტელეგრამით შეიტყო 1 მაისის 15 საათსა და 18 წუთზე, როდესაც მას გადაწყვეტილებები უკვე მიღებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან არ უღალატა თავის არჩევანს და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე არჩია ფიურერის ანდერძის ამ ნაწილის სრული უგულებელყოფა და მისი გასაიდუმლოება.[3] აქედან ნათლად ჩანს, რომ ის საკუთარ თავს სრულ უფლებას აძლევს, რომ სიტუაციის შესაბამისად იმოქმედოს და თვით ჰიტლერის დანაბარებსაც არ ეპუება.

დიონიცის მთავრობის შემადგენლობა თავისებური იყო, რაც განპირობებული იყო მისი სურვილით, რომ ჩამოეყალიბებინა ე.წ. ,,აპოლიტიკური კაბინეტი", რომელიც მაქსიმალურად გამიჯნული იქნებოდა ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიისგან.[4] ის საკუთარი თავის უბრალო ჯარისკაცად და პარტიისგან და ნაციზმის საშინელებებისგან შორს მდგომ პიროვნებად წარმოჩენას ცდილობდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზნით მოითხოვდა ის, რომ მოკავშირეებთან საუბარში მისთვის ვერმახტის მთავარსარდალი ეწოდებინათ და არა სახელმწიფოს მეთაური, რათა მისი ადმინისტრაციის სამხედრო

[1] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 52-53

[2] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage,* 401

[3] იქვე

[4] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 83

ბუნებისთვის გაესვათ ხაზი.[1]

მთავრობის აპოლიტიკურობა სურვილი უფრო იყო ვიდრე რეალობა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მასში შედიოდნენ ვეზერ-ემსის გაულაითერი[2] პაულ ვეგენერი, SS-ობერგრუპენფიურერი[3] ვილჰელმ შტუკარტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, SS-გრუპენფიურერი[4] ჰერბერტ ბაკე, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრი გახდა და SS-გრუპენფიურერი ოტო ოლენდორფი. თითოეულ მათგანს ჰქონდა სამხედრო დანაშაულები ჩადენილი და ნაცისტური იდეოლოგიის გულმხურვალე მიმდევრები იყვნენ. ადმინისტრაციის 350 წევრიდან 230 უსაფრთხოების სამსახურებს ეკუთვნოდა.[5]

მთავრობის სხვა წევრები იყვნენ შრომის მინისტრი დოქტორ ფრანც ზელდტე, მთავარი მინისტრი (Leitender Minister) და საგარეო საქმეთა მინისტრი ლუტც გრაფ შვერინ ფონ კროზიკი, ტრანსპორტის მინისტრი დოქტორ იულიუს დორპმიულერი და ეკონომიკისა და წარმოების მინისტრი ალბერტ შპეერი. ისინი წინა ხელისუფლების დროს დაწინაურებული პირები იყვნენ, რომლებმაც ფლენსბურგშიც შეინარჩუნეს თავიანთი ძალაუფლება. ისიც შეიძლება ითქვას, რომ შვერინ ფონ კროზიკს ,,ბროლის ღამეში" აქვს მონაწილეობა მიღებული,[6] რასაც თავის დროზე დიონიცი ეწინააღმდეგებოდა (იხ. ქვემოთ).

მსგავსი ვითარებაა არმიაშიც, სადაც ვერმახტის მთავარსარდლებად კვლავ ფელდმარშალი ვილჰელმ კაიტელი და გენერალ-პოლკოვნიკი ალფრედ იოდლი რჩებიან, ხოლო კრიგსმარინეს მთავარსარდლად დიონიცი ჩაანაცვლა გენერალ-ადმირალმა ჰანს-გეორგ ფონ ფრიდებურგმა.[7] როგორც ვხედავთ, დიონიცს გარშემო მხოლოდ აპოლიტიკური სამხედროები არ შემოუკრებია და მასთან არცთუ ისე ცოტა შუცშტაფელის თანამშრომელი აღმოჩნდა.

დიონიცის აპოლიტიკურობას ასევე ეჭვქვეშ აყენებს მისივე საჯარო გამოსვლები ომის პერიოდში. კერძოდ, ერთ-ერთ გამოსვლაში ის პირდაპირ აცხადებდა: ,,მე იდეოლოგიური ინდოქტრინაციის მხურვალე მხარდამჭერი ვარ... სისულელეა იმის თქმა, რომ ჯარისკაცები და ოფიცრები აპოლიტიკურები უნდა იყვნენ".[8] ამას ემატება ისიც, რომ თავად

---

[1] Padfield, *Dönitz,* 470

[2] Gauleiter – კონკრეტულ რეგიონში (Gau-ში) ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი

[3] SS-Obergruppenführer – შუცშტაფელის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა

[4] SS-Gruppenführer – შუცშტაფელში ობერგრუპენფიურერზე უფრო დაბალი თანამდებობა

[5] Kershaw, *The End,* 392

[6] Padfield, *Dönitz,* 459

[7] Kershaw, *The End,* 393

[8] Jones, *After Hitler,* 104

გროსადმირალი პარტიაშიც გაწევრიანდა 1944 წელს.[1] რა თქმა უნდა, შესაძლებელია დროთა განმავლობაში მისი დამოკიდებულება შეცვლილიყო, მაგრამ მისი შეფასება, როგორც პოლიტიკისგან შორს მდგომი სამხედრო პირი, რასაც თავად მუდმივად უსვამს ხაზს თავის მემუარებში, არ უნდა იყოს ზუსტი.

დიონიცის მთავარი საზრუნავი მმართველობის ხელში ჩაგდებისთანავე იყო ომის დასრულება, რაც ამავდროულად წარმოადგენს მისი ადმინისტრაციის მთავარ განმასხვავებელ თვისებას, რადგან, როგორც ვიცით, ჰიტლერს დანებებაზე არ უფიქრია და თავის ანდერძში ის პირდაპირ აცხადებს, რომ გერმანელებმა ბოლომდე უნდა იბრძოლონ და დანებების საკითხი საერთოდ არც უნდა დადგეს.[2] დიონიცის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თავდაპირველად ცალსახა იყო. ის აუცილებლად მიიჩნევდა ფიურერის მორჩილებას და ის მზად იყო, მისი ბრძანების შესაბამისად, ბოლომდე ებრძოლა.[3] 1945 წლის მარტში მან ჯარისკაცებს მოუწოდა კიდეც, რომ, ივო ჯიმაზე იაპონელების მსგავსად[4], სასიკვდილოდ გაეწირათ თავი და არ დანებებულიყვნენ.[5] კარლის აზრით, ვინც ომში თავს დაზოგავდა და ბოლომდე არ იბრძოლებდა, ის სიკვდილითაც კი უნდა დაესაჯათ, როგორც მოღალატე.[6] მიუხედავად ამისა, ქვეყნის მმართველად გახდომის შემდეგ მისი მთავარი საფიქრალი სწორედ დანებება გახდა, რაც ჰიტლერის ანდერძის პირდაპირი უარყოფა იყო. ეს ძალიან საინტერესო საკითხია და ჩვენი აზრით, უფრო ყურადღებით შესწავლას მოითხოვს.

კარლ დიონიცის ამგვარი სახეცვლილების ერთ-ერთი ახსნა არის ის სამხედრო ერთგულების ფიცი, რომელიც მას ჰიტლერის, როგორც ქვეყნის მმართველისა და მთავარსარდლის წინაშე ჰქონდა დადებული, რაც მისთვის დანებებაზე ფიქრსაც წარმოუდგენელს ხდიდა. ფიურერის სიკვდილის შემდეგ კი, ის თითქოს ამ ვალდებულებისგან განთავისუფლდა და შეეძლო თავად გადაეწყვიტა, რა აჯობებდა.[7] შესაძლოა მასზე იქონია გავლენა ალბერტ შპეერმაც, რომელიც ჯერ კიდევ პლიონში

---

[1] იქვე, 106

[2] Hitler's Political Testament, Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender*, 151

[3] Kershaw, *The End,* 342

[4] ივო ჯიმაზე მებრძოლი იაპონელებიდან დაიღუპა 14 000-ზე მეტი, მაგრამ ტყვედ ჩავარდა მხოლოდ 180 ადამიანი

[5] Jones, *After Hitler,* 103-104

[6] Heinrich Schwendemann, "„Deutsche Menschen vor der Vernichtung durch den Bolschewismus zu retten": Das Programm der Regierung Dönitz und der Beginn einer Legendenbildung", in: Jörg Hillmann, John Zimmermann, *Kriegsende 1945 in Deutschland* (= Beiträge zur Militärgeschichte, Bd. 55). (Oldenbourg, München: 2002), 9-33

[7] Kershaw, *The End,* 384

იმყოფებოდა მასთან[1] და გამოირჩეოდა იმით, რომ შედარებით რეალისტურად უყურებდა საქმის ვითარებას. ის უკვე იანვრიდან მოყოლებული მიანიშნებდა, რომ ომის სამხედრო ძალით მოგება შეუძლებელი ხდებოდა.[2] ცხადია მარტივი დასაშვებია, რომ კარლს მასთან ესაუბრა ომის მომავალთან დაკავშირებით და ალბერტის შეხედულებებს მასზე გავლენა ჰქონოდა.

მიუხედავად ამისა, დიონიცის საქციელი მაინც წარმოადგენდა ჰიტლერის ანდერძისა და შესაბამისად გარდაცვლილი ფიურერის სურვილების წინააღმდეგ წასვლას და ეს ნაბიჯი არ იქნებოდა მისი ერთგული თანამებრძოლისთვის მარტივი გადასადგმელი. აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რატომ ცდილობდა ის დასავლეთთან დანებებას. გროსადმირალი და ზოგადად ნაცისტები თავიანთ მთავარ მტრად ბოლშევიკებს და შესაბამისად საბჭოთა კავშირს აღიქვამდნენ და ეს დაპირისპირება, მათი აზრით, გარდაუვალი იყო. ამისგან განსხვავებით, დასავლეთთან ასეთი მტრული დამოკიდებულება თავიდან არ არსებობდა და იმ მხარეს ომი არასასურველ აუცილებლობას წარმოადგენდა.[3] სწორედ აღმოსავლეთისადმი ასეთმა სიძულვილმა განაპირობა დიონიცის ადმინისტრაციის პოლიტიკა ომის ბოლო დღეებში. ომის მოგების იმედი ფაქტობრივად უკვე დაკარგული იყო და ის თავის უპირველეს მიზნად ჯერ კიდევ იანვრიდან მოყოლებული მიიჩნევდა აღმოსავლეთით მყოფი ჯარებისა და მოსახლეობის გადარჩენას საბჭოთა კავშირის ხელში მოხვედრისგან[4] ამისთვის საჭირო იყო მათი გადასვლა დასავლეთით და დასავლეთ მოკავშირეებთან დანებება, რასაც გროსადმირალი პრაქტიკულადაც ახორციელებდა კრიგსმარინეს სხვადასხვა ოპერაციის ჩატარებით.[5]

მას შემდეგ, რაც რაიხსპრეზიდენტი გახდა, მან განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი იყო ომის გაგრძელება ბოლშევიკებთან მანამ, სანამ აღმოსავლეთში მყოფ ჯარისკაცებსა და ოჯახებს მონობისა და განადგურებისგან არ გადავარჩენთო. დასავლეთთან ომი კი მხოლოდ იმიტომ გრძელდებოდა, რომ ისინი, მისი თქმით, ამ მისიის შესრულებაში უშლიდნენ ხელს.[6] შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას თავის მოვალეობად მიაჩნდა არა ომის უაზროდ გაგრძელება, არამედ მხოლოდ იმის მიღწევა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადარჩენოდა საბჭოთა კავშირის ხელში მოხვედრას.

---

[1] Padfield, *Dönitz,* 457

[2] Kershaw, *The End,* 282

[3] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 110

[4] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage,* 380

[5] იქვე, 382-383

[6] იქვე, 394

მართალია ადოლფ ჰიტლერს ბოლო კაცამდე ბრძოლა ჰქონდა განზრახული და ის არ ამჟღავნებდა სურვილს, რომ მოქალაქეთა ან ჯარისკაცთან გადარჩენაზე ეზრუნა, დიონიცი და სხვა არაერთი ლიდერი ამ საკითხში ემიჯნებოდა ჰიტლერს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათ ჰიტლერს უღალატეს ან საკმარისი ფანატიზმით არ გამოირჩეოდნენ. მათ მხოლოდ რეალურად დაინახეს საქმის ვითარება და მიზნად დაისახეს ან გერმანელი ხალხის ან საკუთარი ჯარის ან სულაც საკუთარი თავის გადარჩენა. ჰიტლერის სიცოცხლეშივე იყო დაზავების მცდელობები, რასაც მოწმობს ჰიმლერის საქციელი (იხ. ზემოთ), ფიურერის სიკვდილის შემდეგ კი თითქოს ყველას ხელ-ფეხი გაეხსნა. ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო არმიათა დანებება: 2 მაისს დანებდნენ ჩრდილოეთ იტალიაში მყოფი გერმანული ჯარები, იმავე დღეს გენერალმა ჰელმუტ ვაიდლინგმა გენერალ ვასილი ჩუიკოვს ჩააბარა ბერლინი,[1] 3 მაისს დანებდა ჰამბურგი, 5 მაისს არმიის ჯგუფი ,,გე" (Heeresgruppe G).[2] ამასთან ერთად ჯარისკაცების დიდი ნაწილი საკუთარი სურვილით და ახალი ადმინისტრაციის ხელშეწყობით უკან იხევს დასავლეთისკენ. დანებების მცდელობა ჰქონდა ჰიტლერის უერთგულეს თანამებრძოლ იოზეფ გიობელსსაც, რომელმაც 1 მაისს გენერალი ჰანს კრებსი გაგზავნა ჩუიკოვთან მოსალაპარაკებლად. მას სურდა სეპარატული ზავის დადება და უპირობო კაპიტულაციისთვის დროებით მაინც თავის არიდება. მართალია მისი მცდელობა წარუმატებელი იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ ისეთმა ფანატიკოსმა ნაცისტმაც კი, როგორიც გიობელსია, ჰიტლერის სიკვდილისთანავე სცადა დაზავება და მხოლოდ მარცხის შემდეგ მოიკლა თავი.[3] შესაბამისად კარლ დიონიცის საქციელი არ იყო გამორჩეული და ნამდვილად არ წარმოადგენდა იდეოლოგიისგან გადახვევას. მან სხვების მსგავსად გააცნობიერა გერმანიის მარცხი და დაზავების აუცილებლობა და სცადა ეს ისე განეხორციელებინა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეღწია დასავლეთის სადემარკაციო ხაზამდე.

პარადოქსულად შეიძლება გამოჩნდეს, მაგრამ ფაქტია, რომ დიონიცმა გამოსცა ბრძანება მარტინ ბორმანისა და იოზეფ გიობელსის დაპატიმრების შესახებ.[4] ჩვენი აზრით, ეს არ უნდა აღვიქვათ, როგორც ნაციზმთან დისტანცირების მცდელობა და ფიურერის ერთგული თანამებრძოლების ღალატი. დიონიცი მიზნად ისახავდა დასავლეთთან რაც შეიძლება მალე ლოკალურ კაპიტულაციას, რისთვისაც დააკომპლექტა მან თავისი ადმინისტრაცია შესაბამისი პირებით, რაც ჰიტლერის ანდერძთან შეუსაბამობაში

[1] Jones, *After Hitler,* 64

[2] იქვე, 20-21

[3] იქვე, 52-53

[4] Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 132-133

მოდიოდა. აქედან გამომდინარე, მას არ სურდა თავის კაბინეტში ისეთი ადამიანების მიღება, ვინც მას მიზნის მიღწევაში შეუშლიდნენ ხელს თავიანთი განსხვავებული გეგმებით, შიდაპოლიტიკური ინტრიგებით თუ თუნდაც იმით, რომ მოკავშირეთა თვალში ყველაზე დიდ დამნაშავეებად აღიქმებოდნენ.

იმავე მიზეზით არ მისცა გროსადმირალმა ჰაინრიხ ჰიმლერს არცერთი პოსტი თავის მთავრობაში 30 აპრილის შეხვედრისას. გროსადმირალის ადიუტანტი ვალტერ ლიუდე-ნოირათი მიზეზად ასახელებს იმას, რომ ჰიმლერი პრობლემებს ქმნიდა დიონიცის ,,აპოლიტიკური კაბინეტისთვის", ის იყო ზედმეტად ოპტიმისტი და მან კარლი ერთხელ უკვე მოატყუა, რაც მას არასანდოს ხდიდა.[1] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პერიოდი ჰიმლერი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზეც მოიაზრებოდა, თუმცა კარლმა ეს ზედმეტად სარისკოდ ჩათვალა და 6 მაისს იგი ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლა.[2] ისიც საგულისხმოა, რომ ჰიმლერი მარტო არ ყოფილა და მას ფლენსბურგში შუცშტაფელის არაერთი წარმომადგენელი, მათ შორის აუშვიცის (ოსვენციმის) საკონცენტრაციო ბანაკის მეთაური რუდოლფ ჰოსიც თან ახლდა. მათ თავის გადასარჩენად ჩვეულებრივ ჯარისკაცებში გათქვეფა გადაწყვიტეს, რაც ნაკლებ მოსალოდნელია გროსადმირალის ცოდნისა და თანხმობის გარეშე მომხდარიყო.[3] აქედან გამომდინარე მისი გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა მხოლოდ პრაქტიკული ამოცანებიდან და არა იდეოლოგიის ან დამოკიდებულების ცვლილებიდან. რეალურად ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ ყველას საკუთარი გეგმები ჰქონდა და ერთმანეთს ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს, ამიტომ კარლ დიონიცმა თავისი მიზნების მისაღწევად საჭიროდ ჩათვალა ზოგიერთი პრობლემური პიროვნების მოშორება, რაც სრულებითაც არ წარმოადგენს ფიურერის ან ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის ღალატს.

დიონიცის ადმინისტრაციის მახასიათებლების კვლევისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ მის დამოკიდებულებაზე იდეოლოგიასთან და რამდენად ემხრობოდა კარლი ჰიტლერის გადაწყვეტილებებს ამ მიმართულებით ან საერთოდ იცოდა თუ არა მათ შესახებ. თავის მემუარებში ის ცდილობს საკუთარი თავი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცად დაგვანახვოს. ის მართალია ემხრობოდა ჰიტლერს, თუმცა მის პოლიტიკასთან ნაკლებად ჰქონდა შეხება და ძირითადად როგორც მთავარსარდალს, ისე უყურებდა. მათ შორის საუბრებიც სამხედრო საკითხებით შემოიფარგლებოდა ხოლმე.[4] მისივე თქმით, მან 1938

[1] იქვე, 89-90

[2] Jones, *After* Hitler, 108

[3] Padfield, *Dönitz,* 466-467

[4] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig* Tage, 317, 416

წლის შემოდგომამდე არაფერი იცოდა ნაციონალ-სოციალიზმის ბნელ მხარეებზე.[1] მიუხედავად ამისა, ის იქვე აღიარებს, რომ 1938 წელს ე.წ. ,,ბროლის ღამის" (,,Reichskristallnacht") შესახებ გაიგო და პროტესტიც კი გამოხატა.[2] შესაბამისად, ომის განმავლობაში მას უკვე წარმოდგენა ჰქონდა ჰიტლერის ანტისემიტიზმსა და ძალადობის ფაქტებზე, თუმცა ამ მიმართულებით მას გულისწყრომა ომის პერიოდში არ გამოუხატავს და ბოლომდე ფიურერის ერთგული დარჩა.

კარლ დიონიცი იმავე ნარატივს აგრძელებს 1945 წლის მოვლენების თხრობისას და კვლავ აღნიშნავს, რომ რაიხსპრეზიდენტად გახდომის მომენტისთვისაც ცოტა რამ თუ იცოდა ნაციზმის არაადამიანურობის შესახებ.[3] ,,შეზღუდულ ცოდნაში" რას გულისხმობს, ეს უკვე მკითხველის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ის აცხადებს, რომ საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებების შესახებ პირველად 7 მაისს წაიკითხა ამერიკულ გაზეთში და შემდეგ თავისი თვალით ნახა ფლენსბურგში ჩამოყვანილი ტყვედნამყოფები.[4] ნანახმა ის იმდენად შეაძრწუნა, რომ, კარლის თქმით, მისი დამოკიდებულება ნაციზმისადმი შეიცვალა და ის ამ იდეოლოგიას უკვე ბრიყვულსა და არაადამიანურს უწოდებს.[5] კარლ დიონიცს ამ საქმის გამოძიების სურვილიც ჰქონია, რისთვისაც გენერალ დუაით აიზენჰაუერისთვის მიუმართავს, თუმცა მისგან ამ საკითხზე პრაქტიკული მოქმედება არ მიუღია.[6] მან სცადა საკუთარი მთავრობისა და გერმანელი ჯარისკაცების გამიჯვნა ბანაკებში მომხდარ საშინელებებისგან, რისთვისაც საჯაროდ განაცხადა, რომ თავად აღშფოთებული იყო ნანახით და ხაზი გაუსვა, რომ ვერმახტისა და Waffen-SS-ის[7] მეომრებს ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ. მან ასევე დასძინა, რომ ბევრმა მაღალჩინოსანმაც არ იცოდა საკონცენტრაციო ბანაკებში მიმდინარე მოვლენების შესახებ და არც ჰქონდათ რაიმე შესაძლებლობა, რომ გაეგოთ.[8] დიონიცის აღშფოთების გულწრფელობა ეჭვქვეშ დგება თუ გავითვალისწინებთ მის მიერ ჰიმლერისა და მისი ხელქვეითების გაპარვის ხელშეწყობას, რომელთა შორის აუშვიცის კომენდანტიც იყო (იხ. ზემოთ). დანაშაულში შუცშტაფელის მონაწილეობის უარყოფაც ამჟღავნებს მისი რიტორიკის სისუსტეს.

---

[1] იქვე, 308

[2] იქვე

[3] იქვე, 394

[4] იქვე, 415

[5] იქვე, 416

[6] იქვე, 417

[7] შუცშტაფელის სამხედრო ქვეორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ იღებდა საომარ მოქმედებებში მონაწილეობას

[8] Padfield, *Dönitz,* 471

მოკავშირეებთან მოლაპარაკებისას ბანაკებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას მან ,,გაზვიადებული და პროპაგანდისტულიც" კი უწოდა.[1] რეალურად მას უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შეეძლო, მაგრამ ის მხოლოდ ზოგადი განცხადებებითა და გამოძიების სურვილით შემოიფარგლა, რაც ზიანის კონტროლს უფრო ჰგავს, ვიდრე გულწრფელ სახეცვლილებას.

მართალია დიონიცმა დაინახა ნაციონალ-სოციალიზმის ბნელი მხარეები და აღიარა მისი არაადამიანურობა, მაგრამ ის ამას არ უკავშირებს ადოლფ ჰიტლერის პიროვნებას. ის კმაყოფილია თავისი მოქმედებით ჰიმლერის წინააღმდეგ, რომელსაც სავსებით სამართლიანად დამნაშავედ აღიქვამს და რომელიც მან მაისში მალევე მოიშორა თავიდან,[2] მაგრამ ამ კონტექსტში ფიურერს არც კი ახსენებს, რაც კითხვებს ბადებს. კარლ დიონიცმა არ იცოდა ჰიტლერის დამოკიდებულება ებრაელებისადმი? ვერ დაუკავშირა მისი იდეოლოგია მომხდარს? ძალიან რთული დასაჯერებელია, ვინმესთვის ჰიტლერის დამოკიდებულება გაუგებარი ან ბუნდოვანი ყოფილიყო. ის თავის წიგნში ,,ჩემი ბრძოლა" (,,Mein Kampf") პირდაპირ აცხადებს, რომ ებრაელები პარაზიტები არიან[3] და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 12-15 000 ებრაელი რომ მომწამლავი აირით გაეგუდათ, უმჯობესი იქნებოდა.[4] ის 1939 წლის 30 იანვრის რაიხსტაგის[5] გამოსვლაში პირდაპირ მიუთითა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში შედეგი იქნებოდა ევროპაში ებრაული რასის განადგურება.[6] მას შემდეგ, რაც მან საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ შეიტყო, შეუძლებელია ეს რომელიმე ნაცისტის კერძო გადაწყვეტილებად განეხილა და არ დაეკავშირებინა ჰიტლერთან რომელიც ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას ე.წ. ,,ფიურერის პრინციპზე" დაყრდნობით. შესაბამისად, ის უმალვე უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ საშინელებათა უკან სწორედ ჰიტლერი იდგა, მას მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, რომ სწორედ ჰიტლერს მიუძღოდა ბრალი მომხდარში, როდესაც ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას ამერიკელ ფსიქოლოგს, გ.ს. გილბერტს გადაულაპარაკა: ,,ცუდია, რომ ჰიტლერი არ არის აქ. რაც აქ ითქვა, მაგის დიდი ნაწილი მისი ჩადენილია".[7] მან ასევე

---

[1] იქვე, 474

[2] Dönitz, *Zehn Jahre und zwanzig Tage,* 417

[3] Adolf Hitler, *Mein Kampf* (Leipzig: August Pries GmbH, 1943), 334

[4] Hitler, *Mein Kampf,* 772

[5] Reichstag – გერმანული პარლამენტი 1933-1945 წლებში

[6] Speech delivered by Adolf Hitler before the German Reichstag on January 30, 1939 (The Library of the University of Texas at Austin), 49

[7] Padfield, *Dönitz,* 494

ძალიან რბილად განაცხადა, რომ ადოლფს შავი მხარეც ჰქონდა, რომლის შესახებაც მან არაფერი იცოდა.[1] მაინც უცნაურია, რომ დიონიცი ჰიტლერის ღიად დაგმობას და ყველაფერში დამნაშავედ გამოცხადებას ერიდება, განსაკუთრებით თავის მემუარებში და ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. როგორც ჩანს, ფიურერისადმი ურყევი, ფაქტობრივად ფანატიკური ერთგულებით განმსჭვალული დიონიცი ვერ ელევა თავის პირვანდელ შეხედულებებს და უჭირს პოზიციის შეცვლა. მისთვის ბევრად უფრო მარტივია ყველაფრის ჰიმლერზე ან სხვა რომელიმე ნაცისტზე გადაბრალება.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თავად კარლ დიონიცისთვისაც არ იყო უცხო ანტისემიტიზმი და ის ამას არც მალავდა. როდესაც შვედებმა გერმანელებისთვის თავიანთი წყლები ჩაკეტეს, გროსადმირალმა განაცხადა, რომ ეს გამოწვეული იყო საერთაშორისო ებრაულობისადმი შიშსა და მათზე დამოკიდებულებაზე.[2] 1944 წლის მარტის გამოსვლაში კი მან თქვა: ,,რა მოუვიდოდა დღეს ჩვენს ქვეყანას, ფიურერს ნაციონალ-სოციალიზმის ქვეშ რომ არ გავეერთიანებინეთ? ჩვენ მივიღებდით გაყოფილ მთავრობას, რომელიც ებრაელობის გავრცელებული შხამით იქნებოდა დაინფიცირებული და მასზე დამოკიდებული, რადგან ჩვენ არ გვექნებოდა ჩვენი უკომპრომისო იდეოლოგიის ფარი, ჩვენ ომის წნეხის ქვეშ დიდი ხნის წინ დავეცემოდით".[3] აქედან გამომდინარე, მისი შთაბეჭდილებები საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ შეტყობის შემდეგ არ უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს მისთვის სრულიად უცხო იყო ებრაელების დევნა. ამას ცხადყოფს მის ადმირალობის პერიოდში ფლოტის საქმიანობაც. 1944 ადმირალმა კარლ ფრიკემ წამოაყენა მოსაზრება, რომ ებრაელი ლტოლვილებით დატვირთული გემები ,,უნდა გაუჩინარდნენ მთელი თავიანთი შემადგენლობით".[4] დიონიცის როლს ამ საქმეში კარგად გამოკვეთს ისტორიკოსი პიტერ პადფილდი: ,,ის, რომ ასეთი წინადადება შეიძლება წამოყენებულიყო და განხილულიყო ცენტრალურ შტაბში, როგორც ჩვეულებრივი რამ, საკმარისი მტკიცებულებაა, რომ დიონიცი ერთადერთი არ იყო, ვინც გენოციდის პროგრამის შესახებ იცოდა".[5] ცხადია ამის გათვალისწინებით გროსადმირალის მცდელობა, რომ საკუთარი თავი სუფთა სამხედრო პირად წარმოაჩინოს, მხოლოდ რეალობასთან შორს მდგომი ადამიანის ქმედებად შეიძლება ჩავთვალოთ.

მის დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით შუქს ჰფენს მისი რეაქცია

---

[1] იქვე, 500

[2] Jones, *After Hitler,* 106

[3] იქვე

[4] Padfield, *Dönitz,* 393

[5] იქვე

ნიურნბერგის პროცესზე, როდესაც საკონცენტრაციო ბანაკების ვიდეო ჩანაწერები აჩვენეს: ,,როგორ შეუძლიათ მათ მე დამაბრალონ ასეთი რამეების ცოდნა? ისინი კითხულობენ, თუ რატომ არ მივედი ჰიმლერთან, რომ ბანაკების შესახებ შემეტყო... ის გამომაგდებდა ისევე, როგორც მე გავაგდებდი, ჩემთან რომ მოსულიყო ფლოტის საქმეების გასარკვევად! ამ საქმეში მე რა შუაში ვარ? მხოლოდ შემთხვევის წყალობით დავწინაურდი და არაფერი მქონია საერთო პარტიასთან".[1] ამ სიტყვებში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კარლ დიონიცი პირველ რიგში საკუთარი უდანაშაულობის დასაბუთებას ცდილობს და იმის მტკიცებაშია, რომ არაფერი იცოდა და ვერც შეიტყობდა. ამ სიტყვებში არსად არ ჩანს სინდისის ქენჯნა, სიბრალული ან ჰიტლერის გმობა. მისი პარტიისგან შორს დგომაც, როგორც უკვე დავინახეთ, სიმართლეს არ შეესაბამება. დიონიცის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ მას პირდაპირი კავშირი საკონცენტრაციო ბანაკებთან არ ჰქონია და შესაძლოა არც გადამეტებული სისასტიკე იყო მისთვის მიმზიდველი, თუმცა ის შორს იდგა აპოლიტიკური სამხედრო პირისგან. მის სიტყვით გამოსვლებსა და სხვა მასალებში კარგად ჩანს მისი სიძულვილი როგორც ებრაელების, ისე ბოლშევიზმისადმი და მისი დადებითი დამოკიდებულება იდეოლოგიისადმი. ასევე რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი მონანიებაც და აღშფოთებაც სპეციფიურ მიზნებს ემსახურება და მაინც იგრძნობა წარსულით სიამაყე და საკუთარი თუ სხვათა საქციელის გამართლების სურვილი.

კარლ დიონიცის პირად შეხედულებებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ რიტორიკას მიმართავს იგი სიტყვით გამოსვლისას. როდესაც მან მოსახლეობას გამოუცხადა ფიურერის სიკვდილი 1 მაისს, მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: ,,თუ ჩვენ ყველაფერს ვიზამთ, რაც შეგვიძლია, უფალი არ მიგვატოვებს ამდენი ტანჯვისა და მსხვერპლის შემდეგ".[2] პიტერ პადფილდი ყურადღებას ამახვილებს ღმერთის ხსენებაზე და აქ ნაცისტურ ფილოსოფიასთან დაშორებას ხედავს. ის კითხულობს, რომ იქნებ მასში, როგორც მეზღვაურების უმეტესობაში, შემორჩენილი იყო რწმენის ნატამალი, რომელმაც ამ კრიზისის ჟამს გაიღვიძა ან იქნებ მან იცოდა, რომ ხალხმა ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგია უარყო.[3] ის ამ შეკითხვებს ღიად ტოვებს და პასუხს არ გვთავაზობს, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ სიტყვებში იდეოლოგიასთან კავშირის გაწყვეტის დანახვა მაინც არ უნდა იყოს სწორი. ნაციზმისა და რელიგიის მიმართება ძალიან მრავლისმომცველი საკითხია და მისი განხილვა ამ ნაშრომის მიზანს სცდება, თუმცა ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს ღვთის ხსენების ერთადერთი შემთხვევა არ

[1] იქვე, 489

[2] Dönitz broadcasts to the German People, 1 May 1945, Lüdde-Neurath, *Unconditional* Surrender, 159

[3] Padfield, *Dönitz,* 455

არის. 7 მაისს კაპიტულაციის გამოცხადებისას რაიხსმინისტრმა გრაფ შვერინ ფონ კროზიკმა ასეთი სიტყვებით დაასრულა თავისი მიმართვა: ,,დაე უფალმა არ მიგვატოვოს ამ განსაცდელში და აკურთხოს ჩვენი რთული დავალება".[1] რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ღმერთი ფიგურირებს გერმანელი ჯარისკაცების მიერ დადებულ ერთგულების ფიცშიც, რომელიც 1934 წლის 20 აგვისტოს კანონით იყო განსაზღვრული: ,,მე ვფიცავ ღმერთს ამ წმინდა ფიცს, რომ გერმანული რაიხისა და ხალხის ფიურერს, ადოლფ ჰიტლერს... უპირობოდ დავემორჩილები..." მსგავსი ვითარება იყო შუცშტაფელის ფიცის შემთხვევაშიც: ,,მე გფიცავ შენ, ადოლფ ჰიტლერს... ერთგულებასა და სიმამაცეს... ასე რომ დამეხმარე უფალო".[2] ეს მაგალითებიც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ მხოლოდ უფლის ხსენება ნაცისტურ იდეოლოგიაზე ხელის აღებას არ ნიშნავს და დიონიცის მოკლე ფრაზის გამო მსგავსი ვარაუდები, ჩვენი აზრით, ზედმეტია.

ფლენსბურგის მთავრობის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა მისი სიმბოლიკა და კავშირი ძველ ტრადიციებთან. როგორც უკვე დავინახეთ, კარლ დიონიცი ჰიტლერის ერთგული იყო და მიჰყვებოდა მის იდეოლოგიას, თუმცა ამავდროულად ,,აპოლიტიკური კაბინეტის" ჩამოყალიბებას გეგმავდა, რომელიც მოახერხებდა დიპლომატიური ხერხებით ლოკალურ კაპიტულაციას დასავლეთთან. ამის ფონზე ცოტა უცნაურია, რომ მას არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ: ის არც შეზღუდულა, არც აკრძალულა და ადმინისტრაციაშიც კი მოახერხა არაერთმა პარტიულმა მუშაკმა მოხვედრა. არც ჰიტლერის გამოსახულებების მოშორება უფიქრია ვინმეს.[3] მეტიც, დიონიცმა პირადად გასცა იმ მეზღვაურთა სიკვდილით დასჯის ბრძანება, ვინც ფიურერი აუგად მოიხსენიეს.[4] აქედან აშკარაა, რომ ამ ადმინისტრაციას არც ჰიტლერთან ჰქონდა კავშირი გაწყვეტილი და არც პარტიასთან.

მეტ-ნაკლებად მსგავსი ვითარება გრძელდება კაპიტულაციის შემდეგაც. კარლ დიონიცი კვლავ წარმოაჩენს თავს აპოლიტიკურად და მაქსიმალურად ცდილობს მოკავშირეებთან მოლაპარაკებების გაგრძელებას, რისთვისაც მან თავის ადმინისტრაციაში SS უნიფორმები სამოქალაქო უნიფორმებით ჩაანაცვლა. მთავრობამ ასევე განიხილა დროშის საკითხიც, რადგან მოკავშირეებმა სვასტიკა აკრძალეს. რაც შეეხება ჰიტლერის გამოსახულებებს, მათი ჩამოხსნა გროსადმირალს არ უნდოდა, მაგრამ

---

[1] Broadcast Announcement of Unconditional Surrender by Reichsminister Schwerin von Krosigk, 7 May 1945, Lüdde-Neurath, *Unconditional Surrender,* 172-173

[2] იქვე, 186

[3] Jones, *After Hitler,* 107

[4] იქვე, 108

ბოლოს რჩევა ყურად იღო და ის ოთახები დაცალა ფიურერის პორტრეტებისგან, სადაც მოკავშირეთა წარმომადგენლებს შეეძლოთ მოხვედრა მოლაპარაკებების წარმოებისას.[1] მან ე.წ. ჰიტლერსალუტიც ჩაანაცვლა ტრადიციული სამხედრო მისალმებით.[2] მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ეს მხოლოდ მოლაპარაკებების გასამარტივებლად და მოკავშირეებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად არის გაკეთებული და არ ასახავს მთავრობის წევრთა პირადი დამოკიდებულების ცვლილებას. თუნდაც ის ფაქტი, რომ დიონიცმა ჰიტლერის ბიუსტის მოშორება მხოლოდ 20 მაისს გადაწყვიტა, თანაც მხოლოდ დროებით, კონფერენციის მსვლელობისას კმარა ამის სადემონსტრაციოდ.[3] შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითქმის იძულებით განხორციელებულ გარეგნულ ცვლილებებს ადმინისტრაციის რეალური არსი არ შეუცვლია და ის კვლავ მყარად იდგა ძველ ტრადიციებზე.

ფლენსბურგის მთავრობის მოღვაწეობის ერთი საინტერესო დეტალი არის 5 მაისს ორგანიზაცია ,,ვერვულფის" (,,Werwolf") აკრძალვა,[4] რამაც შეიძლება ეჭვი გააჩინოს, რომ კარლმა ნაცისტური იდეალებისთვის ფანატიკურ ბრძოლაზე საბოლოოდ აიღო ხელი, თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთი ეჭვები უსაფუძვლოა. ,,ვერვულფი" იყო ჰიმლერის მიერ პარტიზანული ბრძოლებისთვის ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელსაც თითქოს ომის დამთავრების შემდეგ უნდა გაეგრძელებინა ფანატიკური ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, თუმცა რეალურად ეს მათი მიზანი არასოდეს ყოფილა. ისინი ემორჩილებოდნენ გერმანულ სარდლობას და უნდა ემოქმედათ არმიის პარალელურად ჩვეულებრივ ჯარისკაცის უნიფორმაში. მათ ბევრი ოპერაცია არც განუხორციელებიათ, ხოლო მათი ლიდერი, SS ობერგრუპენფიურერ ჰანს პრიუტცმანი თავად ცდილობდა მოკავშირეებთან დანებებაზე მოლაპარაკებას. აქ ფანატიკურ ბრძოლაზე საუბარიც ზედმეტია.[5]

რეალურად ,,ვერვულფის" გარშემო არსებული მითები და ბუნდოვანება პროპაგანდის მინისტრის იოზეფ გიობელსის დამსახურებაა, რომელიც თავისი ,,რადიო ვერვულფით" მის გამოყენებას ცდილობდა ფანატიკური თავდადების პროპაგანდისთვის. მას უშუალოდ ორგანიზაციასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.[6] ეს გარემოება დიონიცის საქციელს

[1] Kershaw, *The End,* 410

[2] Lüdde-Neurath, *Unconditional* Surrender, 117

[3] იქვე

[4] Padfield, *Dönitz,* 463

[5] Trevor-Roper, *The Last Days of Hitler,* 79-80

[6] იქვე, 80

მარტივ ასახსნელს ხდის. მის და სხვა მაღალჩინოსანთა თვალში, ,,ვერვულფი" წარმოადგენდა არაეფექტურ, თითქმის უმოქმედო და ხელისშემშლელ ორგანიზაციას, რომელსაც მხოლოდ გიობელსის პროპაგანდა თუ აცოცხლებდა. შესაბამისად, კანცლერის თვითმკვლელობის შემდეგ არანაირი საჭიროება აღარ არსებობდა მისი შენარჩუნებისა, როცა მას თავისი პარტიზანული ოპერაციებით მაინც შეეძლო მოკავშირეებისთვის ზიანის მიყენება და მათთან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ურთიერთობის დაძაბვა. აქედან გამომდინარე გროსადმირალის ნაბიჯი სავსებით ბუნებრივია და რაიმე ეჭვს არ იწვევს.

კარლ დიონიცი შეიძლება შეფასდეს, როგორც მეორე მსოფლიო ომის ტიპიური გერმანელი სამხედრო პირი. ის განმსჭვალულია პატრიოტიზმით და მზად არის თავიც არ დაზოგოს საკუთარი ქვეყნისთვის, რაც გადაჯაჭვულია მის ანტისემიტიზმთან და ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიებთან. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ეს სიმპათიები და კავშირები აღარ იყო ხელსაყრელი და მის მემუარებშიც იყო მისი პიროვნების პოლიტიკისგან გამიჯვნის მცდელობა, რათა ის მხოლოდ როგორც სამხედრო პირი, ისე აღვიქვათ და ამასვე ემსახურება მთავრობის მის მიერვე მოგონილი სახელწოდება ,,აპოლიტიკური კაბინეტი".

ჩვენ ამ ნაშრომით ვცადეთ კარლ დიონიცის პოლიტიკური მოღვაწეობის განხილვა, ძირითადად, 1945 წლის მაისის ფარგლებში და განხილულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფლენსბურგის მთავრობა პოლიტიკოსებისგანაც ისევე იყო დაკომპლექტებული, როგორც სამხედროებისგან და პარტიისა თუ შუცშტაფელის არაერთ წევრს ითვლიდა. შესაბამისად არსებობის განმავლობაში მათ არც იდეოლოგიისგან გადახვევის მცდელობა ჰქონიათ, არც ჰიტლერის პრინციპებისთვის უღალატიათ და არც რაიმე რეალურ სინდისის ქენჯნასა თუ მწუხარებას ჰქონია ადგილი.

მემუარებში მოსახლეობის გადარჩენაზე აქცენტის გაკეთება, ომის შემდეგ სიმბოლიკის ცვლილება, ზოგიერთი მაღალჩინოსანი ნაცისტის დაპატიმრების ბრძანება თუ ორგანიზაცია ,,ვერვულფის" აკრძალვა იყო მხოლოდ კონკრეტულ ამოცანაზე გათვლილი ქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ამ ადმინისტრაციის წევრები და განსაკუთრებით კარლ დიონიცი დასავლელ მოკავშირეებთან მოლაპარაკებასა და საკუთარი რეპუტაციის გადარჩენას ცდილობდნენ. ეს მხოლოდ შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ და საბჭოთა კავშირის მხრიდან შურისძიების შიშმა განაპირობა. აქ ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ თავად გერმანელებში რაიმე მენტალურ ცვლილებას. მაღალჩინოსნები არა მხოლოდ ომის ბოლომდე, არამედ ომის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაშიც აშკარად ინარჩუნებენ იდეოლოგიისადმი თუ ადოლფ ჰიტლერისადმი ერთგულებას, რაც კარგად ჩანს მათსავე ნაწერებში.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Dönitz, Karl. Zehn Jahre und zwanzig Tage: Errinerungen 1935-1945. Pegasus Digital Publishing
2. Gesetz über das Staatsoberhaupt des Deutschen Reichs (01.08.1934), in: documentArchiv.de [Hrsg.], URL: http://www.documentArchiv.de/ns/stobrhpt.html, ბოლოს ნანახია 17.05.2023
3. Grier, Howard D. Hitler, Dönitz and The Baltic Sea: The Third Reich's Last Hope, 1944-1945. Annapolis, Maryland: Naval Institute Press, 2007
4. Hitler, Adolf. Mein Kampf. Leipzig: August Pries GmbH, 1943.
5. Jones, Michael. After Hitler: The Last Days of the Second World War in Europe. London, 2015
6. Kershaw, Ian. The End: The Defiance and The Destruction of Hitler's Germany, 1944-45. New York: The Penguin Press, 2011
7. Lüdde-Neurath, Walter. Unconditional Surrender: A Memoir of the Last Days of The Third Reich and The Dönitz Administration. London: Frontline Books, 2010
8. Padfield, Peter. Dönitz: The Last Führer. London: Thistle Publishing, 2013
9. Speech delivered by Adolf Hitler before the German Reichstag on January 30, 1939. The Library of the University of Texas at Austin
10. Trevor-Roper, Hugh. The Last Days of Hitler. Pan Books.

მიხეილ ლეჟავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვერნერ ფონ ბრაუნი – მესამე რაიხიდან აშშ-ს მთვარის პროგრამის ხელმძღვანელობამდე

ვერნერ ფონ ბრაუნი დაიბადა 1912 წლის 23 მარტს, გერმანიის იმპერიაში შემავალ პრუსიის სამეფოში, პატარა ქალაქ ვირზიცში, მეტად გამოცდილ პოლიტიკური მოხელის ოჯახში. მამამისი სხვადასხვა დროს მუშაობდა შემდეგ ადმინისტრაციულ პოზიციებზე: იყო კრაის ვირზიცის რაიონის აღმასრულებელი ხელმძღვანელი, მუშაობდა შინაგან საქმეთა დეპარტამენტსა და იმპერიის კანცელარიაში, ასევე გახლდათ გუმბინენის[1] მთავრობის პრეზიდენტი. 1932 წლის 1 ივნისს იგი დაინიშნა ვაიმარის რესპუბლიკის კვებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად და აღმოსავლეთის დახმარების რაიხსკომისარად კანცლერ ფრანც ფონ პაპენის მთავრობაში. ეს თანამდებობა მან შეინარჩუნა კანცლერ კურტ ფონ შლაიხერის დროსაც 1933 წლის 28 იანვრამდე.[2] ჩვენ ხაზი გავუსვით მის წარმომავლობას მამის მხრიდან, ხოლო დედით იგი იყო შთამომავალი რამდენიმე ევროპული სამეფო დინასტიისა, როგორიცაა: ფრანგი კაპეტინგები, დანიელი ესტრიდსენები, შოტლანდიელი სტიუარტები, პლანტაგენეტები და ა.შ. სწორედ დედის საჩუქარმა დააინტერესა იგი კოსმოსითა და ასტრონომიით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრეულ წლებში მომავალ კოსმოსის კვლევის გიგანტს არცთუ ისე კარგად გამოსდიოდა ფიზიკისა და მათემატიკის ათვისება, თუმცა მის ცხოვრებაში გარდამტეხი აღმოჩნდა ჰერმან ობერთის წიგნი „რაკეტები კოსმოსურ სივრცეში“ („Die Rakete zu den Planetenräumen“).1930 წელს ბრაუნი გაწევრიანდა „კოსმოსური ფრენების საზოგადოებაში“, სადაც იგი მუშაობდა თხევადსაწვავიანი რაკეტების ძრავების გამომცდელად, ხოლო მისი ხელმძღვანელი კი ზემოდ ნახსენები ჰერმან ობერთი იყო. 1934 წელს დაამთავრა რა ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტი (*Friedrich-Wilhelms-Universität*) მან მიიღო დოქტორის ხარისხი ფიზიკაში ნამუშევრით ,,წვის ტესტების შესახებ", თუმცა სადოქტოროს გამოქვეყნებული სათაური არ შეესაბამებოდა სრულ სინამდვილეს.[3] ამავე

[1] აღმოსავლეთ პრუსიის პროვინცია 1808-1945 წლებში.
[2] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაგნუს ფონ ბრაუნი 1920 წელს გაათავისუფლეს სახელმწიფო თანამდებობიდან, რადგან იგი მონაწილეობდა ცნობილ კაპის პუტჩში, რომელიც მიზნად ისახავდა გადატრიალების მცდელობას.
[3] მესამე რაიხის მთავრობას არ აწყობდა მათი მიღწევების საქვეყნოდ გამოტანა

წელს ბრაუნმა კუმერსდორფთან ახლოს მდებარე რაკეტების პოლიგონზე წარმატებით გამოსცადა ორი რაკეტა.[1]

მას შემდეგ, რაც დაიშალა „კოსმოსური ფრენის საზოგადოება“, გერმანიაში მსგავსი დაწესებულება აღარ არსებობდა. რაც შეეხება რაკეტების წარმოებასა და გამოცდებს, ის მხოლოდ და მხოლოდ უნდა შესრულებულიყო სამხედრო ნაწილების დაქვემდებარების ქვეშ. „ნაცისტური რეჟიმი“ მთლიანად კრძალავდა მშვიდობიანი თუ უბრალოდ სამეცნიერო მიზნებისთვის მათ გამოყენებას. სწორედ ამიტომ ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულ პენემიუნდეზე აიგო რაკეტოდრომი, რომელიც დაქვემდებარებული იყო ლიუფტვაფეზე (გერმანიის მესამე იმპერიის სამხედრო-საჰაერო ძალები). მათი დაკვეთით იქმნებოდა თხევადსაწვავიანი რაკეტების ძრავები, რომელიც საშუალებას მისცემდა გერმანულ თვითმფრინავებს, შეემცირებინა აფრენის რადიუსი. სწორედ მსგავსი პროექტი იყო V-2 (ფაუ-2) ტიპის რაკეტა.[2]

ვერნერ ფონ ბრაუნი 1937 წელს გაწევრიანდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში. ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩანაწერების მიხედვით, ბრაუნი უკვე 1933 წელსვე ირიცხებოდა SS-ის რიგებში, რა დროსაც ოფიცრად მსახურობდა 1940-1945 წლებში, ვიდრე არ ჩაბარდა ტყვედ ამერიკელ სამხედროებს გერმანიაში.

საეჭვოა ის გარემოება, რომ ფონ ბრაუნი აიძულეს, გამხდარიყო ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და SS-ის წევრი. მოგვიანებით უკვე ამერიკაში ყოფნისას იგი ამტკიცებდა, რომ SS-ის ფორმა მას მხოლოდ ერთხელ ეცვა და ბრალი არ ედებოდა მათ მიერ ჩადენილ საქმეებში. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ უნტერშტურმფიურერის (ლეიტენანტის) წოდებიდან, უკვე 1943 წლისთვის იგი ჰიმლერმა აღაზევა და უბოძა შტურმბანფიურერის (მაიორის) წოდება.

SS-ის გენერალმა ჰანს კემლერმა შეიმუშავა იდეა, რომლის მიხედვით რაკეტების საწარმოებლად უნდა გამოეყენებინათ საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები, როგორც უფასო მუშახელი. შესაბამისად, აშენდა რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკი (მაგალითად, ასეთი იყო აუშვიცი). მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დადგინდა, რომ რაკეტების საწარმოებლად იმაზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე მათი აფეთქების დროს. ,მიუხედავად ამისა, ბრაუნი უარყოფდა პატიმრების მიმართ სხვადასხვა დასჯის გამოყენებას და ასევე მათ მასობრივ სიკვდილის ფაქტებს. თუმცა, მისთვის ერთი რამ

[1] რაკეტებმა მიაღწიეს 2,2 კმ და 3,5 კმ სიმაღლეს.

[2] 1942 წლის ნოემბერში გერმანიის რაიხკანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა დაამტკიცა V-2-ის მასიური წარმოება და მათი გამოყენება ლონდონის დასაბომბად. თითქმის ორი წლის შემდეგ კი 1944 წლის 7 სექტემბერს ფაუ-2 ("შურისძიების იარაღი") გაუშვეს ინგლისის მიმართულებით.

აშკარა იყო – მის იდეებს ეწირებოდა ბანაკებში მყოფი ხალხის სიცოცხლე.

ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი ადამ კაბალა მოგვიანებით იხსენებდა: *„გერმანელი მეცნიერები, რომლებსაც პროფესორი ვერნერ ფონ ბრაუნი ხელმძღვანელობდა, ხედავდნენ ყველაფერს, რაც კი ხდებოდა ბანაკში. როდესაც ისინი დერეფნებში დააბიჯებდნენ, ხედავდნენ პატიმრების მძიმე, არაქათგამომლევ სამუშაოს. დორაში ყოფნისას კი პროფესორ ვერნერ ფონ ბრაუნს არასოდეს გამოუთქვამს პროტესტი იქ არსებული სისასტიკის შესახებ“.* [1]

ფონ ბრაუნის ნაცისტური უღლის ქვეშ მოღვაწეობის კვლევის დროს გაირკვა, რომ იგი მიწისქვეშა ქარხანაში მინიმუმ 12-ჯერ ან 15-ჯერ იყო ნამყოფი. 1969 წელს დასავლეთ გერმანიის[2] ომის დანაშაულის სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ მან მართლაც იხილა მიწისქვეშა ადგილები, რომელიც 1943 წლის ბოლოს აშენდა გვირაბებში საკონცენტრაციო ბანაკის მუშაკებისთვის, რადგან მიწისზედა ბანაკი არ იყო დასრულებული ან მშენებლობა არც კი იყო დაწყებული. ეს მიწისქვეშა საცხოვრებლები, რომლებიც მდებარეობდა სამთო მადნის ზონაში, იმაზე საშინელი იყო, ვიდრე თვით მიწისზედა საკონცენტრაციო ბანაკები.

როდესაც ფონ ბრაუნის ბიოგრაფიის მკვლევარს მაიკლ ნოიფელდს (Michael J. Neufeld) კითხვა დაუსვეს, შეეძლო თუ არა ფონ ბრაუნს ასახული სიტუაციის გაპროტესტება და ზემდგომების დაყოლიება ქმედების შემსუბუქებისკენ, მან შემდეგი პასუხი გასცა: ვერნერს არ გააჩნდა დიდი ძალაუფლება, შესაბამისად, ძალიან ბევრი რამის თქმა სახიფათო იყო მისთვის. მიუხედავად ამისა, ნოიფელდი ხედავდა ბრაუნის პირად პასუხისმგებლობას, რადგან მან აქტიურად დაამყარა კავშირი რეჟიმთან, მონაწილეობდა აგრესიულ საომარ გეგმებში და ჰიტლერისთვის ამზადებდა იარაღს. ასევე იყო მესამე რაიხის, პარტიისა და SS-ის ერთგული წევრი. მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით ფონ ბრაუნი აცხადებდა: „მე ოფიციალურად მომთხოვეს რომ ნაცისტური პარტიის წევრი გავმხდარიყავი. იმ დროისათვის (1937) მე უკვე ვიყავი სარაკეტო ცენტრის დირექტორი პენემიუნდეში. მე რომ უარი მეთქვა, ამით უნდა დავმშვიდობებოდი ჩემი ცხოვრების მიზანს და ამიტომ მე გადავწყვიტე, რომ პარტიაში შევსულიყავი, მაგრამ პარტიაში ყოფნისას მე არავითარ პოლიტიკურ საქმიანობას არ ვეწეოდი. 1940 წლის გაზაფხულზე SS-ის პოლკოვნიკი მიულერი მოვიდა ჩემთან პენემიუნდეში და მითხრა, რომ იგი გამოგზავნილი იყო SS-ის მეთაურის ჰაინრიხ ჰიმლერის მიერ, რომელიც მოითხოვდა ჩემგან SS-ში შესვლას. მე მაშინვე დავურეკე ჩემს უფროსს, ვალტერ დორნბერგერს, რომელმაც მითხრა, რომ სხვა გზა

[1] Fiedermann, Heß, and Jaeger (1993). Das KZ Mittelbau Dora. Ein historischer Abriss. Westkreuz Verlag, Berlin, p. 100.
[2] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

არ იყო, გარდა იმისა, რომ სამუშაოს გასაგრძელებლად SS-ში გავწევრიანებულიყავი".[1] ამრიგად, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ იგი პირადად პასუხისმგებელია საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრების შრომის გამოყენებაზე.

იმ დროისთვის, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მან ძალზე გვიან გამოიღვიძა და მიხვდა, თუ რა სისტემაზე მუშაობდა, მაგრამ უკვე აღარ ჰქონდა არჩევანი. მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა შექმნილ ვითარებას, ფონ ბრაუნს არ სურდა დანებება, არც თანამდებობიდან გადადგომაზე უფიქრია. ის იყო ჯარის ერთგული გერმანული ნაციონალიზმით აღსავსე პიროვნება. მასზე გერმანიაში ჩამოყალიბებულმა რეჟიმმა იმდენად იმოქმედა, რომ საკმაოდ აღივსო ნაცისტური იდეოლოგიით. ეს ყველაფერი კარგად ცხადყო ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ბიურომ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სულაც არ ყოფილა გასაკვირი, რადგან ბრაუნი გამოვიდა მემარჯვენე ნაციონალისტური ოჯახიდან. უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მის ერთადერთ ბავშვობის დროინდელ ოცნებას წარმოადგენდა მთვარეზე გაფრენა. მისი მიზანი, მოყოლებული 1920-იანი წლებიდან, არ იყო მხოლოდ ოცნება იმის შესახებ, რომ კაცობრიობას უნდა გამოეკვლია და შემდგომ აეთვისებინა სივრცე, არამედ იგი ამბობდა: „მინდა კოსმოსში წასვლა. მთვარეზე დასაჯდომად ექსპედიციის ხელმძღვანელობა მინდა". ასე რომ, კოსმოსში გაფრენის ოცნებამ აიძულა იგი და ამ ყოველივემ გამოიწვია ის, რომ მას ძალიან სურდა მიეღო ფული და რესურსები, ვინც არ უნდა მოსულიყო და ეთქვა: „აი, ააშენე რაკეტები. უბრალოდ გააკეთე ეს ჩვენთვის. გააკეთეთ ეს ჩვენი გზით" (ეს ეხებოდა ყველას, გარდა საბჭოთა კავშირისა). ასე რომ, ის გაერთიანდა მათთან, ვისაც მისი დაფინანსება და მისი იდეების ხორცშესხმა შეეძლო. ეს კი, რაღა თქმა უნდა, ჯარი იყო. იგი გამოვიდა კონსერვატიული პრუსიული არისტოკრატული ოჯახიდან, იგი პრუსიელი ბარონი იყო. მის ოჯახს ბევრი სამხედრო ჰყავდა, მისი მამა მსახურობდა ოფიცრად კაიზერის იმპერიაში. ასე რომ, ჯარში წასვლა არ იყო პრობლემა.

1943 წლის ბოლოსთვის შუცშტაფელის რაიხსფიურერმა ჰაინრიხ ჰიმლერმა ფონ ბრაუნს, როგორც ზემოთ ვნახეთ უბოძა შტურმბანფიურერის[2] წოდება. ამით სურდა გაეზარდა მისი ძალაუფლება და საამისოთ შუცშტაფელის გენერლის[3] ჰანს კემლერის გამოყენებას გეგმავდა. სწორედ მას უნდა დაეწესებინა ტოტალური კონტროლი გერმანიის

[1] *Neufeld, Michael J. (10 September 2013). The Rocket and the Reich: Peenemunde and the Coming of the Ballistic Missile Era*
[2] უტოლდება მაიორის წოდებას.
[3] ობერგრუპენფიურერი

მესამე რაიხის შეიარაღებაზე (აქ საგულისხმოა ასევე სარაკეტო წარმოებებიც). თუ ბრაუნს სურდა მისი მიზნების განხორციელება, ამისთვის უფრო მჭიდროდ უნდა ეთანამშრომლა კემლერთან. მიუხედავად ამისა, როგორც სჩანს 1943 წლის ოქტომბრიდან ბრაუნსა და მის თანამშრომლებზე აქტიურად მიმდინარეობდა სადაზვერვო თვალთვალი და იქმნებოდა მოხსენება შესაძლო მომენტისთვის, თითქოს ისინი გამოხატავდნენ სინანულს, რადგან გრძნობდნენ რომ გერმანია მარცხდებოდა მეორე მსოფლიო ომში. ამ ბრალდებას დაემატა კიდევ ერთი აბსურდული ჩვენაბა, თითქოს ბრაუნს სიმპატიები გააჩნდა კომუნისტურ პარტიაზე და ამის გამო აჭიანურებდა ფაუ-2 რაკეტების წარმოებას. ამას თან ერთვოდა ბრაუნის განცხადება ფაუ-2 -თან დაკავშირებით. ამბობდა რომ ყველა არსებული პრობლემა იყო მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ტექნიკური მახასიათებელი იყო, შესაბამისად საჭირო არ იყო საქმეში კემლერის ჩართვა, ამ პრობლემას გენერალ დორნბერგერთან ერთადაც იოლად მოაგვარებდა.

1944 წლის მარტში ფონ ბრაუნი მოულოდნელად დააპატიმრეს, თუმცა მისთვის ცნობილი არ იყო, თუ რისთვის იხდიდა სასჯელს. ჰანს გეორგ კლამროტმა სამხედრო სადაზვერვო განყოფილების[1] საშუალებით მოახერხა მისი განთავისუფლება, ხოლო შეიარაღების მინისტრმა ალბერტ შპეერმა საბოლოოდ მოახერხა რაიხსკანცლერ ადოლფ ჰიტლერის დარწმუნება, რათა ფონ ბრაუნს გაეგრძელებინა შესაბამისი საქმიანობა ფაუ-2 -ის მიმართებით. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ კარგად გამოჩნდა, თუ რაოდენ საქმეში ჩაერთო ფონ ბრაუნი. მან 1944 წლის 15 აგვისტოს მისწერა წერილი ალბინ სავაცკის, ფაუ-2 რაკეტების წარმოების უფროსს, სადაც წერდა, რომ მან თავად შეარჩია ბუხენვალდის ბანაკიდან პატიმრები. ამის გამო, რა საკვირველია მან სინანული გამოხატა 25 წლის შემდეგ ერთ-ერთ მის ინტერვიუში.

1945 წლის გაზაფხულზე, მაშინ, როდესაც ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და მხოლოდ გადამწყვეტი შეტევა იყო საჭირო მოკავშირეების მხრიდან, ფონ ბრაუნმა გადაწყვიტა, დანებებოდა მოწინააღმდეგეს. გაითვალისწინა რა რიგი შესაძლო მოვლენების განვითარება (მისთვის ცნობილი იყო თუ როგორ ექცეოდნენ სამხედრო ტყვეებს საბჭოთა ბანაკში, რომლებიც უკვე მხოლოდ 160 კმ-ის დაშორებით იყვნენ პენემიუნდეს სამხედრო ბაზიდან), შესაბამისად, მან და მისმა კოლეგიამ, რომელთა რიცხვი შეადგენდა დახლოებით 500 ადამიანს, გადაწყვიტეს ამერიკელი სამხედროებისთვის ტყვედ ჩაბარება. ამას თან დაერთო SS-ის ბრძანებულება, მოეკლათ ყველა მეცნიერ-ინჟინერი, რომლებიც მოქმედებდნენ მესამე რაიხის ინტერესებში. ამასთანავე უნდა

[1] იგივე აბვერი. 1920-1944 წლებში აბვერი ეწოდებოდა რაიხსვერის და ვერმახტის ყველა დანაყოფს, რომელსაც ევალებოდა კონტრდაზვერვა, ჯაშუშობა და დივერსიული აქტების მოწყობა.

განადგურებულიყო ყველა არსებული დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა სამხედრო-სამეცნიერო კვლევებს. დანებების პროცესში თავი გამოიჩინა მაგნუს ფონ ბრაუნმა,[1] რომლის წყალობითაც გაცხადდა მისი ძმის ნამდვილი ვინაობა ამერიკელების წინაშე და გაირკვა, რომ ფაუ-2-ის მთავარ ინჟინერსა და მის გუნდს სურდათ დანებება,[2] გარანტიების მიღების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების არმია აფასებდა გერმანელ მეცნიერთა შემოქმედებას და მიიღეს გადაწყვეტილება, დაახლოებით 300 ვაგონი V-2-ის ნაწილები თავისივე სამეცნიერო ნახაზებითურთ გადაეტანათ შტატების ტერიტორიაზე.[3] ამის შედეგად ფონ ბრაუნი და მისი მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ომის დროს მიჩნეული იყო, როგორც სამხედრო დამნაშავეები, გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისთის სასურველი სტუმრები. იმ დროისთვის აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა – ედვარდ სტეტინიუს უმცროსმა, მოიწონა იდეა მეცნიერთა აშშ-ში ექსტრადირების შესახებ, შესაბამისად, 1945 წლის სექტემბერში ფონ ბრაუნი თავის გუნდთან ერთად ეწვია ამერიკას.[4] ის და მისი 120-მდე თანამოაზრე ჯგუფურად გადმოიყვანეს პენემიუნდედან შტატებში, აშშ-ს არმიის სასარგებლოდ, ასე რომ, ამ თვალსაზრისით, მას არ მოუწია თავისი გზაზე ახალი სამუშაოს პოვნა.

ვერნერ ფონ ბრაუნი და მისი გუნდი დაასახლეს „ფორტ ბლისში“ ნიუ მექსიკოსა და ტეხასის შტატებს შორის. აქ მათ აეკრძალათ ნებართვის გარეშე ტერიტორიის გარეთ გადაადგილება და მისი დატოვება.[5] ამასთანავე, მათ დაევალათ, დეტალურად აეხსნათ ამერიკელი მეცნიერებისა და სამხედროებისთვის, რეალურად რას წარმოადგენდა ფაუ-2-ის სარაკეტო პროგრამა, ასევე, გადარჩენილი ნაწილებით უნდა აეწყოთ რაკეტა, რათა წარედგინათ მისი საცდელი მოდელი. „ჰერმესის პროექტის“ ფარგლებში ისინი წვრთნიდნენ ადგილობრივ მეცნიერებს, რათა გაუმჯობესებულიყო ამერიკული საჰაერო სარაკეტო სისტემა. აშშ-ში მუშაობის ადრეული წლები ბარონი ფონ ბრაუნისთვის იმედგამაცრუებელი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოებას სურდა დემობილიზაცია. მიუხედავად იმისა რომ, „ცივი ომის“ დაწყების თარიღად მიჩნეულია 1946 წლის დასაწყისი, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად სიტუაცია სტაბილური იყო და არ ექვემდებარებოდა გამწვავებას მაშტაბურ ფონზე. სწორედ ამიტომ შეერთებულ შტატებს არ სურდა ახალი შეიარაღების რბოლაში ფულის ჩადება და უბრალოდ მათ არ

[1] ვერნერ ფონ ბრაუნის უმცროსი ძმა.

[2] McDougall, Walter A. - The Heavens and the Earth: A Political History of the Space Age. New York: Basic Books. გვ:44 1985

[3] მიუხედავად ამისა საბჭოთა მხარეს მაინც საკმაოდ დიდი ნაწილი დახვდა სარაკეტო შეიარაღებისა. ამასთანავე ხელთ იგდეს ფონ ბრაუნის კოლეგების დიდი რაოდენობა.

[4] ეს იყო საიდუმლო მისია, რომელიც ოფიციალურად გამოცხადდა 1945 წლის ოქტომბერში.

[5] ფონ ბრაუნი მოგვიანებით შექმნილი სიტუაციის შესაბამისად საკუთარ თავს "მშვიდობის ტყვეს" უწოდებდა (Neufeld, Michael J. (2008). Von Braun: dreamer of space, engineer of war (First ed.). New York: Vintage Books. p. 218).

დააფინანსეს დიდი ფულადი რაოდენობით სარაკეტო სისტემების წარმოება. 1950 წელს კორეის ომის დაწყებასთან ერთად გერმანული სამეცნიერო ჯგუფი გადავიდა ახალ სამეცნიერო ცენტრში ალაბამას შტატში – ჰანტსვილში.[1] 1954-56 წლებში მიღწეული წარმატების შედეგად, რაც გამოიხატებოდა „რედსტოუნის სარაკეტო სისტემის“[2] წარმატებით შემუშავებასა და გამოცდაში, 1955 წელს არმიის ბალისტიკური რაკეტების სააგენტოს განვითარების ოპერაციების სამმართველოს დირექტორმა ფონ ბრაუნმა აშშ-ის პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისაგან მიიღო მოქალაქეობის დოკუმენტი.

მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი გერმანელი მეცნიერების თავდაუზოგავი შრომისა და უამრავი წარმატებისა, თანადროულად არსებობდა ერთი მეტად რთული პრობლემა. საბჭოთა კავშირი გადასული იყო „ცივი ომის“ პერიოდში და სკკპ ცკ-ს მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი ყველანაირი გზით ცდილობდა ამერიკელთათვის წინააღმდეგობის გაწევასა და მათი წარმატების გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირში. ამის ნათელი მაგალითი იყო სერგეი კოროლიოვი (1907-1966),[3] რომელმაც წარმატებით გამოსცადა საბჭოთა კოსმოსისთვის განკუთვნილი სარაკეტო სისტემები და უკვე 1957 წლის 4 ოქტომბერს წამატებით გაუშვა „სპუტნიკ-1“. აშშ პრაქტიკულად დამარცხდა მიმდინარე შეჯიბრში და ამის მთავარი გამომწვევი პიროვნება ისევ და ისევ ფონ ბრაუნი იყო. მან გადაწყვიტა სარაკეტო სისტემის კიდევ ერთხელ გამოცდა, სანამ პრაქტიკულად გამოიყენებდნენ პირველი ზონდის გასაშვებად. ამით, რასაკვირველია, საბჭოთა მხარემ კარგად ისარგებლა და ფაქტობრივად ერთი დეკადის განმავლობაში დაწინაურდა პოლიტიკის კოსმოსურ ასპარეზზე, ვიდრე აშშ-მ თავი წარმატებით არ გაართვა 1969 წლის „მთვარის მისიას“.

საბჭოთა მხარის კოსმოსური წარმატების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო კოსმოსური სარაკეტო სისტემების განვითარებისთვის ხელის შეწყობა. ამასთანავე, ზემოხსენებული „კრახის“ მიუხედავად, მთავრობა აქტიურად უცხადებდა ნდობას ფონ ბრაუნს და მის სამეცნიერო ჯგუფს. 1958 წლის 29 ივლის დაარსდა „ნასა“ – აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო. 1960 წელს კი ჰანტსვილში გაიხსნა მარშალის სახელობის კოსმოსური საფრენი ცენტრი, სადაც ფონ ბრაუნი დაინიშნა მის ხელმძღვანელად. ფონ ბრაუნის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სატურნის ტიპის

[1] 20 წლის განმავლობაში ჰანტსვილი გახდა ფონ ბრაუნის სახლი, სადაც აწარმოებდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო შრომებს.
[2] „რედსტოუნის რეკეტა“ მოგვიანებით გაუმჯობესეს, რომელსაც ეწოდა „იუპიტერ-C“. სწორედ ხსენებული რაკეტით გაუშვეს ამერიკელებმა კოსმოსში პირველი თანამგზავრი „ექსფლორერ-1“ 1958 წლის 31 იანვარს.
[3] უკრაინული წარმოშობის საბჭოთა სარაკეტო სისტემების კვლევის „მამა.

სარაკეტო სისტემების მოდიფიცირება, რომლის წყალობითაც შეძლებდნენ სხვადასხვა სახის ტვირთის გაგზავნას ორბიტაზე, ასევე, უპირველეს მიზნად, ისევ და ისევ ადამიანის მთვარეზე მოგზაურობა რჩებოდა. 1969 წლის 16 ივლის დაიწყო აპოლო-11-ის მისია, რომელიც 20 ივლისს წარმატებით დაეშვა მთვარეზე. ეს იყო ფონ ბრაუნის ჯერ კიდევ ბავშვობის დროინდელი ოცნება, რომლისთვისაც იგი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ემზადებოდა. მთვარის პროგრამის წარმატებით დახურვის შემდეგ ფონ ბრაუნმა ახალ ოცნებაზე დაიწყო ფიქრი. ამჯერად კოსმოსურ პროგრამას უნდა გადაელახა პლანეტა მარსის საზღვრები და მოეხდინა მისი ათვისება. ჯერ კიდევ ფორტ ბლისში ყოფნისას მან გადაწყვიტა, დაეწერა რომანი სახელწოდებით „მარსის პროექტი“. ბრაუნს არ სურდა მისი თხზულება გამხდარიყო საქვეყნოდ დასაცინი, ამიტომ მას სრული მონდომებით მიუდგა. მიუხედავად იმისა რომ რომანმა საბოლოოდ არ გაამართლა, ბრაუნმა გადაწყვიტა, დაებეჭდა სტატიები პლანეტა მარსის და ჯერ კიდევ აუთვისებელი მთვარის შესახებ ჟურნალ „კოლიერსში“. სტატიებმა დღის სინათლე ჰპოვა 1952 წელს და მალევე გამოიწვია ფართო საზოგადოების დაინტერესება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვიჩნდება კითხვა: გამოთქვა თუ არა ვერნერ ფონ ბრაუნმა სინანული ნაცისტური რეჟიმისთვის მუშაობის შესახებ და ასევე საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეების შრომის გამოყენებაზე? მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რა დროსაც იგი იმყოფებოდა შტატების მიწაზე, მან განაცხადა: *„მე არ ვიცოდი ჰოლოკოსტის შესახებ“.* ასევე ხაზი გაუსვა გერმანიის მესამე იმპერიის კანცლერის ადოლფ ჰიტლერის პიროვნებას და მას „ბოროტი ადამიანი“ უწოდა. 1960-იან და 70-იან წლებში, მან გამოხატა გარკვეული სინანული წერილებში საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრების შესახებ. მიუხედავად მისი განცხადებებისა, თუ გადავხედავთ და კარგად დავაკვირდებით მის ქმედებებს ომამდე და ომის დროს, მივხვდებით რომ მის გულში დიდი დანაშაულის გრძნობა ნამდვილად არ იყო. იგი ყოველთვის დისტანცირდებოდა იმ დიდ პრობლემასთან, რასაც ნაცისტური რეჟიმი აწარმოებდა საკონცენტრაციო ბანაკებში. მისი შეხედულებით, იგი იყო მეცნიერი, რომელიც ემსახურებოდა ჭეშმარიტ მეცნიერებას და საზოგადოებას, რომელთა მიზანიც რაც შეიძლება შორს წასვლა იყო კვლევების თვალსაზრისით, ხოლო ნაცისტური რეჟიმის ქმედებები ნამდვილად არ იყო მისი პრობლემა და პასუხისმგებლობა. ტყვეების წინაშე განხორციელებული ქმედებები არ იყო მისი იდეა და სურვილი, მაგრამ არც არასდროს აუღია პირადი პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ომის შემდეგაც კი. ჩვენ, რასაკვირველია, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თანადროულად სინანულიც რომ ჰქონოდა, მას არ შეეძლო რაიმეს გაკეთება. ზემოხსენებული მოვლენები ჩადენილი იყო უშუალოდ სამხედრო წრეებისგან და მას ამასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამერიკის

შეერთებულ შტატებში გადასვლის შემდგომ ბარონ ფონ ბრაუნს მოუწია ზედმიწევნით სწორად განელაგებინა მისი ქმედებების ისტორიის ხაზი და პირწმინდად ამოეშალა შავი ლაქა, რომელიც ხელს შეუშლიდა ახალ ცხოვრების დროს და სანუკვარი მიზნის ასრულებაში. 1950-იან წლებში, როდესაც მან ამერიკის მოსახლეობაში ფართოდ გაითქვა სახელი და მოიპოვა დიდების შარავანდედი, მოუწია მოეყოლა ყოველი დეტალი მესამე რაიხის შესახებ. ჩაწერა რა რამდენიმე ინტერვიუ, გაიხსენა მოგონებები. მან გულმოდგინედ მოუთხრო საზოგადოებას პენემიუნდეს სამხედრო საკვლევი ბაზის შესახებ, სადაც ვითომდა თითქმის გააუქმა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეების შრომის გამოყენება ანდაც იგი მინიმალურ დონემდე დაიყვანა. წარმოადგინა ისეთი სიუჟეტი, სადაც მან თითქმის მთლიანად გამოტოვა ამბები მესამე რაიხში მუშაობის შესახებ. რასაკვირველია, მან მთლიანად გააქრო წარსულის მოგონებები SS-ში მუშაობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მისი ქმედებები კარგად იყო ცნობილი ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური გამოძიების ბიუროსათვის, თუმცა მათ გარკვეულწილად ხელი შეუწყვეს ბრაუნის შესახებ ჭეშმარიტი, თუმცა არასაჭირო ფაქტების საზოგადო გავრცელებას, რადგანაც ეს უკანასკნელი მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება იყო მომავალი სამხედრო საქმიანობისთვის. მოგვიანებით ამ ამბავთან დაკავშირებით შტატების მთავრობა აცხადებდა: *„ჩვენ ძალიან სასარგებლო ადამიანი აღმოვაჩინეთ და გადავწყვიტეთ, ბევრი რამ საიდუმლოდ შეგვენახა“.*

პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ფონ ბრაუნის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ეწერა: **„მისი მუშაობით ისარგებლა არა მხოლოდ ჩვენი ერის ხალხმა, არამედ მსოფლიოს ყველა ადამიანმა“.** პრეზიდენტ კარტერის განცხადება არის მეტად საინტერესო შემთხვევა იმისა, თუ როგორ განიხილებოდა ცივი ომის დროს შტატებში ბარონი ფონ ბრაუნის პიროვნება. უმეტესწილად ის წარმოდგენილი იყო, როგორც კოსმოსის პიონერი, თუმცა, მისი ქმედებები თუ ჩანაწერები გაცილებით ორაზროვანია. რა თქმა უნდა, შეერთებულ შტატებში ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული სიმართლე მეცნიერის შესახებ, რომელიც თავის დროზე აქტიურად იყენებდა საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებს თავისი სამუშაოსთვის. აქვე დავძენთ იმასაც, რომ, მიუხედავად მისი ორაზროვანი ფიგურისა, იგი არ უნდა დავიყვანოთ ორ უკიდურესობამდე: ბოროტ ნაცისტამდე ან დემოკრატ კოსმოსის ამთვისებელ პიონერამდე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Braun, Wernher von. The Mars Project. University of Illinois Press, 1953.
2. Fiedermann, Heß, and Jaeger (1993). Das KZ Mittelbau Dora. Ein historischer Abriss. Westkreuz Verlag, Berlin.
3. http://libarchstor.uah.edu:8081/repositories/2/archival_objects/48849 (23.04.2023)
4. http://www.numericana.com/arms/vonbraun.htm (21.05.2023)
5. https://archive.org/details/BraunWernherVon/BRAUN%2C%20WERNHER%20VON_0010/ (14.04.2023)
6. https://archive.org/details/BraunWernherVon/BRAUN%2C%20WERNHER%20VON_0001/ (18.04.2023)
7. FBI Records: The Vault. *Wernher von Braun*. https://vault.fbi.gov/Wernher%20VonBraun (29.03.2023)
8. FBI Records: The Vault. *Wernher von Braun*. Part 1 of 7. https://vault.fbi.gov/Wernher%20VonBraun/Wernher%20VonBraun%20Part%201%20of%207/view (29.03.2023).
9. FBI Records: The Vault. *Wernher von Braun*. Part 2 of 7.
10. https://vault.fbi.gov/Wernher%20VonBraun/Wernher%20VonBraun%20Part%202%20of%207/view (29.03.2023)
    FBI Records: The Vault. *Wernher von Braun*. Part 3 of 7. https://vault.fbi.gov/Wernher%20VonBraun/Wernher%20VonBraun%20Part%203%20of%207/view (29.03.2023).
11. https://www.aljazeera.com/opinions/2013/5/3/wernher-von-braun-historys-most-controversial-figure/ (28.05.2023)
12. https://www.pbs.org/wgbh/americanexperience/features/chasing-moon-wernher-von-braun-and-nazis/ (29.03.2023)
13. https://www.nasa.gov/sites/default/files/atoms/files/19690804_manned_mars_landing_presentation_to_the_space_task_group_by_dr._wernher_von_braun.pdf (1.06.2023)
14. https://www.thespacereview.com/article/656/1 (29.03.2023)
15. Michael J. Neufeld talks about his new book, *Von Braun: Dreamer of Space, Engineer of War.* Knoff, New York. 2007.
16. Neufeld, Michael J. (10 September 2013). The Rocket and the Reich: Peenemunde and the Coming of the Ballistic Missile Era.
17. Neufeld, Michael J. (2008). Von Braun: dreamer of space, engineer of war (First ed.). New York: Vintage Books.
18. Ward, Bob. Dr. Space. Naval Institute Press, 2009.
19. Wright, Mike. The Disney-Von Braun Collaboration and Its Influence on Space Exploration" by. Inner Space/Outer Space: Humanities, Technology and the Postmodern World: selected papers from the 1993 Southern Humanities Conference, February 12-14, 1993. Edited by Daniel Schenker, Craig Hanks and Susan Kray.

თამარ სამარგულიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„პრაღის გაზაფხული – სოციალიზმი ადამიანური სახით“

1968 წლის 5 იანვარს ალექსანდრ დუბჩეკის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად დანიშვნით იწყება „პრაღის გაზაფხულად“ წოდებული მოვლენა, რომლის დროსაც ჩეხოსლოვაკიის ოფიციალურმა ხელისუფლებამ ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისთვის და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე დასაწინაურებლად „სოციალიზმი ადამიანური სახით“ წოდებული პროგრესული რეფორმები გაატარა. დუბჩეკის ხელისუფლებაში მოსვლა მოსახლეობის უმეტესობისათვის „კოსმეტიკური ცვლილება“ იყო, ამიტომ არც განსხვავებული მოქმედებებისა თუ პოლიტიკის გატარების მოლოდინი არსებობდა. თავად საბჭოთა კავშირისთვის ის მისაღები ფიგურა იყო, რადგან წინააღმდეგობის მიზეზი არ ჰქონდათ და არა იმიტომ, რომ ის მათთვის განსაკუთრებულად მოსაწონი კანდიდატურა იყო. დუბჩეკმა 15 წელი, ბავშვობის უმეტესი ნაწილი, საბჭოთა კავშირში გაატარა, ნაცნობი იყო მისთვის საბჭოთა წყობა და შესანიშნავად ფლობდა რუსულს, რაც მოსაწონ თვისებებად აღიქვეს მოსკოვში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმში ის უპირობო ლიდერი იყო, როგორც ანტონინ ნოვოტნის[1] ხელისუფლების ოპოზიცია. მისი განცხადებები ქმნიდა მოლოდინს, რომ არსებული კრიზისის გამოსწორება შეეძლო, თუმცა უცნობი იყო მოსახლეობის და საბჭოთა ლიდერების უმრავლესობისთვის იმ დროს, როცა თანამდებობა დაიკავა. დუბჩეკის კარიერაში განსაკუთრებით გამოყოფენ 1963-1968 წლების პერიოდს, როდესაც ის იკავებდა სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის პოსტს. სწორედ ის მიიჩნევა სლოვაკთა საკითხის წამომწევად და ნოვოტნის მთავარ ოპოზიციად სლოვაკურ საკითხებში. ხშირად, დუბჩეკის მმართველობას მშობლიურ ქვეყანაში „ბრატისლავის გაზაფხულს“ უწოდებენ.[2]

ალექსანდრ დუბჩეკის დროს ნამდვილად დიდი გარდაქმნის პერიოდი დადგა. მისი რეფორმები საბჭოთა და ვარშავის პაქტის ქვეყნის წევრების მხრიდან შეფასდა სოციალიზმიდან გადახვევად, მემარჯვენე ძალებთან დაახლოებად. ამის მიუხედავად,

---

[1] ანტონინ ნოვოტნი- ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი 1953-1968 წლებში, ასევე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი 1957-1968 წლებში.

[2] Kevin McDermott, Communist Czechoslovakia 1945-1989, A Political and Social History; გვ. 102.

ვფიქრობთ, მისი რევიზიონისტად შერაცხვა არაწორია, რადგან მოცემული ბრალდება მის რეალურ განზრახვას არ ერგება. მას სჯეროდა მარქსიზმ – ლენინიზმის იდეოლოგიის და მიიჩნევდა, რომ კრიზისის პირობებში მყოფ პარტიაში, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობაში მხარდაჭერა აღარ გააჩნდა და ქვეყანაში ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ ტერორისა და შიშის დათესვით შეეძლო, კომუნიზმის იდეას საფრთხე ემუქრებოდა. კომუნისტური პარტიის განცხადებაში აღინიშნა: „სექტარიანიზმი, დემოკრატიული უფლებების და ხალხის თავისუფლების შეზღუდვა კანონების უგულებელყოფობა, ძალაუფლების არასწორად გამოყენება გახდა რესპუბლიკის ყოველდღიურობა, რამაც მიგვიყვანა ხალხის იმედგაცრუებამდე, ამან გავლენა იქონია როგორც კომუნისტებზე, ასევე არაკომუნისტებზე. გამოუსწორებელი დანაკარგი, რომელიც ჩვენს მოძრაობას იმ დროს მიადგა ყოველთვის იქნება ჩვენთვის გაფრთხილება, რათა არ გამოვიყენოთ იგივე მეთოდები.“[1]

დუბჩეკმა 20 წლით ადრე დაიწყო გორბაჩოვის „გარდაქმნის პოლიტიკა“ და „სოციალიზმი ადამიანური სახით“[2] აქცია ხალხის გულის მოგების, მათი გაერთიანების, დაშვებული შეცდომების აღიარებისა და გამოსწორების შესაძლებლობად.

რეფორმები დღის შუქს ვერ ნახავდნენ კონსერვატორული ძალების ხელისუფლებისგან ჩამოშორების გარეშე. დუბჩეკის ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი თვე სწორედ ამ პოლიტიკის გატარებას დაეთმო – ძველი, ნოვოტნის მომხრე კომუნისტების დათხოვნასა და მათი ახალგაზრდა, რეფორმათა მომხრეებით ჩანაცვლებას. უპირველესი კონსერვატორის-ნოვოტნის მართვის სადავეებიდან ჩამოშორება შესაძლებელი გახდა 22 მარტს კომუნისტური პარტიის პლენარულ სესიაზე, როცა მას გადადგომის იძულებითი გადაწყვეტილება მიაღებინეს. ახალი პრეზიდენტის დანიშვნა დუბჩეკის განცხადებით უნდა მომხდარიყო საერთო არჩევნების გზით, როცა პოლიტიკური ორგანიზაციები(იგულისხმება ეროვნული ფრონტში შემავალი ორგანიზაციები) თავად აირჩევდნენ კანდიდატებიდან სასურველ პირს. ფარული კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილებით არჩევნებში გაიმარჯვა ვლადიმირ სვობოდამ, ასევე რეფორმების მომხრემ. არჩევნების ჩატარება ფარული კენჭისყრის გზით ქმნიდა დადებით პრეცედენტს და ახალი კურსის გატარების მოლოდინს ქმნიდა. ნოვოტნის ხელისუფლებისგან ჩამოშორებას, რასაკვირველია, თან ახლდა მისი მომხრეთა

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ.90

[2] „სოციალიზმი ადამიანური სახით'' ბუნებრივია, გულისხმობდა, რომ მანამდე არსებული რეჟიმი ჩეხოსლოვაკიასა თუ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ატარებდა “არაადამიანურ'' სახეს.

გადაყენებაც. კადრების ჩანაცვლების პოლიტიკა რასაკვირველია, არ გამოჰპარვია საბჭოთა კავშირს. შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე 10 000 ადამიანიდან 30% ასევე მუშაობდა საბჭოთა კავშირზე[1], ასე რომ თანამდებობიდან მათი გათავისუფლება ნოვოტნის გავლენის კლებასთან ერთად ავტომატურად ნიშნავდა სსრკ-ს გავლენის შესუსტებასაც.

დემოკრატიულობის მისაღწევად კომუნისტური პარტიის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 3 მარტს გაუქმებული ცენზურა, რასაც მოჰყვა ახალი გაზეთების, ახალი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ხშირად აკრიტიკებდნენ არსებულ სიტუაციას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ცენზურის გაუქმება იყო უმთავრესი რეფორმა, რომელიც ვარშავის პაქტის სახელმწიფოების მოსახლეობამ აიტაცა. იგივეს მოთხოვნით აღმოსავლეთ ევროპაში საპროტესტო აქციები მოეწყო. სტუდენტები ღიად უჭერდნენ მხარს ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე პროცესებს და იგივეს მოითხოვდნენ საკუთარი ხელისუფლებისგანაც[2]. დემონსტრაციები დაარბიეს, თუმცა სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის გაჩნდა შიში, რომ „პრაღის გაზაფხულს“ შეეძლო საპროტესტო აქციების გახშირება და მსგავსის მოთხოვნით რევოლუციური ცვლილებების მოტანა არა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც, რაც არეულობას უქადდა სოციალისტურ ბლოკს და საკმარისი მიზეზი იყო დუბჩეკის მიმართ ანტიპათიისა.

მნიშვნელოვანი ცვლილება იყო 1948-1968 წლებში დაწყებული რეპრესირებული პირების რეაბილიტაცია, მათი საქმეების გამოძიების ნიადაგზე. მოსახლეობის უმეტესობას აწუხებდა ეროვნული გმირის, იან მასარიკის[3] სიკვდილთან დაკავშირებული შეუსაბამობები, რისი გამოძიების პირობაც თავად ალექსანდრ დუბჩეკმა დადო. საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო უფრო აქტიური პოლიტიკის დაანონსება. რეფორმისტების ხედვა და სამომავლო მიზნები დაფიქსირდა 5 აპრილს რატიფიცირებულ დოკუმენტში -„სამოქმედო პროგრამაში“, რომელმაც ჩამოაყალიბა არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის ზოგადი გზები. „სამოქმედო პროგრამას“ უნდა

[1] Karen Dawisha, Kremlin and the Prague Spring, Berkley: University of California press, 1984. გვ. 53

[2] Tony Kemp-Welch, 'To Hell with Sovereignty! : Poland and the Prague Spring. East Europe In The Prague Spring" Paglave Macmillan 2018, გვ.130

[3] იან მასარიკი – ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის – ტომაშ მასარიკის შვილი, 1940 წელს ის დაინიშნა ემიგრირებული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრად. მან დიდი როლი ითამაშა ნაცისტური ოკუპაციის დასრულებაში. გარდაიცვალა კომუნისტური მმართველობის დამყარებიდან ორ კვირაში. ოფიციალური ვერსიით ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, თუმცა მოსახლეობა ვარაუდობდა მკვლელობის ვერსიას. ხალხის მოთხოვნის მიუხედავად, გამოძიება „პრაღის გაზაფხულამდე“ არ დაწყებულა და ინტერვენციის მიზეზით ის ვერც დასრულდა. 1990იანებში ხავერდოვანი რევოლუციით დადასტურდა იან მასარიკის მკვლელობა.

მოამზადებინა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობაზე განსახილველი და კონსტიტუციაში ჩასაწერი კანონები. ყრილობა უნდა გამართულიყო 1968 წლის 9 სექტემბერს. სწორედ ამ პროგრამაში მოცემულმა იდეებმა და დაანონსებულმა რეფორმებმა გააღრმავა სოციალისტურ ბანაკში შიში, რადგან დემოკრატიული აზრები, რომელიც გაჟღერდა აღძრავდა ეჭვს, რომ ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური კურსი იხრებოდა დასავლეთისკენ და რომ ის ნელ-ნელა შორდებოდა სოციალისტურ ბანაკს და უმთავრესად – საბჭოთა კავშირს. თემის აქტუალურობის მიზეზით ვეცდები დეტალურად განვიხილო პროგრამაში დაფიქსირებული სიახლეები და განვმარტო მათი შინაარსი.

ახალი მთავრობის პოლიტიკური კურსი გულისხმობდა წარსული შეცდომების აღიარებასა და მათი გამოსასწორებელი გეგმის დასახვას, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეფორმატორ ძალას ასევე კომუნისტური პარტია წარმოადგენდა, რომელსაც ხაზი უნდა გაესვა და განემტკიცებინა კომუნისტური წყობილების დამყარების კანონიერება და გაემყარებინა რწმენა, რომ ქვეყნის მდგომარეობის დადებითისკენ შეცვლის ძალა, სურვილი, ინიციატივა და შესაძლებლობა მხოლოდ კომუნისტურ პარტიას გააჩნდა.

სამოქმედო პროგრამა იწყება 1948 წელს კომუნისტური წყობის დამყარების აღწერით. განსაკუთრებულად გამოიყოფა გმირი წითელარმიელების ღვაწლი, რომლებმაც 6 წლიანი ოკუპაციისაგან დაიხსნეს ჩეხი და სლოვაკი ხალხი. აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია გამოხატავდა ხალხის უმრავლესობის პოზიციას და იცავდა პროლეტარიატების ინტერესებს, რომელთა სიმრავლითაც ჩეხოსლოვაკია ყველა სხვა ქვეყნისაგან გამოირჩეოდა. აპოლოგიას თან სდევდა შეცდომების აღიარება, რომელიც გამოუცდელობითა და სახელმწიფო წყობის ექსპერიმენტულობით აიხსნა. ვინაიდან ჩეხოსლოვაკია იყო პირველი ინდუსტრიული სახელმწიფო, რომელშიც სოციალისტური წყობა დამყარდა, მასში თავი იჩინა განსხვავებულმა გამოწვევებმა, რომელთა გამკლავებაც მოხდა არა ინდივიდუალურად, პრობლემის შესაბამისად, არამედ დოგმატურად, უკვე არსებული მეთოდების მიხედვით, რაც ბუნებრივი მიზეზების გათვალისწინებით უშედეგო და ხელოვნური გამოდგა. „ახალი სოციალური სისტემის შენება არაეფექტური ექსპერიმენტი აღმოჩნდა, რომელსაც ახასიათებდა ცოდნის ნაკლებობა, დოგმატიზმი და სუბიექტივიზმი.’’[1] მოცემული სამოქმედო პროგრამა მიზნად ისახავდა ხალხისთვის 20 წლის წინ მიცემული დანაპირების ასრულებას. „ჩვენ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები თუ გაუთვალისწინებლობები, ისევე როგორც გარემოებები, რამაც

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 88

ისინი გამოიწვია, რათა შევძლოთ, რაც შეიძლება სწრაფად მათი გამოსწორება, გავაერთიანოთ ძალა და ფუნდამენტურად შევცვალოთ ჩვენი ყოველდღიურობა.''[1]

მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა და ხალხში დამკვიდრებული იმედგაცრუებისა, პროგრამის შემქმნელები ფიქრობდნენ, რომ ჩეხოსლოვაკიაში არ არსებობდა ძალა, ვისაც უკეთ შეეძლო ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვა, ვიდრე თავად კომუნისტებს. ამგვარად, სახელმწიფოს და პარტიის ინტერესებში უნდა ყოფილიყო განვითარება, ხალხის მოთხოვნებზე მორგება და მათი ნდობის ხელახლა მოპოვება. კომუნისტური პარტიის წარმატება გამოიხატა 20 წელიწადში დაძლეული კლასთაშორისი დაპირისპირების აღმოფხვრაში, თუმცა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის გაერთიანება და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესება პარტიის მთავარ გამოწვევად რჩებოდა. მართალია, კომუნისტური პარტია აერთიანებდა მეტ-ნაკლებად ყველა სოციალურ ჯგუფს, თუმცა ის არ გამოხატავდა ყველას ინტერესებს, რაც ნიშნავდა, რომ უკეთესი მომავლისთვის, უფრო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიისთვის აუცილებელი იყო, სხვადასხვა ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა პოლიტიკაში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა პარტიების დაშვება და მათი შეხედულებების გათვალისწინება, კანონპროექტების კრიტიკული ანალიზი და მისი უარყოფითი მხარეების გამოკვეთა, ანუ ოპოზიცია, რომელიც დაეხმარებოდა სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისთვის კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღებაში. მრავალპარტიულობის დაშვება არ გამორიცხავდა კომუნისტური პარტიის ლიდერობას, რადგან იგი იქნებოდა კანონპროექტების განმახორციელებელი, სახელმწიფოს მმართველი ძალა, რომელიც დააბალანსებდა ოპოზიციური ძალების ინტერესებს და მიიღებდა კომპრომისულ, შემრიგებელ და მოცემულობაზე საუკეთესოდ მორგებულ გადაწყვეტილებას. კომუნისტური პარტია იღებდა ვალდებულებას, ყოველწლიურად, ყოველი რეფორმით დაემტკიცებინა ხალხისთვის, რომ ის ამ ლიდერულ პოზიციას და ხალხის ნდობას იმსახურებდა, რაც ვფიქრობთ არა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში, არამედ მსოფლიო კომუნისტური პარტიებისთვის უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს უმნიშვნელოვანესი შესწორება, რომლითაც თანამდებობებზე ხალხის დანიშვნის წესად უნდა ქცეულიყო მისი პიროვნული ღირსებები და ღირებულებები, დამსახურებები და ინიციატივა და არა მისი პარტიული კუთვნილება. „წარსულში პარტიის ლიდერის პოზიცია აღქმული იყო ძალის მონოპოლიურ კონცენტრაციად პარტმუშაკების ხელში. ამან დაამკვიდრა არასწორი აზრი, რომ პარტია

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ.91.

ახორციელებს დიქტატურას პროლეტარებზე. ეს საზიანო კონცეფცია ასუსტებდა სახელმწიფოს ეკონომიკას და სოციალურ ინსტიტუტებს, აზიანებდა პარტიის ავტორიტეტს და ხელს უშლიდა მას რეალური მიზნების განხორციელებაში. პარტიის მიზანი არ არის, რომ გახდეს საზოგადოების უნივერსალური „მფარველი“, რომ თავი მოუყაროს ყველა ორგანიზაციას და საზოგადოების ცხოვრებაში ყველა ნაბიჯი მისი დირექტივებით გადაიდგას. მისი მისიაა წამოჭრას სოციალისტური ინიციატივები, წარმოაჩინოს კომუნისტური ხედვა და პერსპექტივა. ... ამავდროულად, პარტია არ შეიძლება გადაიქცეს ორგანიზაციად, რომელიც მხოლოდ საკუთარ ხედვას და პროგრამას გაავრცელებს საზოგადოებაზე. ... პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული ქმედებები უბიძგებს ხალხს აქციოს პარტიული პროგრამა რეალობად და საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ნაწილად.''[1] ამგვარი მიდგომა, მრავალპარტიულობის დანერგვა, ხელს შეუწყობდა წარსულის პრობლემის – ხელისუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრის გამოსწორებას და იქნებოდა გარანტია დემოკრატიული მმართველობისა და განვითარების.

გამომდინარე იქიდან, რომ დუბჩეკი იყო სლოვაკი, მისთვის და კომპარტიის წევრი რიგი დეპუტატებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო სლოვაკეთის საკითხი, სადაც არსებული წყობით უკმაყოფილოთა რიგები ყოველდღიურად იზრდებოდა. არსებულმა პოლიტიკურმა ტრადიციამ ჩეხი ხალხი აქცია ცენტრად და აღმატებულად, რამაც ხელი შეუშალა სლოვაკ ხალხს თავი ქვეყნის სრულფასოვან წარმომადგენლად ეგრძნო, რაც მათ პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ უფლებათა ნაკლებობაში აისახა. კოშიცეს პროგრამა[2] სლოვაკ ხალხს ავტონომიას ჰპირდებოდა, თუმცა კომუნიზმის 20 წლიანი არსებობის მანძილზე მათი პოლიტიკური ავტონომიის დაკანონება ვერ მოხერხდა. უმცირესობაში მყოფ სლოვაკ დეპუტატებს პარლამენტში საკუთარი პრობლემების გატანა და დაფიქსირება არ შეეძლოთ, არ გაჩნდათ ენობრივი დამოუკიდებლობა, ბრატისლავა განვითარებითა თუ ინფრასტრუქტურით ბევრად ჩამოუვარდებოდა პრაღას და მიუხედავად ეკონომიკური პროგრესისა, სლოვაკეთის შემოსავალი და ცხოვრების დონე ბევრად ჩამორჩებოდა ჩეხეთისას, ქვეყანაში არსებული რეალობა კი სლოვაკ ხალხს ჩეხეთზე დამოკიდებულად აგრძნობინებდა თავს. სამოქმედო პროგრამაში ამ მხრივაც შემუშავდა პროგრესული

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 99

[2] კოშიცეს პროგრამა – 1945 წლის 4 აპრილს სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში შემუშავებული პროგრამა, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის ემიგრირებული მთავრობა და ჩეხოსლოვაკიის ემიგრირებული კომუნისტური პარტია კოალიციურ მთავრობად გაერთიანდნენ და შეიმუშავეს საერთო სამოქმედო პროგრამა.

ინიციატივა, რაც ჩეხოსლოვაკიის ფედერაციად გადაქცევაში გამოიხატა. სლოვაკეთს უნდა დამტკიცებოდა პოლიტიკური ავტონომია, ჰყოლოდა თავისი მინისტრები, რომლებიც საშინაო საქმეებს, ბიუჯეტს შესაბამისად განკარგავდნენ, ეკონომიკის განვითარებაში სლოვაკეთს ეძლეოდა მეტი თავისუფლება. ასევე უნდა წამოწეულიყო სხვა ეთნიკური უმცირესობების: პოლონელების, უნგრელების, უკრაინელებისა და გერმანელების უფლებები და დაანონსებულიყო მათი კულტურული ავტონომია.[1]

როგორც საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფო, ჩეხოსლოვაკიაშიც დამკვიდრდა „ჟდანოვის დოქტრინა'' რომელმაც კულტურის ყველა სფერო მოიცვა. მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ინფორმაციას იღებდა კომუნისტური პარტიის კუთვნილი პრესიდან – „რუდე პრავოდან'', საიდანაც ვრცელდებოდა საერთო კომუნისტური იდეოლოგია. აპრილის სამოქმედო პროგრამით აღიარებულ იქნა არსებული პოლიტიკის არამართებულობა. ხალხის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნა პრესის თავისუფლებით, არაკომუნისტური ორგანიზაციების შექმნით, საერთო პოლიტიკური ხაზის კრიტიკის დაშვებით, წარსული ტერორის დროს, რეპრესირებული პირების პოლიტიკური ამნისტიითა და მათი სახელების რეაბილიტაციით. დაანონსდა, რომ აუცილებლად დაიწყებოდა მათი საქმეების ხელახალი გამოძიება და აღიარებული იქნებოდა ყველა დაშვებული შეცდომა. კომუნისტური პარტიის მხრიდან ამგვარი გამოძიებების დაწყება, ვფიქრობ, ძალიან ღია განაცხადი იყო, რომელიც საფრთხეს უქმნიდა კომუნიზმის კანონიერებას ჩეხოსლოვაკიაში და შესაძლოა გამოევლინა პარტიის უფრო დიდი დანაშაულები.

სიტყვის თავისუფლება, რასაკვირველია, გულისხმობდა ცენზურის გაუქმებასაც, რაც ასევე უპრეცედენტო ქმედება იყო სოციალისტური სახელმწიფოებისათვის. „ჩვენ უარს ვამბობთ ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ მეთოდებზე, რომელიც ავიწროვებს კულტურას, ჩვენ ვეწინააღმდეგებით ამგვარ პოლიტიკას''.[2] ხელოვანები უნდა ემსახურებოდნენ საერთო კომუნისტურ ხედვას და აგიტაციას, თუმცა ასევე უნდა ჰქონდეთ სიტყვის გამოხატვის თავისუფლება. „პარტია დაიცავს და იზრუნებს როგორც ხელოვანთა თავისუფლებაზე, ასევე მათ უფლებაზე, იქცეს მათ საქმიანობა ხელმისაწვდომად. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ განსხვავებულად ხედვის თავისუფლება, რომელიც კონსტიტუციით იქნება დაცული, პატივცემული იქნება. ამასთან ერთად, კომუნისტური

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 96

[2] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969 გვ.131

პარტია ვერ დათმობს შთამაგონებელ როლს, ვერ შეწყვეტს მცდელობებს, რომ ხელოვნებამ ასახოს და გადმოსცეს ნატანჯი სოციალისტი ადამიანის თანამედროვე სამყაროში თვითდამკვიდრება.''[1] ცენზურის მოხსნით დაკმაყოფილდა "მწერალთა კავშირის'' და სტუდენტების მოთხოვნები. გამოქვეყნდა კრიტიკული სტატიები .

მეცნიერების განვითარებას რაც შეეხება, ჩეხოსლოვაკია, ინდუსტრიული სახელმწიფო ყველაზე მეტად საჭიროებდა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. ქვეყანა პირობას დებდა, რომ დიდ ფინანსებს ჩადებდა ამ სფეროს განვითარებაში, რათა ჩეხოსლოვაკია ექცია ყველასათვის სამაგალითო, სოციალისტური სახელმწიფოებისთვის დასაყრდენ ქვეყნად. მეცნიერული განვითარება უნდა მომხდარიყო თანაბრად საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ, ასევე სოციოლოგიურ დარგებში.

1967 წელს ეკონომიკურ რეფორმათა ინიციატორი ოტა შიკის ხედვა სამოქმედო პროგრამამ განავითარა[2]. ოტა შიკის რეფორმები – ახალი ეკონომიკური მეთოდი ნოვოტნის პერიოდში უნდა განხორციელებულიყო, თუმცა რადგან ეკონომიკურ ცვლილებებს პოლიტიკური ცვლილებები არ მოჰყვა, ისინი არაეფექტური და უფრო მეტად საზიანო აღმოჩნდა[3]. ნოვოტნის ხელისუფლების დროს დაშვებული ძირითადი შეცდომა იყო ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც დაანონსებულ რეფორმებს მოჰყვა, პოლიტიკური სახის ცვლილებების და "თავისუფალი ეკონომიკის'' უგულებელყოფა.[4] აპრილის სამოქმედო პროგრამაში ღიად არის დაფიქსირებული ეკონომიკური მიზნები, განხორციელების გზები და ის გამოწვევები, რის წინაშეც სახელმწიფო იდგა.

სამოქმედო პროგრამაში დაფიქსირდა კომუნისტური პარტიის მთავარი შეცდომა: სოციალური პრობლემების მოგვარება ინდუსტრიული წარმოების გაზრდის ხარჯზე, რასაც შედეგად მოყვა მძიმე მრეწველობის განვითარების დაჩქარება, მოთხოვნაზე მეტი ნაწარმის დაგროვება. წარმოება გაიზარდა, თუმცა მატერიის მოპოვება სათანადო ტემპით ვერ მოხერხდა, ამიტომ შეიქმნა უხარისხო პროდუქტი, რამაც შეარყია ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო პრესტიჟი, გამოიწვია სტაგნაცია და საცხოვრებელი პირობების

---

[1] იქვე. გვ.131

[2] ოტა შიკი- ჩეხი ეკონომისტი. შეიმუშავა „ახალი ეკონომიკური მოდელი", რომელით თავდაპირველად ანტონინ ნოვოტნის მმართველობისას განხორციელდა შეზღუდული ფორმით. მიუხედავად რეფორმათა პროგრესულობისა, 1967 წელს ნოვოტნის პერიოდში ახალმა ეკონომიკურმა მოდელმა დიდი კრიტიკა დაიმსახურა.

[3] Vaclav Holesovsky, Planning Reforms in Czechoslovakia. Soviet Studies. Apr.1968, Vol.19, No. 4, გვ.549

[4] Lida Urbanek, Apr. 1968 Vol 19, No 4. „Some Difficulties in Implementing the Economic Reforms in Czechoslovakia." Soviet Studies გვ. 558

გაუარესება.[1]

ჩეხოსლოვაკია – ყველაზე დიდი განვითარების პერსპექტივის მქონე, ბუნებრივი მადნითა თუ საწარმოებით მდიდარი ინდუსტრიული სახელმწიფო სოციალისტურ ბანაკში იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდი საცხოვრებელი პირობების მქონე ქვეყანა, რომელშიც არც მუშათა და არც მომხმარებელთა ინტერესები არ იყო დაცული. ეკონომიკური პრობლემების მოგვარება თავის თავში გულისხმობდა მათ იდენტიფიცირებას და მის საფუძვლიან გამოსწორებას, რაც აისახებოდა როგორც სტაბილურ და მზარდ ეკონომიკაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეფექტური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი იყო თითოეული საწარმოსთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად აითვისებდა მას, მასში მომუშავე პირების პოტენციალს და გააფართოებდა მოგებას. სახელმწიფოს ამგვარი გეგმის დასახვა ინდივიდუალური ქარხნისა თუ ორგანიზაციისთვის არ შეეძლო, ამიტომ დასაბუთდა საწარმოებისთვის ეკონომიკური ავტონომიის მინიჭების საჭიროება. ქარხნებს გამოეყოფოდათ მათთვის სამყოფი თანხა, რომლის განკარგვა მმართველს მოთხოვნილების მიხედვით თვითონ შეეძლო. საჭიროების შემთხვევაში დაშვებული იყო მომუშავეთა რაოდენობის შემცირება, არაკვალიფიციური კადრების გადამზადება და ფინანსების საჭიროების მიხედვით გადანაწილება საჭირო ტექნიკასა თუ მასალაზე. ამ რეფორმის განხორციელება თავად საწარმოს ხელმძღვანელი პირების გადამზადების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ეს უკანასკნელი პუნქტი იყო ერთ-ერთი განმასხვავებელი დუბჩეკისა და ნოვოტნის ეკონომიკურ პოლიტიკას შორის. „ეკონომიკური რეფორმები ყველა მუშათა საწარმოს ჩააყენებს პოზიციაში, საიდანაც ისინი პირდაპირ იგრძნობენ როგორც კარგი, ასევე ცუდი მენეჯმენტის შედეგებს... მათ ასევე წარმოების მართვაზე უნდა ჰქონდეთ გავლენა.''[2] ამგვარი პოლიტიკა გაზრდიდა კონკურენციას, ასევე გააუმჯობესებდა მოსახლეობის ენთუზიაზმს, მონდომებასა და სისტემის მუშაობის ეფექტურობის რწმენას, რაც ასე აკლდა ჩეხოსლოვაკიას. სახელმწიფოს ვალდებულებად რჩებოდა ბიუჯეტის გადანაწილება საწარმოებზე და ფასების კონტროლი, ისევე როგორც უზრუნველყოფა, რომ არ მომხდარიყო ნაწარმის მონოპოლიზირება.

ჩეხოსლოვაკიის იზოლირებულმა ეკონომიკამ – მხოლოდ სოციალისტური ქვეყნებით შეზღუდულმა ბაზარმა – სახელმწიფო მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, როცა მისი ექსპორტი იყო შეზღუდული, ხოლო მეცნიერ-ტექნიკურ რევოლუციაში ჩამორჩენის გამო ნაწარმი არ იყო კონკურენტუნარიანი. ამის გამოსასწორებლად აუცილებელი იყო, ჩეხოსლოვაკიაც

[1] Z.A.B Zeman, Prague Spring, 1969. გვ. 95

[2] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 115

ჩართულიყო მსოფლიო ბაზარში და ამგვარად გაეუმჯობესებინა არსებული ნაწარმის ხარისხი. საერთაშორისო დონეზე მთავარ ეკონომიკურ პარტნიორად უნდა დარჩენილიყო საბჭოთა კავშირი და „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო'' [1], თუმცა პროგრამის მიხედვით, ჩეხოსლოვაკიას საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განეახლებინა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთანაც. „ჩვენ ასევე უნდა დავუჭიროთ მხარი ეკონომიკურ ურთიერთობებს ყველა სხვა სახელმწიფოსთან, რომელიც გამოიჩენს ინტერესს და დაიცავს თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპს''[2]. ეს რასაკვირველია არ ნიშნავდა, რომ უცხო ქვეყნის მონოპოლიას ხელი არ უნდა შეშლოდა. მოცემული საკითხიც ერთ-ერთი ძირითადი განსხვავებაა დუბჩეკის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც საერთო სოციალისტური მიზნებისათვის მხარს უჭერდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ექსპორტს, რათა გაეზარდა საკუთარი წარმოების საზღვრები და გაეუმჯობესებინა ჩეხოსლოვაკიის ფინანსური მდგომარეობა. ეს მათი პოლიტიკური ხედვების გაზიარებას, რასაკვირველია, არ გულისხმობდა.

ეკონომიკური მოგების დაგროვება სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა ეზრუნა ცხოვრების დონის გაზრდაზე. წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რომელიც ხელფასების გაზრდას ცდილობდა *წარმოების* გაზრდის ხარჯზე, ახალი ეკონომიკური კურსი გულისხმობდა ხელფასების ზრდას *მოგების* ზრდის პროპორციულად. ასევე პრიორიტეტულად გამოცხადდა სოციალური დახმარების გაზრდა პენსიონერებისთვის, დეკრეტული შვებულებით მოსარგებლეებისთვის და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

საწყის ეტაპზე საჭირო ფინანსური სახსრების მოსაძიებლად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია განიხილავდა სესხის მსოფლიო ბანკისგან აღებას, რაც სრულიად უგულებელყოფდა „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს“ ეფექტურობას და საბჭთა კავშირი, როგორც ლიდერი სახელმწიფო გამოჰყავდა ეკონომიკურად უუნაროდ, რომელიც ვერ ეხმარებოდა მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოს. თავად ეკონომიკური რეფორმები და მათ განსახორციელებლად დასავლეთისთვის განკუთვნილი სათხოვარი იყო ერთ-ერთი

[1] ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო- 1947 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ინტეგრირებული ეკონომიკური ბლოკის შესაქმნელად და მარშალის გეგმისა და ევროპის ეკონომიკური ურთერთთანამშრომლობის ორგანიზაციის საპირწონედ დაარსებული ორგანიზაცია. იხილეთ : უილიამ რ. ქილორი, „მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“ თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წელი, გვ. 495

[2] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 120

უმთავრესი ეჭვი, რაც სოციალისტურ სახელმწიფოებს „პრაღის გაზაფხულმა“ გაუჩინა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია სამოქმედო პროგრამაში გამოხატავდა ამბიციასა და სურვილს, თავის პრობლემებზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამით ემართა სახელმწიფო, ამასთან ერთად საგარეო პოლიტიკა უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო, ვიდრე მანამდე. ამ განცხადებაში ფარულად იკითხებოდა წინა მთავრობის კრიტიკა, რომლის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მთლიანად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებებზე. ჩეხოსლოვაკიის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ინდუსტრიული წარმოება იძლეოდა შესაძლებლობას სახელმწიფოს გაეტარებინა მეტად აქტიური პოლიტიკა ევროპაში. ჩეხოსლოვაკია პირობას დებდა რომ აწარმოებდა ორმხრივად სასარგებლო მოლაპარაკებებს ყველა ქვეყანასთან მათი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. „ჩეხოსლოვაკიას სურს მშვიდობიანი თანაცხოვრება ყველა სახელმწიფოსთან’’[1] ვარშავის პაქტის სახელმწიფოებმა აღიქვეს, როგორც ჩეხოსლოვაკიის მზაობად, ოფიციალურად ეღიარებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – გფრ – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1967 წლის კარლოვი-ვარის ხელშეკრულებით ვარშავის პაქტის არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ეღიარებინა გფრ მანამ, სანამ დასავლეთი არ აღიარებდა გდრ-ის ლეგიტიმურობას. გდრ-ის კანცლერის, უოლტერ ულბრიხტის შიშს ამართლებდა ინფორმაცია, რომ გფრ-ის საზღვართან იპოვეს გადაჭრილი მავთულები და მორღვეული ელექტრობარიერი.[2] არსებობდა ვარაუდი, რომ ჩეხოსლოვაკია – გფრ-ს შორის არსებული ღია საზღვრით უფრო მეტი იმპერიალიზმის „აგენტი’’ შეძლებდა საზღვრის გადმოკვეთას და აგიტაციას, მეტიც, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის ეს იქნებოდა არალეგალური გზა დასავლეთში გასაქცევად.

მეცნიერულ ტექნიკურ რევოლუციაში ჩაბმა და სოციალისტური ქვეყნების კეთილდღეობაში კონტრიბუციის შეტანა ჩეხოსლოვაკიის განცხადებით კაპიტალისტურ ქვეყნებთან დაკავშირებას გულისხმობდა. კომუნისტური პარტია პირობას დებდა გაეროში აქტიური თანამშრომლობის შესახებ. ამავე დროს განსაკუთრებულ ემპათიასა და მეგობრობის სურვილს გამოხატავდა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სახელმწიფოებთან. „ჩვენ არ ვცვლით ჩვენს ფუნდამენტურ ორიენტაციას... ჩვენ გვინდა ავააშენოთ სოციალისტური საზოგადოების ახალი დემოკრატიული მოდელი, რომელიც მოერგება და სრულად გამოხატავს ჩეხოსლოვაკიაში არსებულ სიტუაციასა და

[1] The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ. 134

[2] Karen Dawisha, Kremlin and the Prague Spring, Berkley: University of California press, 1984: გვ.53

მდგომარეობას.''[1] ხაზი ესმებოდა, რომ ძველი, ტრადიციული სქემა ვერ გამოდგებოდა თანამედროვეობაში დასაყრდენად, „რამდენად კარგიც არ უნდა იყოს განზრახვა, ვერ მოვერგებით ჩარჩოებს, რომელიც არ გვერგება. ჩვენ გვინდა შევქმნათ პირობები, სადაც ყველა გულწრფელი მოქალაქე, რომელსაც ადარდებს საკუთარი თავი და სოციალიზმი, იგრძნობს, რომ მის ხელშია ქვეყნის, მისი სამშობლოს ბედი,რომ ის საჭიროა და რომ ისაა სახელმწიფოს დასაყრდენი. არ არსებობს ძალა, რომელიც წინ აღუდგება ხალხს, ვინც იცის რა უნდა და როგორ მიაღწიოს დასახულს. '' [2]

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქმედო პროგრამა ძალიან პროგრესულ ხასიათს ატარებდა. მასში გამოხატული იყო ჩეხოსლოვაკიის სურვილი, აქტიურად ყოფილიყო ჩართული მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებში, განევითარებინა ქვეყანა საკუთარი მეთოდისა და პროგრამის მიხედვით, დაეცვა ხალხთა უფლებები, მათი სიტყვის თავისუფლების, თვითგამოხატულების და ინტერესების უზრუნველყოფით და ეზრუნა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე მათ მიერ მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილებით. სამოქმედო პროგრამა ზოგადია, რადგან მას მხოლოდ პრობლემების წამოჭრა და მათი გადაწყვეტისას მისაღწევი შედეგების დასახვა ევალება. სამწუხაროა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ყრილობაზე მისაღები კანონპროექტების გადახედვა, არც იმაზე დაკვირვება, რამდენად ოპერატიულად და სამართლიანად მოხდებოდა დანაპირების შესრულება, რადგან მოცემული პროგრამაც კი ზედმეტად საშიში და საფრთხილო აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის სახელმწიფოებისათვის და გამოიწვია 21 აგვისტოს, მე-14 ყრილობამდე თითქმის ორი კვირით ადრე სამხედრო ინტერვენცია.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. პაპასქირი თეიმურაზ. სალექციო კურსი ,,ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე)“. საერთაშორისო ურთიერთობები 1956-1993 . „პრაღის გაზაფხული და ბრეჟნევის დოქტრინის შექმნა“.
2. უილიამ რ. ქილორი, „მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“ თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წელი,
3. Dawisha, Karen, “Kremlin and the Prague Spring”, Berkley: University of California press, 1984.
4. Holesovsky, Vaclav.. „Planning Reforms in Czechoslovakia.“ Soviet Studies. Apr.1968, Vol.19, No. 4, 544-556.

[1]The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. გვ.135.

[2]The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969 გვ. 137

5. Kemp-Welch, Tony.. „''To Hell with Sovereignty!'': Poland and the Prague Spring.“ East Europe In The Prague Spring. Responses to the Prague Pring and the Warsaw Pact Invasion-ში, Matthew Stibbe Kevin McDermott-ის მიერ, 125-147. London: Paglave Macmillan. 2019
6. McDermott Kevin, “Communist Czechoslovakia 1945-1989”, A Political and Social History New York : Palgrave Macmillan. 2015
7. The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document No.16, “Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis”, London: Cambridge M.I.T Press, 1969.
8. Skilling, Gordon. “Czechoslovakia’s Interrupted Revolution”, Canadian Slavonic Papers/Revue Canadienne des Slavistes. Winter, 1968, Vol.10, No.4 გვ.409-429
9. Urbanek, Lida. Apr. 1968 Vol 19, No 4. „Some Difficulties in Implementing the Economic Reforms in Czechoslovakia.“ Soviet Studies 557-566
10. Z.A.B Zeman,''Prague Spring'', New York: Hill and Wang. 1969.

ელგუჯა მაზმიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ივანიაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბოსნიის კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში: გენოციდი და ნატო-ს პირველი სამხედრო ოპერაცია

მსოფლიოს მრავალი სისხლიანი დაპირისპირება ახსოვს, რომლებიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. მათ შორის არის ისეთი კონფლიქტებიც, რომელთა დროსაც განხორციელდა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა ზოგადად მსოფლიო პოლიტიკაზე, ხოლო კონკრეტულად, რომელიმე ორგანიზაციის იდენტობის განსაზღვრაზე. ამგვარი კონფლიქტის კარგ მაგალითს წარმოადგენს 1992-1995 წლებში მიმდინარე ბოსნიის ომი. ცივი ომის დროინდელ და მის შემდგომ განვითარებულ კრიზისებს შორის ამ კონფლიქტმა მსოფლიოს დაანახა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ისეთი შემთხვევები ევროპაში, რომელთა მსგავსიც კონტინენტზე ჰოლოდომორისა და ჰოლოკოსტის შემდეგ, ფაქტობრივად, არ მოიძებნება. აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მან მოახერხა ნატო-ს როლის განსაზღვრა ახალ მსოფლიო სისტემაში.

ცივი ომის შემდგომი პერიოდი მსოფლიოსთვის ახალ გამოწვევებთან ასოცირდებოდა. განსაკუთრებით ეს საკითხი შეეხო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას, რომელიც პოსტ-ცივი ომის დროს ეგზისტენციალურ კრიზისს განიცდიდა. როგორც მოგეხსენებათ, ნატოს მთავარი სამიზნე – საბჭოთა კავშირი დაიშალა, რამაც ორგანიზაცია, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დატოვა. მრავალი მკვლევრის აზრით, სწორედ აქ უნდა შეწვეტილიყო ნატოს არსებობაც, თუმცა, ეს ასე არ მოხდა. მსოფლიო პოლიტიკაში გამოიკვეთა ისეთი კონფლიქტი, რომელიც საჭიროებდა აქტიურ ჩართვას საგარეო პოლიტიკური აქტორების მხრიდან. სწორედ ბოსნიის ომმა (რომელიც არ უჩიოდა სისასტიკესა და ჟენევის კონვენციის დარღვევის დეფიციტს) გადაადგმევინა ნატოს ისეთი ნაბიჯები, რომელთაც შედეგად ნატოს ახალი როლის განსაზღვრა მოჰყვა თანამედროვე რეალობაში. დაპირისპირება, რომელიც ძირითადად ეთნიკურ ხასიათს ატარებდა, გარდამტეხი აღმოჩნდა ორგანიზაციისთვის და პირიქით, ნატო გარდამტეხი აღმოჩნდა აღნიშნული კონფლიქტისთვის, რადგან სწორედ მისი აქტიური ჩართვა გახდა მიზეზი სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისა, ხოლო შემდგომ სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებისა.

სანამ თავად კონფლიქტზე გადავალთ საჭიროა გავეცნოთ ომის მთავარ მოთამაშე ეთნიკურ ჯგუფებს, ცხელი წერტილის ადგილმდებარეობას დედამაიწაზე. ბოსნიის ომი მიმდინარეობდა ბოსნია-ჰერცოგოვინის სამ ძირითად ეთნიკურ ჯგუფს – ბოსნიელ მუსლიმებს, სერბებსა და ხორვატებს შორის. ბოსნია-ჰერცოგოვინა მდებარეობს სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე – რეგიონში, რომელიც გამოირჩევა ეთნიკური სიჭრელით. ეს კი გახდა კიდეც ომის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი.

კონფლიქტი მყისვე არ დაწყებულა. მას წინ უძღოდა მოვლენები, რომელთა შედეგადაც ბოსნიელმა სერბებმა ბოსნია-ჰერცოგოვინის დედაქალაქს, სარაევოს, ცეცხლი გაუხსნეს. ბოსნიის ისტორია სავსეა უცხოური ოკუპაციებით, ოსმალებიდან დაწყებული ავსტრია-უნგრეთით დამთავრებული (Regan, 2013), მაგრამ კონფლიქტისთვის მნიშვნელოვანი ძვრები კომუნისტური იუგოსლავიის არსებობის ბოლო პერიოდში დაიწყო. შეგვიძლია გამოვყოთ ომის რამდენიმე მიზეზი: 1) ტიტოს გარდაცვალება. ტიტო იუგოსლავიის სახელმწიფოს შემქმნელი და მისი ერთიანობის განმაპირობებელი პიროვნება იყო. მისი დევიზი – „ერთიანობა და ძმობა“ კომუნისტური იდეოლოგიის გარშემო იუგოსლავიის შემადგენლობაში მყოფი ამ ხალხების შემოკრებას გულისხმობდა, თუმცა, როგორც მისმა სიკვდილმა აჩვენა, ეს „ერთობა“ გულითადი არ აღმოჩნდა და კომუნისტური სისტემის მსგავსად მან ტიტოს გარეშე დაშლა დაიწყო. 2) 1980-იან წლებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, რომლის წყალობითაც იუგოსლავიაში პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია მოხდა. 1989 წლიდან ჩნდებიან პარტიები, რომლებიც წარმოადგენდნენ შესაბამის ეთნოსებს და მათ სათავეში მყოფი პოლიტიკოსები ეთნიკური დაპირისპირების გაღვივებით საკუთარი პლატფორმით ცდილობდენენ მხარდაჭერის მოპოვებას, რაც განსაკუთრებით ნათელი იყო ბოსნია-ჰერცოგოვინაში. 3) თვითგამორკვევის პრინციპი. თვითგამორკვევა უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო შლის პროცესში მყოფ იუგოსლავიაში. ყველა სახელმწიფო იუგოსლავიიდან გამოსვლას ამ არჩევნის უფლებით ამტკიცებდა. თუმცა ამ პრინციპს სერბული ეთნოსის მხარეც იყენებდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოიყენა სერბეთის პრეზიდენტმა – სლობოდან მილოშევიჩმა და გაამართლა ეთნიკურ სერბთა მიერ სეცესიის მოთხოვნა ყოფილი იუგოსლავიის შემდაგენელი რესპუბლიკებიდან (თუ გავითვალისწინებთ სერბული მოსახლეობის წილს ამ რესპუბლიკებში, ეს სერიოზულ პრობლემას ქმნიდა შესაბამის რესპუბლიკათა ტერიტორიული ინტეგრაციის საქმეში, მილოშევიჩის პოზიცია კი ნათლად გამოიკვეთა როგორც ბოსნიაში მცხოვრები სერბების, ასევე ხორვატიაში, კრაინაში მცხოვრები სერბების საშუალებით). ამ მიზეზებმა კი უზარმაზარი გავლენა იქონიეს და ფაქტობრივად განაპირობეს კიდეც ის მოვლენები, რომლებიც განვითარდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში და რომლებმაც გამოიწვიეს კიდეც აქ მომხდარი ომი. 1990 წელს ჩატარდა არჩევნები ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სადაც გამოჩნდნენ პარტიები, რომლებიც სამივე მთავარ ეთნოსს წარმოადგენდნენ. ალია იზეტბეგოვიჩის მეთაურობით შეიქმნა კოალიციური მთავრობა, მაგრამ იუგოსლავიაში და თავად ბოსნია-ჰერცოგოვინაში დაძაბულობის ზრდის გამო მასსა და სერბთა დემოკრატიულ პარტიას შორის, რადოვან კარაჯიჩის მეთაურობით, კოოპერაცია თანდათანობით რთულდებოდა. ამას მოჰყვა 1991 წელს თვითგამოცხადებული „სერბული ავტონომიური რეგიონების“ ფორმირება, რომლებსაც

იუგოსლავიის სახალხო არმია ეხმარებოდა. ამას დაემატა აგვისტოში პრეზიდენტის ბოიკოტირება სერბების მიერ და ხორვატების მიერ სერბების მსგავსი ავტონომიური რეგიონების ჩამოყალიბება ნოემბერში. ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის შემდეგ ბოსნია-ჰერცოგოვინაში ჩატარდა რეფერენდუმი 1992 წლის 29 თებერვლიდან 1 მარტამდე (რომელშიც სერბებმა მონაწილეობა არ მიიღეს) (Auerswald, 2000), რის საფუძველზეც გამოცხადდა დამოუკიდებლობა 3 მარტს. ეს კი გახდა კონფლიქტის დაწყების მანიშნებელი. აპრილში უკვე სარაევოს დაბომბვა დაიწყო.

დაპირისპირება ადგილობრივებს შორის აპრილამდეც მიმდინარეობდა, მაგრამ ომის საწყისად მიიჩნევენ 6 აპრილს, სარაევოს დაბომბვის დასაწყისს. სწორედ ამ დღეს მიიღო ბოსნია-ჰერცოგოვინამ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. აპრილის თვეში სერბებმა მყის აიღეს ქვეყნის აღმოსავლეთით მრავალი ქალაქი, როგორებიცაა ვიშეგრადი, ფოჩა, სადაც ბოსნიელები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. დაიწყო მათი მასობრივი გასახლება, რითაც დაიწყო კიდეც ეთნიკური წმენდის პროცესი. ამ პროცესის მთავარი განმხორციელებლები ხშირად იყვნენ სერბები, მსხვერპლნი – ბოსნიელები, ხოლო ხორვატები როგორც მსხვერპლის, ისე განმახორციელებლების როლშიც მოგვევლინნენ. შეიარაღებული დაპირისპირება ძირითადად მიმდინარეობდა ბოსნიელ სერბებსა და ბოსნია-ჰერცოგოვინის დანარჩენ მთავარ ეთნიკურ ჯგუფებს შორის (ბოსნიელი ხორვატები და მუსლიმი ბოსნიელები). თუმცა, უნდა ითქვას, რომ გარკვეული დროის განმავლობაში შეტაკებები ამ უკანასკნელებს შორისაც მიმდინარეობდა (უფრო დაწვრილებით ამას ქვევით განვიხილავთ). ომის დაწყებიდან ექვს კვირაში სერბებმა (გასამხედროებული დანაყოფები, იუგოსლავიის სახალხო არმია, ბოსნიელ სერბთა დანაყოფები) ქვეყნის თითქმის ორი მესამედი დაიკავეს. 1992 წლის ზაფხულიდან მდგომარეობა რამდენადმე დასტაბილურდა იმის გამო, რომ ბოსნიელთა და ხორვატთა გაერთიანებულმა ძალებმა მოახერხეს სერბთა შეჩერება, მაგრამ ბოსნიის წინააღმდეგობა დასუსტებული იყო აღჭურვილობის საერთაშორისო ემბარგოს გამო, რასაც 1993-1994 წლებში ბოსნიელებსა და ხორვატებს შორის დაწყებული კონფლიქტი მოჰყვა (ამ დაპირისპირების სისასტიკის ნათელი მაგალითია მოსტარში მიმდინარე პროცესები), თუმცა კონფლიქტი მალე განიმუხტა და ორივე მხარე 1994 წლის 18 მარტის ვაშინგტონის ხელშეკრულებით შეთანხმდა საერთო ფედერაციის ჩამოყალიბებაზე.

ამ პერიოდში საერთაშორისო ჩართულობა ინტენსიური არ იყო. კერძოდ, აშშ ვარაუდობდა, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის შენარჩუნების შემთხვევაში ომი 1993 წლის თებერვლისთვის დასრულებული იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახლმა დეკლასიფიცირებულმა დოკუმენტებმა აჩვენა, რომ კლინტონის ახალ ადმინისტრაციას სურდა წინა ადმინისტრაციის ბალკანური პოლიტიკის ეჭვქვეშ დაყენება, მათ შორის ვენს-ოუენის გეგმისა, რომელიც გაეროს მიერ იყო მხარდაჭერილი და ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცოგოვინის 10 ავტონომიურ ერთეულად დაყოფას, მაგრამ იგი თავად ბოსნიელმა სერბებმაც არ მიიღეს (Bildt, 2021). რაც შეეხება გაეროს, იგი მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებების – გაეროს თავდაცვის ძალების (UNPROFOR) საშუალებების ჩატანით შემოიფარგლებოდა. ასევე გამოაცხადა „უსაფრთხო ზონები“ ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, სწორედ ამ ზონაში არსებული ქალაქი გახლდათ სრებრენიკა, სადაც სერბებმა 1995 წლის

ივლისში 8372 ბოსნიელი მამაკაცი გაჟლიტეს (Victims of the Srebreniva Massacre), რამაც ეჭვქვეშ დააყენა ამ ზონების უსაფრთხოება.

რაც შეეხება მშვიდობის შემოთავაზებებს, ყველა უშედეგო აღმოჩნდა, მეტწილად იმიტომ, რომ ბოსნიელი სერბები 1994 წლისთვის ბოსნია-ჰერცოგოვინის 70%-ს აკონტროლებდნენ, მათ კი გოჯი მიწის დათმობაც არ სურდათ შექმნილი სტატუს-ქვოს გამო. 1994 წლის თებერვალში ნატო-მ არსებობის განმავლობაში პირველად განახორციელა სამხედრო ინტერვენცია, მისმა რეაქტიულმა ავიაგამანადგურებელმა ბოსნიელი სერბების 4 საჰაერო გამანადგურებელი ჩამოაგდეს, გაეროს მიერ დამტკიცებული No-Fly Zone-ის დარღვევის გამო. წლის ბოლოს ნატომ გაეროს მოთხოვნის მიხედვით განახორციელა საჰაერო თავდასხმა ბოსნიელ სერბებზე, თუმცა მას დიდი ეფექტი არ ჰქონია. სრებრენიკას სასაკლაოსა და სერბების მიერ სარაევოს ბაზრის დაბომბვის შემდეგ ნატომ 1995 წლის ბოლოსკენ უფრო კოორდინირებული თავდასხმები განახორციელა. ამას დაემატა ხორვატთა და ბოსნიელთა კოორდინირებული თავდასხმა, რის შემდეგაც სერბები დასთანხმდნენ აშშ-ს მიერ ინიცირებულ სამშვიდობო შეთანხმებაში მონაწილეობას დეიტონში, ნოემბრის თვეში, სადაც ბოსნიელი სერბების წარმომადგენელი იყო სლობოდან მილოშევიჩი, სერბეთის პრეზიდენტი. იქ ასევე იყვნენ ფრანიო ტუჯმანი, ხორვატიის პრეზიდენტი, და ალია იზეტბეგოვიჩი, ბოსნია-ჰერცოგოვინის პრეზიდენტი (სამივე მოლაპარაკებების მთავარ ფიგურებს წარმოადგენდნენ). დეიტონის შეთანხმების მიხედვით ბოსნია-ჰერცოგოვინა ორ ფედერაციულ ნაწილად დაიყო: 49% ტერიტორიისა სერბებს შეხვდათ, 51% კი ხორვატებსა და ბოსნიელებს. შეთანხმების განხორციელება, რომელსაც ხელი საბოლოოდ მოეწერა პარიზში, 1995 წლის 14 დეკემბერს, საერთაშორისო ძალების 60 000 მოსამსახურის ქვეყანაში შეყვანით უნდა უზრუნველყოფლიყო (მათ შორის იყვნენ ნატოს იმპლემენტაციის ძალები (IFOR). მათ შემოსვლას სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს მეცნიერი ჯუტა პაკზულა და იგი მას ბოსნიის ახალ მომავალს უკავშირებს (Jutta, 2004).

ბოსნიის ომის შედეგები მძიმე იყო. თავდაპირველი შეფასებით ყველაზე ცოტა 200 000 ადამიანი დაიღუპა კონფლიქტში, 200 0000 ადამიანი კი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა. შემდგომ ჩატარებული კვლევების მიხედვით დაღუპულთა რაოდენობა დაახლოებით 100 000 ადამინით განისაზღვრა (Britanica, 2022). ქვეყნის შიგნით დაპირისპირებული მხარეები მიზანმიმართულად ხოცავდნენ მოწინააღმდეგეებს, უმოწყალოდ ანადგურებდნენ მათი ოპონენტებით დასახლებულ პუნქტებს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებს და უხეშად არღვევდნენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრულ კანონებს, ჟენევის კონვენციას. ამ დანაშაულებებიდან გამომდინარე ომის დასასრულს მოჰყვა გაეროს მიერ დამნაშავეთა საერთშორისო ტრიბუნალის შექმნა ყოფილი იუგოსლავიისთვის, სადაც ომის დამნაშავეები გასამართლდნენ. მათ შორის იყვნენ სლობოდან მილოშევიჩი (იმ დროისთვის სერბეთის პრეზიდენტი, სასამართლო პროცესების დასრულებამდე საკანში გარდაიცვალა 2006 წელს), რადოვან კარაჯიჩი (სეპარატისტული სერბთა (სრპსკას) რესპუბლიკის პრეზიდენტი 2016 წელს 40-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, 2018 წელს – სამუდამო), რატკო მლადიჩი (იმ დროისთვის სრპსკას რესპუბლიკის არმიის მეთაური, 2017 წელს მიესაჯა სამუდამო

პატიმრობა). კონფლიქტი ასევე გადამწყვეტი აღმოჩნდა ნატო-ს, გაერო-სა და ამერიკის შეერთებული შტატების როლის განსაზღვრაში ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადააფასა თავისი ეროვნული ინტერესები იქიდან გამომდინარე, რომ მისი ახალი როლი, როგორც მსოფლიოს ერთადერთი სუპერსახელმწიფოსი (მსოფლიო ჰეგემონის), ამას მოითხოვდა (თუმცა, ამას დაპირისპირების გარეშე არ ჩაუვლია, რაც გამოიხატა ბოსნიის კონფლიქტში ჩართვასთან დაკავშირებით გამართულ დებატებში). რაც შეეხება ნატოს, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ბოსნიის კონფლიქტი, რადგან ომმა შეუწყო ხელი მისი დანიშნულების ცვლილებას. დაპირისპირება გარდამტეხი აღმოჩნდა ამ ორგანიზაციისთვის, რადგან დიდი როლი ითამაშა ნატოს ფუნცქციების განსაზღვრაში ცივი ომის შემდგომ პერიოდში. გაეროსაც გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ამ კონფლიქტის განმუხტვაში, რამაც, რასაკვირველია, გარკვეული ცვლილებები მოახდინა მის დანიშნულებასა და ფუნქციონირების საკითხებში. რაც შეეხება დასავლურ სამყაროს, მათ შორის აშშ-ს, მათ გარკვეული გამოცდილება მიიღეს, რითაც შეძლეს კიდეც მომავალში კოსოვოსთან დაკავშირებით უფრო ეფექტური ნაბიჯების გადადგმა (Daaldar, 1998).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Lampe, J. R. (2022, October 6). Bosnian War. Encyclopedia Britannica. https://www.britannica.com/event/Bosnian-War
2. Bildt, C. (2021). Bosnia to War, to Dayton, and to Its Slow Peace. European Council on Foreign Relations. http://www.jstor.org/stable/resrep29124
3. Daalder, H. I. (1998). Decision to Intervene: How the War in Bosnia Ended. The Brookings Institution. Retrived: 30 April, 2023. https://www.brookings.edu/articles/decision-to-intervene-how-the-war-in-bosnia-ended/
4. Costalli, S. (2014). Does Peacekeeping Work? A Disaggregated Analysis of Deployment and Violence Reduction in the Bosnian War. British Journal of Political Science, 44(2), 357–380. http://www.jstor.org/stable/43821972
5. Costalli, S., & Moro, F. N. (2012). Ethnicity and strategy in the Bosnian civil war: Explanations for the severity of violence in Bosnian municipalities. Journal of Peace Research, 49(6), 801–815. https://doi.org/10.1177/0022343312453593
6. Auerswald, D. P. (2000). The 1995 Bosnian War. In Disarmed Democracies: Domestic Institutions and the Use of Force (pp. 67–86). University of Michigan Press. http://www.jstor.org/stable/10.3998/mpub.16724.8
7. Paczulla, J. (2004). The Long, Difficult Road to Dayton: Peace Efforts in Bosnia-Herzegovina. International Journal, 60(1), 255–272. https://doi.org/10.2307/40204032
8. Schonberg, K. K. (1999). Traditions and Interests: American Belief Systems, American Policy, and the Bosnian War. World Affairs, 162(1), 11–21. http://www.jstor.org/stable/20672566
9. Weidmann, N. B. (2011). Violence “from above” or “from below”? The Role of Ethnicity in Bosnia’s Civil War. The Journal of Politics, 73(4), 1178–1190. https://doi.org/10.1017/s0022381611000831